



N16 (567)

21/IV-27/IV-2011 ფასი 1 ლარი

ქართული პროზის საგანგებო

ტომი №60

ნაირა გელაშვილი
დედის ოთახი

ნაწილი II

შეგიძლიათ შეიძინოთ
„გზის“ ამ ნომერთან ერთად!

წიგნი და „გზა“ ერთად
4 ლარი ღირს

შეძლავთ ტომი

გიორგი ლაონიძე

როგორი სქესის
თაყვანისმცემლები
ანუხებენ ბიჭოლას?



„კიევში მებოგბარი მყავს,
რომელთანაც „დავლივარ“

თემა

სექსუალური
ქაღალდობა

ნინო შერვაშიანი:

„მანიაკი მომავალ მსხვერპლს
ხალხმრავალ ადგილებში არჩევდა...“

„როსა შეზინდებოდა, ფოთში ვერ ჩავდიოდი“

კაზაკი აზამანის შთაბრძნავალი ოფიცრის თბილისური ვოიჯაჟი

მესკლუზივი



იდუმადი ქალის მფლობელი,
თბილისელი მამაკაცი

„კასა მზერით სმსხლს აჩენდა“



ასალი
ქართული
სკანდალი
თურქეთში

ქართველმა კალოვნებმა
თურქი ბიზნესმენის
გვკლულობაში
ეჭვიბანილი
დააკავეს





უსაფრთხოა ორსულობის დროს

ვაგინალური კანდიდოზის ეფექტური მკურნალობა



ნებადართულია ორსულობის ყველა ტრიმესტრში და ლაქტაციის დროს

1 სანთელი ვაგინალურად ძილის წინ 3-ნ დღე-
ეკიმის რჩევით შესაძლებელია გამოყენება
ხანგრძლივი დროით. ზოგჯერ შეიძლება
აღინიშნოს წვის შეგრძნება.

გამოყენებისას ვაგინით ინსტრუქციას
გვერდითი შოვლებების შესახებ დეტალური
ინფორმაციის მისაღებად მიმართეთ ექიმს



დისტრიბუტორი
"ავერსი ფარმა"
აღმაშენებლის 148/2

სოკოს საინააღმდეგო ადგილობრივი საშუალება

რა არის თეთრად შლა?

ვულვოვავინალური კანდიდოზი (ანუ თეთრად შლა) – გარეგანი სასქესო ორგანოების და საშოს სოკოვანი დაზიანებაა. კანდიდოზის გამომწვევია კანდიდას სახეობის საფუარისმაგვარი სოკო. ცნობილია, რომ ქალების 75%-ს სიცოცხლის განმავლობაში ერთხელ მაინც აწუხებს აღნიშნული პრობლემა.

თეთრად შლის სიმპტომები:

პაციენტების ძირითადი ჩივილებია: ხატოსებრი გამონადენი საშოდან, ქავილი (რომელიც ძლიერდება სითბოში, ძილის დროს, თბილი აბაზანის შემდეგ), წვა, ტკივილი სქესობრივი აქტისა და მოშარდვის დროს.

რა იწვევს თეთრად შლას?

კანდიდას სახეობის სოკო შეიძლება არსებობდეს ჯანმრთელი ქალის საშოში (კანდიდამტარებლობა) და ორგანიზმის დამცველობითი ფუნქციის შესუსტებისას ისინი ხდებიან პათოგენურები. იმუნიტეტის დაქვეითება კი თავის მხრივ შეიძლება განაპირობოს სხვადასხვა დაავადებამ ან ანტიბიოტიკების და მაღალდოზირებული პორმონალური კონტრაცეპტული საშუალებების ხანგრძლივმა და უკონტროლო გამოყენებამ. ორსულებში თეთრად შლა 2-ჯერ მეტი სიხშირით ვგხვდება პორმონული ბალანსის შეცვლის გამო. დაავადების ხელშემწყობი ფაქტორებია: მჭიდრო საცვლის (ტანსაცმელის) ტარება, სიმსუქნე, პირადი ჰიგიენის უგულვებელყოფა, ცხელი კლიმატი.

თეთრად შლა ორსულობის დროს:

თეთრად შლა ორსულობის პერიოდში სახიფათოა, რადგანაც შეიძლება ჰქონდეს არასასურველი გავლენა ახალშობილზე. სამშობიარო გზებში ნაყოფის გაგლისას შესაძლოა პირის ღრუს კანდიდოზის განვითარება, რომელიც შეიძლება გადაიხარდოს საყლაპავის კანდიდოზში და შემდეგ გავრცელდეს სხვა ორგანოებზე. პიმაფუცილის უპირატესობაა მისი არატოქსიურობა და მხოლოდ ადგილობრივი მოქმედება, რის გამოც იგი შეუცვლელი პრეპარატია ორსულებში კანდიდოზის სამკურნალოდ და ახალშობილების ინფიცირების პროფილაქტიკისათვის.

როგორ ვუმკურნალოთ თეთრად შლას?

პიმაფუცილის ვაგინალური სანთლების გამოყენებისას მდგომარეობის გაუმჯობესება შეინიშნება მკურნალობის მეორე დღეზე. საშოს მწვავე სოკოვანი ანთების დროს პიმაფუცილის ვაგინალური სანთელი ინიშნება ერთხელ დღეში ძილის წინ 6 დღის განმავლობაში. ქრონიკული პროცესის დროს იგივე დოზირებით 9 დღე. მკურნალობის ეფექტურობის გაზრდის მიზნით ექიმმა შეიძლება დანიშნოს პიმაფუცილის ნაწლავში ხსნადი ტაბლეტები, ასევე პიმაფუცილის კრემი პარტნიორის სამკურნალოდ. მკურნალობის პროცესში არ არის აუცილებელი სქესობრივი კონტაქტის გამორიცხვა, არ არის რეკომენდებული მკურნალობის ჩატარება მენსტრუაციის დროს. მკურნალობისადმი ასეთი კომპლექსური მიდგომა უზრუნველყოფს თქვენი პრობლემის ეფექტურ გადაწყვეტას.

franco fontana

italy



franco fontana

გთავაზობთ ცნობილი

იტალიური ბრენდების

ოქროსა და ვერცხლის ნაეთობების

ახალ კოლექციას!



10-25%
ფასდაკლება!



franco fontana გეომრეზიანი ალაშიანების არქივანი

რუსთაველის 26 ☎18-10-47; ვაჟინის 7 ☎30-65-56; ჰაჰჰაჰაჰის 21 ☎18-10-46;

დადიანის 7, ☎18-14-15 (კარავთა I სართლი)

Elos სილაგაზის ტექნოლოგიის ინოვაციური მეთოდი

სხეულზე პროცედურები

Elos — ეპილატორია წარმოადგენს სხეულის ნებისმიერ უბანზე თმის მოცილების 100%-ან გარანტიას. პროცედურა უმტკივნეულოა, კანზე არ ტოვებს სინითლეს და პროცედურის შემდეგ კანი არ საჭიროებს სპეციალურ მოვლას. Elos ტექნოლოგიას შეუძლია მოგაშოროთ ყველა ტიპის, მათ შორის უხეში, გარუჯული, ჭაღარა და ძალიან ღია თმა!

სახის პროცედურები

Elos გაახალგაზრდავება — აღადგენს სახის კონტურს, კანის ფერს, აძლიერებს სიმკვრივეს, ასწორებს ნაოჭებსა და კანს უბრუნებს ბრწყინვალეობას. Elos ტექნოლოგია გეხმარებათ გაუმკლავდეთ აენეს, პიგმენტაციას, კუპეროზს, ნაწიბურებს, კანის დაბერებასა და სხვა დეფექტებს. ეს არის პლასტიკური ქირურგიის რეალური ალტერნატივა!



ჩაენართ უფასო კონსულტაციაზე
29 00 66 29 47 47
თბილისი, ფალიაშვილის 15, www.oxford-med.ge

საბავშვო გამოფანა-ბაყიდვა 28-30 აპრილი

Baby Expo

უმაღლესადაა
-50%
—მდე

www.babyexpo.ge

გამოფანაზე წარმოდგენილი იქნება:

- ბავშვთა კვება, კვების აქსესუარები
- ჰიგიენა, კოსმეტიკა, მოვლის საშუალებები
- სათამაშოები, ნივნები
- აბჯანები, მანუშები, საწოლები, სკამები და ა.შ.
- ტანსაცმელი და ფეხსაცმელი
- ორსულებსა და ახალგაზრდა დადაბნისთვის განკუთვნილი პროდუქცია

ბასსახიოთბოი ჰხოზიხაბ ბავშვბავისთვისი!

ბიზნეს ცენტრი «დიდება პლაზა»
ნერთელის 116

ბენიარალური სოოსტორი:
Tigex (საფრანგბოი)

პარტნიორი:
დიდება პლაზა

სანიფორამბო
შარლატრა

24 სართ





პირველი პრეზიდენტის სულიერი დრამა „სიბუღაში“

„ფილმში არ იქნება გადმოცემული ამბის დასასრული. ეს სურათი საზოგადოებას კითხვებს დაუტოვებს, რათა მან თავად გადაწყვიტოს, როგორი უნდა იყოს ფინალი“.

18



სოსო თოლორაიას ამერიკული ცხოვრება

„ჩემი პირველი სამუშაო მშენებლობა იყო, რუს ებრაელთ-
ან ვმუშაობდი, რომელიც სოსოს ვერ ამბობდა და სოზას
მეძახდა“.

24



ცხოვრება

„წიგნი „ლუმიწალი“ კი არაა“



„წიგნს, ბიძია, მარტო
წაკითხვა კი არ უნდა,
გაგებაც სჭირია! „ანა
კარენინას“ რომ ვკითხ-
ულობდი, მთელი ღამე
ვყვიროდი — გადვირია
ხალხი, რა გაყვირებს?!
— რაღა რა მაყვირებს,
აბა, ეს წიგნი ასე ჩვეუ-
ლებრივად რაფერ უნდა
ალიქვა-მეთქი“

33



- **მინიატიურები** 5
„აღდგომა და ხვალეო...“
- **სუთხაბათიდან სუთხაბათამდე** 6
- **კრიმინალი** 11
- **საბანძური** 13
ნაირა გელაშვილის „კავკასიური წრე“
- **თარიღი** 16
კაზაკი ატამანის შთამომავალი ოფიცერი და მისი „თბილისური ვოიაჟი“
- **პროექტი** 18
პირველი პრეზიდენტის სულიერი დრამა „სიბუღაში“
- **ღიზინური** 20
საქმიანი ბიჭოლას უკრაინელი სატრფო
- **კონკურსნები** 22
თეონა კოროშინაძე — უკომპლექსო, მხიარული გოგონა, სევდიანი თავგადასავლით
- **ეზიზრანები** 24
სოსო თოლორაიას ამერიკული ცხოვრება
- **პრეზენტაციები** 26
ავგისტოს ომი, 4 მეგობრის თავისებური სამყარო და ახალი ქართული საავტორო კინოს ჩანასახი
- **შუახსოვები** 28
„ცეცხლს კახა მზერით აჩენდა“

მზა გენილები

ნდობის მსხვერპლი



საზოგადოებამ, რომ-
ლის შესახებაც ზემოთ
ვსაუბრობდი, „უპა-
ტრონოს“ იარლიყი
დაბადების, ქვეყანაზე
მოვლინების პირველ-
სავე წამს ამაკრა...
საკმაოდ მძიმე აღ-
მონჩდა ამ სტატუსით
ცხოვრება...

64

■ თემა	30
სექსუალური ძალადობა	
■ რაკურსი	33
„ნიგნი „ლუმინალი“ კი არაა, თუ ხელში ჩაგივარდა, რა გაძინებს, შე უპატრონო?!“	
■ კონტაქტები	34
ქართველები კალაბრიაში	
■ თინეიჯერული პონტები	36
დანგრეული ოჯახები და მიტოვებული შვილები	
■ შეშვებული	38
ზურაბ ლეჟავა — ნორჩი კინომსახიობი და დიდი მხატვარი	
■ ისტორიის ლაბირინთები	40
მაჭახლელი ფირალი ემრულა მალქეაძე	
■ ტაქარი	43
გზა გოლგოთისკენ და მაცხოვრის 14 გაჩერება	
■ ავტო	45
■ ერუდიტი	46
„ხშირად შუალამემდე ვკითხულობდი“	
■ ანტიდეპრესანტი	48
■ საკითხავი ქალბისათვის	48
■ ჯანმრთელობა	50
■ ნათი პოეზია	52
■ რეალური	53
მორიგანი — აჩრდილთა დედოფალი (გაგრძელება)	
■ ქართული ლიტერატურა	56
რუსუდან ბერიძე. ანტიკვარი (გაგრძელება)	
■ რომანი	60
სვეტა კვარაცხელია. ნადრევი ენძელები (გაგრძელება)	
■ გზავნილები	64
■ ყველა ერთისათვის	68
■ მოგილი-ზასხია	70
■ ეს სამყაროა	76
■ გასართობი	78
■ ასტროლოგია	80
■ სკანოვრდი	81
■ საუირმო კოსმორდი	82

სამყარო



„ხშირად შუალამემდე ვკითხულობდი“

„როცა მივლინებით მიწვევს ნასვლა, მალაზიაში შევირბენ და პატარა ფორმატის ნიგნს შევიძენ ხოლმე, გზაში ან აეროპორტში დრო რომ „მოვკლა“. ბოლოს მარკესის „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ წავიკითხე.“

46

გიბლუსი



ანტიკვარი



— შენი კოლექციონერები როგორ არიან?

ორდენიემ ქალის კითხვას წაუყრუა.
— რატომ გაჩუმდი? მოხდა რამე? — მაინც არ მოეშვა მარი.
— მოხდა, — მძიმედ ამოიოხრა გამომძიებელმა, — 2 მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის.

56

ტაიმ-აუტი



მსოფლიოს ტანმორჩილი მმართველები

რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის სიმალლე 1 ვერსიით — 162 სმ-ია, მეორით — 158. სხვათა შორის, დღემდე ვერ დადგინდა ვლადიმირ პუტინის სიმალლე.

77

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით გაზაფხულში „კვირის პალიტიკის“ დამატებასთან ერთად. ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ნანა გიგოლაშვილი**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„აღდგომა და სვალეო...“



მსავლის ნაცვლად ვნების კვირაა ახლა და ლანძღვა-გინებისა და ხელისუფალთა თუ ოპოზიციონერთა ნაკლსა თუ დანაშაულზე საუბარს არ ვაპირებ. პირიქით — თუკი ვინმესთვის მიწყენნება, ყველას ბოდიში უნდა მოვუხადო და დავებრძო, რომ ამიერიდან მხოლოდ მათ წარმატებებსა და ქველ საქმეებზე გვსაუბრებით.

უფრო მეტიც — შეიძლება, კარგად დავფიქრდე და სახელიცა და საქმიანობაც გამოვიცვალო! აბა, გულზე ხელი რომ დავიდო და გულწრფელად ვთქვა, „პროვოკატორი“ და პროვოკატორობა რა მაიმუნობაა?! ჰოდა, მოვჩჩი: გამოვსწორდი და ვინცებ სიმართლის ლაპარაკს!

მოდის, რადგან შობა-ახალი წლისა არ იყოს, ქართველებისათვის აღდგომის დღესასწაულიც წლის მთავარი მოვლენაა (უფრო მეტადც კი), ჩვენც შარშანდელი აღდგომის შემდეგ გასული ერთი წლის შედეგების შეჯამებასავით გავაკეთოთ. მით უმეტეს, როდესაც ამ 3-4 წლის წინ საახალწლო „ანგარიში“ წარმოგიდგინეთ, მაშინ გამოსწორებული არ გახლდით და „პროვოკაციულ ტყუილებს“ ვწერდით.

მაშ, ასე: გასულ გაზაფხულზე დასახული გრანდიოზული გეგმების განხორციელება ზაფხულშივე დაიწყო საქართველოს ხელისუფლებამ და სრული ერთი წელიწადიც არ დასჭირვებია, რომ მსოფლიო დონის კურორტები მოეწყო მესტიამში, უშგულში, ჭუბურხინჯსა და ანაკლიაში.



წინა ამავე პერიოდთან შედარებით, ინვესტიციები 2,5-ჯერ გაიზარდა, რამაც ამდენჯერვე გაზარდა ქვეყანაში სამუშაო ადგილები და ხელისუფალთა უცხოური მივლინებების ვადები, ასევე იმ სასტუმროების ფასებიც, სადაც ისინი ცხოვრობენ უცხოეთში ყოფნისას.

დაიწყო პრეზიდენტის გუნდის წინასაარჩევნო დაპირების შესრულება — ეტაპობრივად იზრდება პენსიებისა და სოციალური დახმარებების, აგრეთვე საჯარო სკოლებში მანდატურების რაოდენობა.

განათლების სფეროში სხვა სიახლეებიც გვაქვს — თუკი გასული წლების განმავლობაში სკოლებში თითქმის მთლიანად იყო იგნორირებული საბუნებისმეტყველო საგნები, ახლა მათ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და იმის მიუხედავად, რომ ბავშვებისთვის ზოგიერთი საგნის დასახელებაც კი არ უსწავლებიათ, მაინც დაინიშნა საატესტატო გამოცდა ყველა ამ დისციპლინაში და მე რომ ისევ ბოროტი და პროვოკატორი ვიყო, დიდი ხალისით დავუდარჯდებოდი ამ გამოცდების შედეგებს, ახლა კი შიშით ველოდები და მეცოდება იმ სკოლების მოსწავლეები, რომელთა ხელმძღვანელს ანუ მინისტრს, სანთლისგან გაცხელებული თეფშის გატება

ქიმია ჰგონია, ხოლო სიტყვათწყობა — „ასეთ წოდებული“ (ანუ „ეგრეთ წოდებული“) და „კლასნი ხელმძღვანელი“ (ანუ „კლასის ხელმძღვანელი“) — მშობლიური ენის უახლესი გრამატიკული ნორმა.

ძალიან მოკლედ უნდა ვთქვათ ქვეყნისათვის კიდევ ერთ პრიორიტეტულ დარგზე — სოფლის მეურნეობაზე. მოკლედ იმიტომ, რომ ყველა მიღწევის ჩამოთვლა აქ ვერ მოხერხდება. ამიტომ, მხოლოდ გენმოდინფიცირებული სიმინდის თესლის შემოტანას, „მამალი ძროხების“ რაოდენობის გაზრდასა და ინდოელებისა და ბულგარელების მიერ ჩვენი მამაპაპური სახნავ-სათესების მუქთად შესყიდვას აღვნიშნავთ, რითაც ქართველ გლეხს უამრავი დრო გამოუთავისუფლდა, რათა სოფლის ბურჟუე უფრო მეტი ხანი გაატაროს და შინაარსიანად დაისვენოს.

რაც ყველაზე სასიხარულოა, ხელისუფლებას არც ოპოზიცია ჩამორჩა — ქართველი ოპოზიციონერები არასოდეს ყოფილან ასეთი თანამიმდევრულნი და საქმიანნი, კვირა ისე არ გავა, რომელიმე პარტიამ მართლაც საქმიანი, ქვეყნისათვის საჭირო და გადა-

უდებელი ინიციატივა არ წამოაყენოს. ერთმანეთში ხომ სიამტკიბილობით არიან — არც აეროპორტებში ჩხუბობენ და არც დედას აგინებენ ერთმანეთს. რაც მთავარია, საბოლოოდ ამოიკვეთეს ფეხი მოსკოვიდან!

ერთი სიტყვით, მე გამოვსწორდი და ამათ კი... „აღდგომა და სვალეო“...

P.S. ისე, პრეზიდენტზე მინდოდა, რაღაც მწარე მეთქვა, მით უმეტეს, რომ ამ დღეებში ერთმა ჩვენმა კოლეგა-ქალბატონმა „პალიტრა მედიის“ ყველა თანამშრომელს სულ „მიშას ცენზურის მონები“ გვიძახა და ვიფიქრე, ახლავე ვანახებ, რომ პრეზიდენტის კროტიკასაც არ ვერიდები-მეთქ.

თანაც ბედად, მასწავლებლებს სვდებოდა სააკაშვილი და მეც ჩაეუსაფრდი, მაგრამ... თქვენც არ მომიკვდეთ — საათ-ნახევარი ილაპარაკა კაცმა და ვერაფერი ვნახე ხელჩასაჭიდი! რატომ?! რატომ და, ვერაფერი გავიგე მისი ნალაპარაკვიდან, ერთი დალაგებული აზრიც კი!

ჰოდა, ვერც გავაკრიტიკებ და ის ჩემი კოლეგა-ქალბატონიც თავის აზრზე დარჩება — რომ ჩვენ ყველანი „მიშა მაგარიას“ ვლიდინებთ ძილის წინ...

პროვოკატორი



ქვეყანა

სარკოზი ყოფილ ცოლს მისტირის

„სესილთან ოჯახის აღდგენა პრეზიდენტობას მერჩვენა“, — ასეთი „აღიარებითი ჩვენება“ ნიკოლა სარკოზიმ ჟურნალისტ ფრანც-ოლივიე ჟისბერის მისცა. მეორე ცოლმა სესილმა ქმარი საყვარლის გამო, 2007 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე მიატოვა. „ამბიციებით ვიყავი შეპყრობილი, მაგრამ პრეზიდენტობასა და სესილის დაბრუნებას შორის არჩევანის გაკეთების საშუალება რომ მქონოდა, დაუფიქრებლად მეორეს ავირჩევდი“, — ამბობს სარკოზი ჟისბერის მიერ დაწერილ წიგნში — „ბატონი პრეზიდენტი: სცენები პოლიტიკური ცხოვრებიდან 2005-2011“. როგორც ამბობენ, ამ აღიარებამ კარლა ბრუნი გააცოფა. წიგნში მოთხრობილია, თუ როგორ ცდილობდა პრეზიდენტი სესილის დაბრუნებას. ჟისბერი წერს, რომ სარკოზის არაერთხელ უთქვამს ფრაზა: „ქალი ვერასოდეს მიხვდება, რომ მართო ის გიყვარს, თუ სხვა ქალებთანაც ივლი. ეს ლაღატი არაა, ლაღატი — ქალებზე უარის თქმა...“ ჟისბერი სარკოზის სხვა სასიყვარულო თავგადასავლებზეც დაუფარავად ჰყვება, მაგალითად — ჟურნალისტ ანა ფულდასთან რომანზე, რომელმაც მის გამო ქმარი მიატოვა, რადგან პრეზიდენტი ცოლად შერთვას ჰპირდებოდა.



80 წლის მოდელი პოლიუმჟიპილის აპირებს

„გადავწყვიტე, პოდიუმზე დავასრულო სიციცხლე“, — ღიმილით ამბობს ამერიკელი ტოპმოდელი კარმენ დელორეფისი, რომელიც უკვე 80 წელია, საყვარელ პროფესიას ემსახურება. მოდის ბიზნესის ვეტერანმა კარიერა 15 წლის ასაკში დაიწყო. მისი ფოტო ჟურნალის — Vogue გარეკანზე დაიბეჭდა.

პირველი 10 წლის განმავლობაში მსოფლიოს ყველაზე ცნობილი ფო-



ტოგრაფების ინტერესს იწვევდა — მასთან მუშაობდნენ: ირვინგ პენი, ნორმან პარკინსონი და რიჩარდ ავედონი. 1978 წელს კარმენმა ყველაზე ძვირად ღირებული და პრესტიჟული მსოფლიო ბრენდების რეკლამირებას მიჰყო ხელი. მაგალითად, თავის დროზე ის „როლექსის“ საათების სახედ გვევლინებოდა. მოდელი დღემდე ინარჩუნებს წონას. ის არც სასიყვარულო თავგადასავლებზე ამბობს უარს. დასძენს, რომ მისი სიციცხლის ხანგრძლივობის საიდუმლო სიყვარულშია...

მუიარა კატამ ქურდი ცინისგან იხსნა

დიდ ბრიტანეთში სასამართლომ რამდენიმე მაღაზიის ქურდობაში ბრალდებული მამაკაცის გათავისუფლების გადანყვეტილება მისი მშვიერი კატის, მეტსახელად ლორას გამო მიიღო. 55 წლის სტივენ ტორნი ჩადენილი დანაშაულისთვის უნდა დაეპატიმრებინათ, მაგრამ ბრალდებულის ადვოკატმა განაცხადა, რომ ტორნის კატას ვერავინ მოუვლიდა. თავიდან მოსამართლემ არგუმენტი უსაფუძვლოდ მიიჩნია, მაგრამ ბოლოს მამაკაცის გათავისუფლების გადანყვეტილება მიიღო. სტივენ ტორნს 75 გირვანქა სტერლინგის ოდენობის ჯარიმის გადახდა დაეკისრა. მოსამართლემ ტორნს ურჩია, კატის ბედზე იფიქროს, სანამ დანაშაულის ჩადენას კიდევ დააპირებს. ბოლო დროს ბრიტანულ სასამართლოებს მსგავსი ლოიალური ვერდიქტი ხშირად გამოაქვთ — მაგალითად, პოლიციელზე თავდასხმისთვის მამაკაცი მას შემდეგ გაუშვეს, რაც მან თქვა, რომ ციხეში ვერ ჩაჯდება, რადგან შვილებს „დისნეილენდში“ წაყვანას დაჰპირდა...

ფოთში ალექსანდრე დიუმას ხელჯონი მოიპარეს



ალექსანდრე დიუმას ძეგლიდან, რომელიც ფოთის ცენტრალური პარკის შესასვლელთან რამდენიმე თვის წინ გადაიტანეს, ხელჯონი მოიპარეს. ფოთის კულტურის სამსახურში ამბობენ, რომ „ვანდალური ფაქტი ღამის საათებში მოხდა და ძეგლის აღდგენა უახლოეს მომავალში იგეგმება“. ქურდობის ფაქტს სამართალდამცავი ორგანოები იკვლევენ. ალექსანდრე დიუმა ფოთს კავკასიაში მოგზაურობისას, 1859 წელს სტუმრობდა, როცა ფოთი საპორტო ქალაქად გამოცხადდა და ნავსადგურის მშენებლობა დაიწყო. 2002 წელს ჯუმბერ ჯიქიასა და ვალიკო ინაშვილის ავტორობით, პორტის სამმართველოს მიმდებარე ტერიტორიაზე დიუმას ძეგლი დაიდგა, რომელიც სპილენძისგანაა დამზადებული. წელს კი ძეგლი ცენტრალურ პარკში გადაიტანეს.



უსმინეთ პროგრამას „თავისუფლების 10 წუთი“!

რადიო თავისუფლება — რადიო პალიტრის ეთერში!

ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, საღამოს ათის ნახევარზე.

radiotavisupleba.ge



„ელსინი მოკვდა, დროშა კი დარჩა“

რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერი ვლადიმირ ჟირინოვსკი მიიჩნევს, რომ რუსეთის ფედერაციის ახლანდელი დროშა, ე.წ. ტრიკოლორი (თეთრი-ლურჯი-წითელი) რუსეთის იმპერიის ასევე სამფეროვანი (შავი-ყვითელი-თეთრი) დროშით უნდა შეიცვალოს. მისი აზრით, სახელები ასევე უნდა გამოეცვალოს ქალაქებსა და ქუჩებს, რომლებიც ამჟამად პოლიტიკური მოღვაწეების სახელებს ატარებს. „ამერიკელებს უკვე 200 წელია, ერთი და იგივე დროშა აქვთ, ჩვენ კი მას ყოველ 50 წელიწადში ვცვლით. კონკრეტული წინადადება ასეთია: კიდევ ერთხელ დაფურუნდეთ რუსეთის იმპერიის შავ-ყვითელ-თეთრ დროშას, რომლის ქვეშაც ქვეყანამ ყველაზე დიდ ძლევამოსილებას მიაღწია. ვინ სცემს პატივს დღევანდელ დროშას? ჩვენ არ შეგვიძლია, იმიტომ, რომ ეს არავის დროშა არ არის. რუსეთის ახლანდელი დროშა სახელმწიფო დროშად ელცინის დროს იქცა. ელცინი მოკვდა, დროშა კი დარჩა“, — აღნიშნა ჟირინოვსკიმ.

ნიანგაა შეჭვული მოხილური ტელეფონი მოინელა

დნეპროპეტროვსკში ნიანგაა გენამ მოხილური ტელეფონი გადაყლაპა და მოგვიანებით მოინელა. ტელეფონის ნაწილები გენას სხეულიდან ბუნებრივი გზით გამოვიდა, რის შემდეგაც ნიანგის მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ქალაქის ოკუპანტი ურთ-ერთ სტუმარს აპარატი ნიანგის ვოლიერში ჩაუვარდა. ქალმა ოკუპანტიუმის ადმინისტრაციას ტელეფონის დაბრუნების მოთხოვნით მიმართა, ყურადღების მიქცევის მიზნით, ნიანგის გადაყლაპულ მოხილურ ტელეფონზე მანამ რეკავდა, სანამ აპარატს ელემენტი არ დაუჯდა. ამის გამო ნიანგი თავს ძალიან ცუდად გრძნობდა. ოკუპანტიუმის ადმინისტრაციას მისთვის ოპერაციის გაკეთება სურდა, მაგრამ გადაიფიქრა. ბოლოს გენას ორგანიზმი პრობლემას გაუმკლავდა. დნეპროპეტროვსკის მცხოვრებლებმა ოკუპანტიუმის ადმინისტრაციას ნიანგის მონელებული ტელეფონის ნაწილების შეგროვება და მუზეუმში გამოფენა, ან აუქციონზე გაყიდვა შესთავაზეს.

რატომ ვერ მიღიან ქართველი მომლოცველები წმინდა მიწაზე



ყოველ წელს, წინასააღდგომოდ, სხვადასხვა ქვეყნიდან მართლმადიდებელი მომლოცველები წმინდა მიწაზე, მაცხოვრის საფლავზე იკრიბებიან და ზეციური ცეცხლის გარდამოსვლის შემსწრენი ხდებიან... მათ შორის ყოველთვის იყვნენ ქართველები, რომელთა წყალობითაც, ღვთიური ცეცხლი აღდგომის ღამეს, საქართველოს ტაძრებში საღვთო ლიტურგიის დროს ნაწილდებოდა... საქართველოსა და ისრაელს შორის ბოლო დროს ჩამოვარდნილმა დაძაბულმა ურთიერთობამ იერუსალიმში ჩვენს თანამემამულეთა წასვლის საკითხიც სათუოდ აქცია: მრევლის ნაწილი სინანულით აღნიშნავს, რომ წლეულს, გაურკვეველი მიზეზების გამო წმინდა მიწაზე მოსალოცად ვერ მიდის...

ნანა, 43 წლის:
— წინა წლებში, სააღდგომოდ, მსურველები ვგროვებოდით, ბილეთებს ვჯავშნიდით და იერუსალიმში მოსალოცად მივდიოდით... წელსაც იმავეს ვაპირებდით, მაგრამ არ გამოვიდა. ჩვენს ტაძარში კონკრეტული პასუხი ვერ გავცევ; მოძღვარმა გვიჩაჩა, რომ დამოუკიდებლად გვეცადა წასვლა... შემდეგ უკვე საპატრიარქოს „ტურებს“ მივმართეთ, იქ კი გვითხრეს, რომ უკვე დაგვიანებული იყო, — არადა, აპრილის პირველი რიცხვებიდანვე დავიჭირეთ თადარიგი...
სანდრო, 27 წლის:
— რაც თავი მახსოვს და რაც ადამიანად, მართლმადიდებლად ჩამოვყალიბდი, ყოველ წელს, აღდგომას, მშობლებთან ერთად მივდიოდი... წელს არ გამომივიდა და გული ძალიან მწყდება. თანაც მიზეზი ვერაფერს ვიხსენებ. ხან სად დავრეკე, ხან — სად, მაგრამ „გადაგვამისამართეს“.

დასანანი იქნება თუ ამის მიზეზი, ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაართულებაა. მთავარია, ვითარება დარეგულირდეს და ერთი წლის „ჩავარდნას“ არა უშავს, გაისად წავალთ...
პარიან ცხაღია, საპატრიარქოს პრესასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი:
— იერუსალიმში წასვლასთან დაკავშირებით პრობლემები არ არსებობს. როგორც ჩანს, იმ მომლოცველებმა მართლაც გვიან მოგემართეს. წასვლის მსურველთა დარეგისტრირება 4 აპრილამდე იყო, შემდეგ უკვე დაგვიანებულია... არც საპატრიარქოს „ტურებს“ შეჰქმნიათ პრობლემები. ჩემი ინფორმაციით, ერთი ჯგუფი უკვე წასულია, დანარჩენები აღდგომის წინაღამეს მიდიან. სამწუხაროდ, რეისების ზუსტი თანამიმდევრობა არ ვიცი, მაგრამ თუ არ ვცდები, 20 აპრილს იწყება და 26 აპრილამდე გრძელდება...

ქოლესტერინის საოთხი აპარატი **გლუკოზმეტრები**

69 ლარი **35-99 ლარი**

შპს „ქონბრასტი“

მის: ბორჯომის ქ. №4 ტ: 34 74 03; 899 19 60 55

ჩააბარა ქველი, დააბარა 27 ლარი და მიიღა

ახალი გლუკოზმეტრი + 10 ტესტ-ფურსელი

შენწყალბა სააღდგომოდ

შენწყალბებული პატიმრები აღდგომას უკვე საკუთარ სახლებში შეხვდებიან. შესაწყალბებელ პატიმართა სიაში 7 ქალი და ერთი არასრულწლოვანია. როგორც შეწყალბების კომისიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა, ელენე თევდორაძემ აღნიშნა, პატიმართა შერჩევის ძირითადი კრიტერიუმი — დანაშაულის სიმძიმე, ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობაა.

— ქალბატონო ელენე, რით იყო განირობებული ის ფაქტი, რომ კომისიამ 324 მსჯავრდადებულის საქმე განიხილა, მაგრამ მხოლოდ ერთ მესამედზე გასცა დადებითი რეკომენდაცია?

— ამის მიზეზი — პატიმრების ძალიან რთული საქმეები გახლდათ: შეწყალბაზე განაცხადი ისეთ პატიმრებსაც ჰქონდათ შემოტანილი, რომლებიც სასჯელს მკვლელობისთვის, ნარკოტიკების გადაზიდვა-გაყიდვისთვის, თაღლითობისა და გაუპატიურების გამო იხდიდნენ. ყველა პატიმარს, რომელიც სასჯელის ნახევარს მოიხდის, უფლება აქვს, შეწყალბა ითხოვოს, მაგრამ ჩვენც გვაქვს უფლება, ყველა მათგანის მოთხოვნა არ დავაკმაყოფილოთ.

— რამდენად გქონდათ, იმის დრო და საშუალება, რომ პატიმრების საქმეები საფუძვლიანად შეგესწავლათ?

— კი, ამის დრო და საშუალება ნამდვილად გვქონდა.

— შესაწყალბებელ პატიმართა სიაში პოლიტპატიმრები თუ იყვნენ?

— არ ვიცი, როგორც წესი, საქმეში არ წერია, პატიმარი პოლიტიკური ნიშნით არის თუ არა დაკავებული.

— ძირითადად, რა კატეგორიის პატიმრებს მიეცით შეწყალბების რეკომენდაცია?

— ნარკომანებსა და ქურდობისთვის მსჯავრდადებულებს, რომლებსაც ქურდობა მხოლოდ ერთხელ ჰქონდათ ჩადენილი.

— შესაწყალბებელთა სიაში რამდენ

ნი ქალი იყო?

— სიაში სულ 42 ქალბატონი იყო, მაგრამ მხოლოდ 7 შევიწყალეთ, იმიტომ, რომ მათ შორის უმრავლესობა — მკვლელები და ნარკოტიკების გამსალბებლები იყვნენ. ქურდ, ნარკომანი და თაღლით ქალებს მივეცით შეწყალბების რეკომენდაცია. მათ შორის რამდენიმე ისეთიცაა, რომელსაც ცუდი ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს.

— არასრულწლოვნებზე რას იტყვით?

— არასრულწლოვნებს შორის, 13 მსჯავრდადებული იყო, მაგრამ მათ საქმეებს რომ გადავხედეთ, ერთზე მეტს ვერ მივეცით რეკომენდაცია. გარდა იმისა, რომ ამ ბავშვებს მძიმე დანაშაულები აქვთ ჩადენილი (მკვლელობისა და ჯგუფური ყჩალობისთვის გაასამართლეს) ძალიან უარყოფითი დახასიათებაც ჰქონდათ.

— მათ შორის გოგონებიც ხომ არ იყვნენ?

— არა.

— შესაწყალბებელთა სიაში თუ იყვნენ ისეთი მსჯავრდადებულები, რომელთა შეწყალბებასაც თქვენ მართებულად მიიჩნევდით, მაგრამ კომისიის დანარჩენმა წევრებმა რეკომენდაცია არ მისცეს?


— კი, ასეთი შემთხვევა ნამდვილად იყო. სხვათა შორის, კომისიამ რამდენიმე ისეთ პატიმარს მისცა რეკომენდაცია, რომელსაც მე არ შევიწყალებდი.

— მათი ვინაობის დასახელება თუ შეგიძლიათ?

— მოდი, თავს შევიკავებ. ■

პლანეტის ყველაზე მოხუცი ადამიანი გარდაიცვალა

ამერიკაში, მონტანის შტატში პლანეტის ყველაზე მოხუცი მამაკაცი — 114 წლის უოლტერ ბრუნიინგი გარდაიცვალა. ბრუნიინგი 1896 წლის 21 სექტემბერს მინესოტაში დაიბადა. მის გარდა, ოჯახში კიდევ 4 ბავშვი იყო. 1910 წელს, მშობლების განქორწინების შემდეგ, ბრუნიინგი იძულებული იყო, სკოლა მიეტოვებინა და მუშაობა დაეწყო. 16 წლის ასაკში ის რკინიგ-



ზელი გახდა და ამ სფეროს პენსიაზე გასვლამდე ემსახურებოდა. 1957 წელს მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რომელთანაც უოლტერმა 35 წელი იცხოვრა, სხვა ქალზე აღარ დაქორწინებულა. 2009 წლის 18 ივლისს პირველი მსოფლიო ომის ვეტერანის, ჰენრი ელინგემის გარდაცვალების შემდეგ, ბრუნიინგი მსოფლიოში ყველაზე მოხუც მამაკაცად აღიარეს. 114 წლის ასაკში ის დედამიწაზე ოდესმე მცხოვრები ყველაზე მოხუცი 50 ადამიანის სიაში შევიდა. „ამყოფეთ ტონუსში თქვენი გონება და სხეული და დიდხანს იცოცხლებთ“, — ამბობდა ბრუნიინგი. ■

კროსვორდით შეულაბულაბი



აშშ-ში, ვირჯინიის შტატის ქალაქ ალექსანდრიის მკვიდრმა, 28 წლის კორი ნიუმენმა შეყვარებულს — 31 წლის მარლოუ ეშტეინს ხელი სთხოვა კროსვორდის საშუალებით, რომელიც გაზეთ „ვოშინგტონ პოსტის“ თავსატეხების სპეციალისტს შეუკვეთა. ქალს გაზეთი გამოწერილი ჰქონდა და სისტემატურად კითხულობდა. მარლოუს თურმე კროსვორდების ამოხსნა ძალიან უყვარს. კროსვორდში აღმოჩნდა სიტყვები — „მარლოუ“ (კროსვორდში დასმული პირობა იყო: ფილმ „შეყვარებული შექსპირის“ პერსონაჟი); პასუხში ელისაბედის ეპოქის პოეტი კრისტოფერ მარლოუ უნდა დაესახელებინათ) და „ეშტეინი“ (ფილმ „კასაბლანკის“ სცენარის ავტორი); ამ სიტყვების ქვემოთ ქალმა ამოიკითხა: „გამომეცები ცოლად?“ — რაც კითხვის — „სიტყვები, რომლებიც ბეჭდის ჩუქებას მოჰყვება“ პასუხი იყო. ქალი მიხვდა, რომ საქორწინო წინადადება მას ეხებოდა, რაც ნიუმენმა დაუდასტურა და საქორწინო ბეჭედიც მიართვა. მარლოუ გონებაამხვილ შეყვარებულს ცოლობაზე დათანხმდა. ■

ფუკუსიმაზა რობოტაბი მუშაობენ

ატომურ ელექტროსადგურ „ფუკუსიმაზა“, რომელიც მიწისძვრისა და ცუნამის შედეგად დაზიანდა, რობოტების მეშვეობით იკვლევენ. პირველი და მესამე რეაქტორების შენობას შიგნიდან ორი რობოტი სწავლობს. რობოტმა მე-3 რეაქტორის შენობის შიგნით ფოტოები გადაიღო, გაზომა რადიაციის დონე, ჟანგბადის შემადგენლობა, ტემპერატურა და ტენიანობა. ავარიის შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც სპეციალისტებმა რეაქტორში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მოპოვება შეძლეს. ■



გიორგი გუბავა: „მერაბიშვილი საქართველოში რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებს“

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერი, გიორგი გუბავა ირწმუნება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი 16 აპრილს რუს კოლეგას, რაშიდ ნურგალიევს სომხეთში ფარულად შეხვდა და მასთან საიდუმლო მოლაპარაკებები გამართა...

— ბატონო გიორგი, რა გაძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ მერაბიშვილმა ნურგალიევთან საიდუმლო მოლაპარაკება გამართა?

— ჩვენ გვაქვს ინფორმაცია, რომ მერაბიშვილი ნურგალიევს საიდუმლოდ გაურიგდა საქართველოს წინააღმდეგეთუ ასე არ არის, რატომ არ გააშუქეს სახელისუფლებო ტელეარხებმა ის ფაქტი, რომ „რუსეთის აგენტებისა“ და „კოჭოიების“ რიხსვა“, ასევე საქართველოს მთავარი ჯალათი — ვანო მერაბიშვილი სომხეთის მინაზე შეხვდა მის მიერვე ტერორისტად და ოკუპანტად გამოცხადებული სახელმწიფოს შს მინისტრს, რაშიდ ნურგალიევს?

— ეს ხომ დაგეგმილი შეხვედრა არ იყო? სომხებმა მერაბიშვილი, ისევე როგორც ნურგალიევი, პოლიციის დაარსების 10 წლისთავთან დაკავშირებით მონაწილე ზეიმზე მიიწვიეს...

— როდესაც ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები უცხოელ მაღალჩინოსნებს ხვდებიან, ქართული მასმედია ერთ ვაი-უმველებელს ტყეს. რაღა ახლა მიაჩნიათ ეს ამბავი?.. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სომხური სააგენტოების ცნობები იმის შესახებ, რომ ვანო მერაბიშვილსა და რაშიდ ნურგალიევს შორის საუბარი შედგა, თუმცა საუბრის თემა უცნობია.

— საუბრის თემა თქვენ გეცოდინებათ...

— დარწმუნებული ვარ, სააკაშვილმა და მერაბიშვილმა ქართული მიწებისა და ეკონომიკური ბერკეტების რუსეთისთვის გადაბარების შემდეგ, ამ ქვეყანასთან მორიგი ანტისახელმწიფოებრივი გარიგება გააფორმეს და ქართული სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვა გადაწყვიტეს.

— რომელი მიწების ან რა ეკონომიკური ბერკეტების გადაბარებას გულისხმობთ?

— შეგახსენებთ, რომ სააკაშვილმა და მერაბიშვილმა 2008 წლის აგვისტოში განახორციელეს ავანტიურისტული აქტი, რომლის შედეგადაც, რუსეთს ქართული მიწები გადასცეს. აბა, ისე ხომ ვერ აჩუქებდნენ — ამას ხალხი არ აბატივდება... შეგახსენებთ იმასაც, რომ სააკაშვილის ხელისუფლებამ რუსულ კომპანიებს ხონჩით მიაართვა „ხრამი 1“,

„ხრამი 2“, „მადნეული“, „თბილისის წყალი“, „ენერგო პრო ჯორჯია“... მთელი ენერგორესურსი რუსეთს გადააბარეს. რაც შეეხება ერევანში გამართულ მოლაპარაკებას: დარწმუნებული ვარ, რომ მერაბიშვილმა და ნურგალიევმა რუსეთის სავაჭრო ორგანიზაციაში განწვერების საკითხები განიხილეს. ალბათ იცით — რუსეთს სომხეთის რკინიგზის მართვის უფლება აქვს. მოსკოვს სურს, ასეთივე გავლენა მოიპოვოს მთელი ამიერკავკასიის რკინიგზაზეც. ამისთვის კი აუცილებელია, ხელში ჩაიგდოს ქართული რკინიგზა. სამწუხაროდ, დარწმუნებული ვარ, რომ მოსკოვს მალე ჩვენი რკინიგზის მართვის უფლება ხელთ ექნება. სხვათა შორის, ქართულ მედიასივრცეში არც ის ინფორმაცია გავრცელებულა, რომ შავი ზღვის აკვატორიაში ქართულ-რუსული-უკრაინულმა საზღვაო ძალებმა ერთობლივი წვრთნები ჩაატარეს. ალბათ გახსოვთ, რა დადებითი პიარი გაუკეთეს ცოტა ხნის წინ ვანო მერაბიშვილს რუსულ პრესაში... ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ მერაბიშვილი საქართველოში რუსეთის სასარგებლოდ მოქმედებს. ჩვენ ამ უსინდისობასთან შეგუებას არ ვაპირებთ. უკვე მოვითხოვეთ, რომ შს მინისტრმა, როგორც პროტოკოლითაა დადგენილი, გამოაქვეყნოს დეტალური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა თემაზე ესაუბრა რუსეთის შს მინისტრს და რა გარიგება შედგა მათ შორის. თუ ჩვენი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება, მერაბიშვილს აუცილებლად მივუვარდებით სამინისტროში.

— ბატონო გიორგი, არ გეშინიათ, იქვე რომ დაგტოვონ?

— ლეიბორისტებმა უკვე არაერთხელ დაგამტკიცეთ, რომ სააკაშვილის რეჟიმის არ გვეშინია. მშიშრები რომ ვიყოთ, ქართულ პოლიტიკაში დიდხანს ვერ გაფრდებოდით. ამ ქვეყანაში ცხოვრება ხომ ერთ დიდ „ზონაში“ ცხოვრების ტოლფასია.



პრაზიდენტის ქალიშვილი და ქვეყნის იმიჯი

უზბეკეთის პრეზიდენტის ქალიშვილი ლოლა კარიმოვა ფრანგულ საინფორმაციო საიტს — Rue89.com. სასამართლოში უჩივის. საიტზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ სტატიაში უზბეკეთის პრეზიდენტი „დიქტატორად“ იყო მოხსენიებული. საუბარი იყო უზბეკეთის პრეზიდენტის უმცროსი ქალიშვილის საქველმოქმედო საქმიანობაზე. ავტორი გამოთქვამდა მოსაზრებას, რომ ისლამ კარიმოვის ნათესავები თავიანთი ქვეყნის იმიჯის გამოსწორებას ქველმოქმედებით ცდილობენ. სარჩელის მიხედვით, პრეზიდენტის ქალიშვილი მორალური ზიანისთვის, კომპენსაციის სახით, 30.000 ევროს ითხოვს. ■

ლაპარაკობ და აჩვენებს პალიტრა!

თუკ-შიუ
"პალიტრა"ს წიგნი
კარგად მოსწონს იმის შესახებ
 $\frac{109}{2} = \frac{x-1}{9}$

www.palitrati.ge

FM 103.9
ნილინი პალიტრა



მამუკა არეშიძე: „რასაც ისრაელი აფხაზეთს შეჰპირდა, იქიდან 99% არ შეასრულა“

აფხაზეთში ბიზნესის წარმოების სურვილი ესპანელმა, გერმანელმა, იორდანელმა და ახლა უკვე ებრაელმა ბიზნესმენებმაც გამოთქვეს. დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა სერგეი შამბამ ებრაულ გამოცემასთან — IzRus ინტერვიუს დროს განაცხადა, რომ ისრაელ ინვესტორებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების უფლება მიეცემა. როგორც ექსპერტი კავკასიურ საკითხებში მამუკა არეშიძე ამბობს, აფხაზეთის დე ფაქტო ხელმძღვანელთა ასეთი შინაარსის განცხადებები მხოლოდ პიარს ემსახურება...



— სეპარატისტულ აფხაზეთში ინვესტიციის ჩადების მსურველთა რაოდენობა სახიფათო ნამდვილად არ არის, მაგრამ საქართველოს ხელისუფლების მიდგომა აფხაზეთთან დაკავშირებით კი უდავოდ, ყურადსაღებია. ჩვენი ხელისუფალი ან ზერელედ ეკიდებიან კონფლიქტურ ზონაში არსებულ სიტუაციას, ან შეცდომას უშვებენ: ამის შედეგია თურქ ბიზნესმენთა დაინტერესება აფხაზეთით და მადლობა რუსეთს, რომ მათ იქ ფრთების გაშლის საშუალებას არ აძლევს. ამ სახელმწიფოს მესჯურების მხრიდან კორექტული იქნებოდა, თუ აფხაზეთის შავი ზღვის აკვატორიაში შესვლამდე, ფოთის პორტში შესაბამის საბაჟო შემოწმებას გაივლიდნენ და შემდეგ შევიდოდნენ სოხუმში. არადა, მუდმივად აპროტესტებენ, — საქართველოს ხელისუფლება გვბლოკავს...

— აბა, მეტი რაღა უნდა გააკეთოს?

— კეთილი ინებოს და ისეთი ეკონომიკური პროექტები შეიმუშაოს, რაც კონფლიქტური ზონის მოსახლეობას დაინტერესებს... რაც შეეხება ინვესტორების შესვლას: ბოლო დროს დასავლეთმა სეპარატისტული რეგიონების, განსაკუთრებით კი სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმართ ახალი სტატეგია შეიმუშავა, — რუსეთის გავლენიდან მათ გამოყვანას ცდილობს. ამით აიხსნება თურქეთისა და სხვა ქვეყნების დაინტერესება სეპარატისტული რეგიონით. იგივე შეიძლება ვთქვათ ისრაელზეც და ამას ემატება ბოლო დროს გართულებული საქართველო-ისრაელის ურთიერთობა. ეს არის პასუხი ჩვენი ხელისუფლების შეცდომაზე: ებრაელი ბიზნესმენების დაკავებას ვგულისხმობ. იმის გარკვევა, თუ რა მოხდა სინამდვილეში, შორს ნაგვიყვანს. ისრაელის ხელისუფლებამ, პირადად, შიმონ პერესმა მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ფუქსისა და ფრენკელის

გათავისუფლების თხოვნით. ახლა კი ვრცელდება ინფორმაცია, რომ სალდგომოდ შეინყალებენ ანუ — ჯერ დაკავების ფორმას ეძებდნენ, ახლა კი გათავისუფლების გზების ძიებაში არიან...

— შესაძლებელია თუ არა, აფხაზეთთან თანამშრომლობაზე ოფიციალური იერუსალიმაც ნავიდექ?

— არა, მას თავად აქვს მსგავსი პრობლემები... ისე კი, რასაც ისრაელი აფხაზეთს შეჰპირდა, იქიდან 99% არ შეასრულა: ადრე სამხედრო ტექნოლოგიების გადაცემაზეც იყო საუბარი, მაგრამ დაპირება დაპირებდა დარჩა.

— რამდენად უსაფრთხო უცხოელი ინვესტორისთვის აფხაზეთი ბიზნესგარემო?


— აფხაზეთი არასტაბილური და კრიმინოგენული რეგიონია, სადაც ბიზნესის წარმოება წარმოუდგენელია. ამიტომაც ვამბობ, რომ დაპირებების 99% პიარს ემსახურება... სინამდვილეში, აფხაზეთის ხელისუფლება უცხოელ ინვესტორებს ფეხქვეშ რომ გაეგოს, იქაურობას რუსეთი არ დათმობს. 2008 წლის შემდეგ, როგორც კი აფხაზეთში პოზიციები გაიმყარეს, იქიდან პირველ რიგში, თურქი ბიზნესმენები გაყარეს, რადგან კარგად იციან, რომ თურქეთი კავკასიაში მათთვის ყველაზე სახიფათო მეტოქეა და არც ისრაელს მისცემენ იქ „გალაღების“ საშუალებას... რაც შეეხება შამბას დაპირებას, სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის თაობაზე, — ასევე პიარია, რადგან რუსეთის ფაქტორს აფხაზეთი ვერსაც გაეცევიან — ოჩამჩირესა და გუდაუთას შორის ნავთობის მოპოვების მიზნით ყალიბდება საერთაშორისო კონსორციუმი და ჩემი ვარაუდით, ისრაელსაც ეპატივებინან...

მოგავალი პრინცესის მისამამამუკასი...

როგორც გაირკვა, ქვით მიდღტონს პრინც უილიამამდე მხოლოდ ორი მამაკაცი ჰყოლია. ქვითის პირველი სიყვარული უილემ მარკსი იყო. წყვილმა ერთმანეთი მარლბოროს კოლეჯში გაიცნო, მათი თავბრუდამხვევი რომანი მალე დასრულდა და მეგობრებად დარჩნენ. მარკსი ერთადერთი მამაკაცი მეგობარი აღმოჩნდა, რომელიც ქვითმა ქორწილში დაპატიჟა. უურნალისტებმა მომავალი დედოფლის პირველ მამაკაცს დიდი თანხა შესთავაზეს, რათა ქვითთან ურთიერთობის შესახებ ესაუბრა, მაგრამ მან განაცხადა, რომ მსგავს ნაბიჯზე არაფრის გულისთვის არ ნავიდეოდა. ქვითის მეორე მამაკაცი რუპერტ ფენჩი იყო, რომლის მშობლებსაც პრინც უილიამის ბიძის კუთვნილ მიწაზე დიდი ფერმა აქვთ. რუპერტ ფენჩი უკვე დაქორწინებულია.



უილემ მარკსი



რუპერტ ფენჩი

რუბრიკის ავტორები: ხათუნა ბახტურიძე, ლალი ჰაპასპირი
გამოყენებულია ინტერნეტ-პორტალ ambebi.ge-ს მასალები



მამაკაცმა სტუდენტმა მოკლა

სამწუხაროდ, დღე არ გადის დანაშაულის გარეშე. გასულ კვირასაც მკვლელობისა და სხეულის დაზიანების არაერთი ფაქტი მოხდა. შელაპარაკებას ხშირად, მსხვერპლი მოჰყვება. 15 აპრილს, თბილისში, ვაკეში, მეგობრებს შორის დაწყებული კონფლიქტი ტრაგიკულად დასრულდა. იმ დღეს, წარსულში ნასამართლევ, 54 წლის მალხაზ ჩანტლაძეს სახლში მეგობარი, ადრე ნასამართლევ 53 წლის გრიგოლ ადამია ესტუმრა. მეგობრებმა ერთად დალიეს, მაგრამ შეზარხოვებულები ნაკამათდნენ. მალხაზმა მეგობარი

დანით ბარძაყში დაჭრა. მართალია, შემდეგ, დაჭრილის გადასარჩენად „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახა, მაგრამ იატაკზე დაგდებული ადამიას გადარჩენა ექიმმა ვეღარ შეძლო. მას პულსი აღარ ესინჯებოდა. ბინაში იმყოფებოდა ჩანტლაძეც. ის ირწმუნებოდა, ადამიას თავის მოკვლა უნდოდა და ჭრილობა თავისი ხელით მიიყენაო. ძალოვნებმა ჩანტლაძის მონათხრობი არ გაიზიარეს და მას ბრალი 117-ე მუხლით (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, რამაც გამოიწვია სიკვდილი) უკვე წაუყენეს.

დაჭრა

27 წლის ბიძინა ქვანახია უმძიმესი ჭრილობებით, ლუდუშურის კლინიკაში წევს. მას გულმკერდის, მუცლის ღრუსა და ქვედა კიდურების არეში, ცეცხლსასროლი იარაღით 5 ჭრილობა მიაყენეს. შემთხვევა დიღმის მასივის ერთ-ერთ სკვერში მოხდა. ახალგაზრდას გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა. ჯერჯერობით უცნობია, ვინ და რატომ დაჭრა ახალგაზრდა. ფაქტზე, მკვლელობის მცდელობის მუხლით, სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და გამოძიება მიმდინარეობს.

თანასოფლელი სასიკვდილოდ გაიშავა

საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდაში თანასოფლელები ჭიბურაშვილის დაბადების დღეს აღნიშნავდნენ. ნასვამ ბიჭებს ერთმანეთთან კონფლიქტი მოუხდათ. როგორც თვითმხილველები ამბობენ, სიტუაცია მალე განიწმინდა. 35 წლის თამაზ დიღმელაშვილი მეზობელს, 39 წლის ალექსანდრე ჭიბურაშვილს შერიგების მიზნით გადაეხვია, მაგრამ ამ დროს უეცრად, მუცელში საშინელი ტკივილი იგრძნო. „დამჭრა!“ — იყვირა მან და იქვე ჩაიკეცა. ჭიბურაშვილმა სასწრაფოდ, იქაურობა დატოვა. დაჭრილ მამაკაცს საგარეჯოს საავადმყოფოში რამდენიმე საათიანი გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა, მაგრამ მდგომარეობა გართულდა და იგი თბილისში, პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მამაკაცი რენიმაციულ განყოფილებაში მართვის სუნთქვის აპარატზე შეერთებული. მართალია, შემთხვევის ადგილიდან ჭიბურაშვილი მიიშალა, მაგრამ ძალოვნებმა მალევე დააკავეს. იგი დანაშაულს აღიარებს: „შელაპარაკება მოგვიხდა. მერე თამაზი გაიქცა, მალე მეორედ მოვარდა სახლში და ისევ ვიჩხუბეთ. ამ დროს მაგიდიდან დანა ავიღე მის შესაშინებლად. ამ განწევ-გამონევის დროს დანა მოხვდა და დაიჭრა, მერე მე გავიქეცი“.

დაკავებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეუფარდეს. მას მკვლელობის მცდელობაში ედება ბრალი.

თვითმკვლელობა

გასულ კვირას, კასპის რაიონის სოფელ დისევში, ბაიდაურების ოჯახში ტრაგედია დატრიალდა. მამამ საკუთარი შვილი ფარდულში ჩამომხრჩვალ იპოვა. 18 წლის ხათუნა ბაიდაურმა თვითმკვლელობამდე მშობლებს წერილი დაუტოვა, თავისი ნაბიჯის გამო, მათ ბოდიში მოუხადა და პატიება სთხოვა. ახალგაზრდა ქალი 6 თვის წინ ზაქრო ლოცულაშვილს გაჰყვა ცოლად. მალე ოჯახში კონფლიქტი დაიწყო და გოგო იძულებული გახდა, მშობლებთან დაბრუნებულიყო. წყვილი მალე შერიგდა და ცხოვრების აწყობა ისევ სცადა, მაგრამ — უშედეგოდ. გულგატეხილი ხათუნა ისევ სახლში დაბრუნდა. როგორც ახლობლები ამბობენ, დეპრესიაში ჩავარდნილმა გოგომ თვითმკვლელობა რამდენჯერმე სცადა. ერთხელ, ქმრის სახლის სახურავიდან გადახტომა სურდა, მაგრამ გადაარჩინეს. ამ საბედისწერო ნაბიჯამდე ორი კვირ-

ით ადრე, დიდი დოზით დამამშვიდებელი ამბები დალია, მაშინაც მშობლებმა მიუსწრეს და გადაარჩინეს. იმ საბედისწერო დღეს, ის სახლში მართო იმყოფებოდა, ამით ისარგებლა და თავი მოიკლა. ხათუნა ბაიდაურის ახლობლების მტკიცებით, მას ქმარი ძალიან უყვარდა და პრობლემები დედამთილთან ჰქონდა.

როგორც ირკვევა, თვითმკვლელობამდე ხათუნა მეუღლეს ტელეფონით ესაუბრა. მან ქმრის სახელზეც დატოვა წერილი. ახლობლების თქმით, ქმარს სიყვარულს ეფიცება და წერს, რომ მათ ერთად ცხოვრების საშუალება არ მისცეს. სახლში ახალგაზრდა ქალის დღიურებიც იპოვეს, სადაც მისი განცდებია გადმოცემული. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრული. გამოძიებამ უკვე დაჰკითხა მისი მეუღლე. თვითმკვლელობის რეალური მიზეზი გამოძიების დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

თურქეთიდან ქართველებს ყრიან

ქართველი დედა-შვილის, ოჩხიკიძეების მიერ მოზარდის მკვლელობისა და ასევე ქართველის, გოგა ჯღარკავას მიერ სასტუმრო „ბაჰარის“ მენეჯერის მკვლელობის შემდეგ, თურქეთში „დიდი წმენდა“ დაიწყო. სტამბოლში ათასობით ქართველი არალეგალი მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ თურქული კანონმდებლობით ქვეყანაში არალეგალური მუშაობა აკრძალულია, ჟანდარმერია ქართველი არალეგალების არსებობაზე თვალს ხუჭავდა, რის გამოც ქრთამს იღებდა. სასტუმროს მენეჯერის მკვ-

ლელობის შემდეგ ჟანდარმერია მიიღო სპეციალური დავალება — გაიწმინდოს ქალაქი „არასასურველი პირებისაგან“. როგორც თურქეთში მომუშავე ქართველები ამბობენ, არასასურველ პირებად ჩვენს თანამემამულეებს მიიჩნევენ და მათ წინააღმდეგ მკაცრ ღონისძიებებს ატარებენ. დაპატიმრებულ ქართველებს თურქი ჟანდარმები ფიზიკურად არ უსწორდებიან, მაგრამ შეურაცხყოფას აყენებენ: მამაკაცებს მონებად, მანდილოსნებს კი მსუბუქი ყოფაქცევის ქალებად მოიხსენიებენ.



თურქი ბიზნესმენის მკვლელობაში ბრალდებულს სამუდამო პატიმრობა ემუქრება

თურქეთში არასრულწლოვანი ბავშვის მკვლელობამ მთელი საზოგადოება შეძრა. სამწუხაროდ, ამ უმძიმეს დანაშაულში ქართველი დედაშვილი — ოჩიკიძეები ამხილეს და ციხეში გამოკეტა, უმკაცრეს სასჯელს ელიან. ამ შემზარავ ფაქტს იმხელა რეზონანსი მოჰყვა, რომ თურქეთის პრეზიდენტი ქვეყანაში სიკვდილით დასჯის აღდგენაზეც კი ალაპარაკდა. საზოგადოებას ეს ფაქტი არ ჰქონდა დაგინწყებული, როცა ქართველები ახალ სკანდალში გაეხვივნენ.

თბა სურსილავა

12 აპრილს, გვიან ღამით სტამბოლში, სასტუმრო „ბაჰარის“ მეპატრონე ნუსთირ შაქარი და მისი მეგობარი ქალი, როზა ისმაილოვა სასტუმროს ნომერში ჩაცხრილეს. თავდაპირველად, მკვლელობის მიზეზად ფულის გამოძალკას ასახელებდნენ — ამბობდნენ, რომ დამნაშავეებმა მათივე დამქირავებელი და მისი მეგობარი ქალი მოკლეს, 30.000 ლირა ანუ 25.000 დოლარი გაიტაცეს და მიიმალნენ. თურქული მედია ირწმუნებოდა, რომ დანაშაულის ჩადენის გამო 3 ქართველი იძებნებოდა: გიორგი და ვიტა თედიაშვილები და ტატიანა სინიანსკაია. ირკვევა, რომ გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება.

სტამბოლში ათასობით ქართველი არალეგალი მუშაობს. ისიც ფაქტია, რომ ამ მკვლელობის შემდეგ, სამართალდამცველებმა სამუშაოდ ჩასული ქართველები გაჩხრიკეს და არალეგალურად მყოფ ბევრ ჩვენს თანამოქალაქს თურქეთი დაატოვებინეს.

18 აპრილს, ქართველმა სამართალდამცველებმა თურქეთში მომხდარი მკვლელობა გახსნილად გამოაცხადეს და ამ დანაშაულში 29 წლის გოგა ჯღარკავა ამხილეს. ექვმიტანილი უკვე

დაკავებულია. ქართველი ძალოვნების განმარტებით, ბრალდებულს 3 თვითმხილველი უპირისპირდება და დანაშაულში ამხელს. ისიც დადგენილია, რომ 12 აპრილს, გოგა ჯღარკავა ნამდვილად იმყოფებოდა თურქეთის ტერიტორიაზე და საქართველოს საზღვარი მკვლელობის მეორე დღეს, 13 აპრილს გადმოკვეთა.

ორი ადამიანის მკვლელობაში ბრალდებული ახალგაზრდა მამაკაცი ადრე ნასამართლევი იყო. 2007 წელს იგი აზერბაიჯანში დააკავეს და სხეულის განზრახ დაზიანებისთვის სასჯელს იქ იხდიდა. პატიმრობიდან 2010 წელს გათავისუფლდა.

თანამემამულეს დანაშაულში სასტუმრო „ბაჰარის“ ადმინისტრატორი გიორგი ყაჭიშვილი ამხელს და მკვლელობის მიზეზად, ნუსთირ შაქართან შელაპარაკებას მიიჩნევს.

მონშე **მაცხიშვილის** ჩვენებიდან: „რამდენიმე წელი, სასტუმროში ადმინისტრატორად მუშაობისთან ერთად ვმუშაობდი. თებერვლის ბოლოს სასტუმრო „ბაჰარში“ საცხოვრებლად გოგა ჯღარკავა მოვიდა და იქ 20 დღე იყო. შემდეგ ვერ შეძლო თანხის გადახდა, ამის გამო სასტუმროს მეპატრონესთან კონფლიქტი მოუხდა. მეპატრონემ, ნუსთირ შაქარმა ის სასტუმროდან გააგდო. ამ ინციდენტიდან დაახლოებით 4-5 დღეში, გვიან ღამით, 3 საათზე გოგა სასტუმროში მეგობარ დათოსთან ერთად დაბრუნდა და ნომერი მოითხოვა. ამ დროისთვის მხოლოდ ერთი ნომერი იყო თავისუფალი და 102-ე ნომერში შესვლა შევთავაზე. ოთახი ნახეს, შემდეგ უარი თქვეს, ჯერ არ გვინდაო. სასტუმროში ზევით ავიდნენ, რაღაც დაათვალიერეს და რომ ჩამოვიდნენ, გოგამ მითხრა, — შენი ცოლი „დასკოჩილი“ გყვავს, არ გაინძრე, შენი პატრონიც უნდა მოკვლათო (სასტუმროს მეპატრონეს გულისხმობს). მეც იარაღით მემუქრებოდნენ, — ხმა არ ამოიღო, სადმე არ გახვიდე, იარაღს ხელი არ ახლო, თორემ შენც ზედ მიგაყ-

ვით. ამის შემდეგ გოგა ჯღარკავამ სასტუმროს მეპატრონის ოთახის კარზე დააკაკუნა და შევიდა, ხელში ბალიში და იარაღი ეჭირა. მალე გასროლის ხმა გავიგონე“.

ბრალდებულს ასევე გიორგი ყაჭიშვილის მეუღლე, **მარგალიტა შალაშვილი** უპირისპირდება. მისი მტკიცებით, ჯღარკავა მას ღამით ოთახში შეუყვარდა:

„12 აპრილს, ღამით, დაახლოებით 3 საათზე, ჩვენთან ოთახში გოგა ჯღარკავა ამოვიდა, რომელიც ადრე ჩვენი კლიენტი იყო. მეგობარი დათო ახლდა. ხელში ბალიში და იარაღი ეჭირა. ოთახში ნათესავ გოგოსთან ერთად ვიყავი. ორივეს დაგვემუქრა. თქვა, — თქვენი მეპატრონე უნდა მოკვლა, არ გაინძრეთ, მოქცევა თუ არ მომენონა, შენს მეუღლეს, გიორგისაც „დავბრინდავო“. მერე ქვევით ჩავიდა, დაახლოებით 15 წუთში გასროლის ხმა და ქალის კივილი გაისმა“.

თურქული პრესის მიერ ძებნილად გამოცხადებული ტატიანა სინიანსკაია, საქმეში მონშის სტატუსითაა დაკითხული. ის მარგალიტა შალაშვილთან ერთად იყო ოთახში, როცა შეიარაღებული პირები შევიდნენ. დანაშაულში ისიც ჯღარკავას სდებს ბრალს. ამბობს, რომ 2-3 გასროლა გაიგონა.

როგორც ირკვევა, მკვლელობის შემდეგ, ფაქტის თვითმხილველმა სამივე მონშემ ჩანთაში თავისი ბარგი ჩაალაგა და შემთხვევის ადგილი დატოვა. საქართველოში გადმოსულმა მონშეებმა თურქეთში მომხდარი მკვლელობის დეტალები ქართველ ძალოვნებს აცნობეს და დამნაშავის ვინაობაც გაუხილეს. ამის შემდეგ სპეცოპერაცია ჩატარდა და ჯღარკავა დააკავეს. რაც შეეხება დასახელებულ ვინმე დათოს, მისი ვინაობა ჯერჯერობით არ ხმაურდება.

დაკავებულს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა უკვე შეეფარდა. ჩვენი ინფორმაციით, ჯღარკავა დანაშაულს არ აღიარებს. მისი ჩვენების დეტალები არ ხმაურდება. რა მტკიცებულებები აქვთ დამატებით, დაკავებული ქართველის წინააღმდეგ თურქ ძალოვნებს, ესეც უცნობია. არც ის არის ცნობილი, როდის გადასცემენ 29 წლის ახალგაზრდას მეზობელ ქვეყანას. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას სამუდამო პატიმრობა ემუქრება.



გოგა ჯღარკავა



თამთა დოლიძე

ხანგრძლივი მოლოდინის შემდეგ, ჟურნალ „გზასთან“ ერთად, მკითხველმა მიიღო ნაირა გელაშვილის კრებული — „დედის ოთახი“, რომელიც ორ ტომად გამოიცა. ალბათ ამ მწერლის ნაწარმოებებს შორის ერთ-ერთის გამორჩევა და საუკეთესოდ დასახელება ყველას გაუჭირდება, მათ შორის მეც, მაგრამ მაინც გაგებდავ და საუკეთესო „ნიგნად“ მისი ცხოვრების გზას დავასახელებ, რომელიც მწერალმა კალმით კი არა, საქმით დანერგა; ამიტომაც ვურთავთ „დედის ოთახის“ შესახებ წერილს, მოკლე ბიოგრაფიულ ნარკვევსაც.

...სანამ ამ ოთახის კარს შეაღებთ, კარგად დაფიქრდით, რას ნიშნავს თქვენთვის — იცოდე მეტი! იქნებ ეს ცოდნა ტვირთად გექცეს, ან პირიქით — შეგამსუბუქოს, რადგან ეს წიგნი ერთგვარი კარია, ცხოვრებაში გასახედი. ვიდრე მთავარ სათქმელთან მიხვალ, ჯერ იდუმალების წყლისქვეშეთი უნდა გაიარო და კითხვების წყალმცენარეებში გაიხლართო. ამ რთული გზის გავლის შემდეგ, თუ მახვილი სმენა გაქვს, სიმართლის ნიჟარების მოგუდულ შრიალსაც გაიგონებ.

ჩემი აზრით, ისეთი წიგნები, როგორც „დედის ოთახია“, სანთლის შუქზე უნდა იკითხო, რადგან მხოლოდ „გარეთ მაყურებელი თვალის“ ჩაბნელების შემდეგ შეძლებ, ჩაცურდე სიტყვის სიღრმეებში, თავს ჩაუღრმავდე.

„დედის ოთახში, რომორს ტაძარში“

ალბათ, ყველას ცხოვრებაში დგება დრო, როცა სიმართლის საძებნელად რკინის ქალამნები უნდა ჩაიცვა, ხელში დავიწყებული „სულის საწხრევი“ დაიჭირო და მოემზადო — „მარტოობას ვერავინ ასცდება და ჯობს, კაცი მომზადებული შეხვდეს“.

პირველი ნაბიჯი ყოველთვის ძნელია. მოგონებებში ჩატოვებულ ბავშვობის ნივთებზე, როგორც წყლიდან ამოჩრილ ქვებზე, ისე უნდა შედგე. მაგრამ მეორე ნაბიჯზე მშრალად გასვლის იმედი მაინც ნუ გექნება. ბავშვობის ტბიდან ჯერ უცრემლოდ არავინ ამოსულა, მით უმეტეს, თუ ეს ტბა — ბავშვის ქვეცნობიერ, ჯერჯერობით ამოუცნობ საიდუმლოს მალავს.

პირველი ნაბიჯი ყველაზე ძნელია. მხოლოდ შიმის ზარის დარეკვისას, მექან-

„აი, ეს ოთახი, აი, ეს ყველაფერი“...



იკურად შეიძლება გადადგა და შეხვიდე იკურეში — დედის თვალებში, დახატვებულ მშობლიურ ნიაღში, ჩაყვინთო იქ, საიდანაც ოდესღაც ამოგისროლეს.

ზღურბლთან

საგან — ფარდა:
ესაა საგანი-დასაწყისი, ერთი არსების გაორების, დედა-შვილის გამყოფი — ფარდა. თითქოს ვილაცის სასტიკმა ხელმა ჭიბლარი დროზე ადრე გადაჭრა, ბავშვი მანამდე გააძევა სამოთხიდან, ვიდრე ცოდვის ხილს შეჭამდა და კარი ცხვირწინ მიუჯახუნა. შვილის ყველაზე დიდი სიძულვილიც სწორედ ამ ფარდას უკავშირდება, მაგრამ თან უკვირს, ვერ გაუგია, რას ერჩის ამ ულაშაზეს, დედის ხელით ნაქსოვ-ნაქარგ, ჰაერივით ლივლივა ქსოვილს — „მისი ბავშვობის ზებუნებრივ ეკრანს“, რომელსაც მისი წარმოსახვა წყალქვეშ ჩაჰყავს, ფსკერზე დაათარებს, აოცებს და აოცნებებს...
სანამ პატარა ხარ, ამ აკრძალულ

ბაღში შეღწევა ყველაზე დიდი გმირობა გგონია და გეამაყება, რადგან ბავშვობაში შიში ჯერ კიდევ არ უდრის სირცხვილს. ამიტომაც, საამაყო, გაიხლართო ერთი შეხედვით მსუბუქ, მაგრამ საშიშ ბადეში, მერე, ხსნასა და განსაცდელს შორის გამომწყვდეულს, სუნთქვა შეგეკრას და სწორედ ამ უპაერობამ შეგაგდოს ოთახში, სადაც უკვე დიდი ველარ შეეტყვი, რადგან ისწავლი სიტყვას — „რაღაც“ და ეს სიტყვა სულ ხელს შეგიშლის, რომ იგივე გზაზე იარო — უკვე შიგნით, საკუთარ თავში, ვიდრე ამ ზღურბლს გადააბიჯებ: „რაღაც... კარგა ხანი იყო, სძულდა ეს სიტყვა, როგორც შეიძლება გძულდეს ადამიანი, რომელიც მტრად გესახება, ვისთანაც ბრძოლის გზა და იარაღი ვერა და ვერ გამოგიძებნია, რადგან არ იცნობ, არ იცი, რანაირია ეს მტერი და ბოლოს და ბოლოს, არც ის იცი, რატომ გექცა მტრად, მაგრამ თუ კაცი არ დაიზარებს, იქ ყოველთვის აღმოაჩენს ძალიან კონკრეტულსა და ცხადს“.

აპეჯის საღონი "კლასიკა" იტალიური აპეჯის და ტექსტილის დიდი არჩევანი

სასადილო გარნიტური "ელისაბეტი"

ტყავის სამეული

აღ. ყაზაგვის 14^ბ ☎ 38 88 11

ც. დადიანის 7, "ქარვასლა", I სარ. ☎ 66 10 50 www.classica.com.ge



ბავშვობის ბნელ-ნათელ სამარხებში

საგანი — სარკვე:

როცა დედის ოთახის კარს შეაღებ, ნინ სარკვესავით შეგგებება საკუთარი ბავშვობა — „თითქოს პირდაპირ შენ ნინ ჩნდები და საკუთარი თავისკენ მიდისარ“.

ჩემი აზრით, სიტყვა „ბავშვობა“ ჰგავს მონეტას, რომელიც, არასდროს იცი, ასროლისას რომელ მხარეს დაეცემა, რას გაგახსენებს. მაგრამ ყველაზე „მთავარი“ სიტყვები სწორედ მასში იგულისხმება, მა-

გალითად — „ბედნიერება“, რადგან პატარებს არ ანუხებთ მტანჯველი ფიქრები და სჯერათ, რომ ყველაფერი, რასაც ხედავენ, ცხადია. მათ ლექსიკონში არ წერია სიტყვა „თავისუფლება“, რადგან ფიქრები ბავშვებს ვერ იმონებენ. ამ დროში დედის რძესავით დაუთმობელი სიტყვები ცხოვრობენ, რომელთა წარმოთქმისას ხანდახან ეტირებათ კიდეც, რადგან ხვდებიან, რომ ადრე თუ გვიან, უნდა დაემშვიდობონ და დაივიწყონ („რალაც ყოველთვის იხრნება, ყველგან“).

კარგ წიგნს შეუძლია, მკითხვე-

ლი მისი ამბის მონანილედ, პერსონაჟად გადააქციოს და მერე, ამ პერსონაჟმა ყველაზე ხმაბლად იყვიროს, რომ წიგნის გმირებზე სწრაფად მიავსო „ბზარის“ გაჩენის მიზეზს, რადგან უცებ აღმოაჩინა, რომ „შედეგი კი არა, მიზეზია მთავარი“. მაგრამ ის კი ავიწყდება, რომ რაც პატარას კარგად გახსოვს, დიდობაში ქრება. მიზეზიც ასეა — ბავშვობის ფსკერზე ილექება და ვეღარ ხვდებათ.

მხოლოდ ბავშვებმა იციან ციციქნა საგნების ქვეყნისაკენ მიმავალი გზა. მათ შეუძლიათ იმეგობრონ ნამცვეებთ-



ნაირა გელაშვილის „კავკასიური წრე“

1969 წლის 14 მარტი გელაშვილების ოჯახის ისტორიაში უძძიმეს დღედ ჩაინერა. სპირტიანი სასმელების მადიამ საუკეთესო მეღვინე დაუნდობლად გამოასალმა სიცოცხლეს (მისი მანქანა ააფეთქეს). მამასთან ერთად, მძიმედ დაიჭრა ნაირას უმცროსი ძმაც. სამწუხაროდ, გამოძიებამ დაინაშავეებს ვერ მიაგნო.

ნაირა გელაშვილი ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა და იმავე წელს, უნივერსიტეტში, გერმანიისტიკის განხრით გააგრძელა სწავლა. მთარგმნელობით საქმიანობაში მალევე მიაღწია წარმატებას. მის მიერ თარგმნილი გერმანული ფილოსოფიისა და პოეზიის ნიმუშები დღემდე იბეჭდება სხვადასხვა ლიტერატურულ ჟურნალ-გაზეთში.

ნაირა გელაშვილს „ბნელ“ ეპოქაში მოუხდა ცხოვრება. კა-გ-ბემ ასპირანტურის ბოლო კურსის გასავლელად გერმანიაში არ გაუშვა ამის მიზეზი, სავარაუდოდ, დასავლელ მეცნიერებთან ურთიერთობის „დამლუპველი“ ზეგავლენისადმი შიში იყო. მისი „დაუმორჩილებელი ბუნების“ მიუხედავად, ნაირა გელაშვილი მაინც მიიწვიეს ლექტორად თბილისის სახ. უნივერსიტეტში, მაგრამ 7 წლის შემდეგ, სამსახურიდან დაითხოვეს (წინააღმდეგობა დასაბუთებლად დისიდენტებს).

როგორც მწერალი, ქართველმა მკითხველმა 1981 წელს გაიცნო. მისი პირველი მოთხრობები ჟურნალ „მნათობში“ დაიბეჭდა. მალე მუშაობა დაიწყო „მთარგმნელთა კოლეგიაში“, რედაქტორად. აგრეთვე, ჩამოაყალიბა რილკეს შემოქმედების მთარგმნელთა ჯგუფი, რომელმაც 1985-86 წლებში რილკეს თხზულებათა სუბტილური მონაწილეობა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო, მისი გამოცემა მხოლოდ 2007 წელს მოხერხდა.

1990 წელს მწერალმა, მწვანეთა მოძრაობის ლიდერთან — ზურაბ ჟვანიასთან ერთად, დააფუძნა საერთო კავკასიური მოძრაობა და გამწვანებული ეთნიკური კონფლიქტების მიუხედავად, მთელი კავკასია მოიარა სწორედ ნაირა გელაშვილის წყალობით გამყარდა კონტაქტები სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის მეცნიერებთან, დემოკრატიულად განწყობილ წრეებთან და აგრეთვე ეკოლოგებთანაც. მაგრამ ამ ორგანიზაციასაც გამოუჩნდა მონინააღმდეგე — „კავკასიის მთიელ ხალხთა ასამბლეა“. მოძრაობამ „კავკასია ჩვენი საერთო სახლია“ ვეღარ გაუძლო სპეცსამსახურებისა და დესტრუქციული ძალების შემოტევას და 1991 წლის მინორულს ფუნქციონირება შეწყვიტა.

ნაირა გელაშვილი კიდევ ერთი საინტერესო წამოწყების ორგანიზატორია „კავკასიური სახლის“ ინიციატივით, 1999 წლიდან, ყოველწლიურად, კავკასიაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიის წარმომადგენლები თავიანთ სალოცავებში მშობლიურ ენაზე ალაგვლენ სპეციალურად კავკასიის გადარჩენისთვის დანერგულ ლოცვას, რომლის მნიშვნელობასაც მწერალი ასე განმარტავს: „როდესაც ათასობით ადამიანი ერთსა და იმავე დროს, ერთსა და იმავე ლოცვას ალაგვლენ, ამას ძალიან დიდი ძალა აქვს. ჩვენ ვცხოვრობთ ჯოჯოხეთის ერთ-ერთ ფილიალში, რომელსაც წარმოადგენს კავკასია აქ სასიცოცხლო სივრცე, უმეტესწილად, მოსპობილია. ერთად ლოცვის სურვილიც სწორედ ამ სასონარკვეთამ, უმნიშვნელამ გააჩინა“.

კულტურულ ურთიერთობათა ცენტრი — „კავკასიური სახლი“ ნაირა გელაშვილი 1994 წელს, ყოფილი „მთარგმნელთა კოლეგიის“ ბაზაზე დააფუძნა. მისი საქმიანობის სფერო მოიცავდა საქართველოსა და კავკასიის კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების დაცვა-გადარჩენისათვის ხელშეწყობას. როგორც მის წინამორ-

მიმავალი მწერალი, გერმანიისტი, მთარგმნელი და პუბლიცისტი დაიბადა 1947 წელს, სიღნაღის რაიონის სოფელ ნუკრანში. მისი მშობლები მეორე მსოფლიო ომმა დააკავშირა ერთმანეთს. სოფელ ნუკრანის ექიმს — ნინო ნოზაძეს, რომელსაც ომის დროს ყველანაირი ავადმყოფის მიღება და მკურნალობა ევალებოდა, ქერში დაჭრილი ლეიტენანტი მიუყვანეს. ასე გახდა 22 წლის ახალბედა ექიმის პაციენტი — ვლადიმერ გელაშვილი, რომელსაც მკურნალი თავდაფიცვებით შეუყვარდა მოგვიანებით, ნაირას მამამ სახელი გაითქვა, როგორც საუკეთესო მეღვინე. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ „წინანდალს“ მსოფლიოს მასშტაბის კონკურსებზე მრავალი ჯილდო მიენიჭა.

1957 წელს ნინო ნოზაძე, თავის სამ შვილთან ერთად, თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ერთ-ერთ პოლიკლინიკაში დაიწყო მუშაობა. მისი მეუღლე კი წინანდლის ქარხანაში დარჩა და ქართული ღვინის მაღალი ხარისხის შენარჩუნებისთვის გააგრძელა ბრძოლა. მაგრამ ვლადიმერ გელაშვილის მიერ მეღვინეობის საქმეში მიღწეული წარმატებები შეუმწვევლი არ დარჩენილა და მალე ისიც თბილისში გადმოიყვანეს.



ან, საკუთარი კანის ნერტილებთან, თითებთან, ფრჩხილებთან, რადგან თვალბან ახლოს აქვთ მთელი სამყარო — საკუთარი თავი. დიდები კი, ამ გზის გახსენებისთვის, შეიძლება ჯვარზეც გააკრან. „თუ ძალიან დაუფიქრდები, ყველაფერი აგერევა. ახლოს მისვლა არ შეიძლება ალბათ არაფერთან“.

„ბანძურულების სარიცხ ჭაობში“

დედაბუნება:

რადგან ყველა სათქმელში „ძალ-

ბედს, მშვიდად არსებობა არც ამ ორგანიზაციას ელოდა. „კავასიური სახლი“ ხშირად განიცდიდა თავდასხმას რუსული მედიის მხრიდან, რადგან აქტიურად ესმარებოდა ჩვენს ლტოლვილებს და იბრძოდა მათი უფლებებისათვის. მიუხედავად წინააღმდეგობებისა, ორგანიზაციას მუშაობა არ შეუწყვეტია. მალე კავასიური სახლთან თანამშრომლობის სურვილი გამოთქვას დასავლურმა ფონდებმა, რომელთა დახმარებითაც მოხდა მათი ოფისის და აგრეთვე, ნაირა გელაშვილის მშობლიური სოფლის სკოლის სამსართულიანი შენობის რესტავრაცია, სადაც მოგვიანებით, „კავასიური სახლის“ ფილიალი შეიქმნა.

ბობოქარი ბრძოლების ფონზე, გასაკვირია, როგორ დარჩა დრო არსებობისთვის მწერალ ნაირა გელაშვილს. მისი შემოქმედება: ლექსები, მოთხრობები, რომანები, განსაკუთრებით — საბავშვო ლიტერატურა ყველაზე მეტ სიმართლეს ჰყვება მასზე, როგორც ადამიანზე. ესაა სამყარო, რომელშიც ფრთხილად უნდა შეაბიჯო: ჯერ გაბედო და შეუხო ჰაერით ლივლივა ფარდას — ბავშვობის ზეზუნებრივ ეკრანს, რომელსაც შეუძლია ჩაგიყვანოს საკუთარი თავის ფსკერზე, გაგაოცოს და გაოცნებოს. მოკლედ, ვიდრე მასთან შეხვალ, შენივე სულის წყლისქვეშეთი უნდა გაიარო... ყველაზე მძაფრად მაინც პირველი შეხედრა მასსოფს: „ამბრნი, უმბრნი და არაბნი“ — ეს იყო ჩემი პირველი გაცემა შემდეგ, გვიანი შემოდგომის კადრების ფონზე, ერთი შეხედვით შეუმჩნეველ, საღებავგადაცლილ და დაფინჯულ ამბავთან — „სერსოსთან“ მოჭვდი. მას მერე, მისი წიგნები ჩემი დღეების თანამგზავრად გაიხადე. ასე შემიტყუა ნაირა გელაშვილმა თავისი სულის დერეფნებში, სადაც ყოველი მოსახვევის გავლისას ახალი გზა ჩნდება. ის არის მწერალი, რომელსაც ვერასდროს ამოწურავ, რადგან მისი ამბავი ყოველთვის ნამდვილია, „სინამდვილეზე უფრო ჭკვიანი და სწორი კი არაფერია“.

ლის თავს“ ვეძებთ, ალბათ ყველაზე ფართოდ უნდა გავახილოთ თვალი სიტყვასთან — „დედა“: თითქოს „სიბნელიდან გამოსრილდნენ მწვანე თვალები, რალაც ღიმისისკენ მიმსწრაფი გაიკლანა ფერმკრთალ ტუჩებზე“. სანამ ბავშვი ხარ, სწორედ ამ ღიმითან მოგაქვს ყველა კითხვა და საკენკვივით უყრი წინ:

— დე, რას ნიშნავს ბე-დნი-ერი?
— არ ვიცი, — „ჩაიშრილა ხმამ, ჩაიკარგა სადღაც ნაღველში“.

მერე კი, როცა იგრძნობ, რომ „რალაცნაირად გაგრძელდა სიტყვა, სევდაში ჩაიზარდა“, ყველა კითხვას გულში იბრუნებ „დედის მკერდს მოშორებული, სხვა ქალის მკერდისკენ გზაში მყოფი“ და თავად შედიხარ აქამდე აკრძალული სიტყვების ტევრში, მაგრამ პასუხს ბოლოს მაინც დედასთან პოულობ. მერე რა, რომ შენ შენთვის ხარ, ის კი — თავისთვის?..

სხვისი არ ვიცი და მე ჯერ არსად მინახავს ისეთი ყოვლისმომცველი გმირი, როგორიც ელენეა. მასში თავმოყრილია ყველანაირი ამინდი, ხმა, სურნელი... ერთი შეხედვით, იდეალური დედა და ქალია — როცა საუბრობს, „წვიმის წვეთი მიჟონავს ფანჯარაზე“, სიმშვიდე მოაქვს. მეორე მხრივ კი — წარღვნა დაინყო: „ტაფასა და ქვაბს ერთმანეთს ახლიან, ყინულის ლოლუაზე ვერცხლის თხე, დრეკად ხმაღს ურტყამენ“ — ხმა აქვს ასეთი.

მის სამყაროში შვილებს ყველაზე მეტად სიმართლის ეშინიათ, უფრო კი — ამ ყოვლისმომცველი ხმის ტემპრით გაგებულ სიმართლისა

(„თითქოს ბრინჯი ჩაიყარა ქვაბში“). ტყუილი უფრო ადვილია, მის გამო ტირილს სომ დაბადებიდანვე ეჩვევიან ადამიანები („ტირილმა დაფშენა ხმის შენივთული სიცვიე“).

პატარები უსიტყვოდ ემორჩილებიან დედის მიერ უსიტყვოდ დადგენილ, მის სამყაროში ყოფნის წესებს. მათ ჯერ არ ესმით დედის შიში („მუქი ქარვა დავარდა რკინაზე, გაიბზარა“) და მხოლოდ ერთ რამეს ცდილობენ — დაიცვან წესები, რადგან არასწორ ქცევას ყოველთვის მეტი გამართლება სჭირდება, მათ კი ამისთვის საჭირო სიტყვები ჯერ არა აქვთ. ამიტომ, მათ მხოლოდ ის ესმით, როგორ ლებას დედა ლურჯად სიტყვას — „სიყვარული“, თითქოს „ვერცხლის ქალღმერთის ჩიტი გასრილდა მთვარიან ღამეში“...

მგონი, აქ სწორედ დროულია ნერტილის დასმა, რადგან რამდენიც უნდა ვისაუბრო მე დღეს ამ წიგნზე, სათქმელს მაინც ვერ ამოვწურავ. მაგრამ „მათ, ვინც თავი დაირწმუნეს, რომ ძალის თავის ამოსათხრელად შეიარაღდნენ, უფლებაცა გაქვთ, ყველა საშუალებით გაააშკარავოთ მიზეზთ მიზეზი“. მე კი ვირჩევ, აქ დავამთავრო ჩემი წერილი და მთავარი „სიმძიმეების“ აღმოჩენის „ბედნიერება“ მკითხველს დაუტოვო, რადგან მოვა დრო და ადამიანები „ერთმანეთში დამეალებიან დაგროვილ-დაგუბებულ, გასიებულ სიტყვებს“ და ჩვენს წიაღში ყველაზე დიდი სიმართლე — სიჩუმე დაისადგურებს.





კახაკი აბაგანის შთამოავალი ოფიცერი და მისი „თბილისური პოიაჟი“

„რუსთაველის პროსპექტის „გათავისუფლების“ გეგმა 3-4 საათში იქნა შემუშავებული“...

„სისტემის შვილი“ — ასე შეიძლება ვუწოდოთ ოფიცერ სტანისლავ რაზდობრეევს, რომლის მოგონება (1989 წლის 9 აპრილის შესახებ) „გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზებთ. ვაი, რომ საბჭოთა სისტემა, რომელსაც ვგულისხმობთ, დღესაც — თვით საბჭოთა კავშირის დასრულების შემდეგაც კვლავ ცოცხალია და კიდევ არაერთ „რაზდობრეევს“ შობს...

რუსი საბჭოთა ოფიცრის თბილისში „მოგზაურობის“ ამსახველი მოგონების გაცნობის შემდეგ, მას ინტერნეტით დაფუძვნირდით და ინტერვიუ ჩავენერეთ. აი, რა გვიამბო კაცმა, რომელიც თავისი სამხედრო კარიერის შეფასებისას წერდა: „შედეგად მივიღე დასრულებული ოჯახი, შერყეული ჯანმრთელობა და ღამისეული კოშმარები“...

პანტანო შაშუკია

— დონელი კახაკების შთამოავალი ვარ. ჩემი წინაპარი ცნობილი კახაკი აბაგანი — ნიკოლა კულიჩენკო იყო. სამხედრო საქმისადმი ჩემი ინტერესი და სიყვარული ალბათ სწორედ ამ ფაქტორმა განაპირობა და 1975 წელს ქალაქ კემეროვოს უმაღლეს სამხედრო სასწავლებელში ჩავაბარე. 1979 წელს შინაგანი ჯარების რიგებს შევუერთდი. პრაპორშჩიკის ჩინით დავინწყე ჩემი სამხედრო კარიერა, რომელიც 1996 წელს დავასრულე კაპიტნის ნოდებით.

— როდის ჩამოყალიბდა თქვენი პოლკი და რა ფუნქციები ეკისრებოდა?

— ჩვენი პოლკი 1978 წელს ჩამოყალიბდა და მასში შემავალ ნაწილებს მოსკოვსა და ლენინგრადში არსებული სამთავრობო შენობების დაცვა ევალებოდა. ალბათ სწორედ ამიტომ, ჩვენთან სპეცშერჩევა ხდებოდა და უპირატესობა სლავური წარმოშობის ახალწვეულებს ენიჭებოდათ, თუმცა იყვნენ სხვა ეროვნების წარმომადგენლებიც. 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც სიტუაცია აირია, ჩვენმა პოლკმა ერთ-

გვარი ჟანდარმის ფუნქცია შეითვისა.

— როგორ მოხვდა პირველად თქვენი პოლკი კავკასიაში?

— როგორც მოგეხსენებათ, 1980-იანი წლების ბოლოს საბჭოთა კავშირის მთელ რიგ რესპუბლიკებში ეთნიკური კონფლიქტები მოხდა. განსაკუთრებით რთული სიტუაცია ამ მხრივ კავკასიაში შეიქმნა. 1988 წლის მინურულს ბაქოში მიგვავლინეს, სადაც სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ვითარება უკიდურესად დაძაბული იყო. მაშინ საბედნიეროდ, ყველაფერი მალევე მოგვარდა, უსისხლოდ. შემდეგ კი სპიტაკის მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოებში მოგვინია მონაწილეობის მიღება.

— რა საშუალებებს იყენებდით დემონსტრანტების წინააღმდეგ?

— მომიტინგეების წინააღმდეგ ვიყენებდით RP-73 ტიპის ხელკეტებს, მესანგრეთა ნიჩბებს (იყენებდნენ მხოლოდ მედესანტეები), „ჩერიომუხას“ ცრემლსადენ გაზს, რომელიც პატარა ბალონში იყო ჩაწეული. მისი გამოყენება იწვევს თავლების წვას, ცრემლდენას, სუნთქვის გართულებას, თუმცა ეს შეგრძნებები 20-30 წუთის შემდეგ ადამიანს უქრება. მისი გამოყენება მიზანშეწონილია ლია სივრცეში. „ქერჟინსკის პოლკის“ ზოგიერთ მებრძოლს ჰქონდა ელექტროშოკიანი ხელკეტები, თუმცა რამდენადაც ვიცო, არ გამოუყენებიათ. მათვე ჰქონდათ „სი-ესის“ გაზჩაწეული ხელკეტები, რომლებიც აქტიურად გამოიყენეს დემონსტრანტთა დასაშლელად. ჩვენ აგრეთვე დავაგვირგვინეს „მაკარო-



ვის“ სისტემის პისტოლეტები, სადაც 7 ტყვია იდო. გვექონდა უმკაცრესი ბრძანება, რომლის მიხედვითაც, იარაღი მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში უნდა გამოგვეყენებინა და ისიც — მხოლოდ შეარში სროლის პირობით ანუ — შესამინებლად.

— 1989 წლის 9 აპრილის ღამის რომელი ეპიზოდი დაგამახსოვრდათ ყველაზე მკაფიოდ?

— ასეთი დეტალი ბევრი იყო, მაგრამ ყველაზე შემზარავი იყო ჭყლეტაში მოყოლილი ქალების კვილი, რომელიც იმ საშინელ ღრიანცელში დროდადრო გაისმოდა და რომლის გახსენება დღესაც კი მზარავს. იყო აგრეთვე ერთი მომენტი, როდესაც მომიტინგეებმა რუსთაველის პროსპექტის ზედა პარალელური ქუჩიდან „კრაზი“ დააგორეს. რომ არა რამდენიმე ჯარისკაცის გაბედული მოქმედება, ეს მანქანა ბევრ ადამიანს შეინირავდა. ისინი მანქანის ძარაზე ახტნენ, საქარე მინა ხელკეტით ჩაამტვრიეს და შიგ მჯდომი ახალგაზრდა კაცი ძალით გადმოიყვანეს. ყველაზე საოცარი და ჩემთვის დღემდე გამოუცნობი კი ის რჩება, თუ როგორ დაიწყო ფიზიკური შესლა-შემოხლა ხალხსა და ჯარს შორის. თავდაპირველად დემონსტრანტებმა, ჩვენდა გასაოცრად, კორიდორი გაგვიკეთეს, რამაც ძლიერ გაგვაოცა. მაგრამ მერე, მოულოდნელად, მარცხენა ფლანგზე, მთავრობის სასახლის კიბესთან აყალიბდა ატყდა. დავინახე, როგორ წაიქცა ჯარისკაცი, როგორ დაესია მას ხალხი და როგორ



ყველაზე შემზარავი იყო ჭყლეტაში მოყოლილი ქალების კვილი



გამოიხსნა ის რამდენიმე თანამებრძოლ-
მა. ამის შემდეგ დემონსტრანტები
უეცრად მთელ „ფრონტზე“ გააქტი-
ურდნენ და დაიწყეს კომპარტი. ყველაზე
მკაფიოდ კი მახსოვს მომენტი, როდეს-
აც უკვე ყველაფერი დამთავრდა და
პროსპექტზე სამარისებურმა სიჩუმემ
დაისადგურა. ჩვენ უკვე სასტუმრო
„ივერიის“ წინ ვიყავით და მახსოვს,
როგორ ჩამოიარა „უაზმა“, რომელზე
დამონტაჟებული მეგაფონიდანაც ხალხს
შეკრებისკენ მოუწოდებდნენ. დამ-
იჯერეთ, იქ მყოფი ნებისმიერი ჯარისკ-
აცი სიამოვნებით ამოშლიდა იმ სა-
შინელ ლამეს თავისი ცხოვრებიდან.

**— იყო თუ არა დანაკარგები
სამხედრო პირებს შორის?**

— არც ერთი მებრძოლი არ დაღუბ-
ულა, სხეულის სხვადასხვა სახის და-
ზიანება კი თითქმის ყველა ჩვენგანმა
მიიღო. ჩემი ასეულადან 12 ადამიანი
დაშავდა, აქედან ოთხის მდგომარეობა
მძიმე იყო. 2 ჯარისკაცი დემონსტრან-
ტებს მიწისქვეშა გადასასვლელში ჩაჭყ-
ვა, სადაც ისინი უმცირესობაში აღმოჩნ-
დნენ და სასტიკად იქნენ ნაცემნი. მედესან-
ტებსა და „ქერჟინსკის პოლკელებს“
უფრო მძიმე სიტუაცია ჰქონდათ, რად-
გან მათ მარცხენა ფლანგზე მოუწიათ
ყოფნა. როგორც შემდეგ გავიგე, სამმა
მედესანტემ სხეულის ისეთი მძიმე და-
ზიანება მიიღო, რომ სამხედრო სამსახ-
ურის გაგრძელება ვეღარ შეძლო. ზოგი-
ერთი მებრძოლი გაზითაც მოინამლა.
ერთი სიტყვით, ჩვეუც მაგრად მოგხვდა.

**— დემონსტრაციის დაშლის შემ-
დეგ ხალხში ამბობდნენ, რომ დემონ-
სტრაციის დასაშლელად გამოიყენეს
სპეცნაილები, რომლებიც ბავშვთა
სახლებში გაზრდილი ადამიანებით
იყო დაკომპლექტებული, თან
ჯარისკაცებს სპეციალური აბები
ჰქონდათ მიღებული, რათა მაქსი-
მალური სისასტიკე გამოეჩინათ.**

— მსგავსი ჭორები მეც მსმენია და
მინდა გითხრა, რომ ეს სხვა არაფერ-
ია, თუ არა ხალხის უსაზღვრო ფან-
ტაზიის ნაყოფი. არანაირ აბებს არ
ვსვამდით და დემონსტრაციის დარბე-
ვა არანაირ სიამოვნებას არ გვგვრიდა.
ზოგიერთი ჯარისკაცის მიერ გამოე-
ლენილი სისასტიკის მიზეზი კი ალ-
ბათ, შექმნილი ვითარება და მომიტ-
ინგეთა გააფთრებული წინააღმდეგო-
ბა იყო. თუმცა ისეთებიც იყვნენ, რომ-
ლებიც დემონსტრანტებს ეხმარებოდ-
ნენ და მსგავსი მაგალითი მრავლადა.
მაგრამ საზოგადოება მსგავს ამბებზე
ყურადღებას რატომღაც არ ამახვილებს.
იმდროინდელმა პრესამ ჩვენგან „დე-
მონთა არმია“ შექმნა.

**— რუსთაველის პროსპექტზე იმ-
ოფებოდნენ აგრეთვე ქართველი მილ-
იციელები, რომლებიც ასევე დაშავდ-**

**ნენ. რამ განაპირობა ჯარისკაცთა ასე-
თი აგრესია მილიციელთა მიმართ?**

— ჯარისკაცთა მხრიდან მილ-
იციელებზე თავდასხმის ფაქტები ნამ-
დვილად იყო და ამას მეც შევესწარი.
ჩემი აზრით, ეს იმან განაპირობა, რომ
მილიციელთა უმეტესობა მომიტინგე-
თა მხარეს დადგა, დაიწყა მათი დახ-
მარება და სწორადაც მოიქცა. მაგრამ
ამ ფაქტმა ზოგიერთი სამხედრო გააღი-
ზიანა. მეთაურები ყოველნაირად ვცდი-
ლობდით ჯარისკაცთა მსგავსი ქმედ-
ებების აღკვეთას, მაგრამ — ამოდ: ისინი
იმდენად იყვნენ განრისხებული, რომ
მათთვის რაიმეს დაშლას შედეგი არ
მოჰქონდა. განსაკუთრებით აგრესიუ-
ლად მედესანტეები იქცეოდნენ, რომ-
ლებიც ავლანეთიდან ახალდაბრუნებ-
ულნი იყვნენ. ნამდვილად არ ვისურ-
ვებდი 9 აპრილის ღამეს ქართველი
მილიციელების ადგილზე ყოფნას,
ძალიან რთული დილემის წინაშე იდგნენ
ის ბიჭები და მივიჩნევ, რომ სწორი
არჩევანი გააკეთეს. ისინი რომ არა,
მსხვერპლი უფრო დიდი იქნებოდა.

**— თქვენი აზრით, დემონსტრაცი-
ის დაშლას ამდენი ადამიანის სიც-
ოცხლე რატომ შეწინა?**

— ჩემი აზრით, პირველ რიგში,
ეს ნაჩქარევმა და არასწორად დაგეგ-
მილმა ოპერაციამ გამოიწვია. რუსთავე-
ლის პროსპექტის „გათავისუფლების“
გეგმა სულ რაღაც 3-4 საათში იქნა
შემუშავებული როდიონოვის, ფეიმო-
ვისა და ბაკლანოვის მიერ. იყო კიდევ
ერთი ფაქტორი: ჩვენ — შინაგანი
ჯარის წარმომადგენლებს გავლილი
გვქონდა სპეცკურსები, სადაც მსგავს
სიტუაციებში მოქმედების ნიუანსებს
გვაცნობდნენ და გვასწავლიდნენ მო-
ქმედების წესებს (მაგალითად, იმას,
რომ ქალების, მოხუცებისა და არას-
რულწლოვნების მიმართ სპეცილეთე-
ბისა და ხელკეტების გამოყენება არ
შეიძლება), მედესანტეებს კი მსგავსი
არაფერი სმენოდათ. ავლანეთში ნაო-
მარმა ჯარისკაცებმა მხოლოდ ხელ-

ჩართული ბრძოლის ელემენტები
იცოდნენ და სწორედ ამ ილეთებს
იყენებდნენ მომიტინგეთა წინააღმდეგ,
რაც, ცხადია, საშინელება იყო... ასევე
დიდი დანაშაული იყო ის, რომ მათ
მესანგრეთა ნიჩბები მისცეს, რადგან
ეს ცივი იარაღი მედესანტის ხელში
სასიკვდილო ხდება... თუმცა ხალხი
ძირითადად, მინც წარმოქმნილი ჭყლე-
ტისას დაიღუპა, რაც, კიდევ ერთხელ
ვიმეორებ, არასწორად დაგეგმილი
ოპერაციის შედეგია. მსხვერპლი,
დემონსტრანტებში მყოფი აგრესიუ-
ლი ელემენტების „დამსახურებაც“ იყო,
რადგან თავისი აგრესიული ქმედ-
ებით ისინი აქეზებდნენ სამხედროებს
და ხელს უშლიდნენ ხალხს პროსპექ-
ტის დატოვებაში.

**— გაქვთ თუ არა რაიმე კავშირი
თქვენს ყოფილ თანამებრძოლებთან?**

— საბჭოთა კავშირის დაშლის შემ-
დეგ ჩვენი პოლკი დაიშალა. ნაწილი
თადარიგში წავიდა, ნაწილმა კი სამ-
ხედრო სამსახური განაგრძო. მას შემ-
დეგ ბევრ მათგანზე არაფერი მსმე-
ნია. თუმცა, როგორც ვიცი, ჩემი რამ-
დენიმე ჯარისკაცი, რომელიც 9 აპრი-
ლის ღამეს რუსთაველის პროსპექტზე
იმყოფებოდა, ჩეჩნეთში დაიღუპა.
დღესდღეობით იმ მოვლენების მონაწ-
ილე მხოლოდ ორ ადამიანთან მაქვს
კონტაქტი. ჩემი საუკეთესო მეგობარი,
რომელიც მამის თბილისში იყო, ლეი-
ტენანტი მალკოვი შარშან გარდაიც-
ვალა კიბოთი.

— ამჟამად რას საქმიანობთ?

— დღესდღეობით ვცხოვრობ კრას-
ნოიარსკის ოლქში, ვმუშაობ ერთ-
ერთ რუსულ სატელეფონო კომპანი-
აში. მყავს ორი ქალიშვილი და ვზრ-
დი პატარა შვილიშვილს. მაქვს პატ-
არა ბალი, სადაც მაქვს მონყობილი
ლამაზი ორანჟერეა. მისი მოვლა უდი-
დეს სიამოვნებას მანიჭებს და მარ-
თალია, მცირე ხნით, მაგრამ მაინც
მავინწყებს ყველა იმ საშინელებას, რაც
თავს გადამხდა. ■


თალიზი
თბის გალანეარხის კლინიკა

გვ. 3336666 გ. 27 გ. 25 37 38
www.talizi.ge



პირველი პრაზიდენტის სულიერი დრამა „ხიბულაში“

„ამ არ იქნება გმირების იდენტიფიცირება რეალურ პერსონაჟებთან...“



ლალი პაპასკირი

— გიორგი, ვიცი, რომ ამ ფილმის გადაღების სურვილი ჯერ კიდევ 15 წლის წინ გქონდათ. აქამდე რატომ ვერ შეძელით ჩანაფიქრის რეალიზება?

— მოდი, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ცოტა შორიდან დავიწყებ: XX საუკუნის 90-იანი წლები ქართველი საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით კი ჩვენი თაობისთვის ძალზე მძიმე იყო, მაგრამ კინემატოგრაფისტთვის იმდენად მდიდარ და მრავალფეროვან მასალას წარმოადგენს, რომ შესაძლოა, ხელოვნების ამ დარგმა თავი მრავალი ათეული წლის განმავლობაში ვერც ამოწუროს. არადა, ქართველი კინემატოგრაფისტები ამ თემებზე მუშაობას ჯერჯერობით ერიდებიან. შესაძლოა, ამის ერთ-ერთი მიზეზი ის იყოს, რომ ჩვენი თაობა ამ ყველაფრის თანამონაწილეა და უჭირს იმ პროცესების უცხო თვალით, ასე ვთქვათ, შორიდან შეფასება... გულახდილად გეტყვი — ამჟამად, 90-იან წლებსა ვარ „მიჯაჭვული“, ვინაიდან იმ დროის სიმძიმე ჩვენმა თაობამ საკუთარ ტყავზე იწვინა. ცხოვრების საუკეთესო 10-12 წელი სრულ ვაკუუმში ცხოვრებამ მოგვინია, რაც ჩვენს ცნობიერებაზე აისახა... სწავლის დასრულების შემდეგ, 10 წლის განმავლობაში მომიწია ლოდინმა, ვიდრე პირველ სრულმეტრაჟიან ფილმს გადავიღებდი. განწყობილების გარდა, იმ წლებში კინოს გადაღების მატერიალური და ტექნიკური საშუალებაც არ იყო... აი, ეს არის ის სუბიექტური და ობიექტური მიზეზები, რომლის გამოც ამდენი წლის განმავლობაში ფეხს ვითრევდი. კიდევ ერთი: მიმაჩნია, რომ ეს თემა ეკრანზე გადასატანად ჯერ კიდევ არ იყო მომწიფებული.

— როგორც ვხვდები, ფილმში კონკრეტულად პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიანზე არ იქნება მოთხრობილი...

კინორეჟისორი გიორგი ოვაშვილი, რომელმაც ჩვენშიც და საზღვარგარეთაც ფილმით — „გაღმა ნაპირი“ — გაითქვა სახელი, წლეულსაც, უკვე მესამედ იყო მინვეული კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე, ოღონდ ამჯერად — არა ფილმით, არამედ — მომავალი ფილმის პროექტით. ძალზე საპასუხისმგებლო და გაბედული — ორი სიტყვით ასე შეიძლება შევაფასოთ შემოქმედის ჩანაფიქრი და ამას თავად გიორგიც იზიარებს...

„ხიბულა“ — სიტყვა, რომელიც აქამდე, როგორც სოფლის სახელი იყო ცნობილი, ახლა ფილმის სახელწოდებად მოგვევლინება. ეს ფილმი საქართველოს პირველი პრეზიდენტის უკანასკნელი 50 დღის ამსახველი საეკრანო დრამა იქნება...

— რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილია, მაყურებელს მაშინდელი საქართველო დავანახოთ, თავისი დადებითი და უარყოფითი მოვლენებით... ერთი რამ მინდა აღვნიშნო: ეს არ იქნება ბიოგრაფიული ფილმი, არც დოკუმენტური და არც მოვლენების ქრონიკის გადმოცემის პრეტენზია გვექნება. გვინდა, მაყურებელს რეალურ მოვლენებზე აგებული მხატვრული დრამა უჩვენოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ იქნება ჩვენი მთავარი გმირის ან სხვა პერსონაჟების იდენტიფიცირება რეალურ პერსონაჟებთან. ფილმში ვერ გაიგონებთ მათ გვარ-სახელსაც კი...

— როგორ?.. არც პრეზიდენტის?

— არა. მაგრამ ეს ამბავი საქართველოში ყველამ იცის და მაყურებელი იოლად მიხვდება, ვისზეა ლაპარაკი. ჩვენ არ გვაქვს ამბიცია, საზოგადოებას რაიმე ახალი სიმართლე ვუთხრათ და არც მტყუან-მართლის განსჯას ვაპირებთ. ეს იქნება ფსიქოლოგიური დრამა, ტრილერის ელემენტებით, სადაც მაყურებელს ერთი კონკრეტული ადამიანის ემოციურ, სულისშემძვრელ დრამაზე მოვუთხრობთ. ჩვენი გმირი არის ერის ლიდერი, რჩეული პიროვნება; სახიათდება როგორც დადებითი, ისე უარყოფითი თვისებებით. ერთ დღესაც იგი მთელ ქვეყანაზე, საკუთარ თავთან მარტო დარჩება და ეს სამყაროს მონწყვეტილი ადამიანი „საკუთარ თავში მოგზაურობს“, ცდილობს, დამოუკიდებლად იპოვოს გამოსავალი.

— როგორც აღნიშნეთ, არ მისდევთ რეალურად მომხდარ მოვლენებს. მით უფრო საინტერესოა, როგორ წარმოგიდგინათ პრეზიდენტის ცხოვრების დასასრული?

— ფილმის ფინალი ასეთი იქნება: მარტოდ დარჩენილი ად-

ამიანის სვლა დასასრულისკენ; ოღონდ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მინცდამინც თვითმკვლელობით დაასრულებს სიცოცხლეს. შესაძლოა, მოვლენები „ჩისში შევიყვანოთ“ და „ფილმის დასრულება“ მაყურებელს მივანდოთ... ერთი სიტყვით, „ხიბულას“ დასასრულთან დაკავშირებით განსაკუთრებულ სიფრთხილეს ვიჩნეთ. არ მინდა, ფილმში პოლიტიკური და სოციალური ელემენტები შევიტანო, რადგან ეს იქნება ერთი მარტოსული ადამიანის სულიერი დრამა. ასეთია ჩვენი ხედვა, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საზოგადოებას საკუთარ აზრებს ვახვევთ...

— სად იქნება გადაღებული?

— ძირითად სცენებს სამეგრელოში გადავიღებთ... მეტი ემოციისა და ინფორმაციის მისაღებად, უამრავ ადამიანს ვესაუბრეთ. სამეგრელოში, ზუგდიდიდან სოფელ ხიბულამდე, როგორც მანქანით, ასევე ფეხით მთელი ის მარშრუტი გავიარეთ, რომელიც იმ დროს პრეზიდენტმა გაიარა. ჩემთან ერთად იმყოფებოდა ფილმის პოლანდიელი სცენარისტი — რულოფ იან მინებო... მთებში, ტყეცა და თოვლში ფეხით ვიარეთ, რათა ის ემოცია განგვეცადა, რასაც მაშინ პრეზიდენტი განიცდიდა. ეს



ფილმის — „გაღმა ნაპირი“ სარეკლამო პლაკატი



ჩემთვის, ფილმის გადასაღებად აუცილებელი იყო, ვინაიდან ყველაფერი, რაც აქამდე სხვისგან მქონდა გაგონილი, თავად ვნახე. როცა საათობით, იმ მთებში მივდიოდი, ყველაფერი სხვაგვარად შევაფასე, რამაც ემოციური სურათის დახატვა გამიადვილა. მის მამინდელ სულიერ მდგომარეობასთან დაკავშირებით ბევრი შეკითხვა მქონდა და ის რთული მარშრუტი და იქ გატარებული მძიმე დღეები დამეხმარა, ბევრი კითხვისთვის გამეცა პასუხი... ყველა იმ ადამიანს შევხვდი, რომელთანაც ზვიად გამსახურდიას ჰქონდა ურთიერთობა; ვნახეთ ულამაზესი ბუნება, ხედვები, რომელიც ფილმს ემოციურად გამამაფრებს და დაგვცხმარება, სათქმელი მაყურებლამდე უფრო კარგად მივიტანოთ... გარდა ამისა, ეს ადგილები ძალზე კინემატოგრაფიულია და მომგებიანია ფილმის ვიზუალური მხარისთვის.

— პრეზიდენტის ცხოვრების რომელი პერიოდი იქნება ფილმში ასახული?

— „ხიბულაში“ მისი ცხოვრების ბოლო 50 დღე იქნება ასახული. კონკრეტულად, ეს არის 1993 წლის ნოემბრის ბოლოდან 31 დეკემბრამდე პერიოდი. თუმცა, როგორც გითხარით, ფილმში არ იქნება გადმოცემული ამბის დასასრული. ეს სურათი საზოგადოებას კითხვებს დაუტოვებს, რათა მან თავად გადაწყვიტოს, როგორი უნდა იყოს ფინალი.

— ფიქრობ, ყველასთვის განსაკუთრებით საინტერესოა — ვინ შეასრულებს მთავარ როლს?

— ჯერჯერობით არ ვიცი. ახლა დამოკიდებული ვართ ფილმის ბიუჯეტის შეგროვებაზე. არცთუ ისე მაღალბიუჯეტური ფილმია, მაგრამ საქართველოს პირობებში არც იმ თანხის მოზიდვა ადვილი, რომელიც იდეის განსახორციელებლად გჭირდება. თუ ფინანსებმა ამის საშუალება მოგვცა, ერთ-ერთ მთავარ როლზე მაინც გვინდა, მაღალი დონისა და ავტორიტეტის მქონე უცხოელი მსახიობი მოვიწვიოთ; თუ ეს ვერ შევძელით, მეორე მთავარ როლზე მაინც მოვიწვევთ ვინმეს. პრეზიდენტის როლს კი, აქამდე სრულიად უცნობ ადამიანს ვათამაშებთ, რომელსაც სასცენო გამოცდილება არა აქვს.

— ქართველი იქნება?

— დაახ... მესმის, რომ ერთგვარი რისკიც არის და ამ კუთხით დიდი მუშაობა მოგვიწევს, მაგრამ სამაგიეროდ, საინტერესო იქნება. ამ საპასუხისმგებლო და რთულ როლში ახალი სახის გამოჩენა მაყურებელში ინტერესს გამოიწვევს... საერთოდ, ყოველთვის, როცა ახალ ფილმზე ვმუშაობ, ცდილობ, ბევრ რამეს მაყურებლის თვალით შევხედო. როცა ადამიანი ახალ სუ-

რათში სტალინის ან ჰიტლერის შემსრულებლის სახეს ხედავს, ეს მას გარკვეულ დისკომფორტს უქმნის, რადგან ჩვენში მაინც ზის ჩამოყალიბებული, დაშტამპული ცოდნა ამა თუ იმ ცნობილი პიროვნების შესახებ და მისთვის ახალი სახის მორგება გვიჭირს...

— როგორც რეჟისორს, თქვენს წარმოსახვაში დაახლოებით მაინც თუ გყავთ წარმოდგენილი ადამიანი, რომელმაც მთავარი როლი უნდა შეასრულოს?..

— საინტერესო შეკითხვაა, მაგრამ პასუხის გაცემა მიჭირს... დაახ... რადგან მინდა, რომ ეს ადამიანი არაპროფესიონალი და უცნობი იყოს, როგორც რეჟისორი, ქვეცნობიერად ყველგან ვეძებ განსაკუთრებით საინტერესო სახეს, თუმცა სანამ გადავანყდე კონკრეტულ ადამიანს, არ ვიცი, როგორი იქნება... იცით, როცა „გალმა ნაპირის“ მთავარი როლისთვის მოზარდს ვეძებდით, ჩემი მეგობრები გაუდმებით მეკითხებოდნენ: ალგვიწერე, დაახლოებით როგორ ტიპუს ეძებო? — არ ვიცი, მაგრამ როგორც კი ვნახავ, გეტყვით, აი, ამ ადამიანს ვეძებდი-მეთქი... არც ამ შემთხვევაში მაქვს კონკრეტული კრიტერიუმები ჩამოყალიბებული. გამოგიტყდებით, რამდენიმე სახე მაქვს „მონიშნული“, მაგრამ ეს არ არის საბოლოო ვარიანტი. მთავარი როლის შემსრულებელზე ბევრი რამაა დამოკიდებული და ფილმის შინაარსისა და ხარისხისთვის ბევრ რამეს წყვეტს.

— დამეთანხმებით, რომ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, ძალზე გაბედულ ნაბიჯს დგამთ. ზვიად გამსახურდიას ოჯახის წევრებთან თუ გისაუბრიათ?

— დაახ, მესმის, რასაც მეკითხებით... არა, გამსახურდიას ოჯახის წევრებთან არანაირი ურთიერთობა არ გვაქვს, მაგრამ მზად ვართ მათთან შესახვედრად და სათანამშრომლოდ. სცენარის ერთ-ერთი ბოლო ვერსია მალე დასრულებული იქნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მზად ვართ, მათ მიერ დასმულ ყველა კითხვას ვუპასუხოთ, ნებისმიერი რჩევა ან შენიშვნა გავითვალისწინოთ... მთავარია, რომ ეს იქნება მხატვრული ფილმი ადამიანზე, რომელიც მთელ ერს და მამინდელ ეპოქას ეკუთვნის. ეს რომ ბიოგრაფიული ფილმი იყოს, პრეზიდენტის ოჯახის წევრებთან მართლაც, მექნებოდა შეკითხვები, ამ სურათში კი, როგორც ვთქვი, პიროვნების იდენტიფიცირება არ მოხდება...

— ფილმის სრული დაფინანსების საკითხი საბოლოოდ როდის მოგვარდება?

— ჯერჯერობით მხოლოდ ნაწილობრივაა მოგვარებული: პროექტში უკვე მონაწილეობს ფრანგული კომპანია „არ-

იზონა ფილმი“; ნაწილობრივ მიღწეულია შეთანხმება ერთ-ერთ ქართულ კომპანიასთან, მაგრამ რადგან ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის გადაწყვეტილი, მისი დასახელებისგან თავს შევიკავებ...

— პროექტით — „ხიბულა“ კანის ფესტივალზე იყავით მინვეული. ეს რას ნიშნავს?

— კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე ყოველ წელს, პერსპექტიული პროექტების შერჩევა ხდება. ფესტივალის ხელმძღვანელობა წლის განმავლობაში, 15 ქვეყნის წარმომადგენლის პროექტს განიხილავს და მათ ახალი ფილმების რეალიზებაში ეხმარება. ძირითადად, იმ რეჟისორებთან თანამშრომლობენ, რომლებმაც თავიანთი ნამუშევრ-



ეს იქნება მხატვრული ფილმი ადამიანზე, რომელიც მთელ ერს და მამინდელ ეპოქას ეკუთვნის

ბით, ასე თუ ისე, სათქმელი თქვეს... ერთწლიანი მუშაობის შემდეგ, როგორც გითხარით, კომისია არჩევს 15 მონაწილეს და ამ ფილმების რეალიზების კონტროლს თავად ახორციელებს; ეხმარება ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების გაფორმებაში, პროდიუსერების მოძიებაში... ჩემს შემთხვევაში, ფესტივალის ხელმძღვანელები „გალმა ნაპირით“ დაინტერესდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა — კომპანია „სინე ფონდერსონის“ დირექტორმა ჩემთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა. მითხრა, რომ ძალიან მოეწონა ჩემი ნამუშევარი და ახალი პროექტებითაც დაინტერესდა... ორიოდ თვის წინ შეგვატყობინეს, რომ ახალი პროექტი — „ხიბულა“ კანის ფესტივალზე იყო მინვეული და გვთხოვეს, სცენარის საბოლოო, ფესტივალზე წარსადგენი ვერსია გაგვეკეთებინა. თითქმის ფინალში ვართ გასული და იმედოვნებ, ახლო მომავალში სცენარის საბოლოო ვერსიაზე მუშაობას დავასრულებთ.

— გადაღებები სავარაუდოდ, როდის დაიწყება?

— ალბათ, წლის ბოლოს ან 2012 წლის დასაწყისში დავიწყებთ, ვინაიდან „ხიბულას“ ნატურაში აღწერილია გვიანი შემოდგომა და ზამთარი...

— წარმატებებს გისურვებთ!
— გამადლობთ!



სახე

საქმიანი ბიჭოლას უკრაინელი საბრფო

„არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს ოჯახში არაქართველი მეუღლე შემოვიღას“

ამას წინათ, საქმიან და მხიარულ ბიჭოლას თავის საყვარელ სილამაზის სალონში უნდა შეხვედროდი, მაგრამ დანიშნულ დრომდე 5 წუთით ადრე, სალონიდან ლამის ასტრონომიული სისწრაფით გამოვარდა და ტაქსიში ჩაჯდა. ჩვენმა ფოტოგრაფმა მისთვის სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო... ბოლო დროს, „გადარბენა-გადაფრენაზე“ მყოფ დიზაინერთან შეხვედრა მანც მოვახერხე.

ითო ყორღანაშვილი

— ბიჭოლა, დაბნეული ადამიანი ხარ თუ — უპასუხისმგებლო?

— არა, პირიქით: პასუხისმგებლობის გრძობა გამძაფრებელი მაქვს. ველოდი, რომ დამირეკავდი...

— კი, მაგრამ შეხვედრის დროსა და ადგილზე ხომ შევთანხმდით, რატომ უნდა დამერეკა?

— რა ვიცი... საერთოდ, ძალიან პუნქტუალური ვარ. შეხვედრაზე დროზე ადრეც კი მივდივარ ხოლმე.

— კარგი, მითხარო, რა სიახლეები შენს ცხოვრებაში?

— 2 დღეში კიევში მივფრინავ, იქიდან — ყაზახეთის მოდის კვირეულზე, სადაც კომპანია — „ანუკი და ბიჭოლას“ ერთ-ერთი დიზაინერი — ანუკი არეშიძეც ჩამოვა. ჩვენება კვირეულის ბოლო დღეს გვაქვს. ამისთვის დიდი შემართებით ვემზადებით.

— ბიზნესის თვალსაზრისით, თქვენი საქმიანობა ამართლებს?

— რადგან ახალი ბრენდი შექმენით, მხოლოდ ბიზნესზე ორიენტირებული არ ვართ. აქცენტს შემოქმედებაზე უფრო ვაკეთებთ. ბიზნესზე ფიქრისთვის საკმაოდ პატარები ვართ, თუმცა ჩვენ მიერ შექმნილ კოსტიუმებს საკმაოდ სოლიდური ფასი აქვს, უკვე კარგი კლიენტებიც შევიძინეთ, ყაზახეთის მოდის კვირეულზე უკეთესს შევიძინეთ...

— ძალიან კარგი. ბიჭოლა, სალონში ბევრ დროს ატარებ?

— ძალიან!

— სტილისტებთან საჭიროად უფრო სზირად დადისხარ თუ — თავის მოვლის მიზნით?

— საჭიროად — არა, რელაქსაცია, მასაჟი, სოლარიუმი მიყვარს... თავს კარგად ვგრძნობ, როცა სუფთა, მონესრიგებული, გალამაზებული ვარ.

— თავის მოვლისას, განსაკუთრებულ ყურადღებას რას უთმობ — წარბების კორექციას, ფრჩხილების მოვლას?..

— „ზაგარს“. საერთოდ, პუტკუნა ადამიანებს გარუჯვა უხდებათ, რადგან, როცა



უკვე კარგი კლიენტებიც შევიძინეთ

ადამიანი თეთრია, უფრო „მსუყე“ ჩანს.

— პუტკუნა ცნობილმა სახეებმა წონაში დაიკლეს ან დაკლებას ცდილობენ. შენ არ აპირებ?

— თავს კარგად ვგრძნობ. დიეტები ნერვებზე ცუდად მოქმედებს, ნერვები — ფსიქიკაზე. მომწონს როგორც ვარ, ჩემი ცხოვრების რიტმით სრულიად კმაყოფილი ვარ. ისე, როცა მეტი ვარჯიში კარგი იქნებოდა.

— შექლებისდაგვარად, ჯანმრთელი ცხოვრების წესს მისდევ?

— ვერ ვახერხებ. როგორი დაუჯერებელიც უნდა იყოს, მართალია, 22 წლის ვარ, მაგრამ მუშაობას დილის 10 საათიდან ვიწყებ და საღამოს 10 საათამდე საქმიანი შეხვედრები, „პრიმერკები“, „გადარბენა-გადმორბენები“, „გადაფრენა-გადმოფრენები“ მაქვს...



თავს კარგად ვგრძნობ, როცა სუფთა, მონესრიგებული, გალამაზებული ვარ



— მეგობრებისთვის იშვიათად სანახავი ხარ?

— არა, ლამით, საქმეების შემდეგ, ენერჯია იმისთვის მრჩება, რომ ბრენდი „ბიჭოლა“ სხვადასხვა ღონისძიებებზე საკუთარი თავით „ვაპიარო“, ჩემი და ანუკის კომპანიისთვის კარგი რეკლამა ვიყო...

— ეი, გართობის დროსაც საქმეზე ფიქრობ?

— კი, კი. გართობის დროს საქმეს ვაკეთებ — „პიარზე“ ვზრუნავ.

— ყველაზე კარგად როგორ ერთობი?

— როცა საქართველოში არ ვარ, სადმე ისეთ კლუბში ვიმყოფები, სადაც ყველა ისე არ შემომციცინებს, როგორც სუპერვარსკვლავს, ჩვეულებრივად მეპყრობიან, მაგრამ მაინც ყველგან ყურადღების ცენტრში ვხვდები.

— სხვათა შორის, წელან კაფეში შემოსულმა უცებ ვერ შეგნა და ვიცი თუ, — ბიჭოლა აქ არის-მეთქ?

— ეგ ვინაა? — მიპასუხეს.

— როდის? ნუ, რა მეთქმის...

— თუმცა ეჭვი არ მეპარება, რომ ძალიან ბევრი ადამიანი გიცნობს. თაყვანისმცემლების რაოდენობას არ უჩივი?

— არა, ძალიან მომრავლებულები არიან.

— განუხებენ?

— არა. ერთი-ორი ადამიანი დღეში ასჯერ მირეკავს, მაგრამ სხვა მხრივ, თავს არ მახეზრებენ, პირიქით — ყველა ის ადამიანი, ვისაც ძალიან ვუყვარვარ, ჩემთვის სტიმულია, რომ საქმე კიდევ უფრო წარმატებულად ვაკეთო. „ფეისბუქზე“ უამრავი მეგობარი მყავს. თითქმის ყველა სოციალურ ქსელში ჩართული ვარ, რომ ჩემ მიმართ ადამიანების პოზიტიური თუ ნეგატიური აზრი გავიგო. სხვათა შორის, ნეგატიურ შეფასებებსაც ჯანსაღად ვიღებ, — საკუთარი აზრის გამონათვის უფლება ყველას აქვს.

— ძირითადად, რომელი სექსის თაყვანისმცემლები განუხებენ?

— ძირითადად — ბავშვები. „ბაღის ბავშვის პროექტის“ შემდეგ, მათ ძალიან შევუყვარდი. დღეს მანქანიდან ქუჩაში რამდენიმე წამით გადავედი (მალაზიაში შევედი) და პატარები „ბიჭოლას“ ძახილით მაშინვე ჩემკენ გამოექანნენ. ეს ჩემთვის ძალიან დიდი სტიმულია. მისარია, რომ ამდენ ბავშვს ასე ვუყვარვარ. თინეიჯერი გოგონები რომ მირეკავენ, ხმას არ იღებენ და მერე იცინიან, ეს ცოტა გამაღიზიანებელია.

— ბიჭოლა, თბილისის ენ. ბომონდური საზოგადოებიდან განსაკუთრებულად ვისთან მეგობრობ?

— ანუკი არემიძესთან, თიკა ჯამ-



არ გამოვრცხავ, რომ ჩემს ოჯახში არაქართველი მეუღლე შემოვიდეს

ბურიასთან, მარიკა თხელიძესთან, ნინი ქარსელაძესთან, შორენა ბეგაშვილთან, ნანკა კალატოზიშვილთან, ნინი ბადურაშვილთან, ჯიჯი რეჯინთან...

— განსაკუთრებულად ვისთან მეგობრობ-მეთქი ანუ შენი ენ. „ბესტ ფრენდი“ ვინაა?

— ჩემი „ბესტ ფრენდები“ უფრო არაპოპულარული ხალხია, თუმცა მათ შორის, ცნობილებიც არიან... მყავს

ბავშვობის რამდენიმე მეგობარი, რომლებთანაც თავს უფრო შინაურულად ვგრძნობ.

— ბიჭოლა, ყოველთვის კარგ განწყობილებაზე ხარ. საერთოდ, რაიმე პრობლემა გაქვს?

— პრობლემა ყველა ადამიანს აქვს. ვცდილობ, ჩემ გარშემო აურა გაენმინდო და კარგი განწყობილება შევიქმნა. მართლაც ყოველთვის მხიარული ვარ. ჩემი პრობლემა ჩემთან რჩება, როცა სახლში, მარტო ვარ... გარეთ ხალხისანი, კარგი ემოციებით დამუხტული ვარ, რათა ჩემ გარშემო მყოფები ჩემ მიმართ კეთილგანწყობილები იყვნენ.

— ცოლის მოყვანას არ აპირებ?

— ამ ეტაპზე — არა. მთლიანად ჩემს კარიერაზე ორიენტირებული ვარ, რომელიც ევროპაში ძალიან წარატებული უნდა იყოს. ამის შემდეგ, არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს ოჯახში არაქართველი მეუღლე შემოვიდეს.

— „არაქართველი“ ასე საზგასამით რატომ აღნიშნე — შენს ცხოვრებაში „ვინმე კონკრეტული“ არის თუ ქართველი გოგონები არ მოგწონს?

— კიევში მეგობარი მყავს, რომელთანაც „დავდივარ“...

— უბრალოდ მოგწონს თუ უკვე გრძნობა გაქვს მის მიმართ?

— ჯერ არ ვიცი... ჩვენს ურთიერთობაში თუ რაიმე სიახლე იქნება, აუცილებლად შეგატყობინებთ.

ყოველ პარასკევს, ჟურნალ „საბავშვო კარუსელთან“ ერთად, გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფიების თითო წიგნი!

16

16

22-დან 29 აპრილამდე

მალი! დიდი ქართველების ბიოგრაფიები. პირველი ტომი - ვახტანგ გორგასალი

გამოჩენილი ადამიანების ბიოგრაფია

წიგნების სურია ბავშვებისთვის

წიგნის ფასი: 2.50 (ჟურნალთან ერთად 3.50)



თეონა კოროშინაძე — უკოვალესო, მხიარული გოგონა, სწავლიანი თავგადასავლით



პროექტ „ნოტიერის“ ამერიკიდან ჩამოსულმა ქართველმა კონკურსანტმა — 23 წლის თეონა კოროშინაძემ მაცურებლებს სიმღერითა და უშუალოდ დაამახსოვრა თავი. თეონა თავისი უკომპლექსობით ხალხს ამერიკაშიც აოცებდა: ზამთარში, ნიუ-იორკის კლუბის სცენაზე საცურაო კოსტიუმითაც კი ავიდა და იქ მყოფ საზოგადოებას ახალი წელი სიმღერით მიულოცა... ამ მხიარულ გოგონას სევდიანი ცხოვრებისეული ამბავი აქვს...

თუო ყორღანაჟილი

— დედაჩემი მომღერალი და კომპოზიტორი — ეთერ იოსებძე გახლდათ. ქართული ფილმებისთვის — „ჩარირამა“, „სიყვარული ყველას უნდა“, „მხიარული რომანი“, „მოიტაცეს თამარ ქალი“ — სიმღერები შეასრულა. მამაჩემი მორაგბე იყო. მასთან ურთიერთობა თითქმის არ მაქვს. დედაჩემი ჩემზე მშობიარობას გადაჰყვა. ჯერ ბიცოლა და ბებია მზრდიდნენ, შემდეგ ბიცოლა გარდაიცვალა და ჩემი აღზრდა ბებიამ ითავა — მან მიშვილა. 4 წლის ასაკიდან ამერიკაში ვცხოვრობ.

— იქ როგორ მოხვდი?

— ერთხელ ბებია ამერიკაში მცხოვრებ ჩემს დეიდასა და ბიძასთან გახლდათ. დეიდა ბებიას ურჩია — სცადე, იქნებ Green card-ი მოიგო. სცადა და მართლაც მოიგო. ბებიამ და ბაბუამ დედაჩემის საფლავის გვერდით ადგილი შეინახეს — გვინდა, დედაშენის გვერდით დაგვასაფლავონო და ამერიკაში გავემგზავრეთ...

— ამერიკაში ცხოვრებას როგორ შეეგუა?

— როცა სკოლაში მივედი, ცოტათი გამიჭირდა: იქ ცივი ბავშვები არიან — თუ ინგლისური არ იცი, ცუდად გექცევიან. ნელ-ნელა ყველაფერს შევეჩვიე, ძალიან ბევრი მეგობარი შევიძინე... სკოლის დამთავრების შემდეგ, 3 წლის განმავ-

ლობაში სწავლის გაგრძელება არ მიცდიდა — ნიუ-იორკის კლუბში სიმღერით ძალიან ბევრ ფულს ვშოულობდი: ერთ საღამომი 300 დოლარი 18 წლის გოგონასთვის ცუდი შემოსავალი არ იყო. კვირაში 4 დღეს ვმუშაობდი. საკუთარი შემოსავლით მანქანა ვიყიდე. მერე საცხოვრებლად ცალკე გადავედი. ვამბობდი, — რატომ უნდა ვისწავლო, როცა ამდენი ფული მაქვს-მეთქი?

ლობაში სწავლის გაგრძელება არ მიცდიდა — ნიუ-იორკის კლუბში სიმღერით ძალიან ბევრ ფულს ვშოულობდი: ერთ საღამომი 300 დოლარი 18 წლის გოგონასთვის ცუდი შემოსავალი არ იყო. კვირაში 4 დღეს ვმუშაობდი. საკუთარი შემოსავლით მანქანა ვიყიდე. მერე საცხოვრებლად ცალკე გადავედი. ვამბობდი, — რატომ უნდა ვისწავლო, როცა ამდენი ფული მაქვს-მეთქი?

— შენი ნათესავები შენს გადაწყვეტილებას როგორ შეხვდნენ?

— იცოდნენ, რომ თუკი რამეს ამიკრძალავდნენ, მაინც ჩემს აზრზე დავრჩებოდი. ამიტომ მითხრეს: ვიცით, რომ ცუდს არაფერს ჩაიდნო და საცხოვრებლად მარტო გამიშვეს.

— მუსიკალური განათლება გაქვს?

— დედაჩემი — ნათელა იოსებძე მამეცადინებდა. საქართველოში ყოფნისას, ის „ორიველაში“ მღეროდა. ფილმისთვის — „სიყვარული ყველას უნდა“ ერთ-ერთი სიმღერა შეასრულა. თავისი საქმე ამერიკაშიც განაგრძო... ამერიკაში, მე და ჩემი დეიდაშვილის შვილი სულ ერთად ვმღეროდით: კონკურსებზე, ღონისძიებებზე... პიანინოზე დაკვრაც შემძლია (დეიდაშვილმა მასწავლა), თუმცა დიდი ხანია, არ დამიკრავს. ოჯახში ყველანი მუსიკოსები ვართ. ამერიკაში ჩვენი მუსიკალური სკოლაც გავხსენით. სხვათა შორის, სანამ სიმღერას დავინწყებდი, ვცეკვავდი: დედაჩემმა თითქმის ყველა სტილის ცეკვის წრეზე შემეიყვანა.

— სიმღერა როდის დაიწყო?

— დეიდა მეუბნებოდა, — გარდატეხის ასაკში მთელი დატვირთვით სიმღერა არ შეიძლებაო. 15 წლის ასაკში აქტიურად დავიწყე სიმღერა.

— ნელან ახსენე, დეიდაშვილის შვილთან ერთად კონკურსებზე გამოვდიოდით. რაიმე წარმატებას თუ მიაღწიეთ?

— 2004 წელს მე და ჩემი დეიდაშვილის შვილი 1-კვირიან კონკურსზე — World Championships of Performing Arts გავვდი, რომელშიც 42 ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა. მათ შორის, საქართველოდან ძმები — ირაკლი და თორნიკე გულაშვილებიც იყვნენ. ბიჭებმა პირველი ადგილი დაიკავეს, ჩვენ კი გრანპრი ავიღეთ. მაშინ 15 წლის ვიყავი. კონკურსის შემდეგ, ძალიან ბევრი შემოთავაზება მივიღეთ, მაგრამ ჩვენ გამო, ოჯახის წევრები სამსახურებს ვერ მიატოვებდნენ და კალიფორნიაში ვერ გადასახლდებოდნენ. ამაზე გული მწყდება...

— კლუბში მუშაობა როგორ დაიწყო?

— ნიუ-იორკში, ერაყიდან დაბრუნებულ ჯარისკაცებს საზეიმო საღამო გაუმართეს, სადაც მე და ჩემი დეიდაშვილის შვილიც მიგვიწვიეს. 2 სიმღერა შევასრულეთ. ერთი კაცი მოვიდა და გვითხრა: ჩემი კლუბი მაქვს და თუ სურვილი გაქვთ, იქ იმღერეთო. თავდაპირველად, არ გვიდოდა, მაგრამ ხელფასის შესახებ რომ გვითხრა (იცინის)... შემდეგ დეიდაშვილმა კლუბში სიმღერას თავი დაანება: სკოლის დამთავრების მერე, სწავლა უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე განაგრძო, მე კი სულელი ვიყავი...

— ეი. ნანობ?

— არ ვნანობ, რადგან კლუბში სიმღერა ძალიან გამომადგა, მაგრამ სწავლა თავის დროზე რომ გამეგრძელებინა, ახლა უკვე მეხუთე კურსის სტუდენტი ვიქნებოდი. 3 წელი კიდევ უნდა ვისწავლო. გული ამიტომ მწყდება.

— როგორც მიგხვდი, ამჟამად სწავლობ. კლუბში სიმღერა მოგწყინდა, თუ რა მოხდა?

— ერთხელ გავცივდი და ერთი



თვის მანძილზე ხმა დავკარგე. ამ დროს თავში რაღაც „გადამიტრიალდა“, დაფიქრდი: ერთ დღესაც სიმღერა რომ ველარ შევძლო, რა მესველება? ან როცა ასაკი მომემატება, ჩემი ხმით აღარ დაინტერესდებიან-მეთქი. შევმინდი. არ მინდა, სახლში დავჯდე და ფულის სათხოვნელად ქმარს მივმართო. ამიტომ სწავლა გადაწყვიტე, რომ მეორე პროფესია მქონოდა.

— რა პროფესიას ეუფლები?
— მეან-გინეკოლოგის. ყველა მეუბნება, ალბათ, ეს პროფესია დედაშენის გამო აირჩიეო. არ ვიცი, შეიძლება, ასე... ბავშვები ძალიან მიყვარს.

— დამოუკიდებლად ცხოვრება არ გაგიჭირდა?

— რთული საერთოდ არ იყო, რადგან უამრავი ადამიანის გარემოცვაში გავიზარდე: ერთ სახლში ბევრნი ვცხოვრობდით, სულ ქაოსი იყო... მარტოობა მიყვარს. 2 წელი მარტო ვცხოვრობდი, 1 წელი — ჩემს ამაჟამად უკვე ყოფილ შეყვარებულთან ერთად. ერთმანეთს 3 წლის განმავლობაში ვხვდებოდით. მასთან თანაცხოვრებისას მივხვდი, რომ მთელი ცხოვრების მის გვერდით გატარება არ მინდოდა.

— ის შენი პირველი სიყვარული იყო?

— არა, მგონი, შეჩვევა უფრო იყო, ვიდრე — სიყვარული. მას სინანულის გარეშე დავშორდი, არც მიტირია... არ მომწონს, რომ საქართველოში ნაადრევად თხოვდებიან, მერე კი ქმრებს შორდებიან.

— შეყვარებულთან თანაცხოვრებისას, მისი ისეთი რა უარყოფითი

თვისებები აღმოაჩინე, რაც თქვენ დაშორების მიზეზი გახდა?

— ებრაელი იყო. შეიძლება, რელიგიური ადამიანი არ ვარ — სხეულზე სვირინგები მაქვს, მაგრამ ღმერთის მწამს და მართლმადიდებლური ქორწილი მინდა. როცა პატარა ვიყავი, ამას ყურადღებას არ ვაქცევდი... თან, ჯერ ჩემი მეუღლე არ იყო და უკვე რაღაცებს მიკრძალავდა! ყოფილი შეყვარებული უზბეკი იყო, მე კი ქართველი ქმარი მინდა, მაგრამ ქართველ კაცებს ვერ ვუგებ.

— რატომ?
— როცა შეიტყობენ ხოლმე, რომ ამერიკაში ვცხოვრობდი, თავში მხოლოდ ერთი ღამის გართობა უტრიალებო. ჩემი, როგორც ადამიანის გაცნობა არ აინტერესებო. ასეთი ადამიანების მიმართ ზიზღის გრძნობა მიჩნდება... მაგრამ მაინც ქართველი, მორავბე ქმარი მინდა (იცინის)!..

— ამჟამად, საქართველოში პროექტ „ნიჭიერში“ მონაწილეობის გამო ჩამოსხვედი?

— ავიკვიატე, რომ საქართველოში უნდა გამოვმგზავრებულიყავი — სხვა არაფერი მაინტერესებდა! წელს უნივერსიტეტში საბუთების შეტანა დავაგვიანე და 1 სასწავლო წელი გამიცდა. სახლში ჯდომა არ მინდოდა.

— კლუბში აღარ მღეროდი?

— სამედიცინო ფაკულტეტზე სწავლასთან კლუბში სიმღერის შეთავსება რთულია. როცა უნივერსიტეტში სწავლა დავიწყე, სიმღერა შევწყვიტე.

— მერე, შემოსავალი?

— ფინანსურად ჩემი შეყვარებული მეხმარებოდა — მაშინ ერთად ვიყავით. ასლა ჩემი ნათესავები მეხმარებიან. თან, ამერიკაში ჩვენ მიერ გახსნილ სკოლაში შემოსავლის ჩემი წილი მეც მაქვს... საქართველო ძალიან მომენატრა. ვფიქრობდი, მამა საქართველოში რომ მნახავს, იქნებ ჩემთან დაახლოება მოუნდეს-მეთქი. მსურს, მასთან კარგი ურთიერთობა მქონდეს, მაგრამ თავად არ უნდა...

— შენი ბედით თავად არასოდეს დაინტერესებულა?

— კარგი ურთიერთობა გვქონდა, ტელეფონით ვკონტაქტობოდი. 16 წლის რომ გავხდი, ამერიკაშიც მესტუმრა. მან იქ ცხოვრება არ ისურვა... ამას წინათ, მამიდამ მამისთვის მიწერილი ჩემი წერილების დასტა მაჩვენა (ილიმის)... უნივერსიტეტში სწავლა რომ დავიწყე, 30 ათასი დოლარი (ერთი სასწავლო კურსის საფასური) არ მქონდა. ბებიამეც თბილისში სახლი ჰქონ-

და, რომელიც დედაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ჩემი და დედის სახელზე იყო გაფორმებული. სახლი გაყიდა. ეს მამას არ ესიამოვნა. ალბათ იფიქრა, რომ საქართველოში აღარ დავბრუნდებოდი... მაშინ სწავლის ფული მჭირდებოდა. მამა არ მომცემდა და რა მექნა? თავისებური კაცია...

— რამდენიმე თვეა, საქართველოში ხარ. მამას შეხვდი?

— რაგბის თამაშზე ვიყავი. მამა რაგბის ფედერაციაში მუშაობს. ვი-



ლაცას ვთხოვე, — შეგიძლიათ, ვასო კოროშინაძეს დაუძახოთ-მეთქი? დაუძახეს. რომ მოვიდა, მე დავხვდი.

— როგორ შეგხვდა?

— ხალხის თანდასწრებით, ძალიან კარგად მიმიღო. ცოტათი ვიტყვი... სამწუხაროდ, მასთან ურთიერთობისას მხოლოდ მე ვაქტიურობ.

— ამჟამად, საქართველოში რას საქმიანობ?

— ერთ-ერთ კლუბში ვმღერი.

— „ნიჭიერში“ როგორ მოხვდი?

— დედაჩემთან დაკავშირებით, მათა ასათიანი გადაცემის გაკეთებას აპირებდა. მასთან მისულს იქ მარინა ბერიძეც დამხვდა, რომელიც დედაჩემს კარგად იცნობდა. ჩემი ნამღერი რომ მოისმინა, მითხრა: „ნიჭიერში“ მონაწილეობა მიიღეო. პროექტის გამო, მეშვიდე თვეა, რაც საქართველოში ვარ.

— მანამდე საქართველოს არ სტუმრობდი ხოლმე?

— არა. მხოლოდ 3 წლის წინ, ბაბუის დაკრძალვაზე ჩამოვედი...

— „ნიჭიერის“ დასრულების შემდეგ, რას აპირებ?

— ამერიკაში აუცილებლად უნდა დავბრუნდე და სწავლა განვაგრძო.





სოსო თოლორაიას ამერიკული სსოვრება

„ვსდილოვ, ორშაბათი არ „გავაშაბათო“

ქართველი მსახიობი, შოუ-ბიზნესის ერთ-ერთი წარმომადგენელი, შოუმენი და წარსულში არაერთი პროექტის წამყვანი — სოსო თოლორაია 6 წლის წინ ბედის საძებნელად ამერიკაში წავიდა. ჰოდა, ბედი ეძება, იპოვა და ცოლადაც მოიყვანა. ამერიკული ცხოვრების შესახებ, სოსოსთან ინტერვიუ ლამის 3 საათზე ჩავენერე (ჩვენი დროით), მაგრამ სტატიის წაკითხვის შემდეგ, ალბათ დაემთხმებით, რომ ლამის გათენება ღირდა.

ელენე ბანილია

— სოსო, როგორ ხარ?

— არაჩვეულებრივად, შედარებაც არ შეიძლება იმასთან, როგორც ადრე ვიყავი...

— როცა საქართველოდან მიდიოდი, ქართულ შოუბიზნესში დიდი „უძრაობის ხანა“ იდგა, ამანაც ხომ არ განაპირობა შენი წასვლა?

— მასსოვს „ძალიან კორუმპირებული“ შევარდნაძის დრო, როცა დღეში 7-8 კონცერტი იმართებოდა და მომღერლები კონცერტიდან კონცერტზე თავკუთმოდგელივით გარბოდნენ. ბოლოს ძალიან დაიძაბა სიტუაცია, დაიწყო მკვლევლობების სერიები... ამ დროს „მეცხრე არსზე“ ვმუშაობდი და ერთ დღესაც, არსი დაიხურა. ჩემი წამოსვლა რამდენიმე მიზეზმა განაპირობა და, რა თქმა უნდა, ამის მიზეზი 15-ლარიანი ხელფასიც იყო. მასსოვს ის დროც, როცა ჩემს მეგობრებთან ერთად ვიდეო მიტინგზე და, — შევარდნაძე, ნადი-მეთქი — ვყვიროდი. სხვადასხვა პოლიტიკური ძალა ერთმანეთს რომ დაუპირისპირდა, ყველა პოლიტიკურული გახდა. ძალიან მინდა, რომ საქართველოში ხალხი იყოს ბედნიერი და არა კონკრეტული ადამიანები. მგონი, 5 მილიონი ადამიანის გაბედნიერება პრობლემა არ უნდა იყოს. ჩვენი ერი იმდენად ნიჭიერი და ისეთი გენის მატარებელია, შეძრავს პლანეტას! ამას წინათ, ხორვატიას გოლი რომ გაუტანეთ, ხომ იყო მთელი საქართველო ერთ მუშტად შეკრული? აი, ყოველდღე ასე უნდა ვიყოთ და ქვეყანას ავაშენებთ კი არა, „დედას ვუტირებთ“. კიდევ ვიმეორებ, ქართველი ადამი-



რთული იყო 2 წლის შვილის დატოვება და 100 დოლარით უცხო ქვეყანაში წასვლა

ანი ძალიან ნიჭიერია და აქ განსაკუთრებით ცხადად ჩანს ჩვენი ნიჭიერება. თუ აქაურები ამა თუ იმ პროფესიის შესწავლას 1 წელი უნდებოდა, ქართველებს იმავე საქმის კეთება რამდენიმე კვირაში გამოსდით. დიდი პოტენციალი გვაქვს.

— როგორია ამერიკული ცხოვრება?

— ქართველები თუნდაც ტურისტულად, ერთხელ მაინც უნდა ჩამოვიდნენ აქ და ნახონ, რომ დილის 6 საათზე გაღვიძება ამერიკელებს ჩვეულებად აქვთ. მიდის გადარბენა-გადმორბენა, ყავის „დათრევა“, გზაში ჭამა... ზოგი სად მიდის, ზოგს — სად ეჩქარება... საქართველოში 6 საათზე მეუზოვეებიც კი არ იღვიძებენ. ხომ წარმოგიდგენია, აქ რომ ჩამოვედი, რა დღეში აღმოვჩნდებოდი?!

— როგორც ვიცი, ამერიკაში 2005 წელს წახვედი, არა?

— კი, 13 თებერვალს ჩამოვედი ამერიკაში. წმინდა ვალენტინის დღე იყო და ამ დღეს მუდამ აღვნიშნავ. განვლილი 6 წელი ისეთივე იყო ჩემთვის, როგორიც ყველა ემიგრანტისთვის... რთული იყო 2 წლის შვილის დატოვება და 100 დოლარით უცხო ქვეყანაში წასვლა. აქ ახლობელ-მეგობრები მელოდებოდნენ და ვიცოდი, რომ სულ უპატრონოდ არ ვიქნებოდი. ქართველმა ემიგრანტებმა დიდი პატივი მცეს, ლუკმა გამიზიარეს და თავიანთი სანოლიც კი დამითმეს. დიდ პატივს ვცემ ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც თავის დროზე „მიმეგზურეს“. დღეს მე მაქვს

იმის სტიმული, რომ იგივე გავაკეთო სხვებისთვის. აქ მცხოვრებ ქართველებს პატარა საქველმოქმედო ორგანიზაცია აქვთ და საქართველოში მცხოვრებ გაჭირვებულ ადამიანებს ესმარებიან. მათ ძირითადად, რომელიმე ფართი ან დაბადების დღეზე ვხვდები. ვცდილობ, დრო ფუჭად არ დავეკარგო და ორშაბათი არ „გავაშაბათო“. უცხო ქვეყანაში ჩასვლა და დაფუძნება იმაზე რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმომეძგინა. თავდაპირველად საბუთები არ მქონდა, ენაც არ ვიცოდი და ძალიან მორცხვი ტიპი გავიჩინეთ. სანამ ჩემს ადგილს ვიპოვიდი,

სხვადასხვა შტატში ვიცხოვრე და რადგან პრაქტიკულად მხოლოდ რუსული ვიცოდი, ძირითადად, რუსებთან მიწვევდა სამსახურის ძებნა.

— ზეწო რუქი ცხოვრობს ამერიკაში?

— კი, საკმაოდ... ამ რუსებსაც თავიანთი ბედნიერება თავისნაირი ემიგრანტების ჯაფა-წვალელებზე აქვთ აწყობილი.

— ეგ როგორ?

— როგორ და, ემიგრანტების ის ნაწილი, რომელიც ლეგალურად ცხოვრობს და შესაძლებლობა აქვს, სამუშაოდ სხვები აიყვანოს, იმათ ასაქმებს, რომლებიც აქ არალეგალურად ცხოვრობენ და გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას აძლევს... ჩემი პირველი სამუშაო მშენებლობა იყო, რუს ებრაელთან ვმუშაობდი, რომელიც სოსოს ვერ ამბობდა და სოსას მეძახდა (იციან). რომ გითხრა, ვაშენებდი-მეთქი, მოგატყუებ, მშენებელს თუ რამე დასჭირდებოდა, ვეხმარებოდი. ახლა მე და სოფო სახლს ვაშენებთ და ვფიქრობ, რომ თუ მოვისურვებ, სახლის აშენება შემიძლია. დღეს „ჩეკზე“ ვმუშაობ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი შემოსავალი სახელმწიფოსგან იბეგრება და პრაქტიკულად, ქვეყნისთვის „კარგი ტიპი“ ვარ, რადგან მეც ვჭამ და სხვასაც ვაჭმევ. ამერიკაში ადამიანს, რომელიც მუშაობს, ყველაზე დიდი უფლებები აქვს და დილით რომ იღვიძებს, პოლიტიკურ სიტუაციაზე კი არა, ფულის კეთებაზე ფიქრობს. ამ ქვეყანამ მასწავლა, რომ მეტი მოვთხოვო როგორც საკუთარ თავს, ასევე ჩემ



ჩემი მეუღლე პლანეტაზე მდებარეობით სქესის წარმომადგენლებს შორის ყველაზე მაგარი ადამიანი — სოფო ბელოშვილია

გარშემო მყოფებსაც. გარეთ სტინგს მოუსმინო და სახლში მესამე დღის ლობიო ჭამო, ეგრე სად არის?!

— ამერიკაში საქართველოს თუ იცნობენ?

— ამ ბოლო დროს გაიგეს, რომ რუსები ნამდვილად არ ვართ. რუსებთან თუ მოვბენ, ე.ი. რუსები არ არიანო — ამბობენ (იციან). აქ სხვა ეროვნების ემიგრანტები გაცილებით მეტნი არიან, ვიდრე ქართველები. ბრუკლინში უფრო იციან, ვინ არიან ქართველები, რადგან აქ ყოფილი საბჭოთა კავშირიდან ჩამოსული ბევრი ადამიანი ცხოვრობს. არის რუსული მდაზიები, ქართული რესტორნები... მოკლედ, გაქანებული „სოვეცკი სოუზია“, რა (იციან)! მეც ისევე, როგორც სხვა ქართველები, თავდაპირველად ბრუკლინში მოვხვდი და ჩემი მომავალი მეუღლეს იქ გავიცანი.

— ანუ ნიუ-იორკში ცხოვრობ, არა?

— კი, ეს ადგილი ცენტრალური ნაწილია იმ სფეროსი, რომელშიც მე ვმოღვაწეობ და მინდა, აქვე დავრჩე.

— დღეს რას საქმიანობ?

— დღეს მე და ჩემი მეუღლე ვმუშაობთ ერთ-ერთ ნარმატივულ ბიზნესმენტან, იტალიედ ალფრედ ქაიოლასთან, რომელიც აშავდროულად ავტომობილოლეიცაა. ის და მამამისი ამერიკაში „ფერარის“ მარკის მანქანების ყველაზე დიდი კოლექციის მფლობელები არიან. მე და ჩემი მეუღლე ალფრედისა და მისი მეუღლის პერსონალური ასისტენტები ვართ. მასთან მუშაობისას დავრწმუნდი, რომ ქართველებისა და იტალიელების წინაპრები ერთმანეთის ახლო „ნათესავები“ იყვნენ. ალფრედი არაჩვეულებრივი ადამიანია და მასთან თავს ისე ვგრძნობ, თითქოს გვერდით ჯიგარი ქართველი ძმაცაი მყავდეს.

— საქართველოდან რაც ნახვედი, არ ჩამოსულხარ?

— არა და სწორედ ამ ფაქტის გამო არ მაქვს მოშვების საშუალება და შეიძლება ითქვას, თავს არ ვა-

ძლევ უფლებას, ამერიკული ცხოვრება ბოლომდე შევიგრძნო. საქართველოში ჩემი შვილი, ძმა და ძალიან ბევრი ახლობელი ადამიანი დავტოვე. სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოვახერხეთ ჩემი შვილის ამერიკაში ჩამოყვანა. ორიოდ დღის წინ მისი და კახუჩელას ბავშვის ფოტო გამომიგზავნეს და გადავირიე! დიდი კაცები არიან, მგონი, უკვე ქალებშიც დადიან (იციან). ჩემს შვილთან ურთიერთობის ბედნიერება ჯერ კიდევ წინ მაქვს და ერთი სული მაქვს, როდის ვნახავ.

— ქართული შოუბიზნესის ამბებს თუ ეცნობ?

— კოტიკო (ძმა) ჩემი ინფორმაციის წყაროა. ვიცი, რომ „მაესტრო“ პოლიტიკური არხი გახდა... პატარა ქვეყანაში გინდა თუ არა, მაინც ვიდაცის ჭადრაკის დაფაზე „თამაშობ“ და ერთ დღესაც არჩევანის წინაშე დგები და ირჩევ, თუ ვისთან გინდა „თამაში“...

— შენ ამ არჩევანს იოლად აარიდე თავი...

— (ხარხარებს) რა იცი, რომ იოლად?! სადაც უნდა იყო, არჩევანს მაინც აკეთებ, მაგრამ ჩემი არჩევანი საქართველოა!

— ვიცი, რომ პატარ-პატარა როლებსაც თამაშობ...

— ყველა მსახიობის ოცნება პოლიკუდში მოხვედრაა... მინდა, ჩემს პროფესიასაც ყურადღება მივაქციო. ერთი ძალიან ცნობილი აგენტი, გრანტ ვილფლი ჩემი მეზობელი იყო, რომელთანაც ვმეგობრობდი. თავდაპირველად არც ვიცოდი, რას საქმიანობდა და როცა გაიგო, მსახიობი ვიყავი, დახმარება შემომთავაზა. ახლა მარტინ სკორსეზე ფილმს იღებს, რომლის კასტინგის დირექტორიც გრანტ ვილფლია. მიმიწვიეს ფილმში და პატარა, მაგრამ ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პირველი როლიც ვითამაშე.

— შენს მეუღლესაც მომიყვი, ვინ არის?

— ჩემი მეუღლე პლანეტაზე მდებარეობით სქესის წარმომადგენლებს შორის ყველაზე მაგარი ადამიანი — სოფო ბედოშვილია. ულამაზესი და უჭკვიანესი ადამიანი.

— სად იბოვე ასეთი გოგო?!

— ჩემმა მეგობრებმა, ზურა კვანტროშვილმა და ქეთი ქავთარაძემ გამაცნეს. ისინი ფილადელფიაში ჩემი მეზობლები იყვნენ. სოფო ჩემზე ადრე ჩამ-

ოვიდა ამერიკაში, აქ სწავლობდა. უკვე 5 წელია, ჩემი მეუღლეა.

— პატარაზე არ ფიქრობ?

— კი და ძალიან მონადინებულელებიც ვართ. მინდა, მამობა კიდევ ერთხელ განვიცადო.

— თუ წარმოგიდგენია, რას გააკეთებდი საქართველოში, ამერიკაში რომ არ წასულიყავი?

— გულახდილად გეუბნები, ვერ წარმომიდგენია! ბოლოს უკვე ლიმონით გამონურული ვიყავი, დღემდე 3-4-ჯერ ეთერში ვიყავი, პლუს ამას, ხელფასი ძალიან ცოტა მქონდა. ამას წინათ, მე და გურამიკო ლომიძე ვინსენებდით, — გახსოვს, ერთმანეთს რომ ვურეკავდით, 10 ლარის სასესხებლადო?

— საქართველოში დაბრუნებას არ აპირებ?

— საქართველოში უახლოეს თვეებში მიხილავთ. ახლა საბუთებს ვამზადებ და მალე ჩამოვალ. თუმცა, ისევე უკან დავბრუნდები. მანდ ყველაზე მეტად ჩემი შვილი მენატრება. ქართველი მყურებელი ძალიან მომენატრა, მაგრამ იმედი მაქვს, მოვადრო, როცა მყურებელი ეკრანზე ისევე მიხილავს. ხანდახან ქართულ არხებს რომ ვუყურებ და რაღაცას ისე ვერ აკეთებენ, გული მწყდება, — ახლა იქ რომ ვიყო, ხომ ყველაფერი სხვანაირად იქნებოდა-მეთქი?! მაგრამ მაი არაა პრობლემა, ძამა, ყველაფერი წინაა!

შთავაზობს ნიხეჯი პოპსონობები
ნიხეჯი პოპსონობე უბისკან!

შარანა ... რეპიზინტონა ართად

ჩაიკისე ჩაიკისე -
ჩაიკისე ჩაიკისე!

25 აპრილიდან - გოგი №14
მთხრობალი - უილიამ შიქსაი

ფასი ... 2 ლარი!!!



აგვისტოს ომი, 4 მეგობრის თავისებური სახარო და ახალი ქართული საავტორო კინოს ჩანასახი

კინოსტუდია „სანგუკომ“ გასულ კვირას, კინოთეატრ „ამირანში“ პროექტიდან „ნ“, ერთ-ერთი ფილმის — „დაბადებულები საქართველოში“ პრესჩვენება გამართა. ფილმი ახალგაზრდა რეჟისორმა, თამარ შავგულიძემ გადაიღო (ეს მისი სადებიუტო ნამუშევარია). ფართო მაცურებლისთვის ფილმის პრემიერა თვის ბოლოს გაიმართება. სცენარის ავტორი თავად თამარ შავგულიძეა; პროდიუსერი — გუკა რჩეულიშვილი; მთავარ როლებს ნუსცა კუხიანიძე, თამარ ბზიავა, ვანოკო თარხნიშვილი და გიორგი გიორგანიშვილი (ბახალა) ასრულებენ. ჩვენების შემდეგ, ფილმის შემოქმედებით ჯგუფთან ცხარე განხილვა მოეწყო... შავგულიძის ფილმი ბოლო დროს გადაღებულ არც ერთ ფილმს არ ჰგავს, რაღაც „სხვა კინოა“, მე იგი ფრანგულ კინოს მაგონებს... „დაბადებულები საქართველოში“ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ პერიოდს ასახავს. პროსტრაციაში (უხალისობა, გარემოსადმი ინტერესის დაკარგვა) მყოფი 4 მეგობარი ცდილობს, ადამიანობა, მეგობრობის უნარი შეინარჩუნოს და თავი გაართვას იმ არსებულ შტამს, რასაც „დაბადებულები საქართველოში“ ჰქვია.

ლალი ფასია

— ზოგადად მონონებს იმსახურებს რეჟისორის ნამუშევარი, მასხიობების ოსტატობაც ყურადსაღებია, მაგრამ მომეჩვენა, რომ ფილმი მხოლოდ 4, საკუთარ თავში ჩა-



კეტილი მეგობრის თავისებურ ცხოვრებას ასახავს. მათი ჩაკეტილობა კი, არა მგონია, მხოლოდ ომის შედეგი იყოს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ომის თემა ფილმში თითქოს ხელოვნურად არის მიბმული...

ვანიკო თარხნიშვილი:

— უპირველესად, ეს არის კინო! ზოგადად ომის ტკივილს არათუ ფილმში, ადამიანები დღემდე რეალურ ცხოვრებაში ვატარებთ. მნიშვნელობა არა აქვს, რას საქმიანობ — ჩვენთვის ომი დღემდე გრძელდება... ფილმში მოქმედება ომიდან ერთი წლის შემდეგ ხდება და ჩემი პერსონაჟი სპეციალურად გადადის ისეთ ადგილზე, რომელიც იცის, რომ დანაღმულია, სადაც ილუბება კიდევ... თუ ომი დღემდე არ გრძელდება,

მაშინ ავდგეთ და ნავიდეთ ცხინვალში! შესაძლებელია ეს?

გუკა რჩეულიშვილი:

— ფილმში ერთი მნიშვნელოვანი ფრაზაა: „ჩვენ თავს დაპყრობილად 226 წელია ვგრძნობთ“. ზუსტად ამით იხსნება მთელი მოცემული სიტუაცია... თუმცა შეუძლებელია, ფილმით ყველა კმაყოფილი იყოს...

— არ მითქვამს, რომ ფილმი არ მომწონს. ნამუშევარი მოგვეწონა. ფილმმა დაგვაფიქრა და ბევრი კითხვაც გაგვიჩინა...

თამარ შავგულიძე:

— მაღლობას გიხდით ასეთი შეფასებისთვის...

— რამდენად კომერციული იქნება ფილმი? მოვა მაცურებელი მის სახანავად?

გუკა:

— ჩემთვის, საქართველოში ფილმის გაკეთება არ არის კომერციის სფერო. ჩვენი სტუ-

დია 6 წელია, არაკომერციულ ფილმებს აკეთებს. ეროტიკული და რაღაც პროვოკაციული ელემენტებით ნამუშევრებს არ ვქმნით, რომ ამით მივიზიდოთ მაცურებელი. ვაკეთებთ საავტორო კინოს. იქიდან ზოგი გამოდის და ზოგი — არა. ის, რასაც კომერციულ კინოს ვუძახით, მაინც გარკვეულ სივრცეშია ჩაკეტილი, საქართველოში რჩება. ამიტომ, ვცდილობთ, ისეთი კინო გავაკეთოთ, რომელიც საქართველოს ფარგლებს გასცდება. ასე რომ, ჩვენი კინოსტუდია საავტორო კინოს მიმართულებით ვითარდება.

— რატომ გადაწყვიტეთ, რომ ფილმში ამბები ოთხი დეპრესიული ადამიანის ფონზე განვითარებულყო?

ვანიკო:

— საქმე ის გახლავთ, რომ დეპრესიული მათგან არც ერთი არ არის. ჩემი აზრით, ისინი ცდილობენ, შექმნან თავიანთი სამყარო, რომელსაც ეკრანზე ხედავთ. ზოგიერთმა შეიძლება თქვას, ასეთი თბილისი სად არისო?! მაგრამ ეს ამ პერსონაჟების მიერ შექმნილი თბილისია... ამიტომ ისინი პირიქით, მეტრძოლები არიან, არსებულ რეალობას ებრძვიან.

თამარ გზიავა:

— ჩემი აზრით, მთავარი სათქმელი ის არის, როცა ერთ-ერთი გმირი ამ-





ჩემი გირი ფილმში ყველაზე პასიურია

ბობს: „ისეთ ქალაქში მინდა ცხოვრება, რომ გარეთ გასვლა მიხაროდეს“. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი პერსონაჟები აბსოლუტურად დახვეწილი ლექსიკით მეტყველებენ. მაგალითად, მე ცხოვრებაში სლენგს ხშირად ვიყენებ. ფილმში თავომ ცენზურა დაგვიწყეს. მუშაობისას თუ რაიმე ნამოგვცდებოდა, გვისწორებდა და მისი გამოყენების ნებას არ გვაძლევდა.

ბუბა:

— როგორც პროდიუსერი, ფილმის გადაღების პროცესში საერთოდ არ ჩაგრეულვარ. თავოს გადავულოცე მთელი სამოქმედო სივრცე... ეს ფილმი რეჟისორის დებიუტი გახლავთ, მაგრამ თუ ასეთი დებიუტი ბევრი იქნება, მხოლოდ მივესალმები, რადგანაც დღეს ძალიან ცოტაა, ასეთი ფილმი. არადა, ქართული კინოს განვითარებას ეს სჭირდება. ადამიანს უნდა, რომ ქვეყანა უფრო მეტად შეიცვალოს, შეიცვალოს გარემო. მაგრამ ეს ინდივიდების ცვლილებაზე დამოკიდებულია. თუ ინდივიდი შე-

იცვლება, ირგვლივ გარემოსაც შეცვლის, ჯაჭვური რეაქციასავითაა... ომის დროს ადამიანებს სხვადასხვა განცდა ჰქონდათ. მაგალითად, ნუცა ომის დროს თბილისში იყო და დევნილებისთვის ტანსაცმელს აგროვებდა. მე გორში ვიყავი. ვილაც კიდევ სხვაგან იყო, მაგრამ განცდა ყველას ერთნაირი ჰქონდა!

— **ფილმს ტრაგიკული ფინალი აქვს. რამდენად რეალურია, რომ მეგობრის დაღუპვით შეძრული მეგობარი პრაქტიკულად თავდაც მიდის სიკვდილზე?**

ნუცა:

— ის პერსონაჟი თავის დროზე, ომში ვერ წავიდა, რადგან საქართველოში არ იყო... ომის შემდეგ კი ბავშვობის მეგობარი დაეღუპა და მიხვდა, რომ ომი მაინც გრძელდება.

ბუბა:

— 2008 წლის 7 აგვისტოს ბერლინში ვიყავი, ომის დაწყების შესახებ რომ გავიგე, მაშინვე საქართველოში დაებრუნდი. ომში ჩემი მეგობრები იყვნენ. ქვეყნის დასაცავად, რა თქმა უნდა, მეც წავიდოდი, მაგრამ გორში უფრო მეგობრების გამო წავედი. ღვთის ნყალობით, ისინი გადარჩნენ. ასე რომ, ფილმის პერსონაჟის (გიორგი) გადანყვებილება რეალურია.

ვანიკო:

— მთელი ფილმის განმავლობაში 4 მეგობრის ამბებს გიყვებით. ყველაზე მეტად ის მომწონს, რომ მათ უსიტყვოდ ესმით ერთმანეთის... ჩემთვის იმ ფილმზე მუშაობა, რომლის სცენარიც მომწონს, დიდი სიამოვნებაა. რაც შეეხება ჩემს პერსონაჟს, ზოგადად, მოუსვენარი ადამიანია. იმ რეალობაში, რომელშიც ცხოვრობს, ვერ ისვენებს. მეგობრებთან ერთად გარკვეულ სამყაროს ეძებს, რომელშიც უნდათ, რომ ჩაიკეტონ, მაგრამ იქაც ვერ იკეტებიან...

— **შენ მიერ განსახიერებული პერსონაჟი პიროვნულად რამდენად ახლოს არის შენთან?**

— კი, ახლოსაა და სხვა მსახიობსაც რომ ეთამაშა, დარწმუნებული ვარ, მისთვისაც ასევე იქნებოდა. მიმაჩნია, რომ როლის შეფასება მაინც საკუთარი გადმოსახედიდან ხდება, რადგანაც სხვაგვარად თამაში ტყუილი იქნება.

ნუცა:

— ჩემი გირი ფილმში ყველაზე

პასიურია. იმით მგავს, რომ ოპტიმისტი. მეც არ მიყვარს ტირილი, დავარდნა... ერთმანეთს კიდევ იმით ვგავართ, რომ ორივენი ქართველები ვართ, ერთსა და იმავე რეალობაში ვცხოვრობთ, ერთნაირად გვტკივა, გვყავს საყვარელი ადამიანი. მეგობრებს იმდენი საერთო რამ აქვთ, იმდენი ტკივილი, რომ... ალბათ ეს აძლევს კიდევ ძალას. მუშაობის პროცესში ყველანი ჩართულები ვიყავით და ყველანი ჩვენკენ „ვეჭაჩავდით“ ფილმს... ვფიქრობ, თავო საინტერესო რეჟისორად ჩამოყალიბდება. ეს ხომ მისი სრულმეტრაჟიანი დებიუტია... ძალიან ჭკვიანი, მგრძობიარე შემოქმედი.

გიორგი გიორგანაშვილი (ბახალა):

— საკუთარ ნამუშევარზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ ზოგადად ფილმი მომწონს, კარგია. ჩემს გირს (გიორგი) დასავლეთში აქვს განათლება მიღებული. წლების განმავლობა-



საკუთარ ნამუშევარზე ვერაფერს ვიტყვი

ში ბანკში მუშაობდა, მაგრამ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ბანკიდან წამოვიდა და პატარა სასურსათო მაღაზია გახსნა. ის მშვიდი ადამიანია. საკუთარი აზრი აქვს ყველაფერზე, მაგრამ ცდილობს, სხვას არ მოახვიოს.

თამარი:

— ცხოვრებაში ბევრად ემოციური ვარ, ვიდრე ჩემი გირი. ის გულში იკლავს ტკივილს. როდესაც ნალმზე ქმრის აფეთქების ამბავს შეიტყობს, ამას უემოციოდ ხვდება. ამიტომ, როგორც მსახიობს, ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ ბოლომდე ვერ დავიხარჯე, მაგრამ თავოს, ჩვენს რეჟისორს არ უყვარს ემოციები...

— **დედათქვენმა — ქალბატონმა ქეთი დოლიძემ ნახა ფილმი?**

— კი, „შავი ვერსია“ ნახა და შენიშვნები ჰქონდა. არ მიმაჩნია, რომ ეს ჩემი საუკეთესო ნამუშევარია.



ჩემთვის, საქართველოში ფილმის გაკეთება არ არის კომერციის სფერო



ცხოვრება

„ცეცხლს კახა მზერით აჩენდა“

ჩვეულებრივი ბიჭის არაჩვეულებრივი თავგადასავალი

ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი ბიჭია: ჰყავს მშობლები, ცოლ-შვილი, მეგობრები, რომლებსაც ძალიან უყვართ. ამბობენ, რომ საოცრად მშვიდი ბუნების ადამიანია, მისი მეუღლეს კი ვერ იხსენებს, ბოლოს როდის ნახა გაბრაზებული ან თუნდაც გაღიზიანებული... განსაკუთრებულად მშვიდი ბუნების გარდა, ახსნა ბაბოძე სხვებისგან იმითაც გამოირჩევა, რომ ხიფათი „არ ეკარება“ და ავადაც არასდროს ხდება. პატარაობისას კუჭრივით შავი თმა და თვალები ჰქონია, რის გამოც ბებია დაეჭვებული მზერით აცქერდებოდა და ამბობდა, — არა მგონია, ეს ჩვეულებრივი ბავშვი იყოსო... 10 წლის იყო, როცა წარმოუდგენელი ამბავი გადახდა თავს, რის გამოც ერთდროულად, კრიმინალებიც და უშიშროების სამსახურის წარმომადგენლებიც დაინტერესდნენ მისით...



და. ამ ამბავს შემთხვევით მეზობლის ქალი შეესწრო, რომელმაც ასეთი რამ დაინახა: კახა გარბოდა; მოულოდნელად ხის ლობეს გადაანყდა, რომელიც ადრე იქ არ იყო; კახა შეყოვნდა, ლობეს შეხედა და ზედ გადაეგლო; ლობეს ცეცხლი წაეკიდაო... გადავწყვიტე, ბავშვი ექსტრასენსთან მიმეყვანა. მივედი ვინმე ხოროშუხინთან. უცნაური იყო კახასა და ამ ექსტრასენსის შეხვედრა — ერთმანეთს ვამპირებივით უყურებდნენ... ხოროშუხინმა ბავშვი გასინჯა და მითხრა, რომ კახას ჰქონდა დიდი ენ-

სათუნა ბახტურიძე

ლია ჯახველაძე, კახას დედა:

— ორშაბათი იყო. კახა სკოლიდან შინ დაბრუნდა. ვახშმის შემდეგ მეცადინეობა დააპირა და ჩანთის ასაღებად დერეფანში გავიდა. მოულოდნელად, ფურცელს, რომელიც ჩანთის გვერდით იდო, ცეცხლი წაეკიდა. ფურცელთან ერთად, კედელზე გაკრული კალენდარიც დაიწვა. შეშინებულმა ბავშვებმა (კახამ და მისმა 4 წლის ძმამ) და ბებიამ მეზობლებს დაუძახეს: მე და ჩემი მეუღლე ამ დროს სამსახურში ვიყავით... ბებიამ ცეცხლის გაჩენა ვერაფრით ახსნა და ბავშვებს დააბრალა. უეცრად ცეცხლი წაეკიდა სამზარეულოს კედელზე გაკრულ ორ კალენდარს, რომლებიც სასწრაფოდ ჩამოხიეს. მაგრამ ალი ლოჯიაში გაკრულ რუკაზე გადავიდა, შემდეგ — საძინებელ ოთახში მდგარ სანერ მაგიდაზე... ამასობაში მე და ჩემი მეუღლეც დავბრუნდით და სწრაფად ააღებადი ნივთების (წიგნები, ქალაქები...) სახლიდან გატანა დავიწყეთ. უცნაური რა იყო, იცით? როდესაც

ცეცხლნაკიდებულ რეგულს ხელი დავავლე და აბაზანაში ჩასაგდებად გავაქანე, ალმა ხელზე გადამიარა, მაგრამ სიმშრეველი ოდნავადც ვერ ვიგრძენი. ცეცხლნაკიდებულ ნივთებს მეზობლებიც შეეხნენ, მაგრამ არც მათ დასწვიათ რამე... ცეცხლის ჩაქრობა მას შემდეგ მოვახერხეთ, რაც კახამ დაიძინა... იმ დღიდან მოყოლებული, ასეთი ამბავი ჩვენს სახლში ხშირად ხდებოდა. გაირკვა, რომ ცეცხლს კახა მზერით აჩენდა.

— **მიზანმიმართულად აჩენდა თუ უნებლიეთ?**

— უნებლიეთ. გაღიზიანდებოდა ან გაბრაზდებოდა თუ არა, მაშინვე თავი ასტიკვებოდა, მერე უცებ მოეშვებოდა და სადაც, რაღაცას ცეცხლი ეკიდებოდა.

— **მხოლოდ ქალაქის ფურცლებს და ქსოვილებს წვავდა თუ უფრო მყარ საგნებსაც?**

— ძირითადად, ქალაქსა და ქსოვილს, მაგრამ ზოგჯერ — ავეჯსაც. ერთხელ კახა სოფელში იყო და ბავშვებთან ერთად, ეზოში „დაჭერობანას“ თუ „ომობანას“ თამაშობ-

ერგია, რომელსაც ვერ მართავდა და აფექტისას ძალაუნებურად ავლენდა. ამის მერე ვცდილობდი, ბავშვი არ გამეღიზიანებინა, არც მეცადინეობას ვაძალედი, არც — სკოლაში სიარულს... მოგვიანებით, ხოროშუხინმა მეცნიერებათა აკადემიაში, თალეს შონიასთან მისვლა გვირჩია. მეცნიერებათა აკადემიაში არა მხოლოდ კახა გამოიკვლიეს, არამედ ის ადგილიც, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. აღმოჩნდა, რომ ჩვენი კორპუსის საძირკველში ბევრი გვამი ყოფილა ჩამარხული (ძველი დროიდან შემორჩენილი); მიცვალებულის ძვალი და ფოსფორი ცუდი ენერჯის მატარებელია. მეორე სართულზე ვცხოვრობთ და მინასთან ახლოს ვართ. ამ ენერჯიას ყველა ვერ გრძნობს, მაგრამ კახაზე ის ცუდად მოქმედებს. ჩვენს სახლში არის ოთახები, სადაც კახა დღემდე არ შედის. მაგალითად, საძინებელში შევა თუ არა, მაშინვე თავის ტკივილი ეწყება...

— **დაზმარებისთვის ეკლესიას არ მიმართეთ?**

— ერთხანს კახამ ამოიჩემა, —



ბაბუა მესიზმრებო... ერთხელაც, ეკლესიაში რომ შევედი, კახა წმინდა ნიკოლოზის ხატთან შეჩერდა და თქვა, — დედა, აი, ეს ბაბუა მესიზმრებო. წმინდა ნიკოლოზი სიზმარში თურმე რალაც რჩევებს აძლევდა, მაგრამ ამ ყველაფერს ბავშვი ვერ აანალიზებდა... დროთა განმავლობაში, კახას წარსულის „დანახვისა“ და მომავლის წინასწარმეტყველების უნარიც მიეცა.

— ამას რაიმე ნივთების მეშვეობით აკეთებდა?

— არა, ნივთებს არ იყენებდა. თუ ექსტრასენსი დააძინებდა, დასმულ კითხვებზე ზუსტ პასუხებს გცემდა. არ მინდოდა, ჩემი შვილი მკითხავი გამხდარიყო, თან ვცდილობდით, ეს ამბავი არ გახმაურებულიყო, მაგრამ ვიღაც-ვიღაცებმა მაინც გაიგეს. ერთხელ ვაზიანის სამხედრო ნაწილიდან მოგვაკითხეს და გვითხრეს, — იარაღით დატვირთული „კამაზი“ დავკარგეთ და იქნებ დაგვეხმაროთ! კახამ უთხრა, — მარნეულში, ცენტრალურ მოედანზე დგას და ერთ-ერთ სოფელში წასვლას აპირებსო. გაირკვა, რომ კახა მართალი იყო... „დემონტაჟის ბაზრის“ დირექტორმა — ლაერტ ზუბადალაშვილმა დაკარგული საბუთების მოსაძებნად მოგვაკითხა. ჩემმა შვილმა უთხრა, — საბუთებს ნუ ეძებთ, საქართველოდან წადით, მოსაკლავად დაგდევნო. არ დაიჯერა და ზუსტად ორ კვირაში, „პირიმის“ წინ, მანქანაში ჩაცხრილეს. გია ყარყარაშვილის დაცვის წევრები გვესტუმრნენ: ფულით სავსე კეისი დავკარგეთ და უნდა დაგვეხმაროთ. კახამ უთხრა, — როდესაც გეძინათ, თქვენმა მეგობარმა მოგპარათო. ქურობაში „მხილებული“ იქვე იდგა; ისე გაბრაზდა, რომ ბავშვს შუბლზე გადატენილი იარაღი დაადო... საბოლოოდ გადაწყვიტე, კახა ამ „ნიჭისგან“ როგორღაც გამეთავისუფლებინა და დახმარებისთვის ისევ თალეს შონიას მივმართე. ბატონი თალესი სპეციალური აპარატურის მემშვეობით განმუხტვის პროცედურებს უტარებდა. დროთა განმავლობაში, წინასწარმეტყველებაც შეწყვიტა და თვალეხითაც აღარაფერს წვადა.

— ეს ყველაფერი რამდენ ხანს გაგრძელდა?

— 4 წელი. ამ უცნაური ენერჯის დაკარგვის შემდეგ, კახა გალიზიანებული აღარ მინახავს, სულ გალიმებული დადის, უნდა მოინდომო, რომ გააბრაზო. ყველაზე მეტად ის მიხარია, რომ ხიფათი აღარ ეკარება და ავად არ ხდება. 31 წლის ისე გახდა, რომ არაფერი შემთხვევია.

— როგორც ვიცი, კახა 2008 წელს, აგვისტოს ომში იბრძოდა. არც მაშინ გეშინოდათ მის გამო?

— ჩემი მეორე ვაჟი გორს არ გასცდენია, მაგრამ კინაღამ მოკვდით მასზე დარდით; კახა ჯავამდე მივიდა, მაგრამ არ ვენერვიულობდი, ვიცოდი, რომ შინ უვნებელი დამიბრუნდებოდა. ასეც მოხდა.

მადონა ეხანოიძე, კახას მეუღლე:

— გარდა ამისა, უმართლებს: მისთვის მოუგვარებელი კი არაა, რთულად მოსაგვარებელი პრობლემაც კი არ არსებობს. ყველა ბარიერს ადვილად ლახავს.

— დარწმუნებული ხართ, რომ კახას ის ძალა დაკარგული აქვს? **ლია:**

— შეიძლება, ბოლომდე არც დაუკარგავს. თალეს შონიას გარდაცვალების შემდეგ მის ძალას ვეღარ ვაკონტროლებდი. ერთი რამ ცხადი იყო — სახლში ნივთები აღარ იწვოდა.

— მადონა, როდესაც კახა გაციან, თუ იგრძენი, რომ მას რალაც განსაკუთრებული ძალა ჰქონდა?

— კი და მაშინვე შემიყვარდა.

— ეი, ადვილად მოიგო შენი გული?

— ამას იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მეუღლეა. კახა მართლა განსაკუთრებული ადამიანია. თამამად შემძლია ვთქვა, რომ კეთილია. არავისგან არაფერი სწყინს...

— ადამიანებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების მოხდენა თუ შეუძლია?

— ეს ყველაზე კარგად გამოსდის. უცხო ადამიანიც კი შეუძლია, საკუთარ სიმართლეში დაარწმუნოს.

— კახა, შენგან კარგი დიპლომატი გამოვიდოდა, სამხედრო კარიერა რატომ აირჩიე?

— ტექნიკური უნივერსიტეტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტი დავამთავრე. ჩემი სპეციალობის ადამიანი მაშინ არავის სჭირდებოდა; სახლში ტყუილად ჯდომას, ჯარისკაცობა ვარჩიე. ერთხელ რომ ჩავიცვი ფორმა, აღარც გამიხდია.

— ომში ყოფნის დროს თავადაც უსაფრთხოდ გრძნობდი თავს?

— მე — არა, მაგრამ დედა მეუბნებოდა, ზუსტად ვიცი, არაფერი მოგივა, შენს ძმაზე კი ძალიან ვენერვიულობო. ღვთის წყალობით, შინ ორივე უვნებლად დავბრუნდით. ისე, დედა ახლაც მეუბნება, — რალაც ძალა კიდევ გაქვს

შემორჩენილიო, მაგრამ ვერ ვამჩნევ.

— რა იგრძენი, როდესაც მიხვდი, რომ მზერით ცეცხლის გაჩენა შეგეძლო?

— შიში დამეუფლა. ისე, კარგად ვერ ვაცნობიერებდი, რა ხდებოდა.

— ქალბატონმა ლიამ მითხრა — როდესაც საკლასო ოთახში იჯექი, ზოგიერთ მასწავლებელს თავის ტკივილი ეწყებოდა, ზოგიერთი — კარგად ხდებოდა; ამის მიზეზი შენ იყავი?

— კი, მაგრამ ესეც უნებურად ხდებოდა. რომელი მასწავლებელიც მიყვარდა, იმაზე დადებითად ვმოქმედებდი, ვინც არ მიყვარდა — შიშით კლასში ვერ შემოდიოდა, გაკვეთილს მხოლოდ მაშინ ატარებდა, როდესაც სკოლას ვაცდენდი. საერთოდ ვერ ვაკონტროლებდი ჩემს ძალეს. სხვები ანუ ექსტრასენსები მმართავდნენ.

— როდესაც ექსტრასენსები გაძინებდნენ და კითხვებს გისვამდნენ, ამ დროს რას ხედავდი?

— თავიდან — სიბნელეს, მერე — პატარა ნათელ წერტილს, რომელიც თანდათან იზრდებოდა; ბოლოს წმინდა ნიკოლოზი მოდიოდა და მელაპარაკებოდა. როდესაც კითხვებს მისვამდნენ, შესაბამის ადგილზე ვჩნდებოდი და ყველაფერს ჩემი თვალით ვხედავდი.

— კახა, საბოლოოდ, მართლა გათავისუფლდი ამ ენერჯისგან?

— მე ვერაფერს ვგრძნობ. დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს ძალა ღვთიური იყო. თუმცა ცუდი არაფერი გამიკეთებია, პირიქით — ერთხელ მშობლებს დაკარგული შვილიც ვაპოვინე, მაგრამ მაინც... მირჩენია, ღმერთს ვებარებოდე...



იმიტომ არ ვამბობ, რომ ჩემი მეუღლეა. კახა მართლა განსაკუთრებული ადამიანია



სემსუაღური კალაღობა

როგორც ფსიქოლოგები ამბობენ, საზოგადოების 99% მოძალადეა, მათ შორის განსხვავება კი ისაა, რომ ზოგი ძალადობს აშკარად, ზოგიც — ფარულად; ვიღაც ძალადობს ადამიანზე, ვიღაც — ნივთზე ან ცხოველზე, ფრინველზე და ამით ჟინს იკმაყოფილებს, ნერვებს იმშვიდებს. ჩვენდა საუბედუროდ, მოძალადეებს შორის არიან ისეთი სასტიკი ადამიანები, რომლებზეც სხვა მოძალადეებიც კი ამბობენ: ის არ არის სიცოცხლის ღირსი! ასეთი პიროვნება კი არ უნდა დააპატიმრო და გაასამართლო, არამედ უნდა დახვრიტო, უნდა ჩაქოლო. დიას, ამას ამბობენ მათზე, ვინც საკუთარ შვილზე, დედასა ან რომელიმე ახლობელზე სექსუალურ ძალადობას იჩენს...

ბაბუღადღეული თემა და გოუგუგეული იარა

ლიკა ქაჯაიი

არის თუ არა სექსუალური მოძალადე ანუ, როგორც მას მეორენაირად უწოდებენ — მანიაკი საზოგადოების გვერდით ცხოვრების ღირსი? როგორ უნდა დაისაჯოს ის? ვინ არიან ასეთი ადამიანები — დაავადებული ფსიქოპათები თუ ჯანსაღი გონების მქონე, მაგრამ უნებისყოფო არსებები? — ეს ის კითხვებია, რომლებიც შეიძლება, ამ სტატიის გაცნობის შემდეგ ნებისმიერ თქვენგანს გაუჩნდეს. სამწუხაროდ, მათზე პასუხის გაცემა არ შეიძლება, ერთ რამეში კი დარწმუნებული ვარ: იმ შემადრწუნებელი ამბების შეტყობის შემდეგ, რომელიც ჩემმა რესპონდენტებმა გამიზიარეს და ფსიქოლოგმა მიაბზო, თავად გაეჩინდებოდა მოძალადეთა გასამართლების სურვილი, მაგრამ თუ მსგავსი ძალადობა თქვენ მეზობლად მოხდება, ბევრი თქვენგანი ყველაფერს გააკეთებს საიმისოდ, რომ ეს ამბავი არ გამოამზეუროს და ამაზე მხოლოდ საახლობლოში თუ ილაპარაკებს... მას შემდეგ, რაც ძალადობის თემასთან დაკავშირებით, „გზისთვის“ რამდენიმე ნერილი მოვამზადე, ბევრი მკითხველი გამომეხმარა და მიაბზო, რომ მის სამეზობლოშიც მოხდა შემადრწუნებელი ამბები; მაგრამ როცა მათ ვთხოვდი, — ყველაფერი მიაბზეთ-მეთქი, უკან იხევდნენ, ამაზე საჯაროდ ლაპარაკი არ სურდათ; ერთ-ერთმა ჩვენმა ერთგულმა მკითხველმა ისიც კი მომწერა: ახლახან ჩემ მეზობლად მამამ შვილზე იხმარა ძალა, მაგრამ დეტალებზე რომ გიამბო, ვორზე უკუღმა შემსვამენ და ტალახს მესვრიანო...

ღოღო, 56 წლის:
— მინდა, ჩემს მეგობარზე გიამბოთ, რომელზეც წლების წინ საკუთარმა ბიძამ — მამის ძმამ იხმარა ძალა და გოგონას ცხოვრება დაუმხინჯა. ლია 14 წლის იყო, როცა სოფელში დასასვენებლად გაუშვეს. როგორც ამბობენ, ბიძამის კარგი სახელი ჰქონდა, ყველა პატივს სცემდა, მსგავს რაღაცებშიც არას-

დროს არავის შეუმჩნევია, არც მექალთანე გახლდათ, მაგრამ ეტყობა, ტვინი გადაუბრუნდა: ერთხელ, როცა ლია მათთან ისვენებდა, შინ უგონოდ მთვრალი დაბრუნებულა. იმ დღეს მისი ცოლშვილი სტუმრად ყოფილა წასული, შინ მხოლოდ მისიშვილი დახვდა, რომელიც ლოგინზე წამონოლილი, წინგს კითხულობდა. არ ვიცი, ამ კაცს გონება რამ აუმღვრია, მაგრამ გოგონასთან მივიდა და მოფერება დაუწყო. ლიას არც უფიქრია, კაცს ბინძური განზრახვა თუ ედო გულში და როცა „შემთხვევით“, ბიძამ ტუჩებში აკოცა, სცადა, ღვინით აყროლებული კაცის ლოშინისთვის თავი აერიდებინა და ფეხზე წამოგდო დააპირა; მაგრამ ბიძამ მას ტანსაცმელი შემოახა და დაუტყველ გოგონაზე ძალა იხმარა. ლია თურმე ცდილობდა, ეკივლა, მაგრამ ვნებამორეულმა კაცმა მას ტუჩებზე ხელი ააფარა და ვინაიდან გოგონა ეურჩებოდა, თავში ისე მაგრად ჩაარტყა ხელი, რომ ლიამ გონება დაკარგა. გოგონა რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა გონს, როცა კაცს თავისი სურვილი უკვე დაკმაყოფილებული ჰქონდა. თურმე კივილი დაიწყო. ბიძამ მკაცრად გააფრთხილა: თუ ამ ამბავს ვინმეს ეტყვი, იცოდე, მოგკლავ, ოჯახის ნევრებსაც ამოვწყვეტ და თავსაც მოვიკლავო. პატარა გოგონას შეეშინდა და პირში წყალი ჩაიგუბა. ეს ამბავი მხოლოდ 9 წლის შემდეგ გამჟღავნდა: როცა ლიამ საყვარელ ადამიანს ცოლობაზე უარი უთხრა, გიგიამ მისი მოტაცება გადაწყვიტა, — ვუყვარვარ და იმედია, ხელს არ მკრავსო. ღიაც დარჩა მასთან, მაგრამ როცა მისმა ქმარმა აღმოაჩინა, რომ გოგონა ქალწული არ იყო, შეეცადა, ყველაფერი გაერკვია. ვინაიდან ლია გაჯიუტდა და ხმას არ იღებდა, გიგიამ საქმის კურსში ცოლის მშობლებიც ჩააყენა; მათ უთხრა: თუ ყველაფერს არ ამიხსნის, მივატოვებ, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიყვარსო. მოკლედ, ლიას ლამის წიხლებით შესდგნენ და ბოლოს ათქმევინეს, თუ ვინ გააუბედურა. სიმართლის გამჟღავნების შემ-

დეგ ბიძამისმა თავი მოიკლა, ლია კი ქმარმა უკან მიაბრუნა: მასზე ძალა ვიღაც უტყოს რომ ეხმარა, ვაპატიებდი, მაგრამ ასეთი შემზარავი ამბის გაგების შემდეგ არ შემიძლია, მასთან ერთად ვიცხოვრო. მართალია, ახლა შეიძლება, გიგია ამ საქციელისთვის ბევრმა განსაჯოს, მაგრამ მისი კარგად მესმის...
საბედნიეროდ, ლიამ იპოვა ისეთი ადამიანი, ვინც მას წარსული დაავიწყა და ახლა ჩემი მეგობარი ძალიან ბედნიერია. მართალია, ზოგჯერ ბავშვობაში გადატანილი ტკივილი ახსენდება (ეს ხომ მისთვის მოუშუშებელი იარაა), მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ხდება, როცა თავის შვილებს სადმე დასასვენებლად უშვებს. შიში და უნდობლობა დასჩემდა. როგორც უნდა გაგიკვირდეთ, თავის გოგონებს მარტოებს ძმასთანაც კი არ ტოვებს — რა იცი, რა ხდება, ეშმაკს არ სძინავსო. ისე, სიმართლე გითხრაო, ლიას კი არა, ეს შიში მეც დამჩემდა და შვილებს თავადაც ხშირად ვაკონტროლებ, ვერავის ვენდობი.

მანანა, 46 წლის:
— 16 წლის ვიყავი, როცა 12 წლით უფროს ბიჭზე გარიგებით გამათხოვეს. ის შეძლებული იყო, მოსკოვში მუშაობდა და მშობლებმა იფიქრეს, — თუ მანწის ამას მივათხოვებთ, ავშენდებითო; ჰოდა, ცხვარივით გამყიდეს. თანაც, სასიძო სასიმამროს მანწანას შეჰპირდა, დედაჩემს კი, რომელიც მუსიკის მასწავლებელი გახლდათ, — როიალს. ჰოდა, ჩემს მშობლებს თვალები დაუბრმავდათ. მართალია, ზურა გარეგნულად დიდი ვერაფერი შვილი იყო, მაგრამ თავს ასე იმშვიდებდნენ: ქალი ხომ არ არის, გარეგნობის მიხედვით რომ შევაფასოთო?! ზურას ოჯახში კარგად მიმიღეს და მეც მეგონა, რომ გათხოვების შემდეგ ძალიან ბედნიერი ვიქნებოდი, მაგრამ... პირველი ღამე ქორწილის შემდეგ გვერდდა. სახლი სტუმრებით იყო სავსე, მაგრამ მიუხედავად ამისა, ზურა არავის მოერიდა და იმავე საღამოს, უგონოდ მთვრალმა, ჩემი დამორჩილება სცადა. მთელი ღამე მტანჯავდა, დილას კი შარი მომდო: ეტყობა, ქალიშვილი არა ხარ, ახლაცე მითხარი, ვინ გაგაუბედურაო. ვუმტკიცებდი, — არავისთან ვყოფილვარ, შეყვარებულიც კი არასდროს მყოლია-მეთქი, — მაგრამ არ მიჯერებდა. ბოლოს მიხვდა, რომ შეიძლება, მთვრალს რაღაც მოსჩვენებოდა. ღამით საძინებელში შევედი თუ არა, მხეცივით მეცა და გამაუბატიურა. როცა აღმოაჩინა, რომ უბინო ვიყავი, კმაყოფილმა დაიძინა, ჩემს ცრემლებს კი ყურადღებაც არ მიაქცია. ჰოდა, იმ დღის შემდეგ, მეუღლე შემეშულდა, მასთან ერთად ყოფნა ჩემთვის ტვირთად იქცა. ვგრძნობდი, რომ არ ვუყვარდი, უბრალოდ, ღამაში ბავშვი ჩაიგდო ხე-



ლში და „ახალ ხორცს“ ყოვანივით ჰგლეჯდა. ამ ამბავს არავის ვეუბნებოდი ჯერ ერთი, იმიტომ, რომ არ ვიცოდი, ეს ყველაფერი სხვისთვის როგორ უნდა ამხსნა, და მეორეც — დაკომპლექსებული ვიყავი, ქმრის მეშინოდა... მალე დავორსულდი. ქმარი მაშინაც კი ძალადობდა ჩემზე, როცა 9 თვის ფეხმძიმე ვიყავი — ვგულისხმობ არა მარტო სექსუალურ ძალადობას, არამედ იმას, რომ ხშირად მირტყამდა კიდეც, მაგრამ ისე არა, რომ მუცელი მოშლოდა ან ეს ვინმეს შეეჩინა... პატარა ელისაბედმა ჩემი ცხოვრება შეცვალა, მან სტიმული მომცა საიმისოდ, რომ არა მარტო საკუთარი თავის კეთილდღეობისთვის, არამედ მისი ბედნიერებისთვისაც მეზრძოლა და გადავწყვიტე, მოძალადე ქმარს გაემორებოდი; მესწავლა, მემუშავა და ბედნიერი ვყოფილიყავი. ერთხელაც, როცა ზურა შინ მთვრალი დაბრუნდა და შარი მომლო, მერე კი, უკაცრავად და, პანლური ამოკრა, ბარგი ჩავლაგე, პატარას ხელი დავავლე და გავიპარე. მშობლებთან რომ მივედი, მათ არ მიმიღეს: საიდანაც მობრძანდი, ისევე იქ უნდა დაბრუნდე; რაღაცებს ნუ იგონებ, ჩვენ სიძე გვიყვარს და მის დაკარგვას ვერ შევეგუებითო. მოკლედ, არ შემიფარეს და ქუჩაში გამომაგდეს. წასასვლელი არსად მქონდა და გადავწყვიტე, თბილისში წამოვსულიყავი, — დედაქალაქია და იქნებ თავი მათხოვრობით მაინც გავიტანო-მეთქი. ღამე რკინიგზის სადგურში გავათიე, დილით კი მატარებლის ვაგონში ავედი და გამცილებელს ვთხოვე, უფულო დედა-შვილი მატარებლიდან არ ჩავეგდეთ. მადლობა ღმერთს, ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდა და თავის კუბეში შეგვიყვანა. თბილისში ჩამოსულს გამახსენდა, რომ აქ ნათლიაჩემი ცხოვრობდა და მას მივადექი. ამ ქალბატონმა არა მარტო თავშესაფარი მომიცა, არამედ ჩემს შვილზეც ბებისაგონი ზრუნავდა; მისი ოჯახის წევრებიც თან გვეყვებოდნენ. მართალია, ჩემმა ქმარმა და მშობლებმა ქვეყანა აანრიალეს, მაგრამ ჩემ შესახებ ვერაფერი შეიტყვეს — ნათლიის ოჯახი ჩემს ადგილსამყოფელს მაღავდა... როცა ჩემი გოგონა წამოიზარდა, ის ბაგა-ბაღში მივიყვანე, მე კი სამუშაო ვიშოვე ქალაქ რუსთავეში, ერთ-ერთ სასადილოში. როცა ფული დავაგროვე, ბინა ვიქირავე. რამდენიმე წლის შემდეგ ქმარმა მაინც მიმოკვა, სამსახურში მომადგა და ხალხის თანდასწრებით შეურაცხყოფა მომაყენა; ესეც არ მაკმარა: საღამოს შინ მომივარდა და შვილის თვალწინ გამაუბატიურა. მართალია, გოგონა პატარა იყო და ეს ყველაფერი არც ახსოვს, მაგრამ ხომ დანახა, როგორ აწვალდნენ დედა-მისს და ამის შემდეგ მამის შიში დასჩემდა... მეორე დღეს მშობლებიც მო-

მიცვივდნენ, თავისმოძქრელი მეძახეს და მეუბნებოდნენ, — ქმარს რუსეთში უნდა წაჰყვით... დახმარებისთვის მილიცია გამოვიძახე... დღეს ჩემი გოგონა სრულწლოვანია და მამამისს, რომელმაც ამდენი შეურაცხყოფა მომაყენა, ხმასაც არ სცემს; ჩემს შემხედვარეს ოჯახის შექმნაც არ უნდოდა, მაგრამ ღირსეული ადამიანი შეუყვარდა და ცოლადაც



გაჰყვა. მართალია, პირად ბედნიერებას ვერ ვეღირსე, მაგრამ კმაყოფილი ვარ იმიტაც, რომ ჩემი გოგონა აღვზარდე ისეთ გარემოში, სადაც ძალადობა არ იყო. დარწმუნებული ვარ, მამის გვერდით რომ გაზრდილიყო, ის აუცილებლად სხვანაირი იქნებოდა. მხოლოდ იმიტომ, რომ ოჯახი მქონოდა, მოძალადე კაცის გვერდით ცხოვრებას არ შევეგუე და ახლა ვხვდები, რომ არ შევცდარვარ. მართალია, ამის გამო ყველა ახლობელი ადამიანი დავკარგე, მაგრამ ეს მსხვერპლი ღირდა საიმისოდ, რომ მე და ჩემი გოგონა არ დავტანჯულიყავით.

მსხვერპლი, 19 წლის:

— რამდენიმე წლის წინ ჩემზე ბავშვობის დროინდელმა ძმაკაცმა იხმარა ძალა. ჩვენ წლების განმავლობაში ვმეგობრობდით. მერე ის სასწავლებლად საზღვარგარეთ წავიდა, სამშობლოში დაბრუნებულმა კი სხვანაირად ყურება დაიწყო. ვგრძობდი, ისეთივე აღარ იყო, როგორიც აქედან წასვლამდე, მაგრამ რას ვიფიქრებდი, თუ „გაცისფრებული“ დაბრუნდა?! ერთხელ მითხრა, — წამო, საქეფოვდ გეპატიებებიო, და ერთ-ერთ რესტორანში წამიყვანა, სადაც სუფრას მხოლოდ კაცები უსხდნენ, მათ შორის, 2 შეყვარებული წყვილი გახლდათ. ეს რომ გავიგე, თვალეში სისხლი მომანვა და მეგობარს ვუთხარი: სად მომიყვანე, ან ეს ბედოვლათები სად იპოვე? აქედან წავიდეთ, თორემ შეიძლება, მეგობრები გაგილახო-მეთქი. დამინყო შეგონება: ნუ სულელობ,

ესენიც ადამიანები არიან და ღირსებაც აქვთ; ნუ გგონია, თუ ქალებთან დადიხარ, მათზე უკეთესი ხარ; მოთმინება იქონიე და ამაში მალე დაგარწმუნებო. იმ საღამოს, ძმაკაცის ხართით, სუფრასთან კი ვიჯექი, მაგრამ წვეთიც აღარ დამილევიან იმის შიშით, ეს გეგები არ ამოვბოცო და ამათ გამო ციხეში არ ჩავეჯდე-მეთქი. როცა „სასტავი“ დაიშალა, მე და ჩემმა ძმაკაცმა განვარტეთ ქეფი. ისე გამოვტყვევრი, ფეხზე ძლივს ვიდექი. ბოლოს მან სადღაც მიმიყვანა და მითხრა, — თავი ისე იგრძენი, როგორც საკუთარ სახლშიო, — მერე კი ვამომიტიყდა: მეც მათნაირი ვარ, ვის გამოც ლამის პერანგი შემოიგლიჯე; ჰოდა, იცოდე, ამქვეყნად ყველაზე მეტად შენ მიყვარხარ და რაღაც უნდა დამიჯდე, ჩემი გახდებო. ხელი სკამს ვტაცე, მერე კი ჩემსავე ქმედებაზე გამეცინა: კაცმა იხუმრა და როგორ ავევრდი-მეთქი?! მაგრამ როცა მივხვდი, რომ საქმე სერიოზულად იყო, მის საცემრად გავინიე, თუმცა ვერ მოვერეი და, უფრო მეტიც — მან ჩხუბის შემდეგ გამაუბატიურა. საკუთარი თავისთვის დღემდე ვერ მიპატიებია, რომ რესტორნიდან მაშინვე არ წამოვედი, როცა მივხვდი, რა „სასტავშიც“ „გამჩითეს“. ახლა აღარ ვიცი, ვინ ვარ, ყველას გაფურბივარ და არც ერთ ძმაკაცს აღარ ვნდობი. ჩემში მომხდარი ცვლილება ბევრს უკვირს, მე კი ყველაში გეის ვხედავ; მერვენება, რომ ყველა სხვანაირად მიყურებს და შეყვარებულიც დავკარგე იმის შიშით, იქნებ იმ ღამის შემდეგ კაცობაც აღარ შემჩამეთქი... ვიცი, ფსიქოლოგის დახმარება მჭირდება, მაგრამ არ შემიძლია, პიროვნებას დავუფხვე, თვალეში ვუყურო და ჩემი სიროცხილის შესახებ ვუამბო. ჩემთვის ისიც დიდი შეუბაა, ამ ამბავს თქვენ რომ გნერით; მგონია, რომ ახლა რაღაც ტვირთს ვიხსნი მხრებიდან. უახლოეს მომავალში მონასტერში წასვლას ვაპირებ და იმედია, იქ მაინც ვპოვებ სიმშვიდეს. ყოველთვის ვამბობდი, — ქალს არ უნდა ენდო-მეთქი, მაგრამ თურმე ვცდებოდი: ყველაზე ვერაგი — მამაკაცია. მან შეიძლება, ძალა თავი სივე სქესის ადამიანზეც იხმაროს... ალბათ განიტყრებებო, ახლა სად არის ის ნაძირალა, რომელმაც ცხოვრება, ოცნებები დამინგრია. ის საზღვარგარეთაა, იქ „სვეტსკაობს“, საქართველოში ჩამოსული კი ისე იქცევა, თითქოს წამდვილი ქართველი ვაჟაკიცა და გოგონებსაც ეფარცქველებო. ხომ აზრზე ხართ, რა „ბედნიერი“ იქნება ის ქალი, ვისაც ის შეირთავს, არადა, გოგონები ბუზებით ეხვევიან“.

მთიი სტურბა, ფსიქოლოგი:



— მსგავს ძალადობას ძირითადად, ის ადამიანები სწადიან, რომლებიც სექსუალურად განუვითარებლები არიან. მაგალითად, ასეთ ძალადობას ხშირად მიმართავენ იმპოტენტები, რადგანაც არ სურთ საკუთარი უძლურების აღიარება და უნდათ, ეს ყველაფერი პარტნიორს გადააბრალონ.

— ანუ იმპოტენტსაც შეუძლია, ქალი გააუბატიუროს?

— შეიძლება, ვერ გააუბატიუროს, მაგრამ არსებობს სხვა მეთოდები საიმისოდ, რომ ქალს შეურაცხყოფა მიაცენოს. მაგალითად, ჩემი ერთ-ერთი პაციენტი გოგონა ქმარმა ასე დატანჯა — ყოველ საღამოს ისე ჩქმეტდა, რომ ხორცს აგლეჯდა, შუალამეს შიშვლად სიარულს სთხოვდა და ა.შ. ასევე მყავდა პაციენტი, რომელმაც ორმაგი დანაშაული ჩაიდინა: 79 წლის მოხუცი ჯერ გაძარცვა, მერე კი გააუბატიურა. ქალი თურმე იმავე დღეს გარდაიცვალა. ამან მოძალადეში სინდისის ქენჯნა გამოიწვია და ის დიდხანს, წლების განმავლობაში ნვალობდა, ენამებოდა, ღამეებს ათენებდა იმაზე ფიქრში, რომ საშინელება ჩაიდინა. ამ ბიჭის ახლობლებმა ის, როგორც ფსიქიკურად არამდგრადი პიროვნება, მე მომიყვანეს. მართალია, ციხეს გადაურჩა, მაგრამ ცხოვრებამ, საკუთარმა სინდისმა დასაჯა. მითხრა კიდევ: მერნშუნეთ, ვერც ერთ ციხეში ვერ გავივლიდი ისეთ ჯოჯოხეთს, როგორიც საკუთარ თავთან ჭიდილსა და სინდისის ქენჯნის შედეგად გავატარეო. იმაზე ფიქრმა, რომ საშინლად მოიქცა, ღამის ჭკუიდან გადაიყვანა... ხშირად, როცა ოჯახში რაიმე სახის ძალადობა ხდება, ქალები ამის გამოაშვარავებსას ერიდებიან იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ჰგონიათ — ეს ნიღბულია, ქმარს შეუძლია, ცოლზე ნებისმიერ დროს იხმაროს ძალა და მაშინ, როცა სექსუალურ ძალადობასთან გვაქვს საქმე, ადამიანთა დიდ ნაწილს, განსაკუთრებით — ქართველი ქალების 50%-ს ისიც კი არა აქვს გაცნობიერებული, რომ ძალადობის მსხვერპლია. ბევრი კი, თუმცა იცის, რომ მასზე ძალადობენ, ამ თემაზე ხმაბალა ლაპარაკს გაურბის — ჰგონია, რომ თუ ეს ამბავი გამჟღავნდება, საქვეყნოდ მოეჭრება თავი. სანამ ქართველი კაცები ქალის, როგორც პარტნიორის დაფასებას არ ისწავლიან და მანამ, ვიდრე ქართველი ქალები „სექსუალურად განუვითარებლები“ იქნებიან, მათ ოჯახებში ეს პრობლემა მუდმივად იქნება...

ამ თემის ირგვლივ აზრი ცნობილი ადამიანებისგანაც გვინდოდა მოგვესმინა და რამდენიმე მათგანს დაგუჯავშირდით კიდევ, მაგრამ ახლა საუბარს ერთ-ერთთან შემოგთავაზებთ.

ენი შირვალიძე, მომღერალი:

— სექსუალური ძალადობა ერთ-ერთი საშინელი დანაშაულია, რომელიც კანონით სამართლიანად ისჯება. მგონი, საქართველოში ასეთი სახის დანაშაულის რაოდენობამ იკლო. ბიჭის მიერ გოგონას მოტაცებაც სექსუალურ ძალადობად მიმაჩნია: როგორ შეიძლება, ის



წესით, ქალების პოზიციას უნდა ვიცავდე, მაგრამ დამნაშავე ყოველთვის კაცი არაა

ადამიანი მოიტაცო, რომელსაც არ უყვარხარ და იმავე ღამეს მასთან სექსუალური კავშირი დაამყარო?! ეს აბსოლუტურად მიუღებელი საქციელია!..

— არის შემთხვევები, როცა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ამ ამბავს საიდუმლოდ ინახავს. შენი აზრით, ამის მიზეზი რა არის?

— შეიძლება, ვილაცას „ძალადობა“ ესაიამოვნა კიდევ და მერე ამბობს — გამაუბატიურესო. ზოგადად, სექსუალური ძალადობა მსხვერპლისთვის დიდი სულიერი ტრავმაა. ალბათ, ამ ამბის გახმაურებას იმიტომ ერიდება, რომ სურს, დაივიწყოს, რაც შეემთხვა ან შიშობს, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ, დამნაშავე მასზე შურს იძიებს. საჭირო არაა, დაზარალებულმა ტელეთერით თქვას — გამაუბატიურესო, მაგრამ პოლიციაში უნდა განაცხადოს. სამართალდამცავები იმიტომ არსებობენ, რომ ასეთ არაადამიანურ საქციელს სამუდამოდ ალკვეთონ.

— სექსუალური ძალადობის შწითვის განსაკუთრებულად შემადრწუნებელი გახმაურებული ფაქტი რიიელი იყო?

— რუსთაველი მანიაკის დანაშაულებები. მაშინ ძალიან პატარა (დაახლოებით, 13 წლის) ვიყავი. მანიაკი მომავალ მსხვერპლს (ძირითადად, ბავშვებს) ხალხმრავალ ადგილებში არჩევდა. დამნაშავე რომ დააკავეს, გამიხარდა, მაგრამ ღამით გარეთ გასვლის მაინც მეშინოდა. როცა შებინდებოდა, ეზოში ვერ ჩავდიოდი...

— ნინო, სექსუალური ძალადობის გამართლება სიყვარულით შეიძლება?

— ასეთ დროს სიყვარულზე ლაპარაკიც შედეგტია: როგორ უყვარს, თუკი რაღაცას აიძულებს?! როცა ქალი „არას“ ამბობს, ეს მამაკაცისთვის გასაგები უნდა იყოს.

— როცა მამაკაცი ქალზე ძალას ხმარობს, ზოგჯერ ამბში დამნაშავე ქალიც ხომ არაა?

— წესით, ქალების პოზიციას უნდა ვიცავდე, მაგრამ დამნაშავე ყოველთვის კაცი არაა: არ შეიძლება, მამაკაცი გამოიწვიო, ნასვამს ეკვლეტო, ყვლზე ჩამოკვიდო და მერე „არა“ უთხრა. სხვათა შორის, მოძალადე ქალებზეც ბევრი მსმენია. ქალი თუ გაგიყდა, მგონი, მამაკაცზე უარესი ხდება! ასეთ ქალებს უფრო ბინძური ფანტაზია აქვთ, ვიდრე — მამაკაცებს. ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეყანაზე პირველი ცოდა ქალმა ჩაიდინა. მას სხვანაირი ფსიქია აქვს. კაცს უფრო მეტი რამ ებატიება, ვიდრე — ქალს.

— საქართველოში თუ შექვედრისარ სექსუალურად მოძალადე ქალებს?

— ძალადობად, ამორალურ საქციელად ცოლიან კაცებთან ფლირტის გაბმაც მიმაჩნია. როცა ქალი კაცს ტვინს ურევს, სხვის ოჯახს შეგნებულად ანგრევს, ეს სექსუალურ ძალადობაზე ნაკლები დანაშაული არაა. კაცი კაცია და შეცდება (როგორც ევამ შეაცდინა ადამი). ორივე სქესის წარმომადგენელს ერთ რჩევას მივცემ: სხვისი ოჯახის დანგრევას არასოდეს ეცადონ. ეს დიდი ცოდვაა. ადრე თუ გვიან, ყველას თავისი მიეზღვება...

დაზარალებულებს კი ფსიქოლოგებთან და ფსიქიატრებთან რეაბილიტაციის კურსები სჭირდებათ... ძალიან ძლიერი ფსიქია უნდა გქონდეს, რომ ამ დროს ზუსტად ისე იმოქმედო, როგორც საჭიროა. ყველაზე დიდი მადლი და ძალა ეკლესიაშია: საბოლოოდ, ყველა იქ მივდივართ ხოლმე, შვებას იქ ვპოულობთ, რადგან ადამიანის სულთან უფალზე ახლოს არავინაა. ღვთის ნების გარეშე, განსაცდელი არავის მოველინება. ყველა იმას ვივით, რასაც ვიმსახურებთ. ხანდახან უფალს განუდგებიან ხოლმე — ვაიძე, ამის ღირსი არ ვიყავიო! ჩვენ არ ვიცით, რისი ღირსები ვართ. განსაცდელი იმიტომ გვევლინება, რომ უფალს უფრო მიუახლოვდეთ, უფრო გამოვფხიზლდეთ... მე არც ფსიქოლოგი ვარ და საბედნიეროდ, არც სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გავმხდარვარ, ვინმეს რამე რომ ვურჩიო, მაგრამ ადამიანს სულს ისე ვერავინ დაუამებს, როგორც მოძღვარი...



„წიგნი „ლუმიანალი“ კი არაა, თუ ხელში ჩაბიძარდა, რა გაძინებს, შე უპატრონო?!“

მწერალი — ოტია იოსელიანი თბილისის იშვიათი სტუმარია. ამიტომ, გასულ კვირას, როგორც კი გავიგე, რომ აქ ბრძანდებოდა, მაშინვე დავუკავშირდი. ინტერვიუზე უარი არ უთქვამს. შესვდრისას ჯერ პოლიტიკურ მდგომარეობაზე ვისაუბრეთ, შემდეგ უამრავ თემას შევეხეთ... აღმოჩნდა, რომ ბატონ ოტიას თავისი „10 მცნება“ ჰქონია, რომლის პირველი პუნქტია: ვჯივება თქვა, — ჩემს რქებზე ზემოთ მარტო ღმერთი უნდა იყოს. მწერალი მიიჩნევს, რომ საკუთარი „10 მცნება“ ყველა ადამიანს უნდა ჰქონდეს... როდესაც საუბარი წიგნებზე ჩამოვარდა, აღმოჩნდა, რომ ყურნალი „გზის“ პროექტი — ყურნალთან ერთად „ქართული პროზის საგანძურის“ 3 ლარად შექმნა — მწერალს ძალიან მოსწონს.



ელენე ბასილია

— თქვენმა ყურნალმა კარგი რამ ითავა, 3 ლარი რა არის, კაცს სულ რომ არ უნდოდეს წიგნის ყიდვა, ყურნალთან ერთად მინც გააყოლებს ხელს და იქნებ იმ წიგნს წამკითხველიც გამოუჩნდეს, თორემ „დავბნედი“ ძალიან. უნიგნურობა დაგვეტყოს, გაგვიშვებია ხელი და დაგვიფრენია პირი, — ევროპა და ამერიკა გვიშვლისო. რაღა, იმ ქვეყნებს ჩვენ მეტი არავინ ჰყავს საზრუნავი, თუ?! ცუდ დღეში ვართ, ბიძია, რა გვეშვლებოდა, არ ვიცო. სულ დავბნეხვით. ოდიტ-განვე, ქალსა და კაცს თავის თავისი საქმე ჰქონდა. ბოსტანში ქალი ფუსფუსებდა, ყანაში — კაცი. ძროხას თუ ქალი წველიდა, მამაკაცი ხარს ხედნიდა. ახლა, ქალები გადახვეწილან საზღვარგარეთ და კაცები ეზოში ნარდს თამაშობენ! გადვი-

თორემ ისე არ ადგება. არადა, საქონელი ისე მიყვარს, მერჩივნა, მისი დასარტყმელი ჩემთვის დაერტყათ, მაგრამ რა მექნა, სახნავი მქონდა და არ დგებოდა... ვურტყამდი, ადგებოდა რაცხაფერად, ჩემი ძმა მიმიძლოდა წინ, ქაჩავდა სარქვეში... ისე ვხანავით...

წელანაც ასხენეთ და ვიცი, რომ ცხოველები ძალიან გიყვართ...

— უნესრიგობას ვერ ვიტან, მაგრამ ცხოველებს ყველაფერს ვაბატობ და ჩემი ფაცურა მისდღემში ფეხებთან მიწვეს (ბატონ ოტიას ფინია ძალიან ჰყავს. — ავტ.) თან, ეყურება მე რომ ვლაპარაკობი! რამდენიმე წლის წინ ძალიან მომიკვდა. გადვირიე, კაცო, ახლა ხალხთან ვერ ვეგობრობ — მატყუებენ და ძაღლები არიან ჩემი მეგობრები. რასაც ვეტყვი, ეყურებათ, მიჯერებენ... ძაღლის

და. ვერ ვიტანა ჩემი ლანძღვა, ისე ინერვიულა, გულმა ვერ გოუძლო. არადა, მაგარი ლანძღვა ვიცი და აღარა მყავს ჩემი ბოსვერა... (ძაღლის ფოტოს მაჩვენებს. — ავტ.) გიამ შემომითვალა, თუ გნებავთ, ძუს ჩამოგიყვანთო, მაგრამ ახლა, მე ლეკვებს ვერ გავზრდი. ისედაც, კატა — ციციმ გამიშრო სისხლი. 4 ცინდალს შობს, ვზრდი მათ, მერე დავდივარ ქუჩა-ქუჩა და ვხევი ხალხს, წეიყვანეთ-თქვა. სხვათა შორის, ბებია-ჩემი ძაღლს არ შეგაქებინებდა, — მისმა გვარმა აქოსო — ამბობდა ხოლმე.

— თქვენ მოთხრობაც გაქვთ დაწერილი ძაღლებზე — „ბასარა“...

— კი, თქვენ სად გცალიათ მაგის საკითხავად, თუ არა... ეგ მოთხრობა ბავშვობაშია დაწერილი, მთის სოფელში ბასარა ცხოვრობდა, მისი სახლის წინ ვინმე თუ გვიარდა, ორღობეში უნდა გაჩერებულყო. ბასარა მივიდოდა, დაყნოსავდა გამკლუელს და გაუშვებდა. რომ არ გაჩერებულყო და ძაღლად არ ჩაგედო, არ გააბტიებდა! ერთ დღესაც მანქანა გამოჩნდა სოფელში და არ გაჩერდა ბასარასთან... დადვა თავი თათებზე ბასარამ და მოკვდა დარდით.

— ბატონო ოტია, საუბრისას რამდენჯერმე ასხენეთ, ახალგაზრდებს სად გცალიათ წიგნისთვისო... როგორ ფიქრობთ, ახალგაზრდები წიგნებს არ კითხულობენ?

— წიგნს, ბიძია, მარტო წაკითხვა კი არ უნდა, გაგებაც სჭირია! „ანა კარენინას“ რომ ვკითხულობდი, მთელი ღამე ვყვიროდი — გადვირია ხალხი, რა გაყვირებსო?! — რაღა რა მყვირებს, აბა, ეს წიგნი ასე ჩვეულებრივად რაფერ უნდა აღიქვა-მეთქი? პირველად რომ წიგნი წვეკითხე, იგი ჩემი დაწერილი იყო, ვინ

„ჰაინგუაის აქვს ნათქვამი, — მხარლის ააღდამა, უხადური ბავშვობააო. ამიტომაც ვამბობ, მე ეს „ააღდამა“ ბრწყინვალედ მაქვს დამთავრებული-მეთქი, თორემ ვარ დავხარდი იმას, რაც დავხარე“

რეი კაცი! მეორე მსოფლიო ომის დროს კავს ბავშვებმა მოკვიდეთ ხელი, ვხანით, ვთესეთ და ისე გვეიტანეთ თავი. ომმა ბიძია, ჩვენ ბავშვობა წაგვართვა და დაგვჩაგრა, თუ არა, მათხოვრად კი არ ვუქცევდით? ახლა რომ არ გაქვს ნატეხი პური და მათხოვრობ, მაშინ რასაც ვინევდით, მისით გაგვეკონდა თავი. ჰემინგუეის აქვს ნათქვამი, — მწერლის აკადემია, უბედური ბავშვობააო. ამიტომაც ვამბობ, მე ეს „აკადემია“ ბრწყინვალედ მაქვს დამთავრებული-მეთქი, თორემ ვერ დავხარდი იმას, რაც დავხარე. რაც იყო, ის აღწერე, თორემ კი არაფერი მომიგონია?! მასსოვს, ერთხელ გადაღმა ეზოში ვხანავდი და დაიხოცნენ ხარები, ხარს რომ გოუჭირდებოდა, დანებდა და ისვენებს. უნდა ურტყა,

გარეშე რომ დავჩრი, ეს ამბავი თბილისშიც გოუგიათ და ერთმა კინოლოგმა — სინამდვილეში ძაღლოლოგები არიან მაგნი — გია გიორგაძემ თავისი ხელით ჩამომიყვანა 3 თვის ქართული ნაგაზის ლეკვი. იმის ოჯახი ააშენა ღმერთმა, ბოსვერა დავარქვი, გავზარდე, ესაუბრობდით, ვეგობრობდით... 8 წლის იყო, სახლის გვერდზე, ლაფაროში ფინია ფაცურა და ბოსვერა არ დეირინე?! ფაცურას ჩემი იმედი მიეცა და შეეტოქა, ბოსვერაც გადვირია და ატყდა ამბავი... არიქა, გადვირიე და ვეჩხუბე ბოსვერას, ამას გოუყადრე თავი? ეს რა ჩეიდინე-თქვა?! გავლანძღე ძალიან, გავასწორე მინასთან... საქმელი რომ გოუეტანე, აღარ მოვიდა, გავედი სანახავად და იქვე იყო მკვდარი, გული გახეთქო-



მომავალზედა მე ნიგნს?! ისე ვწერდი, წერაკითხვა არ ვიცოდი და მაგაზე ერთი ამბავი ატყდა, — აბა, ამას ვინ წერსო? — კითხულობდნენ. მე ვუთხარი, — რა ვიცი მე, არაფერი მისწავლია, სკოლაში „სამიანებს“ იმიტომ მიწერდნენ, რომ ობოლი ვიყავი, თორემ ისიც არ მეკუთვნიდათქვა. ვიქნებოდი ასე 18 წლის, როცა „ომი და მშვიდობა“ ითარგმნა. ტოლსტოიმდე რომ მიხვიდე, მანამდე ბევრი რამ უნდა გქონდეს ნაკითხული — ეს კაცი გენიოსი იყო! ჰემინგუეი ამბობდა, ჩემს შემოსავალზე უარს ვიტყვოდი (ამ დროს მილიონებზეა ლაპარაკი), „ანა კარენინა“ და „ომი და მშვიდობა“ რომ წოუკითხავი მქონდესო! დავიწყე კითხვა, ვერაფერი გვეიგე და გადავადგე იქეთ. გავიდა წლები და მოსკოვში წავედი, საკავშირო მწერალთა კავშირთან არსებული ორწლიანი უმაღლესი კურსი უნდა გამეარა. კვი ძალი ხალხი იყო შეგროვილი, სტიპენდია გვექონდა იმდენი, ვერ ვათავებდით თვის განმავლობაში; ცალ-ცალკე ოთახებში ვცხოვრობდით და 3 დღე თავისუფალი გვექონდა, რომ გვეწერა კიდევ იკითხებოდა ლექციებიც — „მასტერსტუო ტოლსტოვა“, „მასტერსტუო პუშკინა“, „მასტერსტუო ფლობერა“... პოეტებმა პუშკინი აირჩიეს. მე სა ნევიდე? მივეუბნებოდა ტოლსტოის და ლექციებზე შავი ჯირკვით ვზივარ... ვიფიქრე, კი ვუსმენ, მაგრამ რაზე თუ არ ნევიკითხე, არაფერი გამოვა-თქვა და „ანა კარენინა“ ევიღე ხელში. ვკითხულობდი და თურმე ახლა ვარ მზად ამის წასაკითხავად! თვითონ ქალმა არ იცის მისი თავი და ტოლსტოი კიდევ მასზე წერს! გადევრიდე, კაცო! არის ასეთი ეპიზოდი, ანა მძასთან წავა და გზად ორჯერვე ვროსსკი დაემგზავრება. ჯერ არც კი გოუცნობიერებია, რომ ვროსსკი მოეწონა, ბაქანზე დახვედრილი ქმარს პირველ ნაკლს შეამჩნევს: თურმე ქმარს დიდი ყურები ჰქონია! აუუ, რომ ვიკვივლე! ქალს ჯერ არ უგრძნია, რომ კაცი მოსწონს და ქვეცნობიერმა უკვე აგრძნობინა. ვიყვირე და ვიჯღაღვლე! გვერდით ოთახში პოეტი მირზა მაგომედოვი ცხოვრობდა და გამოვარდა, — რა გაყვირებს ამ შუალამეზე, ნიგნს ვკითხულობდი და დევიძინეო... ნიგნი „ლუშინალი“ კი არაა, თუ ხელში ჩაგივარდა, რა გაძინებს, შე უპატრონო (ილიმის)?! მირზა პოეტი იყო და — შენ ვერ გეიგებ ვერაფერს, მოშორდი აქედან-თქვა, — ვუთხარი! ახლა, რა მოხდა, ანა კარენინას ქმარს დიდი ყურები ჰქონია და დეიქვა ქვეყანა? არადა, დეიქვა ქვეყანა! იმ კაცს სულ ჰქონდა ასეთი ყურები, მაგრამ ქალს სხვა რომ მოეწონა, მაშინ აღმოაჩინა! „ომი და მშვიდობას“ დიდი ხანი არ ვკითხულობდი, მის მერე რა ნევიკითხო-თქვა?! — ვვიქრობდი... რაფერ მშურს, მათი, ვისაც არ აქვს ეს ნიგნები ნაკითხული... ჰემინგუეისაც კი მშურდებოდა, ხომ იცი?!

ქართვლები კალაბრიაში

იტალიაში (კერძოდ, კალაბრიაში) მცხოვრები ქართველები აქტიურ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევიან: ასოციაციის — „ჯორჯიან ინ კალაბრია“ თაოსნობით მოწყობილ ბევრ საინტერესო ღონისძიებაში მონაწილეობენ. ქართული ასოციაცია კალაბრიაში, დანტე ალიგიერის მულტიეთნიკური უნივერსიტეტის (სოციოლოგიის ფაკულტეტის) ქართველმა სტუდენტმა — ნინო მაზიაშვილმა ჩამოაყალიბა, რომელიც ამავდროულად, კალაბრიაში საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენელიც გახლავთ. თავისი პირველი პროფესია — ჟურნალისტობა ორენოვანი — ქართულ-იტალიური



ნინოს ახლაც არ ავიწყდება და გაზეთის გამოცემასაც აპირებს.

ერთი ყორღანაშვილი

— იტალიელები საქართველოში გაოცებულები არიან. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ვკვლავ ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობას გეგმავენ. აღნიშნავენ, რომ ქართველები და იტალიელები ვგავართ ერთმანეთს. კალაბრიელები თავინთ რეგიონს ღვინის სამშობლოდ მიიჩნევენ. ძალიან გულელია, სტუმართმოყვარე ხალხია, საოცარი იუმორის აქვთ. ოპტიმიზმი კალაბრიელების მთავარი თვისებაა — მათთვის გამოუვალი სიტუაცია არ არსებობს. კალაბრია იტალიის ერთ-ერთი ულამაზესი და თავისი ისტორიით, კულტურით, ტრადიციებით მდიდარი რეგიონია. ორ ზღვას შორის მოქცეული ეს ულამაზესი რეგიონი ოდითგანვე დასავლური და აღმოსავლური კულტურების შესაყარი იყო. აქ გაკეთებული ბოლო მნიშვნელოვანი აღმოჩენა რიაჩის (რიაჩი რეჯიო — კალაბრიის ერთ-ერთი დასახლება) ქანდაკებები გახლავთ, რომელიც „რიაჩის ბრინჯაოს“ სახელითაა ცნობილი. ქანდაკებები ბერძნული

წარმომავლობისაა. ისინი მუზეუმში ინახება და ქალაქის (და მთელი კალაბრიის) ერთ-ერთი მთავარი სიმბოლოა. ასევე საინტერესოა, რომ დასავლეთ ევროპაში, ბერძნული ენიდან პლატონის ფილოსოფიის პირველი მთარგმნელი კალაბრიელი ლეონციო პილატო გახლდათ. ის XIV საუკუნის განათლებული საეკლესიო მოღვაწე იყო. ლეონციო პილატო ბოკაჩოსა და პეტრარკას ბერძნული ენის მასწავლებელიც გახლდათ...

საქართველოში იტალიურს შესწავლის მსურველი ბევრა?

— როგორც ვიცი, პროგრამის — „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ — ფარგლებში, ჩვენს ქვეყანაში იტალიელი მასწავლებლებიც ჩამოვიდნენ. იტალიური ენის შესწავლით ბევრი ქართველი ინტერესდება. რაც შეეხება კალაბრიაში მცხოვრებ ემიგრანტებს, მათთვის სპეციალური პროექტი წამოვიწყეთ. ენის შესწავლისას მიიღებენ სტიპენდიასაც, რომელიც მათ მატერიალურ მდგომარეობას გააუმჯობესებს — ყველანი ხომ მუშაობენ და მწირი შემოსავალი აქვთ. ეს იმ



ორ ზღვას შორის მოქცეული ეს ულამაზესი რეგიონი ოდითგანვე დასავლური და აღმოსავლური კულტურების შესაყარი იყო



მსრიაც მნიშვნელოვანია, რომ იტალიაში მუდმივად ცხოვრების მსურველმა (ამჯერად მოქალაქეობას არ ვგულისხმობ) იქ ჩასვლიდან 5 წლის შემდეგ, იტალიური ენის გამოცდა უნდა ჩააბაროს და ქვეყნის კულტურაზე, ისტორიაზე გარკვეული წარმოდგენაც უნდა გაქონდეს.

— კალაბრიაში მცხოვრები ქართველების კულტურულ ცხოვრებაზე გვიამბო.

— იტალიაში ყველა რეგიონს, ქალაქსა და სოფელს თავისი მფარველი წმინდანი ჰყავს. რეჯიო კალაბრიის მფარველი — წმინდა გიორგია. ჩვენ ასოციაციის ინიციატივითა და ორგანიზებით, სწორედ წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში (რომელიც ცენტრალური საკათედრო ტაძრის შემდეგ, კალაბრიაში მნიშვნელობით მეორეა) ღონისძიება მოეწყო, სადაც კონსერვატორიის ქართველი სტუდენტი — გიორგი ყიფიანი წარვადგინეთ. მან ქართული ხალხური სიმღერების პოპულარიზაცია, აკომპანემენტს კი ცნობილი მესტრო — ალბერტო ბრიგანდი უწევდა. ძალიან ლამაზი საღამო იყო... ვცდილობთ, კალაბრიაში მცხოვრებ მიზანდასახულ ქართველებს ხელი შევუწყოთ, დავეხმაროთ...

— მერე, ასეთი ბევრა?

— ძალიან. სურთ, ისწავლონ, წარმატებას საკუთარი შრომით მიაღწიონ. სხვათა შორის, იტალიაში ქართველები ყველაზე კარგად ინტეგრირებული არიან. ამას სხვებიც აღნიშნავენ... ამ ცოტა ხნის წინ, კალაბრიის ვიცე-მდივნის — ონორეოლე ჯიოვანი ნუჩერას ხელშეწყობით, მულტიეთნიკური პოეზიის საერთაშორისო კონკურსი მოვანყვეთ. მასში მონაწილეობდნენ: მაროკოელი, რუმინელი, ფილიპინელი, უნგრელი, ქართველი კონკურსანტები. პირველი 3 ადგილი სწორედ ქართველებმა — თამარ თავგილიძემ, ლალი აბრამიძემ და ნაზი ზაუტაშვილმა დაიკავეს. ჟიური ცნობილი პოეტებითა და იქაური მეცნიერებით იყო დაკომპლექტებული. ის საღამო კალაბრიაში მცხოვრები ქართველების გრძნობების, ემოციების არენა იყო... კალაბრიაში მოწყობილ მულტიეთნიკურ სილაშხის კონკურსში ერთ-ერთ ნომინაციაში ქართველმა გოგონამ გაიმარჯვა...

ეს ფილიპინელების პროექტი იყო, რომელთანაც ჩვენმა ასოციაციამ ითანამშრომლა. კონკურსს „მის ინტერკულტურა“ ერქვა. მასში ნიგერიელი, ფილიპინელი, ქართველი, რუსი, ალჟირელი გოგონები მონაწილეობდნენ. ლიკა ჯანიშვილი „მის ელეგანტურობა“ გახდა. ყოველგვარი გაზვიადების გარეშე ვიტყვი: იტალიაში ელეგანტურობა ყველაზე დიდი კომპლიმენტი!

— კალაბრიაში მცხოვრებ ქართველებს საქართველოს საელჩოსთან რაიმე კონტაქტი თუ აქვთ?

— ჩვენი ორგანიზაციის მინივეით, იტალიაში საქართველოს ელჩი — ბატონი კოტე გაბაშვილი კალაბრიაში გახლდათ და გუბერნატორთან, იქაურ პოლიტიკურ წარმომადგენლობასთან შეხვედრები ჰქონდა. შეხვდა ქართულ დიასპორასაც. გადამწყვეტილია, რომ საქართველოში კალაბრიელ პოლიტიკოსთა და ბიზნესმენტთა დელეგაცია ჩამოვა. დიასპორის საკითხებში მინისტრს — პაპუნა დავითაიას და დეპარტამენტის უფროსს — მედეა მირიანაშვილს დიდ მადლობას ვუხდით: სამინისტროს ერთ-ერთი ბოლო პროექტი — უცხოეთში საკვირაო სკოლებისთვის ერთიანი სასწავლო პროგრამის შექმნა გახლდათ. ამ პროგრამის მიხედვით, ბავშვები გეოგრაფიას, ისტორიას, ქართულს (ჩვენ იტალიური ენაც დავამატეთ) ისწავლიან. საშუალება ექნებათ, კარგად დაუფლონ მშობლიურ ენასაც და, თუ სურვილი ექნებათ, საქართველოში ერთიანი ეროვნული გამოცდებიც ჩააბარონ. სხვათა შორის, ქართულის სწავლის სურვილი ბევრ იტალიელსაც აქვს, ძირითადად — ალბათ, ქართველებზე შეყვარებულ იტალიელებს (ილიმის).

— შერეული, ქართული-იტალიური ოჯახი ბევრა?

— კი. უფრო მეტი — იტალიელ მამაკაცებზე გათხოვილი ქართველი ქალები არიან. შერეულ ოჯახებს არჩევულებრივი შვილები ჰყავთ: ბავშვები 2-3 ენაზე საუბრობენ, უნიჭიერესები არიან.

— ნიწო, თქვენ გარდა, ამ უნივერსიტეტში ქართველები სწავლობენ?

— დანტე ალიგიერის უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი სტუდენტი ვარ, მაგრამ ენის შესასწავლ კურსებს რამდენიმე ქართველი გადის. ბატონი კოტე გაბაშვილი უნივერსიტეტის რექტორს შეხვდა. შეთანხმდნენ, რომ დანტე ალიგიერის და საქართველოს რომელიმე უნივერსიტეტს შორის გაცვლითი პროგრამები განხორციელდებოდა: ჩვენს უნივერსიტეტს აქვს საზაფხულო სკოლები, ენის შესასწავლი კურსები. ენის შესწავლის გარდა, ამ პროგრამით, ქართველი სტუდენტებისთვის კალაბრიაში ექსკურსიები მოეწყობა. დანტე ალიგიერის უნივერსიტეტს სხვადასხვა ქვეყნის 40-ზე მეტ უნივერსიტეტთან აქვს კავშირი. შესაბამისად, ქართველ სტუდენტებს საშუალება



კალაბრიის რეგიონის ვიცე-მერი — ნუჩერა და გუბერნატორი სკოპელიტი, ქართველი სტუმრების მიღებისას

ექნებათ, სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელ სტუდენტებს შეხვდნენ, მათი კულტურა, ტრადიციები გაიცნონ... აქვე მინდა ვთქვა, რომ ამას წინათ საქველმოქმედო ღონისძიებაც მოვანყვეთ: კალაბრიაში არსებობს ჰოსპიტალი — „ოსპიტე“, სადაც მძიმედ დაავადებული ადამიანები ცხოვრების ბოლო პერიოდს ატარებენ. ეკონომიკური კრიზისის გამო, ეს ჰოსპიტალიც არასახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთ-ერთ ფოლკლორულ ასოციაციასთან — „ზამპონია“ (ქართულად — გუდასტვირი) ერთად, ქუჩაში იმპროვიზებული სპექტაკლი მოვანყვეთ და შეგროვილი თანხა ჰოსპიტალს გადავურიცხეთ. ერთ-ერთმა აქტივისტმა მკითხა: ამ ღონისძიების მოწყობის იდეა საიდან დაგებადათ? ვუპასუხე: თავს ვალდებულად მივიჩნევთ — იმ ქალაქის ჭირი და ლხინი გავიზიაროთ, რომელშიც ამჟამად ვცხოვრობთ-მეთქი...

— ამ საქველმოქმედო ღონისძიებაში იტალიელებიც ჩაებნენ?

— კი, მაგრამ უცხოელების მხრიდან, მხოლოდ ქართველები ვმონაწილეობდით. ამის გამო ბედნიერი ვარ, რადგან ინტეგრაცია მხოლოდ კულტურული ღონისძიებების მოწყობას არ ნიშნავს — თავს საზოგადოების სრულფასოვან წევრად ვერასოდეს იგრძნობ, თუ სხვისი ტკივილის გაზიარებაც არ შეგიძლია.

— სამომავლოდ, კიდევ რა გეგმები გაქვთ?

— ეს წელიწადი იტალიისათვის საიუბილეოა — სახელმწიფოს გაერთიანებიდან 150 წელი აღინიშნება. ვაპირებთ, იტალიელებისათვის ამ საიუბილეო თარიღის აღნიშვნაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. გადაწყვიტეთ, მასალები მოვიძიოთ იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც იტალიის გამორებად შერაცხეს, — მაგალითად, იტალიის ეროვნული გმირი — ფორე მოსულიშვილი...

დანბრეული ოჯახები და მიბოვებული შვილები

„სიბყვია „დედასას“ ველარ ვიტანა!“

როცა ოჯახი ინგრევა, ამით პირველ რიგში, წყვილის შვილები ზარალდებიან. დედ-მამის გაყრა ცხადია, ბავშვებზე ცუდად მოქმედებს, მაგრამ უფრო ძნელი ყოფილა იმ ფაქტთან შეგუება, როცა მშობელი ოჯახს ხელმეორედ ქმნის. ბევრს „ახალი“ დედის ან მამის მიღება სულაც არ უჭირს, რადგანაც „ძველ“ მშობელთან მხოლოდ უსიამოვნო მოგონებები თუ აკავშირებს, მაგრამ უმეტესობას „ახლის“ მიღება არ შეუძლია, რადგანაც ფიქრობს, რომ სწორედ ეს ქალი თუ კაცია მისი მშობლების გაყრის ნამდვილი მიზეზი.

ლიკა ქავაია

მამა, 16 წლის:
— 9 წლის ვიყავი, როცა მამა სახლიდან წავიდა და სულ მალე, 9 წლით უმცროს გოგონაზე დაქორწინდა. თავიდან მათთან სტუმრად ხშირად მივდიოდი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გავიგე, რომ მშობლების გაყრის მიზეზი სწორედ დედინაცვალი იყო, იმ გოგონზე გული ამიცრუვდა.

— **ეს ამბავი შენ საიდან გაიგე? დედამ გათხრა?**

— არა, ის ამას ცოცხალი თავით არ მეტყოდა. დედაჩემი კეთილშობილი ქალია და მიუხედავად იმისა, რომ ქმარი ცუდად მოექცა, ის მაინც უყვარს, ჩემგანაც ყოველთვის იცავს... სიმართლე ბებიამ, მამის დედამ მითხრა, რომელსაც რძალი ანუ დედაჩემი სიგიჟემდე უყვარს. მართალია, მამა ჩვენთან აღარაა, მაგრამ დედა მაინც ყოფილ დედამთილთან და მამამთილთან ერთად ცხოვრობს. დაუფერებელია, არა? აი, ასეთი კარგი დედა მყავს, ის ქალი კი ნამდვილი კატაა. თურმე, მამას თავგზა აურია და მანამ არ მოეშვა, ვიდრე ოჯახის დანგრევის გადანყვებილება არ მიაღებინა.

— **ახლა არ მითხრა, მამაჩემი იც უდანაშაულოა, ის იმ ქალის მსხვერპლია...**

— არა, ამას ვერ ვიტყვი იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ვიცი, კაცს თავად თუ არ უნდა, მას ვერაფერს აიძულებს, მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ ქალს, თავისი მაცდურობის წყალობით, ბევრი რალაცის გაკეთება შეუძლია... ახლა დედას ვუბნები, — შენც შექმენი ოჯახი, ამის სანაწინააღმდეგო არაფერი მაქვს-მეთქი, მაგრამ უარზეა: ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკვე გასათხოვარი გოგო ვყავარ და ამბობს, — არ



შეგარცხვენო და მეორეც — ისევ მამა უყვარს; მას იმედი აქვს, რომ ქმარი ოდესმე დაუბრუნდება. ჰგონია, თუ მის მშობლებს მოუვლის, ამით ყოფილი მეუღლის პატივისცემასა და სიყვარულს დაიბრუნებს, მაგრამ ცდება, მამა ბრმადაა შეყვარებული იმ კატაზე, რომელიც მართალია, დედას გარეგნულად სჯობია, მაგრამ ნამდვილი „ფუტლიარია“ და სხვა არაფერი.

— **მამაშენს იმ ქალთან შვილები არ ჰყავს?**

— ჯერ არა, მაგრამ მალე ეყოლება — დედინაცვალი მ თვის ფეხშიძიქა. დედა მზადაა, ის ბავშვიც მიიღოს და მიუხედავად იმისა, ქმარი დაუბრუნდება თუ არა, მის შვილებს იზრუნოს. დედამთილ-მამამთილსაც ეუბნება: ისიც თქვენი შვილიშვილი იქნება და ჩემ გამო ხელს ნუ ჰკრავთ, მე არ გაგიბრაზდებით, პირიქით — მას ისე გავიბრაზდებით, როგორც ღვიძლ შვილს და თუ დასჭირდება, მოვუვლი კიდევო. ზუსტად ვიცი, დედა ამ კეთილშობილებამ დალუბა, მაგრამ მე მას ველარ შევცვლი.

ბათი, 17 წლის:

— ჩემი მშობლებიც დაშორებულები არიან და ორივემ ხელმეორედ სცადა ოჯახის შექმნა. დედას გაუმართლა და კარგი მეუღლე ჰყავს, მამა კი მე-

ორე ცოლსაც გაშორდა და ახლა მესამის ძიებაშია (იცინის). იცით, ძალიან „ტენხავს“, როცა დედა გითხოვდება ან მამას მოჰყავს ცოლი, თანაც — თუ უკვე თინეიჯერი ხარ. პირადად ჩემზე, მშობლების განქორწინებამ და მერე მათმა გათხოვება-დაოჯახებამ ცუდად იმოქმედა და ახლა არც ერთის დანახვა აღარ მინდა.

— **ვისთან ერთად ცხოვრობ, შენზე ვინ ზრუნავს?**

— საკუთარ თავს თავადვე ვუვლი. ისე კი მამიდასთან ერთად ვცხოვრობ. ის გაუთხოვარია და იმედი მაქვს, რომ ჩემს თავმოყვარეობას მამიდუნა მაინც არ შელახავს — 52 წლისაა და რომ გათხოვდეს, შეიძლება, ინფარქტი მივიღო.

— **შენ აზრობ, მას გათხოვების უფლება არა აქვს?**

— შეიძლება, უფლება აქვს, მაგრამ რალა დროს მისი გათხოვება ან ამ ასაკში კაცი და მიძიმე უღელი რა ჯანდაბად უნდა? ბოლოს და ბოლოს, შეუძლია, საყვარელი გაიჩინოს, გაუთხოვარ ქალს ამის გამო ვინ დაძრახავს?..

— **დედ-მამასთან საერთოდ არ ურთიერთობ?**

— მათ მხოლოდ მაშინ ვურეკავ, როცა რალაც მჭირდება, სხვა დროს კი მათი არსებობის გახსენებაც არ მინდა. ჩემს მშობლებს შვილი რომ ნდომოდათ, ერთმანეთს არ გაეყრებოდნენ. ისინი მხოლოდ საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობდნენ და ასეთი ადამიანების გვერდით ცხოვრება არაა უნდა მინდოდეს? ოჯახი იცი, რის გამო დაანგრის? დედამ მამა ლალატში გამოიჭირა და იმის ნაცვლად, რომ თავად მაინც მოქცეულიყო ღირსეულად, ქმარს სამაგიერო გადაუხადა — თავის პირველ სიყვარულს დაურეკა და ლოგინში ჩაუგორდა. ცოტა ხანში ერთმანეთს ყოველგვარი სკანდალის გარეშე დაშორდნენ და ყოფილ საყვარლებს დაუკავშირეს ცხოვრება, ჩემზე კი არც უფიქრიათ. ჰოდა, მითხარიო, ასეთი მშობლების ყოლაზე რომელი ჭკუათამყოფელი იოცნებებს? ამას სჯობს, დედ-მამა მკვდარი გყავდეს!

ნანა, 15 წლის:

— 8 წლის ვიყავი, როცა დედა გარდაემცვალა. მამა ცოლის შერთვისგან წლების განმავლობაში თავს იკავებდა და როცა ეუბნებოდნენ, — თავს ნუ



იტანჯავ, ისეთი ქალი მოიყვანე, რომელიც შენც მოგივლის და ბავშვსაც, ყვირილს იწყებდა, მაგრამ 1 წლის წინ ჩემი დედინაცვალის ჩაუფარდა გულში და შეირთო კიდევ ისე, რომ ჩემთვის აზრიც არ უკითხავს. ჰოდა, გაბრაზებული შინიდან გავიპარე. 2 დღე ქუჩაში დავწინაწაღებდი, მერე კი პოლიციამ დამიჭირა და შინ დამბრუნა. იმ დღის მერე დედინაცვლის გამწარებას ვცდილობდი, ამისთვის სხვადასხვა მეთოდს ვიყენებდი და ახლა ამის ძალიან მრცხვენია... ნათელა არაჩვეულებრივი ქალი აღმოჩნდა. ის არა მარტო მამაჩემზე, არამედ ჩემზეც ნამდვილი დედასავით ზრუნავს და იმდენი ქნა, რომ თავი შემაყვარა... საცოდავი ქალი ჩემს გამოხედომებს, უხემ საქციელს მშვიდად იტანდა, არაფერს მსაყვედურობდა. ჰოდა, ამით ვსარგებლობდი და მის გასამწარებლად ყოველდღე ახალ-ახალ ხრიკს ვიგონებდი, მაგრამ ერთხელაც, მისმა საქციელმა გონს მომიყვანა: დაბადების დღეზე ნათელამ კომპიუტერი მიყიდა, სუფრა გამიშალა და მითხრა, რომ შექმელო, ჩემი მეგობრები მიმეყვანა. კომპიუტერი დავუწუნე, სულ უგემოვნო ბებერი ვეძახე, მისი გაშლილი სუფრა კი ფეხით გადავთელე; მერე საძინებელში გავდი და ვითომ წიგნის კითხვა დავიწყე, ცოტა ხანში კი ოთახიდან გამოვედი, რათა ნათელას ტანჯვისთვის მეცქერა, მისთვის დამეცინა, მაგრამ... ის მაგიდასთან, მუხლებზე იდგა და მოთქმით ტირიდა, უფალს ევედრებოდა, — ამ ბავშვს ჩემი თავი შეაყვარე, ის მართლა მიყვარს; მერე დედაჩემის სულს სთხოვა: დამეხმარე, რომ დედობა გაუწიო. უცებ, გულში სითბო ჩამელვარა და მივხვდი, რომ ცუდად ვიქცეოდი. ვიგრძენი, ზეციდან დედა მიყურებდა, ჩემი საქციელის გამო მსაც ძალიან რცხვენოდა და... ნათელასთან მივირბინე, გულში ჩავეკარი და პატიება ვთხოვე. მას მერე არაჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს. მართალია, დედას ვერ ვეძახი, მაგრამ ამის გამო არ მსაყვედურობს. ახლა ყველანაირად ვცდილობ, ვასიამოვნო და ის გავაკეთო, რაც მას გაახარებს... მერწმუნეთ, ყველა დედინაცვალის კუდიანი არაა, როგორც ამას ზღაპრებში აღწერენ და ჩვენ, ბავშვებმა „ახალ დედებსაც“ უნდა მივცეთ შანსი...

ვარია, 19 წლის:

— მე და ჩემი ძმა ვატო (ტყუპი ვართ) 5 წლის გახლდით, როცა დედამ მიგვატოვა და როგორც ამბობენ, ვილაც კაცს გაკვიდა. ის ქალი ბუნდოვნად გვახსოვს და ეს გვიხარია კიდევ — არ გვინდა, ჩვენს მესიერებაში ისეთი ქალის სახე იყოს აღბეჭდილი, რომელსაც საკუთარი სიამოვნების გამო შვილების მიტოვება შეუძლია. ის ქუ-

ჩაში რომ შემხვდეს, მუხლებზე დამიდგეს და პატიება მთხოვოს, არ შემეცოდება. დედის მიმართ ზიზღს ვგრძნობ და ამიტომაც, სიტყვა „დედასაც“ ვერ ვიტან!

— მას შემდეგ, რაც სახლიდან წავიდა, დედა თქვენს ცხოვრებაში არ გამოჩენილა?

— მე და ვატო 16 წლის ვიყავით, როცა სკოლაში მოგვავითხა და სცადა, მოვეთაფლეთ, ნიანგის ცრემლები გადმოყარა და გვეფიცებოდა, — ძალიან მიყვარხართ, უთქვენოდ მოგვკვდებით. კარგი, რა, ასეთი რალაცების ვილას სჯერა? უჩვენოდ წლების განმავლობაში თავს კარგად გრძნობდა და უცებ მიხვდა, რომ ვუყვარდით? რა სისულელე! ვატომ ის ქალი გააფრთხილა: ეს ჩვენი უკანასკნელი შეხვედრაა. იცოდე, ჩვენს ცხოვრებაში აღარ გამოჩნდე, თორემ საკუთარ საქციელზე პასუხს აღარ ვაგებო. ჩვენ ბებიათა გავგზარდა და თავს მის შვილებად მივიჩნევთ, სხვა დედა არ გვჭირდება.

— მამა არ დაოჯახებულა?

— კი, მას რუსი ცოლი ჰყავს და რუსეთში ცხოვრობს.

— მამას აპატიეთ ახალი ოჯახის შექმნა?

— რა თქმა უნდა! მერწმუნეთ, მას საპატიებელი არაფერი ჰქონდა. ახალგაზრდა კაცს ცოლი ხომ უნდოდა? ჰოდა, მოიყვანა ისეთი ქალი, რომელიც თავს ევლება და სხვათა შორის, ჩვენც დიდ პატივს გვცემს. სამწუხაროდ, გარკვეული მიზეზების გამო, ნატამას შვილი არ ეყოლება. ამბობს, — არ ვდარდობ, რადგან მე უკვე მყავს ორი არაჩვეულებრივი შვილი — ქალ-ვაჟიო. ცხადია, მე და ვატოს გვეულისხმობს... აი, მამას რომ დაენგრიო ოჯახი, მაშინ ვერც მას ვაპატიებდით ნატამასთან ქორწინებას და დედის მიტოვებას, მაგრამ ვინაიდან პირველი ის მიატოვეს, ცხადია, ოჯახის დანგრევამი დამნაშავედ ვერ მივიჩნევთ.

— შენი აზრით, როგორი იქნებოდა შენი და ვატოს ცხოვრება იმ შემთხვევაში, თქვენი ოჯახი რომ არ დანგრეულიყო?

— ალბათ, არ ვიქნებოდით ისეთი დამოუკიდებლები, როგორებიც ახლა ვართ. სამაგიეროდ, ოჯახური სითბოთი გაბრუნებულბს, გვექნებოდა სიყვარულის ნიჭი, არ ვიქნებოდით ეჭვიანები... მოკლედ, ყველაფერი სულ სხვაგვარად იქნებოდა...

თინეიჯარები გვწერენ

„4 თვეა, მის დაწინააღმდეგებას ვსდილობ“

ბარიათი:


„გამარჯობა, მე 14 წლის ვარ და მინდა, დახმარება გთხოვოთ. ჩემი სიყვარული წელიწად-ნახევრის წინ გავიცანი. ერთი წელი „ლოვეები“ ვიყავით, მაგრამ 4 თვის წინ დავშორდით. ამის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ერთმანეთს ვერ ვნახულობდით. მყავს „პაკლოები“, მაგრამ მათდამი არავითარი გრძობა არა მაქვს... 4 თვეა, ყოფილი შეყვარებულის დავინწყებას ვცდილობ, მაგრამ არაფერი გამომდის და თქვენი დახმარების, რჩევების იმედილა მაქვს.“

„მეულის ბიძაშვილი შემიყვარდა“

საპალელი გოგო:

„გამარჯობა, მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და გწერთ ხოლმე. ახლა ძალიან მიჭირს, თავს მარტოსულად ვგრძნობ და თქვენი დახმარების იმედი მაქვს. მერწმუნეთ, ჩემთვის ისიც ბევრს ნიშნავს, გულს რომ გადაგიშლით... 3 წელია, გათხოვილი ვარ და ორი პატარა ანგელოზიც მყავს. სამწუხაროდ, 2 წლის წინ მივხვდი, რომ ქმარი არ მიყვარს, თუმცა, მე ის ქალი არა ვარ, რომელსაც შეუძლია, შვილებს მამა დააკარგინოს. ჰოდა, მისგან არ მივდივარ, დღემდე ერთად ვცხოვრობთ. ახლახან თავს ერთი უბედურება დამატყდა (ამის აღიარება მიჭირს, მაგრამ...) — აღმოვაჩინე, რომ მეუღლის ბიძაშვილი მიყვარს. მისი ნახვა, მასთან ხუმრობა და რძალმულური ურთიერთობა ყოველთვის მიხაროდა, მაგრამ ახლახან, როცა ის დიდი პრობლემის წინაშე დადგა, როცა ძალიან გაუჭირდა, მივხვდი, რომ მის მიმართ სულ სხვა რამეს ვგრძნობ. დიახ, მე ის მთელი არსებით მიყვარს, მაგრამ ამას თქვენ გარდა, ვერავის გავუმხელ და ვიტანჯები. ცნობისათვის, ოჯახი მსაც აქვს. თუ გინდათ, გამოვიცხეთ, არ მენწყინება, მაგრამ იქნებ რჩევაც მომცეთ. ის, რაც მოხდა, ჩემი ბრალი არაა, მე ეს არ მინდოდა...“

P.S. ამჯერად გთავაზობთ თემას: აკრძალული სიყვარული. საინტერესოა, რას ფიქრობთ ნათესავეებს შორის გაჩაღებულ სასიყვარულო ურთიერთობებზე; გვაქვს თუ არა დედმამიშვილის მეგობრის შეყვარების უფლება და ა.შ. მოკლედ, ამ თემასთან დაკავშირებული სხვისი ან საკუთარი თავგადასავალი შეგიძლიათ მომწეროთ ნომერზე: 8(58) 25.60.81 ან მეილზე: lika.qajala@gmail.com.



სამყარო

ზურაბ ლეჟავა — ნორჩი კინომსახიობი და დიდი მხატვარი

დიდი ხელოვანი, ნიჭისა და შრომისმოყვარეობის გარდა, მოკრძალებითა და უპრეტენზიოებით გამოირჩევა. „სიჩუმით“, რომელიც მუშებთან ურთიერთობას კიდევ სჭირდება და კიდევ შვენი... სწორედ ასეთი იყო ბატონი ზურაბ ლეჟავა — მხატვარი, რომელიც მრავალმხრივი ნიჭიერებით გამოირჩეოდა და დიდი მემკვიდრეობა დაგვიტოვა — როგორც ხელოვნების ნიმუშების, ასევე საუცხოო ოჯახის სახით. ჩვენი კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სახალხო მხატვარი, თბილისის საპატიო მოქალაქე ზურაბ ლეჟავა ორიოდე თვის წინ წავიდა ამ ქვეყნიდან...

ნაგობის მქედლისა, ჩინებულად მომღერალი ყარაჩოხელისა და თავადიშვილისა (სადაც ის, ბატონ გოგი გელოვანთან ერთად, არაჩვეულებრივად ასრულებდა რუსულ რომანსს). ეს იყო ფილმი-ფეიერვერკი, ფილმი-ზეიმი, რომელშიც ბატონი ზურაბი ნატო ვაჩნაძესთან ერთადაც ცეკვავს. ასე რომ, ამ კინოსურათის წარმატებაში მანაც შეიტანა თავისი მოკრძალებული წვლილი.

თავისუფალი კინოკამე

გამორჩეულად საინტერესოა მისი ბიოგრაფია. ჯერ კიდევ ბავშვობაში მოუხდა ძალიან აქტიურ შემოქმედებით ცხოვრებაში ჩაბმა, როდესაც მიხეილ ჭიაურელის ცნობილ ფილმში — „არსენა“ პატარა ბიჭუნას დასამახსოვრებელი როლი შეასრულა, რომელიც დედასაც გმირულად იცავს ძალმომრეობისაგან და მოლაღატე ფარსადანსაც კლავს. შემდეგ იყო მიხეილ ჭიაურელისავე ფილმი — „გიორგი სააკაძე“, სადაც კვლავ პირველხარისხოვან ოსტატებთან ერთად მოუხდა თამაში — მან ავთანდილი განასახიერა. განსაკუთრებით საინტერესოა კი მაინც, „ქეთო და კოტე“ აღმოჩნდა, სადაც ვახტანგ ტაბლიაშვილმა ზურაბ ლეჟავას თანადროულად რამდენიმე სახის ხორც-შესხმა შესთავაზა: ბრგე, ათლეტური აღ-

ასეთ არაჩვეულებრივ გარემოცვაში მოხვედრას მისმა გულგახსნილმა და სტუმართმოყვარე ოჯახმაც შეუწყო ხელი. ზურაბის მამა — პლატონ ლეჟავა იყო პოეტი, დიდად განათლებული პიროვნება, ავტორი დღესაც ძალზე პოპულარული სიმღერისა — „სალამურსა გულში ჩაგწვდი“ და ასევე აღიარებული სახუმარო ჰანგებისა — „საქათმეში შეპარულა მელა“, „გიმნაზისტი გიმნაზისტკას“ და სხვანი. მისი მეუღლე, მურზაყან დადამქვლიანის შთამომავალი, მელისან ლორთქიფანიძე — ცნობილი პედაგოგი, გარეგნობითაც მშვენიერი, კეთილშობილი ქალბატონი გახლდათ. ქალბატონ მელისანის უმცროსი ძმა — იუნკერი ოთარ ლორთქიფანიძე ბოლშევიკებმა 1921 წელს შეინირეს, ხოლო მეორე ძმა —



ზურაბ ლეჟავა, მალე ამირანაშვილთან ერთად XX საუკუნის 60-იან წლებში იყო ინციტაგორი ნიკო ფიროსმანაშვილის გრიუბული გამოცემის გამართვის პარიზში





„არსენა“ (პირველი კინოროლი)

ელგუჯა ლორთქიფანიძე, სანდრო ახმეტელის საყვარელი მოწაფე და უნიჭიერესი მსახიობი, მისდამი ერთგულეზას 1937 წელს ემსხვერპლა...

ასეთ გამორჩეულ ადამიანებთან ურთიერთობა ბევრის მიმცემი იყო ბატონი ზურაბისათვის — ამ გარემომ ჩამოუყალიბა გულმხურვალე სიყვარული სამშობლოსი, მისი დიდი კულტურისა და ლირსეული ტრადიციებისა.

ასე რომ, სიმღერაც (მათ შორის — ხალხური მრავალხმიანობა) და კინოს სამყაროც მისი შემოქმედების საგულისხმო ნაწილია, თუმცა გადამწყვეტი მინც მხატვრობა აღმოჩნდა. თბილისის სამხატვრო აკადემიაში მას ისეთი გამორჩენილი ოსტატები ასწავლიდნენ, როგორებიც იყვნენ: იოსებ შარლემანი, ალექსანდრე ციმაკურიძე, სერგო ქობულაძე და სხვანი. იგონებდა კიდევ, თუ რა გატაცებით ხატავდა სტუდენტებთან ერთად, ბატონი სერგო — ეს დიდი ხელოვანი, რომელიც ამბობდა: მუზას არ უნდა ელოდო, ის თავდადებული შრომის პროცესში იბადებაო.

50-იანი წლების მხატვრობა გამორჩეული მნიშვნელობის მოვლენა იყო ჩვენში — ენ. „დათობის“ ხანაში ზურაბ ლეჟავამაც თავისი სერიოზული სიტყვა თქვა. მასთან ერთად კურსზე ისეთი ბრწყინვალე მხატვრები სწავლობდნენ, როგორებიც იყვნენ: ჯიბსონ ხუნდაძე, ედმუნდ კალანდაძე, ცნობილი პოეტი და ხელოვნების ისტორიკოსი — მიხეილ ქვლივიძე...

ზურაბ ლეჟავას ადრინდელ გრაფიკაში გამოირჩევა დავით კლდიაშვილის ნაწარმოებთა დასურათება. მან მთელი სიღრმით წარმოაჩინა მწერლის სამყარო...

როსათვის ნიშნული ხედვის სიმბავილე, მძაფრი გროტესკულობა და უღრმესი ტრაგიზმი. ეს ყოველივე განახორციელა უაღრესი სისადავით, ღრმა თანაგანცდითა და იშვიათი მხატვრული სიზუსტით. შემდგომში შეიქმნა უცხოეთში მოგზაურობების შთაბეჭდილებებთან დაკავშირებული, მართლაც მაღალი პროფესიული კულტურით გამორჩეული სერია, ხოლო სამშობლოს სხვადასხვა კუთხის ამსახველ სურათებში დიდი ფასულობის ფერწერული და გრაფიკული მატარებელი დაგვიტოვა, სადაც ძლიერ კოლორიტული ანდა სახასიათო პერსონაჟებიცაა წარმოჩენილი და დედაბუნების ამსახველი, ღრმად განცდილი, შინაგანი მღელვარების მატარებელი სურათ-ხატებიც.

განსაკუთრებით ღირებული მინც ძველი თბილისის სერიაა, სადაც სკრუპულოზურად შესრულებული და იმავდროულად მხატვრულად ტევადი ნამუშევრებიც გვხვდება.

გარდა საკუთარი შემოქმედებისა, ის ბევრს იღვწოდა ქართული მხატვრობის აღმავლობისათვის, როგორც: მხატვართა კავშირის თავმჯდომარე, აკადემიის სამრეწველო გრაფიკის კათედრის დამარსებელი და ბოლოს — როგორც გრაფიკის კათედრის პროფესორი. ამ ასპარეზზეც მრავალმხრივი და ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა... უმნიშვნელოვანეს მოვლენათა შუაგულში კი იყო, მაგრამ არასოდეს კარგავდა თავმდაბლობას, უშურველი თანადგომისა და ზრუნვის უნარს, ავლენდა დიდ გულისმხიერებას.

ცალკეა აღსანიშნავი ბატონი ზურაბის სამეგობრო წრე: ქართული ხალხური სიმღერის მეტრი, ან გარდაცვლილი გოგი გელოვანი, დღესაც მოღვაწე ცნობილი დასტაქრები — ლევან ჭაჭიაშვილი, ვახტანგ ხურციძე, ბაადურ რაჭველიშვილი და სხვები.


ზურაბ ლეჟავას ცხოვრების თანამგზავრი — ქალბატონი ლეილა გეგენავა, პედაგოგი და სამედიცინო დარგის ცნობილი წარმომადგენელი — უმშვენებდა გვერდს. მათი წყვილი ჩვენი საზოგადოების მშვენებდა აღიქმებოდა.

ზურაბ ლეჟავას ოჯახი დღეს აგრძელებს იმ ტრადიციებს, რომლებსაც მრავალი თაობა ერთგულობდა — ეს არის, უპირველეს ყოვლისა, ქართული კულტურის სიყვარული: მისი ვაჟი, სამსონ ლეჟავა, და რძალი, ასმათ ოქროპირიძე — ხელოვნებათმცოდნეები არიან და ხალხური და შუა საუკუნეების ხელოვნების შესწავლას მისდევენ; შემდგომმა თაობამ, მშობლებთან ერთად (ზურაბ და ნიკოლოზ ლეჟავებმა და ნიკოლოზის მეუღლემ, ანასტასია გეგამა) შექმნა ნეო-ფოლკლორული ჯგუფი „ლეჟავები-დენციში“, რომლის კომპაქტდისკების ნაწილის გაფორმება კვლავაც ბატონ ზურაბს ეკუთვნის. ეს ორიგინალური ჯგუფი სულ მცირე, ოთხი თაობის საავტორო მუსიკის გამოცდილებას აერთიანებს, რაც მათი შემოქმედების ხარისხთან ერთად, უნიკალურ მოვლენად აქცევს ამ ძალზე საინტერესო ანსამბლს, რომლის შორს მიმავალი მიზანია — ახლებურად გააცოცხლოს და თავისებურად ააღორძინოს როგორც ძველქართული ინსტრუმენტული შემოქმედება, ისე ჩვენბური ვოკალური მრავალხმიანობა. ამ გზაზე მათ მოიპოვეს აღიარება, ავტორიტეტი და სერიოზული დაინტერესება, როგორც მოყვარულთა, ისე პროფესიონალთა წრეებში. ამ წარმატების განმაპირობებელი კი მნიშვნელოვანწილად, ისევე ბატონი ზურაბი იყო, ვინაიდან ქართული სიმღერის კულტი (კვლავ გოგი გელოვანთან ერთად) სწორედ მან ჩაუწერა თავის შთამომავლებს.

დაბოლოს, ერთი საგულისხმო ფაქტი: ბატონი ზურაბ ლეჟავა, შალვა ამირანაშვილთან ერთად, XX საუკუნის 60-იანი წლებში იყო ინიციატორი ნიკო ფიროსმანაშვილის ტრიუმფული გამოფენის გამართვისა პარიზში, რის შესახებაც თავად უჩვეულად მღელვარებით ჰყვებოდა — ეს, მისივე თქმით, ბატონი ზურაბის ცხოვრების უბედნიერესი ეპიზოდი იყო, დაკავშირებული ქართული კულტურის დიდ აღიარებასთან, საერთაშორისო ასპარეზზე ესოდენ ღირსეულად მის გატანასთან...



„ქეთო და კოგემი“ 3 როლი შეასრულა: ყარაჩოხელი (მარჯვნიდან მეორე), თავადიშვილი (ნაგო ვაჩნაძესთან ერთად) და მჭედელი ლუარსაბი





მაჭახლელი ფირალი ემრულა მალქვაძე

რუსულ-ქართული ურთიერთობების ოთხსაუკუნოვან ისტორიაში საკმაოდ ბევრია ისეთი ფაქტი, რომელიც ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების ანგარებას და აშკარა იმპერიულ ზრახვებს ნათლად წარმოაჩენს. არადა, თანამედროვე რუსულ ისტორიოგრაფიაში ფართოდაა გავრცელებული თვალსაზრისი, თითქოს ქართველები ევროპულ ცივილიზაციას ერთმორწმუნე რუსეთის მეშვეობით ვეზიარეთ, ხოლო დაქუცმაცებული საქართველო რუსულმა არმიამ გააერთიანა. სინამდვილეში, რუსებს საქართველოს დაპყრობის სწორედ ისეთივე სურვილი ამოძრავებდათ, როგორც რომაელებს, ბიზანტიელებს, სპარსელებსა თუ ოსმალებს. ამის ნათელი დადასტურებაა სახელგანთქმული მაჭახლელი ფირალის — ემრულა მალქვაძის ამბავიც, რომელსაც დღეს მოგიხსნათ. ემრულა ტყეში 1875 წელს გაგარდა, როდესაც რუსეთ-ოსმალეთის ომის დაწყებამდე სულ რაღაც ორიოდე წელი რჩებოდა, ოსმალეთის უღელქვეშ მყოფ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში კი უკვე გათავისუფლებაზე აშკარად ლაპარაკობდნენ.

მიხეილ ლაბაძე

XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოდან, როცა ოსმალეთის იმპერიის არათურქულ სამფლობელოებში ვითარება უკიდურესად გართულდა, სანქტ-პეტერბურგის მესვეურებმა ჩათვალეს, რომ რევანშის აღების დრო უკვე დამდგარიყო — რუსეთს ყირიმის ომის (1853-1856) წაგების შემდგომ, ევროპის თვალში შეღასული იმიჯის აღდგენა სურდა და, ამის გამო, იმპერატორ ნიკოლოზ I-ს ბევრი აღარ უფიქრია, ისე დაუჭირა მხარი ოსმალეთის ქვეშევრდომ სლავ ქრისტიანებს: 1875 წელს, ბოსნია-ჰერცეგოვინაში აჯანყებულ სერბთა დასახმარებლად რუს მოხალისეთა მრავალრიცხოვანი ჯგუფი ჩავიდა. სხვათა შორის, ამ ამბავმა მუსლიმან ქართველებზეც უდიდესი გავლენა მოახდინა — მათ ხომ იცოდნენ, რომ საქართველოს დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიაში შედიოდა და, ძალაუფლებურად, იმედის თვალი სწორედ ჩრდილოეთს მიაპყრეს. მუსლიმან თანამოქმეთა პრობლემები გულთან ახლოს მიიტანა ტფილისის და ქუთაისის გუბერნიების ქართველმა საზოგადოებრიობამაც, რომლის ბევრ მესვეურს სჯეროდა, რომ სანქტ-პეტერბურგი 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატის“ პირობებს შეასრულებდა და საქართველოს ისტორიულ მიწებს დაუბრუნებდა.

ამდენად, როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომი ქართველობა სტამბოლისა და სანქტ-პეტერბურგის საკმაოდ რთულ გეოპოლიტიკურ დაპირისპირებაში ჩათრეული აღმოჩნდა. რუსეთში „გეორგიევსკის ტრაქტატი“ აღარავის ახსოვდა, თუმცა სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, ცარიზმის მესვეურები ქართველების ეროვნულ გრძნობებზე საკმაოდ ეფექტურად თამა-

შობდნენ და მათი მეშვეობით, „ოსმალის საქართველოში“ გავლენის მოპოვებას ცდილობდნენ — სანქტ-პეტერბურგში ხვდებოდნენ, რომ ქართველების გარეშე ამ მხრივ ვერას გაანყოფდნენ, რადგანაც ოსმალეთის იმპერიის ქვეშევრდომ მუსლიმან ქართველებს 1828-1829 წლებში გენერალ ივან პასკევიჩის მხეცობა კარგად ახსოვდათ და რუსებს მტრებად თვლიდნენ, მაშინ როდესაც რუსეთის ქვეშევრდომ თანამემამულეებს აშკარა მტრული თვალთ არ უტყქერდნენ.

1875 წელს ლაზეთში, აჭარა-იმერხევესა და მაჭახელში ოსმალთა სანინალმდევო საპროტესტო გამოსვლები თანდათანობით შეიარაღებულ შეხლა-შემოსლაში გადაიზარდა. ოსმალეთის ბრწყინვალე პორტამ ამ მხარეში ჩერქეზი და აფხაზი მუჰაჯირების რაზმები მიაგვლინა. მალე ცნობილი გახდა, რომ „სულთნის მოწინააღმდეგე გურჯი მუსლიმანები“ (ამგვარად იხსენიებდნენ ამბოხებულებს ოსმალეთის მესვეურები ოფიციალურ მიმონწერაში) თავადვე ამზადებდნენ საკმაოდ მაღალი ხარისხის თოფებსა და ზარბაზნებს, რომელთა შესაძლებლობა იმჟამინდელი ოსმალური იარაღისა და აღემატებოდა; სწორედ ამიტომ, ისედაც ცუდად შეიარაღებულ მუჰაჯირებს მათი დამარცხება ძალზე გაუჭირდათ. ბოლოს, ამბოხების ჩახშობამ ოსმალური არმიის რეგულარულ ნაწილებს მოუწია. მათ თითქმის მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველო გადაწვეს და უამრავი ადგილობრივი მშვიდობიანი მცხოვრები იმსხვერპლეს. ამბოხების მეთაურთა უმეტესობაც შეიპყრეს და დასაჯეს, ან ხელფეხშეპორცილი სტამბოლში გაგზავნეს.

ემრულა მალქვაძეს იმ დროს მაჭახლის ხეობაში, მშობლიურ სოფ. ეფრათში უფროს ძმასთან — ხასანთან ერთად, პატარა სამჭედლო ჰქონდა



ემრულა მალქვაძის სავარაუდო ფოტოსურათი

გამართული; გადმოცემით, ძმები ამბოხებაში თავად არ მონაწილეობდნენ, მაგრამ ამბოხებულებს კი თანაუგრძნობდნენ. მალქვაძეების მეზობლად ერთი წარჩინებული გვარი მცხოვრებოდა, ვინმე თურან-ბეგი ცხოვრობდა. მას ადრევე სურდა, ძმების მიწებს დაჰპატრონებოდა და ამიტომ, ხეობაში ოსმალური ჯარის შემოსვლისთანავე, ისინი სარდლობასთან დაბეზლა — ამბოხებულებს თოფებსა და ზარბაზნებს უშადადებდნენო. ოსმალებმა მალქვაძეები დააკავეს, მაგრამ ბრალი ვერ დაუმტკიცეს; ბოლოს, ორივენი სულაც გაათავისუფლეს, ოღონდ სამჭედლო დაუხურეს და მჭედლობაც სამუდამოდ აუკრძალეს. ამის შემდეგ კი, ემრულა ჭოროხზე მენავედ მოეწყო, ხოლო მისმა ძმამ მინათოქმედებას მიჰყო ხელი; ამგვარად, ცოტათი წელში გაიმართნენ და დაოჯახებაზეც კი დაიწყეს ფიქრი.

ერთ დღეს, ძმები მალქვაძეები ერთ-ერთ მეზობელთან ქორწილში იმყოფებოდნენ, სადაც თურან-ბეგიც იყო მისული. გადმოცემით, მას ყაბალახის ნაცვლად ოსმალური ფესი ეხურა, რის გამოც ხასანმა მწარედ გააქილიკა. სიტყვას სიტყვა მოჰყვა და ჩხუბიც ატყდა, თუმცაღა მექორწილეებმა იმარჯვეს და ორივენი დაამოშმინეს. ემრულას ძმამ თურან-ბეგს ზურგი შეაქცია, რომელმაც სწორედ მაშინ ესროლა მაუზერიდან. ეს ყველაფერი ემრულას თვალწინ მოხდა და, ცხადია, მან მაშინვე თურან-ბეგის მოკვლა სცადა,



მაგრამ რადგანაც სოფლის მუხტარი (მამასახლისი) იქვე იმყოფებოდა, ველ-არაფერი მოახერხა — ამ უკანასკნელმა მკვლელიც და ემრულაც ერთდროულად შეიპყრო და სატუსალოში გამოამწყვდია. დილით ადრე, თურან-ბეგი ჩაფრებს ართვინში გაატანა და ემრულა ამის შემდეგ გაათავისუფლა. ცხადი იყო, რომ მუხტარი მხარს თურან-ბეგს უჭერდა, ამიტომ გამწარებულმა ემრულამ წინილასავით წააგდებინა თავი, მეორე დილით კი უკვე ართვინის საპყრობილეს დაესხა თავს და დატუსალებული თურან-ბეგის გატაცებას შეეცადა.

მუხტარის მოკვლისა და საპყრობილეზე თავდასხმის გამო, ემრულა მაჭახლისა და ართვინის ოსმალო კაიმაკამა (გამგებელმა) ძებნილად გამოაცხადა და მის დამჭერს სოლიდური ჯილდოც აღუთქვა. ამავდროულად კი თურან-ბეგი კბილებამდე შეიარაღებული ქურთი ჩაფრების თანხლებით, ოლთისში გაგზავნეს — მართლმსაჯულებას მან თავი ვერ დააღწია, მიუხედავად იმისა, რომ ამის დიდი იმედი ჰქონდა. ართვინელმა კაიმაკამამ, რომელმაც თურან-ბეგისაგან ქრთამი ჩაიჯიბა, საქმის განადგურება ველარ გაბედა, რადგან ემრულას ძებნილად გამოცხადების გამო, უფროსობამ ყველაფერი შეიტყო და ტუსაღის ოლთისში გადაყვანა მოითხოვა. საინტერესოა, რომ იმ დროს ოსმალეთში მქურთამეებს სიკვდილით სჯიდნენ; ამიტომაც, თავი მხრებზე რომ შერჩენოდა, ართვინის კაიმაკამი სასწრაფოდ ბრძანებას დაემორჩილა.

ასე რომ, თურან-ბეგმა ის ქრთამად მიცემული ფულიც უსარგებლოდ დაკარგა და სიცოცხლეც — ოლთისის გზაზე მასა და ჩაფრებს ემრულა დახვდა. ფირალს თან ოთხი ამხანაგიც ახლდა, რომლებმაც ჩაფრებს გაუხსნეს ცეცხლი, ხოლო ემრულამ ბოძბის ერთი სროლით ააფეთქა ეტლი, რომელშიც



დატუსალებული თურან-ბეგი იჯდა; ამგვარად იძია ფირალმა შური ძმის მკვლელობის გამო. ამის შემდეგ მან თავი შეაფარა იმერხეეს, სადაც ერთ-ერთ ადგილობრივ მცხოვრებზე დაქორწინდა, თუმცაღა თოფი ხელიდან აღარ გაუგდია — მრავალრიცხოვან მომხრესთან ერთად, ხან ზემო აჭარაში, ხან ართვინში, ხან მაჭახელსა და ბორჩხა-ნიგალში გამოჩნდებოდა ხოლმე და, ოსმალო მოხელეებს მუსრს ავლებდა. გადმოცემით, განსაკუთრებით ემტერებოდა აგრეთვე ებრაელ და სომეხ ვაჭრებს, რომელთა ხელშიც იყო იმ დროს ოსმალეთის თითქმის მთელი კაპიტალი. ართვინელი კაიმაკამის მიერ ემრულას დამჭერისადმი აღთქმული თანხის რაოდენობა ყოველი ახალი ძარცვის შემდეგ იმატებდა და მალე ზღაპრულ თანხას — 500 ათას ოსმალურ ლირასაც მიაღწია. სწორედ მაშინ, რუსეთსა და ოსმალეთს შორის ვითარება უკიდურესად დაიძაბა და მთელ „ოსმალის საქართველოში“ ხმაც დაირხა — „ურუსი ჩხუბს იწყებსო“.

ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე, ემრულას და მის რაზმს (რომელშიც უკვე 40-ზე მეტი კაცი იყო გაერთიანებული) ზემო აჭარის კაიმაკამი, შერიფ-ალა ხიმშიაშვილი დაუკავშირდა. იგი, პრორუსული ორიენტაციის გამო, რამდენჯერმე დაპატიმრებულს გახლდათ, რადგან გამუდმებით ცდილობდა, მთელი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა ოსმალების წინააღმდეგ დაერაზმა, ოღონდაც ისე, რომ სანამ ომი დაიწყებოდა, მათ ვერაფერი შეეცოთ. „შენც კარგად იცი, რომ ქართველები ვართ, მაგრამ ჟამთა სიავის გამო ჩვენი მიწები ოსმალებს დაუპყრიათ... ახლა კი შეგვიძლია, ჩვენივე ძმებთან გავერთიანდეთ, თუმცა ამისთვის ბრძოლაა საჭირო!“ — უთხრა შერიფ-ალამ ემრულას და ეს უკანასკნელიც ოსმალების წინააღმდეგ გამოსვლაზე დათანხმდა: „მე, ბატონო, მაინც მაგათ ვებრძვი და ომშიც ასე მოვიქცევი... თუ ქართველებს რუსი მოგვეხმარება, ძალიან კარგი იქნება!“ — იმედი მიეცა ემრულასაც. მან, ისევე როგორც შერიფ-ალა ხიმშიაშვილმა, მიიჩნია, რომ რუსეთი ოსმალეთთან ომს ქართველთა დასახმარებლად იწყებდა. მოკლედ, ზემო აჭარის კაიმაკამმა, ოსმალთა თვალის ასახვევად, სახელგანთქმული ფირალი ვითომ შემოირიგა და „ბინბაშ სერდარად“ ანუ მოლაშქრეთა რაზმის მეთაურად დანიშნა.

ამდენად, 1877 წლის 12 აპრილისთვის, როცა რუსულმა არმიამ კავკასი-

ის მხრიდან ოსმალეთის საზღვარი გადაკვეთა, ემრულა თავისი მოლაშქრეთა რაზმით იმერხეეში იყო გაბაგრებული. საბრძოლო მოქმედებების დაწყებისთანავე მან, სრულიად მოულოდნელად, ოსმალებს შეუტია და მთელ იმერხეეს მანამდე დაეუფლა, სანამ რუსული არმია იქამდე მიაღწევდა. ემრულას ბრძანებით, ადგილობრივმა მუსლიმანმა ქართველებმა სოფლებში ყველა მუხტარი დასაჯეს ან დაატუსაღეს და რუსული სამფეოვანი დროშები აღმართეს. ასევე მოიქცნენ ზემოაჭარელებიც, რომელთაც შერიფ-ალა ხიმშიაშვილი სარდლობ-



ემრულას რაზმელები. უცნობი რუსი მხატვრის ნახატი

და. აქ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ რუსეთის არმიის კავკასიის ფრონტის სარდალმა, მიხეილ ლორის-მელიქოვმა საკმაოდ მაღალი შეფასება მისცა ქართველ მუსლიმანთა რაზმების აღნიშნულ ქმედებას.

რუსებმა, რომელთაც ემრულას „საგმირო საქმეთა“ თაობაზე ყველაფერი სმენოდან, სახელგანთქმული ფირალის სათავესოდ გამოყენება გადაწყვიტეს: კავკასიის ფრონტზე ოსმალეთის არმიას ცნობილი გენერალი, გავი აჰმედ მუხთარ-ფაშა ხელმძღვანელობდა. ის კარგი სტრატეგი იყო და ჯარისკაცთა შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობდა, ამიტომაც რუსებმა მას ტერაქტის მოწყობა დაუპირეს. ლორის-მელიქოვმა ყველაფერი სწორად გათვალა და ტერაქტის ორგანიზება ემრულას დაავალა. მაჭახლელ ფირალს ნაქართველარი გენერალი ეპოლეტბსა და ჩინ-მედლებს დაჰპირდა, თუმცაღა ემრულამ უპასუხა — ამას მხოლოდ თქვენს პატივსაცემადაც კი ვაკეთებო. გენერალი ისე გაოცდა, რომ

ოსმალთა გენერალი აჰმედ მუხთარ-ფაშა, რომელსაც ემრულამ ორჯერ მოუწყო ტერაქტი



დაეჭვდა კიდეც: ჯილდოს რომ არ ითხოვს, ოსმალების საიდუმლო აგენტი ხომ არ არისო? სხვათა შორის, მიხეილ ლორის-მელიქოვის ამ ეჭვმა, შეიძლება ითქვას, ემრულას შემდგომი ბედიც კი განსაზღვრა.

1877 წლის მაისში, გენერალ აჰმედ მუხთარ-ფაშას ემრულამ და მისმა რაზმელებმა ტერაქტი ყარსში მოუწყვეს, მაგრამ უშედეგოდ — ნასროლმა

და ჭოროხის ხეობიდან ფეხიც ამოიკვეთეს. რუსმა პოლკოვნიკმა კომაროვმა, რომელიც არტანუჯისა და დოლისკანის ალების ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, ემრულა ჯილდოზე წარადგინა, მაგრამ რუსულმა სარდლობამ ფირალისათვის ვერაფერი გაიმეტა. მაგრამ რუსი პოლკოვნიკი ვაჟკაცი აღმოჩნდა და ბრძანებას ბოლომდე არ დამორჩილებია — მან ემრულას სახ-

ქართველოს დიდი ნაწილი რუსეთის იმპერიამ ოფიციალურად შეიერთა, ემრულა მალქვაძის მშვიდობიან ცხოვრებას ბოლო მოეღო — ბათუმის მაზრის ჟანდარმერიამ ის „არასამიედო პიროვნებად“ მიიჩნია და ფარულად თვალთვალი დაუწყო. ემრულას რაზმში აგენტები შეგზავნეს და ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ პროვოკაციას წამოჰგებოდა, რათა მისი დამაბრუნებელი საბაბი ჰქონოდათ. თავად ემრულა კარგად ხვდებოდა, რა ჩანაფიქრიც ჰქონდათ რუსებს და ფრთხილობდა.

დამაბრუნებელი საბაბიც მალე მიეცათ. 1879 წლის ბოლოს, ნიგალის ხეობის სოფელ ხებაში, ერთ-ერთი ადგილობრივი ბეგის სახლს თავს დაესხნენ უცნობები, რომელთაც მოკლეს ოჯახის უფროსი, თითქმის მთელი ძვირფასეულობა წაიღეს და ამ ფაქტის შემსწრე სოფლელებს „ამცნეს“, თითქოს ემრულას რაზმელები იყვნენ. ჟანდარმებმა იმერხევი ემრულას მეორე დღეს ააკითხეს. ცხადია, მან მძარცველებთან ყოველგვარი კავშირი უარყო და ეჭვის გასაფანტავად, ჟანდარმებს სახლის გაჩხრეკის ნებაც კი დართო. ისინი თავლაში გადამაღულ რალაც სამკაულებს წააწყდნენ, რაც რასაკვირველია, ნაძარცვად მიიჩნიეს.

ყოფილი ფირალი, რომელიც ვერ მიმხვდარიყო, თუ როგორ აღმოჩნდა მის თავლაში უცხო სამკაულები, ჟანდარმებს საქმის გასარკვევად ართვინის მაზრის „უჩასტკაში“ გაჰყვა. იქ მისი ახსნა-განმარტებების მოსმენით თავი არ შეუწუხებიათ — ბორკილები დაადეს და სინდისის ზედმეტი ქნჯუნის გარეშე, საპრობილემო ჩააგდეს. „რასაკვირველია, ამისთანა კაცის დამორჩილება უსისხლოთ ძნელი იყო, იარაღით და ვაჟკაცურად რომ მისულიყვნენ იმაზე“, — წერდა ამის შესახებ ემრულას ძველი ნაცნობი, პუბლიცისტი სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი. მისი წერილი „ივერიაში“ 1880 წლის 17 აგვისტოს დაიბეჭდა. სწორედ იმ დღეს, სახელგანთქმული ფირალი ემრულა მალქვაძე ბათუმის ციხეში ჩამოახრჩვეს.

P.S. მაჭახელი ფირალის დატუსაღების და ჩამოხრჩობის შემდგომ, მოულოდნელად გამოირკვა, თუ ვინ გაძარცვა ხებელი ბეგის ოჯახი ემრულას სახელით და ვინ დამალა ნაძარცვი მის თავლაში. ამის ჩამდენი ერთი არტანუჯელი ჩაფარი, ვინმე ხირალოლი აღმოჩნდა. ემრულას რაზმელებმა — აჰმედ ხაილოლიმ (ლორთქიფანიძემ), ილიასა ვაცაძემ და ნური გუნდარიძემ შური იმავე წელს იძიეს და ხირალოლი არტანუჯში მოკლეს.



ოსმალური არმია არტანუჯში. 1877 წლის დეკემბერი

ბომბმა მხოლოდ მისი ცხენი შეინარა. როცა ლორის-მელიქოვმა წარუმატებლობის შესახებ შეიტყო, ემრულას სასტიკად უსაყვედურა. ამაყმა ფირალმა ეს გულში ჩაიხვია და რამდენიმე დღის შემდეგ მუხთარ-ფაშას მოკვლა კიდევ ერთხელ სცადა, ოღონდ — მარტომ. ამაჯერად გენერალი მძიმედ დაიჭრა; ექიმებმა მისი ფეხზე დაყენება ძლივს შეძლეს. სანამ მუხთარ-ფაშა გამომფრობინდებოდა, რუსებმა კავკასიის ფრონტზე საკმაოდ მნიშვნელოვან ნარმატებებს მიაღწიეს და წინაც კარგა დიდი მანძილით წაიწიეს. ემრულას არავისთვის უთქვამს, რომ ყველაფერი მისი წყალობით მოხდა — მას რატომღაც, თავის გამოჩენა არ იზიდავდა და ვერც კი ხვდებოდა, რომ ეს თვისება რუსთა შორის ეჭვს იწვევდა.

გარდა ამისა, ემრულამ და მისმა რაზმელებმა 1877 წლის 2 დეკემბერს, არტანუჯის ალების ოპერაციამდე გამოიჩინეს თავი — მაჭახელი ფირალი თავისი ხალხით, ქალაქში პირველი შეიჭრა. მას კვალდაკვალ მიჰყვა „ქართული მილიცია“ (ასე ეწოდებოდა იმხანად მოხალისეთა ლაშქარს), შემდეგ კი შეტევაზე გადასვლა რუსებმაც გაბედეს. ოსმალებმა არტანუჯი დათმეს, უკან დაიხიეს, 9 დეკემბერს კი სოფელ დოლისკანასთან დაძარცხდნენ

სოვრად საკუთარი დაშნა გადასცა. უნდა ითქვას ისიც, რომ ეს იყო ერთადერთი ჯილდო, რომელიც ფირალმა რუსებისაგან მიიღო.

1878 წლის საომარ მოქმედებებში ემრულასა და მის ხალხს მონაწილეობა აღარც კი მიუღიათ — ყველანი უკანვე, იმერხევი გაბრუნდნენ და ახალი ცხოვრების დაწყება სცადეს. „ემრულამ არ იკარგა, მისულიყო და „ჩინები“ ეთხოვა. დაბრუნდა თავის სახლში და მიჰყო ხელი ძველ ხეობას — მჭედლობას. ინახავდა ოცდაათ კაცს და აძლევდა მათ თითო თუმანს თვეში ჯამაგირს“, — წერდა მოგვიანებით ცნობილი ქართველი პუბლიცისტი სოლომონ ასლანიშვილი-ბავრელი, რომელიც იმხანად გავით „ივერიაში“ ქართველი მაჰმადიანების შესახებ საკმაოდ საინტერესო წერილებს აქვეყნებდა. აღსანიშნავია ისიც, რომ პუბლიცისტი ემრულას პირადად იცნობდა და დიდადაც ემადლიერებოდა — ახალშემოერთებულ ტერიტორიებზე, სადაც მოგზაურობა მაშინ არცთუ ისე უსაფრთხო იყო, სოლომონ ასლანიშვილ-ბავრელს უმეტესად სწორედ სახელგანთქმული ფირალი და მისი ხალხი დაჰყვებოდნენ.

ომის დამთავრების შემდეგ, როცა ისტორიული სამხრეთ-დასავლეთ სა-



გზა გოლგოთისკენ და მასხოვრის 14 გაჩერება

განვადგობთ „გზის“ წინა ნომერში საუბარს განკაცებული უფლის მიერ გავლილ ვნების გზასთან დაკავშირებით. ამჯერად გზა გოლგოთისკენ — „ვია დელაროსა“ გავისსენოთ. გვესაუბრება არქიმანდრიტი მამარი (აბესაძე):

— გოლგოთის გზის სახელწოდება — „ვია დელაროსა“, რომელზეც გვხვდება მაცხოვრის 14 შეჩერება, დასავლეთის — ლათინური ეკლესიიდან მომდინარეობს. ამ გზაზე მაცხოვრის 14 გაჩერება უფრო დასავლური ტრადიციაა, რომელიც ჯერ კიდევ იმ დროიდან მომდინარეობს, როდესაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიები ერთმანეთისგან არ იყვნენ გამოყოფილნი. მართლმადიდებელი ეკლესიისთვის, მაცხოვრის 12 შეჩერება, რომელიც ამ გზაზე გვხვდება, თავისთავად, უდიდეს სინამდის ნარმოადგენს. ლათინები ამ გზის ათვლას პილატეს სასახლიდან იწყებენ, მართლმადიდებლური ტრადიციით კი — პილატეს სასახლესთან, პრეტორიუმთან არსებული დილეგით, სადაც მაცხოვარი სინედრიონისგან განსჯის შემდეგ, ხუთშაბათს საღამოს ჩასვეს, რადგან უკვე ძალიან გვიანი იყო და პილატეს წინაშე ვერ წარადგენდნენ. ეს დილეგი დღემდე არსებობს. არის ძალიან მცირე ზომის ქვაბული, სადაც დიდი, გამოხვრეტილი ლოდი დევს. მასზე დაჯდება ადამიანი, ფეხები ქვემოდან ლოდში უნდა გაუყაროს, რათა შემდეგ ფაქტით შეუბოროკონ... სწორედ ეს არის მაცხოვრის პირველი გაჩერება.

გამთენიისას იყო მღვდელმთავრებმა და მათგან მოსყიდულმა ხალხმა პრეტორიუმში წაიყვანეს. პილატე იუდეველებთან შესახვედრად გამოვიდა. სწორედ აქ გაიმართა საუბარი მასა და იუდეველებს შორის. ეს არის მაცხოვრის მეორე შეჩერება. იუდეველებმა პილატეს, მაცხოვრის ჯვარზე გაკვრა მოსთხოვეს. იმ დროს რომის მართლმსაჯულება სამართლიანობით გამოირჩეოდა, არასოდეს გამოჰქონდა მსჯავრი დაწვრილებით გამოკვლევის გარეშე. ამიტომაც პილატე იკვლევდა მიზეზს, თუ რატომ უნდა დაესაჯა მაცხოვარი და იუდეველთა ბრალდება, — თავს მეფეს უწოდებსო, — არაფრად მიაჩნდა. რადგან ვერანაირი ბრალი ვერ უპოვა, ცდილობდა, ეს არ გაეკეთებინა. მღვდელმთავრებმა და სჯულისმომძღვრებმა უთხრეს, — ვინც ამბობს, მეფე ვარ, ის ეწინააღმდეგება კეისრის ნებას და თუ მას არ დასჯი, კეისრის მეგობარი არ იქნებიო... პილატე მათ ნებას დაჰყვა და მაცხოვარი იუდე-

ველებს გადასცა. მათ წინაშე კი დემონსტრაციულ ქმედებას მიმართა — წყალი მოათანინა, ხელები დაიბანა და წარმოთქვა, — მე უბრალო ვარ მართლის სისხლისგანო... იუდეველებმა კი მიუთხრეს: სისხლი მაგისი ჩვენს ზედა და შვილთა ჩვენთა ზედა იყოსო, — რაც მაცხოვრის ჯვარცმოდან სულ რამდენიმე ათწლეულში აღესრულა. სწორედ ეს იყო პილატეს ბრალულობა, უდიდესი ცოდვა: მას შეეძლო, მაცხოვრის ჯვარცმის განაჩენი არ გამოეტანა, მაგრამ ეს არ გააკეთა იმის შიშით, რომ



კეისრის მოლაღატედ არ გამოეცხადებინათ. შემდეგ მას მთელი ცხოვრება აწუხებდა ეს ცოდვა, ბოლოს კი სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა: როდესაც რომში გამოიძახეს ამ საკითხებთან დაკავშირებით, გემიდან გადახტა. პილატეს ცოლი კი, რომელიც სთხოვდა მას, — არ დასაჯო ეს მართალი კაციო, შემდგომ, ქრისტიანობაზე მოექცა...

განაჩენის გამოტანის შემდეგ, პილატემ რომელ ჯარისკაცებს მაცხოვარი გააშოლტვინა. გამოლტვა ძალზე მძიმე და სასტიკი სასჯელი იყო, ადამიანს მთელ ძალებს ართმევდა... შემდეგ, მენაშული მოსახსამი მოასხეს — სამეფო შესამოსელი (რომელიც რომელი ჯარისკაცებსაც ეცვათ), თავზე ეკლის გვირგვინი დაადგეს და შესძახოდნენ: „გიხაროდეს, იუდეველთა მეფე!“

ამ დროისათვის უკვე დამზადებული ჰქონდათ ჯვარი, რომელიც მაცხოვარს გოლგოთამდე უნდა ეზიდა. იმ ორი ავაზაკის ჯვრები, რომლებიც მაცხოვართან ერთად აცვეს ჯვარს, კარგა ხნის დამზადებული ჰქონდათ, ხოლო რადგან იესოს ჯვარცმა ბოლო მომენტში გადაწყდა, მისი ჯვარი სასწრაფოდ უნდა დამზადებინათ, ამიტომ, რაც „უცბათ ხელში მოხვდათ“, ის გამოიყენეს: ეს იყო სოლომონის ტაძართან ხიდად გადებული ძელი — იმ ხისგან გამოთლილი ძელი, რომელიც ძველი აღთქ-

მის მამამთავარ აბრაამის დისწულის, ლოთის მიერ დანერგილი 3 ხმელი ტოტის განედლების შემდეგ შეეზარდა ერთმანეთს და ერთ დიდ ხედ აღმოცენდა; იერუსალიმის ტაძრის აგებისას, ეს ხე მოჭრეს და სამშენებლო მასალად გამოყენებას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ, გაურკვეველი მიზეზის გამო, აღარ გამოუყენებიათ და ტაძრის კედელთან დაუგდიათ. გამოხდა ხანი და მისგან ხიდი აუგიათ, ტაძრის მახლობლად ჩამავალ ნაკადულზე გადასასვლელად. ამ ხიდით ათასწლეულების მანძილზე სარგე-

ბლობდნენ ადამიანები და ხე მტვრითა და ტალახით დაიფარა. მაცხოვრის ჯვარცმის გადანყვეტილების შემდეგ, სწორედ ამ ხის ძელი აიღეს და მისგან გააკეთეს ჯვარი, რათა უკიდურესად შეურაცხყოთ მხსნელი კაცობრიობისა. გოლგოთისკენ მიმავალმა უფალმა კი ამგვარი ჯვრის ზიადვით კაცობრიობის ცოდვები, ადამიანთა დანაშაულთა სიბინძურე ზიდა...

პრეტორიუმიდან სამიოდე კილომეტრიც არ ექნებოდათ გავლილი, როდესაც მაცხოვარი წაიქცა. ეს იყო ამ გზაზე მესამე გაჩერება. უამრავი სასწაული ვიცით, როდესაც წმინდანები ტანჯვა-წამებას განიცდიდნენ უფლისთვის და მათ უფალი განაძლიერებდა, ფიზიკურ და სულიერ ძალას ანიჭებდა; არაერთი შემთხვევაა ცნობილი, როდესაც სასტიკი წამების შემდეგ, სრულიად სალ-სალამათიცი კი წამომდგარან ქრისტესთვის წამებულნი; მაგრამ განკაცებულმა უფალმა ეს არ ინება, ხორციელად სრულიად დაითმინა ის სატანჯველი, რაც მასზე აღესრულა.

მაცხოვარი წამოაყენეს, ისევ აჰკიდეს ჯვარი და აიძულეს, გზა გაეგრძელებინა. ამ გზაზე მეოთხე გაჩერება ის ადგილია, სადაც ყოვლადწმინდა ღვთისმშობელი ელოდებოდა მაცხოვარს, მოციქულებთან და მართალ ადამიანებთან ერთად. იუდეველთა მღვდელმთავრებმა და სინედრიონის სხვა წევრებმა



ღვთისმშობელი და იესოს მომხრე მართალი ადამიანები იმ ტერიტორიაზე არ შეუშვებს, სადაც პრეტორიუმი მდებარეობდა, მთლიანად თავიანთი მოსყიდული ხალხი მიიყვანეს, რათა პილატესთვის ეჩვენებინათ, რომ მთელ ისრაელს სურდა მისი ჯვარცმა. ამიტომაც, ღვთისმშობელი ამ ადგილიდან მოშორებით დახვდა მაცხოვარს.

რამდენიმე მეტრში გზა უხვევს, სადაც ძველი იერუსალიმიდან გავდივართ. ამ ადგილას იესო მეორედ წაიქცა. ეს იყო მეხუთე გაჩერება. ამ დროს გზად მინდვრიდან მომავალმა იუდეველმა — სვიმონ კვირინელმა გამოიარა. მაცხოვრის ჯვარი მას აჰვიდეს და მსვლელობა გააგრძელეს. როგორც ჩანს, სვიმონ კვირინელი იყო საზოგადოების ძალზე დაბალი ფენის წარმომადგენელი, რადგან ასე მოექცნენ. შემდგომში ის უფლის მოციქული გახდა — მაცხოვრის 70 მოციქულთა შორისაა მოხსენიებული. მისი შვილებიც ცნობილი მღვდელმსახურები იყვნენ.

მეექვსე გაჩერება გოლგოთის გზაზე არის ადგილი, სადაც მაცხოვარს მართალი ვერონიკა მიეგება. მისი სახლი დღესაც გვხვდება ამ გზაზე. წმინდა ქალწული შინიდან უტყერდა საშინელ პროცესიას. მაცხოვრის დასახიჩრებულ სახის ხილვისას, გარეთ გამოვარდა და ტილოთი შეუმშრალა დასისხლიანებული სახე. ტილოზე უფლის ხელთუქმნელი ხატება აღიბეჭდა. ეს არის უფლის ერთ-ერთი ხელთუქმნელი ხატი.

მეშვიდე გაჩერება არის ადგილი, სადაც უკვე ჯვრის გარეშე მიმავალი მაცხოვარი მესამედ დაეცა. მერვე შეჩერებად მოიაზრება ადგილი, სადაც მაცხოვარს იერუსალიმელი დედაკაცები მისტირიან. იესო მათკენ მიბრუნდება და ეუბნება: იერუსალიმის ასულნო, მე ნუ მტირით, შვილთა თქვენთა და თვთა თქვენთა სტიროდითო, — ანუ, მათაც უმეორებს წინასწარმეტყველებას, რომელიც მაცხოვრის ჯვარცმიდან მალევე, I საუკუნის 70-იან წლებში აღესრულა, როდესაც რომაელებმა მიწასთან გაასწორეს იერუსალიმი და იქ შეკრებილი იუდეველები ერთიანად ამოხოცეს.

მეცხრე გაჩერება არის გოლგოთის მახლობლად, სადაც მაცხოვარი კვლავ დაეცა.

მეათე შეჩერება გოლგოთის გზაზე ის ადგილია, სადაც განკაცებულ უფალს ჯერ სამოსელი შემოაძარცვეს, შემდეგ კი ჯვარზე მიამსჭვალეს; იესოს სამოსელი დახიეს და ისე დაინაწილეს, კვართზე კი, რომელიც ღვთისმშობლის მიერ იყო მოქსოვილი, წილი ყარეს, როგორც ფსალმუნში წინდანინ იყო ნაწინასწარმეტყველები: „განიყვეს სამოსელი ჩემი მათ შორის და კვართსა

ჩემსა ზედა განიგდეს წილი“. ამის შემდეგ მაცხოვარი ჯვარზე მიაღურსმეს (ადამიანს ჩვეულებრივ, ნაქცეულ ჯვარზე ალურსმავდნენ და შემდეგ დაამდნენ ჯვარს ორმოში). ამ ადგილიდან 4-5 მეტრის მოშორებით, გოლგოთის ნვერზე გამოჭრილი იყო ორმო, სადაც ჯვარი უნდა ჩაესოთ. ჯვარზე მიმსჭვალული მაცხოვარი გოლგოთის ნვერზე აიყვანეს და ჯვარი აღმართეს. ეს არის მეთორმეტე შეჩერება. როგორც ვიცით, ჯვარზე გაკრულ მხსნელსაც შეურაცხყოფდნენ და დასცინოდნენ. ის კი ლოცულობდა თავისი მტრებისთვის: „მამაო, მიუტევე, რამეთუ არა იციან, რასა იქმან!“ ამგვარი ქმედებით, მცნებად დაგვიდო მტრების სიყვარული და მტრებისთვის ლოცვა. როდესაც წყალი ითხოვა, ძმრით გაუღენთილი ღრუბელი მიანოდეს, წყურვილის გრძნობა კიდევ უფრო რომ გამძაფრებოდა... ლონგინოზ ასისტავმა, რომლის დაქვემდებარებაში მყოფმა ჯარისკაცებმაც აღასრულეს განაჩენი, ჯვარზე გაკრულ იესოს გვერდში მახვილი უგმირა (შემდგომ, მან ჯვარცმულში ჭეშმარიტი მხსნელი შეიქცნო და ქრისტე აღიარა, რის გამოც სიკვდილით დასაჯეს...).

მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ მიწა განიპო, მზე დაბნელდა, დედამიწა შეზანზარდა. ამგვარად შეიძრა ხილული სამყარო, ის ადგილი, სადაც ადამიანები ემშავეს დაემსგავსნენ და განკაცებული უფალი აცვეს ჯვარს...

მაცხოვრის ჯვარცმა მოხდა პარასკევს; იმ საღამოს იწყებოდა იუდეველთა პასექი. მათ არ უნდოდათ, რომ თავიანთ უდიდეს დღესასწაულზე ჯვარზე გაკრული იუდეველებით შეხვედროდნენ. პილატესთან მივიდნენ და სთხოვეს, რომ ჯვარცმულებისთვის ნვივების გადამტვრევის უფლება დაერთო, რათა მათი სიკვდილი დაეჩქარებინათ. როდესაც ჯვარცმის ადგილას დაბრუნდნენ, მაცხოვარი უკვე აღსრულებული დახვდათ, ამიტომ მისთვის ნვივები აღარ გადაუმტვრევიათ. ამავ დროს, ნიკოდიმოსი გამაღიელი და იოსებ არიმათიელი მივიდნენ პილატესთან და იესოს გვამი გამოითხოვეს. პილატეს ნებართვის შემდეგ, მაცხოვრის სხეული ჯვრიდან გარდამოხსნეს და ჯვარცმის ადგილიდან დაახლოებით ათ მეტრში დაასვენეს, იქვე მდგარ ლოდზე. ეს ადგილი არის მეცამეტე შეჩერება.

მაცხოვრის სხეულს ნელსაცხებელი სცხეს, ტილოში გახვიეს და იქვე მდებარე, იოსებ არიმათიელის საგვარეულო სამარხში დაკრძალეს, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი, თუმცა ჯერ იქ არავინ ყოფილა დასვენებული. სამარხი გოლგოთიდან 30 მეტრში მდებარეობდა. ეს იყო მეთოთხმეტე შეჩერება. როგორც ვიცით, სამარხში მაცხოვარი სამი დღე-ღამის მანძილზე იყო დაკრძალული. იქვე მოხდა ქრისტეს ბრწყინვალე მკვდრეთით აღდგომაც.

ამაჟამად მაცხოვრის ჯვარზე მიმსჭვალვის, ჯვარცმის, გარდამოხსნის, დაფვალისა და მკვდრეთით აღდგომის ადგილები იერუსალიმის აღდგომის ტაძარში მდებარეობს. ტაძრის შესასვლელთან, სულ ახლოს დევს მოშინდისფრო ლოდი — მირონცხების ქვა. გადმოცემის თანახმად, ეს სწორედ ის ადგილია, სადაც იოსებ არიმათიელმა ჯვრიდან გარდამოხსნის შემდეგ, მაცხოვრის სხეული დაასვენა და იუდეველთა წესის თანახმად, სურნელოვანი ზეთი სცხო მას. მირონცხების, გარდამოხსნის ქვასთან საოცარი სურნელება იგრძნობა, რადგან დღემდე სდის მირონი. მას სასოებით აგროვებენ მორწმუნენი, რადგან კურნების ძალა შესწევს.

მირონცხების ქვის უკან, ხუთიოდე მეტრის მოშორებით მდებარეობს გოლგოთა. გოლგოთაზე ასვლა კიბითაა შესაძლებელი. გოლგოთის კუბური ფორმის კლდე მთლიანად ნათელი ქვითაა მოპირკეთებული. გოლგოთის ჩრდილოეთ ნაწილში მდებარეობს ჯვრის აღმართვის სამლოცველო. უფლის ჯვრის აღმართვის ადგილი მოოქრული ხატებითა და ჯვრებითაა შემკული. მარმარილოს ტრაპეზის ქვემოთ ჩანს ღრმული — ადგილი, სადაც კლდეში ჩაამაგრეს მაცხოვრის ჯვარი; გოლგოთის სამხრეთ ნაწილში მდებარეობს ქრისტეს გამსჭვალვის სამლოცველო. ეს ის ადგილია, სადაც მაცხოვარს შესამოსელი გახადეს და ნაქცეული ჯვარზე მიაღურსმეს.

უფლის სამარხზე აღმართულია ვარდისფერი მარმარილოსგან ნაგები, მომცრო გუმბათიანი სამლოცველო, სადაც დაფლულ იქნა და მკვდრეთით აღდგა მაცხოვარი. სამლოცველოს კუთვუკლას ანუ — განსასვენებელს უწოდებენ. კუთვუკლი ორი ნაწილისგან შედგება: ანგელოზთა ეკვდრისა და საკუთრივ უფლის საფლავისგან... პავლე მოციქული გვეუბნება: ძნელად თუ ვინმე მოკვდეს მართალთათვის, რადგან მართალთათვის სიკვდილი საჭირო არ არის. განკაცებული ღმერთი ცოდვითათვის მოკვდა — სანამ ცოდვაში ვიყავითო, მანამდე მოკვდა ჩვენთვის ღმერთიო. მაცხოვარი ვის მიერაც დაისაჯა, მათი სხვა იქნა ჯვარცმით... ჯვარცმითა და მკვდრეთით აღდგომით მოხდა ადამიანის ღმერთთან შერიგება, აღდგა ღმერთსა და ადამიანს შორის ჩატეხილი ხიდი, მათ შორის მიწიერ სამოთხეში შეწყვეტილი საუბარი. დავიბრუნეთ ის, რაც დაკარგეს პირველმა მშობლებმა — ადამმა და ევამ — სამოთხეში, უფალთან ყოფნის შესაძლებლობა.



Saab 9-5-ის ევოლუციას მანქანებს განუახლებენ

კომპანია „საბა“ მანქანების განახლება შესთავაზა „9-5“ ინდექსიანი იმ ძველი მოდელის მფლობელებს, რომლებიც პირველად 1998 წელს გამოუშვეს. შედეგად მწარმოებელმა ამ ავტომობილისთვის სპეციალური აქსესუარების ხაზი წარმოადგინა, რომელიც ძრავების მოდერნიზაციას, საბარგულის განყოფილებისთვის დეტალების დამატებას და ბორბლების ახალ დისკებს ითვალისწინებს. ამ ყველაფრის შესახებ დანვრილებითი ინ-



ფორმაციის მიღება მსურველებს კომპანიის ოფიციალურ საიტზე შეუძლიათ. „აქსესუარების საშუალებით ავტომობილების განახლება, — მაგალითად ბორბლებისა და ძრავების, — მანქანას ახალ სულს შთაბერავს და მძღოლებს განსხვავებულ დინამიკას შეაგრძობინებს“, — განაცხადა შედეგური ფირმის ბიზნესის განვითარების მენეჯერმა, დევიდ ლეიტონმა. მეორე თაობის სედანი Saab 9-5 პირველად 2009 წლის აგვისტოში წარმოადგინეს, თუმცა კონცერნი GM-ის ფინანსური პრობლემებისა და შედეგური ბრენდის ნაწარმის გაყიდვების პროცესის გამო წარმოებაში ავტომობილი მხოლოდ 2010 წლის იანვარში ჩაუშვეს. სიახლე Epsilon II-ის პლატფორმაზეა აგებული, რომელიც Opel Insignia-სათვის გამოიყენება. ევროპულ ბაზარზე Saab 9-5 ბენზინის სამი მოტორით იყიდება — 1,6, 2,0 და 2,8-ლიტრიანი მოცულობების აგრეგატებით, შესაბამისად 160-დან 300 ცხმ-მდე სიმძლავრით. აგრეთვე ხელმისაწვდომია დიზელსა და ბიოეთანოლ 85-ზე მომუშავე ძრავებიც. მოდელ 9-5-ის უნივერსალი უენევის მოტორშოუზე წარმოადგინეს, რომელიც ცოტა ხნის წინ გაიმართა.

„რენო“ სპორტული ბრენდი

კომპანია „რენო“ თავისი სპორტული განყოფილების ცალკე ბრენდად გამოყოფას გეგმავს, რომელსაც Renaultsport-ი ერქმევა. ფრანგული ავტომწარმოებლის მენეჯერ ბეტრის ფუშეს თქმით, ამ ბრენდის სახელით ჰენჩეკების გარდა, „ორი-სამი უნიკალური მოდელი“ გამოვა. ამასთან, ფუშემ ხაზი იმასაც გაუსვა, რომ საბოლოო გადაწყვეტილება ამის შესახებ ჯერ არ მიუღიათ.



„რენოს“ სპორტულ მოდიფიკაციებზე მუშაობას გავაგრძელებთ, მაგალითად „მეგანაზე“. ეს შესანიშნავი მანქანაა და ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად ამისა, ჩვენთვის აუცილებელია სხვა მოდელებიც, რომლებიც მხოლოდ ბრენდ Renaultsport-ის სახელით გამოვა. ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაიწყო და ვფიქრობ, რომ ასეთი ავტომობილები მცირე ტირაჟით გამოვა“, — დასძინა ბეტრის ფუშემ. Renaultsport-ის ერთ-ერთ საკუთარ მოდელად როდესტერი იქცევა, რომელიც კონცეპტუალური ავტომობილის — DeZir, — მოტივებზე შეიქმნება. ადრე იუნეებოდნენ, რომ ეს პროტოტიპი იმისთვისაა შექმნილი, რომ დიზაინის მიმართულება აჩვენოს, რომლის მიხედვითაც „რენოს“ ყველა ახალი მოდელი აიწყობა, მათ შორის მომავალი თაობის Clio. ამ უკანასკნელის მსოფლიო პრემიერა პარიზის მოტორშოუზე 2012 წელს შედგება. დიდია იმის ალბათობაც, რომ კონცეპტუალურ DeZir-ს სერიულ წარმოებაში ჩაუშვებენ. ეს თავახდელი მანქანა იქნება და იაფი არ ელირება. წინასწარი ინფორმაციით, ასეთ მანქანას Clio-ს 2-ლიტრიანი, 200 ცხმ-იანი მოტორი ექნება. ადრე ცნობილი გახდა ისიც, რომ „რენო“ პრემიალური კომპაქტური ჰენჩეკის გამოშვებასაც განიხილავს, რომელიც კონკურენციას ჰენჩეკებს — Citroen DS3-ს, MINI-ს და Fiat 500-ს გაუწევს.

„პორშეს“ ჰიბრიდული მოდელი

კომპანია „პორშე“ ნიურბურგრინგზე 24-საათიანი მარათონისთვის ჰიბრიდული სარბოლო ავტომობილის, — 911 GT3 R, — მოდერნიზებულ ვერსიას ამზადებს. ეს ღონისძიება 23-26 ივნისს ჩატარდება. გერმანულმა ავტომწარმოებელმა მანქანის სანავის ეკონომიურობა გააუმჯობესა, აგრეთვე აგრეგატის უფრო მსუბუქი კომპონენტების ხარჯზე, რომლებიც 20%-ით ნაკლებს იწონის, მისი მასა 1350-დან 1300 კგ-მდე შეამცირა. სარბოლო „პორშეს“ ჰიბრიდული აგრეგატის შემადგენლობაშია ავტომობილის უკანა ნაწილში მოთავსებული 4-ლიტრიანი, 6-ცილინდრიანი, დაახლოებით 470 ცხმ-იანი ძრავა და ორი ელექტრომოტორი, რომლებსაც მოძრაობაში წინა ბორბლები მოჰყავს. სალონში მგზავრის მხარეს დამონტაჟებულია ქანქარა, რომელიც დამუხრუჭებისას კინეტიკურ ენერჯის „აგროვებს“ („ფორმულა-1“-ის ბოლიდებზე გამოყენებული KERS-ის სისტემის ანალოგიური). როდესაც საკმარისი „დატენა“ ხდება, პილოტს საჭის რგოლზე დაყენებული ლილკის მეშვეობით ელექტრომოტორების წინა ლერძზე ამუშავება შეეძლება. გასული წლის თებერვალში, იმ დროს „პორშეს“ ხელმძღვანელის პოსტზე მყოფმა მიხაელ მახტმა (შემდგომში ის კონცერნი VW-ის წარმოების დირექტორად გადაიყვანეს) განაცხადა, რომ ნიურბურგრინგზე დაგეგმილი რბოლის გარდა, გერმანული ბრენდი ლეგენდარულ მარათონში, — „24 საათი ლე-მანში“, — დაბრუნებას აპირებს, სადაც იმავე აგრეგატით აღჭურვილი მანქანა იქნება წარდგენილი, რომლითაც 911 GT3 R Hybrid-ია დაკომლექტებული.





„ხშირად შუალამდე ვკითხულობდი“

როცა ჟურნალისტ პაატა იაკოშვილს დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე, მიპასუხა, ყველას უარს ვეუბნები, ჩემი ინტერვიუ სადმე წაგიკითხავსო?... ისიც ამისხნა, — ვიცი, რას ნიშნავს, როცა რესპონდენტი ინტერვიუზე უარს გეუბნებაო... ჩვენი დიალოგი რამდენიმე წუთს გაგრძელდა, თავიდან პოზიციას არ ცვლიდა, ორივე გავჯიუტდით. ბოლოს მაინც დამითმო და ტელევიზიაში მიმიპატიჟა.

თამუნა კვინიკაძე

პრეამბულა

— პაატა, დღეს გამონაკლისი დაუშვი? როგორც ჩანს, კარგ ხასიათზე ხარ.

— (იცინის) ინტერვიუ არ მინდა-მეთქი, გითხარი, მაგრამ გაიგე?! მაინც შენი გაიტანე. აბა, რა უნდა მკითხო?

— სანამ კითხვარზე გადავალთ, მითხარი, როგორი მკითხველი ხარ?

— ბავშვობაში უფრო მეტს ვკითხულობდი, განსაკუთრებით — არდადეგების დროს, როცა გაკვეთილები არ მქონდა მოსამზადებელი. ხშირად შუალამდე ვკითხულობდი.

— ნაკითხულ წიგნებს ხელმეორედ უბრუნდები?

— მარკესის ერთი წიგნი 6-ჯერ მაქვს ნაკითხული.

— ახლა რას კითხულობ?

— ბოლო დროს ისეთი ინტენსივობით, როგორც მინდა, ვეღარ ვკითხულობ. როცა მივლინებით მიწვევს წასვლა, მაღაზიაში შევირბენ და პატარა ფორმატის წიგნს შევიძინებ ხოლმე, გზაში ან აეროპორტში დრო რომ „მოვკვლა“. ბოლოს მარკესის „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკა“ წავიკითხე.

— მარკესი ძალიან გყვარებია. წიგნებს ავტორების მიხედვით ირჩევ?

— კი. ქართველი მწერლებიდან ძალიან მიყვარს მიხეილ ჯავახიშვილი. მისი თხრობის მანერა მომწონს.

— მეგობრად რომელ ლიტერატურულ გმირს აირჩევდი?

— არასდროს მიფიქრია... ბურატინოს დავასახელებ, რატომაც არა?!

— შენ და ბურატინო როგორ გაერთობოდით?

— ვერ გავერთობოდით. ასეთი რთული კითხვები აღარ დამისვა.

— მაშინ მითხარი, წიგნი მოგიპარავს?

— (იცინის)

— ეი. მოგიპარავს, რაღაც გახსენდება და არ მეუბნები.

— თავი დამანებე, რას შემომიჩინდი?!

— თავს ვერ დავანებებ, რადგან წინ კიდევ ბევრი შეკითხვაა. დაეწყეთ?

— რა გაეწყობა?!

— ეს ნაწარმი აბრეშუმის წვრილი ძაფებით ნაწილ-ნაწილ იქსოვებოდა. მისი მოქსოვის ტექნოლოგია ერთმა პარიზელმა მეურავმა XVI საუკუნის დასაწყისში შექმნა, შესაბამისად, ნაწარმიც მის სახელს ატარებს.

— რაო, რაო, რას აკეთებდა? (კითხვის გამოკრების შემდეგ) ასეთი რამეები არ ვიცი, ავტომანქანებზე მკითხე რამე.

— მისი გვარი იყო გობელენი. ადამიანის რომელ ორგანოს აქვს ყველაზე მეტი კუნთი?

— გულს.

— ცდები.

— აბა, ენას?



— გამოიცანი: ენას 24 კუნთი აქვს.

— სამაგიეროდ, ძვალი არა აქვს და რასაც უნდა, იმას ლაპარაკობს...

— ერთხელ შიპოკრატეს ვკითხე: მართალია, რომ გენალურობა გადამდები დაავადებააო? — დიას, — უპასუხა მან. — ეს იშვიათი დაავადებაა და სამწუხაროდ, არ არის... დაასრულე მისი სიტყვები.

— გადამდები. ამას დასაწყისშივე მივხვდი.

— რომელ სახელმწიფოს უწოდებენ ყველაზე დიდს ჯუჯათა შორის და ჯუჯას დიდ სახელმწიფოებს შორის?

— მინიშნება მაინც მითხარი, ეს ქვეყანა დედამიწის რომელ ნაწილში მდებარეობს?

— ევროპაში.

— ლუქსემბურგი.

— ბოდრუმი თურქეთის პატარა ქალაქია; მსოფლიოს 7 საოცრებიდან ერთ-ერთი ამ ქალაქში იყო. მისი ნანგრევების მოსანახულებლად, იქ დღესაც ბევრი ტურისტი ჩადის. დაასახელე ეს საოცრება.

— ჰალიკარნასის მავზოლეუმი.

— ერთხელ კომპოზიტორმა ჯუჯებზე ვერდიმ განაცხადა, ეს მუსიკის განუყოფელი ნაწილიაო და მისი პარტიტურაში ჩაწერაც კი მოითხოვა. რაზეა ლაპარაკი?

— ვერ გიპასუხებ.

— აპლოდისმენტებზე რომელი ქართველი მწერლის მამა იყო თვითნასწავლი მღვდელი?

— (ფიქრობს) ვაჟა-ფშაველასი.

— ეს ციხე ისტორიულ წყაროებში პირველად XIII საუკუნეში იხსენიება. ის რეგიონის მნიშვნელოვან სტრატეგიულ სიმაგრეს წარმოადგენდა. მისი დაუფლება მთელ შიდა ქართლზე პოლიტიკურ ბატონობას ნიშნავდა. ციხე საუკუნეების მანძილზე არაერთხელ აღადგინეს და გადააკეთეს, დღევანდელი სახე 1774 წელს მიიღო, როცა მეფე ერეკლე II-მ საფუძვლიანად შეაკეთა. რომელ ციხეზეა ლაპარაკი?

— შიდა ქართლში არაერთი მნიშვნელოვანი ციხეა.

— მაინც რომელზე ფიქრობ?



- პირველად გორის ციხეს ვიტყვი, არა?
- გამოიცანი. ახლა მითხარო, ვინ შეასრულა ილიკოს როლი ფილმში „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“?
- ვერ ვიხსენებ.
- სანდრო ჟორჯოლიანი. მუსიკალურ საკრავებში ერკვევი?
- ისე რა.
- ეს მუსიკალური საკრავი ორნაირია: ენანი და უენო. რომელ საკრავზეა ლაპარაკი?
- სალამურზე.
- საუდის არაბეთში რა ღირს ნავთობზე ძვირი?
- წყალი.
- ოსკარ უაილდის აზრით, ის ფილოსოფიაზე უფრო გონიერი და ძალაუფლებაზე უფრო ძლიერია. მისი ფრთები აღისფერია და როგორც ცეცხლი, ისეთია მისი სხეული; ბაგენი მისი თავლივით ტკბილია და სუნთქვა მისი საყვებელივით სურნელოვანი. რის შესახებ წერდა ასე უაილდი?
- გთხოვ, კითხვა გამიმეორე. (გამეორების შემდეგ) ალბათ სიყვარულზე, ასეა?
- დიახ. ნაშში ერთხელ არის, ნუთშიც — ერთხელ, თვეში არ არის და წელიწადში — ორჯერ. რა არის?
- რა არის და „წ“.
- „ერთ უბრალო სოფელს მაშინ გაუფარდება სახელი, თუ იქ დიდი ვაჟკაცი დაიბადება“, — რომელი ნაწარმოების ეპოლოგში წერს ამ სიტყვებს მიხეილ ჯავახიშვილი?
- „არსენა მარაბდელში“.
- დაძმა ერთ ოთახშია. და წიგნს კითხულობს, ძმა კომპიუტერთან თამაშობს. უეცრად სინათლე ითიშება. ძმა თამაშს წყვეტს, ხოლო და — კითხვას აგრძელებს. როგორ?
- სინათლე თუ არ არის, კითხვას როგორ აგრძელებს?.. მივხვდი, გოგონა უსინათლოა და ბრაილის შრიფტით კითხულობს.
- უსინათლო არ არის.
- მაშინ ვერ გიპასუხებ.
- მოქმედება დღისით ხდება. პოეზია გიყვარს?
- გთხოვ, ახლა ლექსი არ მათქმევინო.
- ზეპირად ბევრი ლექსი იცი?
- პოეზიით თინეიჯერობის წლებში უფრო ვიყავი გატაცებული. ყველაზე მეტად, გალაკტიონი მიყვარდა.
- „გულო, ოცნებას მალავს/ ცაო, ლურჯდება ზოლი...“ შემდეგ?
- „...ვაჟი: დაიცა, ქალავს/ ქალი: დაგიბრმა თოლი/ შორით ბრუნდება წყალი/ ნისლი იცრება მთაში/ არა! — ჩურჩულებს ქალი/ კარგი! — ამშვიდებს ვაჟი“.
- ლიკურგეს კანონების შესახებ ალბათ გსმენია.
- სპარტაში მოქმედებდა, არა?
- დიახ. ამ კანონის თანახმად, მამაკაცი დამნაშავედ მიიჩნეოდა, თუ ის იყო...
- უცოლო. სპარტაში რომ მეცხოვრა, ჩამომასრჩობდნენ...
- ამბობენ, რომ ამ ქართველ მეფეს 3 ქორწინება იყო და 10 ქალიშვილი ჰყავდა.
- ასეთი რამ ერეკლე II-ზე მსმენია.
- 1931 წელს მწერალთა ფედერაციამ ეს მწერალი თავისი ორგანიზაციის რეგებიდან ერთხმად გარიცხა. „ცნობილია, როგორც რეაქციონერი და ანტისაბჭოთა მწერალი, რომელიც ამ 10 წლის განმავლობაში განუწყვეტლივ იბრძვის მხატვრული პროდუქციით და ზეპირ გამოხატვებით ფეოდალური, თავადუნაურული იდეოლოგიის, შოვინიზმის და „შავი ჩოხის“ ტრადიციის დასაცავად, პოლიტიკურად მანვე მხატვრულ ნაშრომებს აქვეყნებს

- და თავისი პოლიტიკური მანებლობით ამაცობს მწერლობაში და საბჭოთა საზოგადოების წინაშე“, — ვკითხულობთ გარიცხვის ოქმში. რომელ მწერალზეა ლაპარაკი?
- კონსტანტინე გამსახურდიაზე.
- რომელი ცნობილი ქართველი რომანტიკოსი პოეტია დაკრძალული ქაშუეთის ტაძარში?
- გრიგოლ ორბელიანი.
- მამამ დაურეკა ქალიშვილს და სთხოვა, მივლინებაში მივდივარ და საჭირო ნივთები მიყიდო. მიუთითა, ფული კონვერტში დევეს, კონვერტი საწერი მაგიდის უფერაშია, რაოდენობაც ზედ აწერიაო. ქალიშვილმა აიღო კონვერტი და დაინახა, მასზე 98 ეწერა. დაუფიქრებლად წაიღო მაღაზიაში. ნაგაჭრმა 90 ლარი შეადგინა. გოგონა ფიქრობდა, რომ 8 ლარი დარჩებოდა, მაგრამ 4 ლარი დააკლდა. როგორ?
- მას კონვერტი ხელში უკულმა ეჭირა, თანხა 98 კი არა, 86 ლარი იყო. გეგონა, დამაბნევედი? მე „კომაროვში“ ვსწავლობდი!
- მაშინ არც შემდეგ კითხვაზე უნდა გაგიჭირდეს პასუხის გაცემა. XVII საუკუნეში რომელია ისეთი წელი, თავდაყირა რომ დააყნო, მაინც იგივე დარჩება?
- ე.ი. წინ იქნება 16 და მერე... (ფიქრობს) 19 ანუ 1619.
- ეგ სწორი პასუხი არ არის.
- როგორ არ არის?! (პაუზის შემდეგ) ციფრები ამერია?
- 1691 წელი უნდა გეთქვას.
- რატომ არ მადროვე? გამოვიცნობდი.
- კლასში 35 მოსწავლეა; შეიძლება თუ არა, თითოეული მოსწავლის გვარი განსხვავებული ქართული ასოებით დაინწყოს?
- არა, ქართულში 35 ასო არ არის.
- ის 1899 წელს ნეპოლში დაიბადა. ნამოიზარდა თუ არა, ბედის საძიებლად ნოუ-იორკში გაემგზავრა. მალე კრიმინალურმა სამყარომ ჩათარა. თავიდან „დაამზარე ბიჭად“ იყო ერთ-ერთ ადგილობრივ ბანდაში. მაგრამ მისი „ნიჭი“ მალე შეამჩნიეს და კვალიფიკაცია შეუცვალეს. 1929 წელს იარაღის ტარებისთვის დააპატიმრეს და 10 წელი მიუსაჯეს. მეორედ ბრალი გადასახადების გადაუხდელობისთვის წაუყენეს. მან 12 ნაფიცი მსაჯულის მოსყიდვა შეძლო, მაგრამ მსაჯულუბი წინააღმდეგ შეცვალეს და 11 წელი მიუსაჯეს. დაასახევე მისი ვინაობა.
- ეს ალ კაპონე იყო.
- ევროპის ჯუჯა სახელმწიფოთაგან რომელი მდებარეობს საფრანგეთისა და ესპანეთის საზღვარზე?
- ანდორა.
- „ლამაზი გარეგნობა მუნჯი რეკომენდაცია“, — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?
- არ ვიცი.
- ბალზაკი. დასახელები ცხოველი, რომელსაც ხტომა არ შეუძლია.
- ეგეთიც არსებობს? მოვიფიქრებ. (პაუზის შემდეგ) სპილო ხომ არა?
- გამოიცანი. ამ სიტყვს ჰიპოკრატე სხვადასხვა დაავადების დროს სამკურნალოდ იყენებდა.
- ღვინოს.
- ალკოჰოლთან როგორი დამოკიდებულება გაქვს?
- დალევა და თრობის პროცესი დიდად არ მომწონს. საჭესთან თუ ვზივარ, არასდროს ვსვამ.
- კარგი თვისება გქონია. დაბოლოს, დაასრულე ნიციუს ცნობილი გამოჩინაობა: „ორი რამ ენატრება ნამდვილ მამაკაცს: ხიფათი და თამაში, ამიტომ სჭირდება ქალი — ყველაზე“.
- „...ყველაზე სახიფათო სათამაშო“.

გზაში საკითხავი კოლაჟი

ჭკბერელი თქვი ივანიძე

1. პაპროფობია ქალაქის შიშია.
2. ელიზაბეტ ტელიორი ლონდონში იყო დაბადებული.
3. „მუჰამედი“ ყველაზე პოპულარული სახელია მსოფლიოში.
4. ჰამლეტის როლის თამაში ნიკო გამელაურის ოცნება იყო.
5. ესპანეთის ტახტზე ბონაპარტმა თავისი ძმა ჟოზეფი დასვა.
6. დანიელ დეფო თავისი ხელფასის ნაწილს ღარიბებს ურიგებდა.
7. ბიბლიური მეფე დავითი 110 წლის ასაკში ძილში გარდაიცვალა.
8. ლეს კაჩინსკისთან ერთად ავიაკატასტროფაში 95 ადამიანი დაიღუპა.
9. „მხოლოდ დოგმის სიკვდილით ინყება მეცნიერება“, — ამბობდა ისააკ ნიუტონი.
10. პაოლო იაშვილი ლექსებს ერთი პერიოდი ელენე დარიანის ფსევდონიმით წერდა.
11. ამერიკელებს გარდაცვლილი შინაური ცხოველის კრემაცია 70 დოლარი უჯდებათ.
12. „სტაროსტ ნე რადოსტ, ნო ი ნე პოვად დელატ დრუგიმ გადოსტ“, — ამბობენ რუსები.
13. „როცა რამეზე ვხუმრობ, სწორად სრულ სიმართლეს ვამბობ. სიმართლე ყველაზე სასაცილო რამ არის ქვეყანაზე“, — აღნიშნავდა მუჰამედი ალი.
14. ნელსონ მანდელას მომხრეებს სწორად ეცვათ მისურები ნარწერი „46664“. ეს გახლდათ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მომავალი პრეზიდენტის ნომერი ციხეში.
15. წინაჯას სიცხარეს კაპაიციანი აძლევს. ეს ნივთიერება წყალში ძნელად იხსნება, სამაგიეროდ იოლად იხსნება ცხიმში. ამიტომ წინაჯა ჩილისგან ამწვარი პირის დასაამბლად, ადამიანები წყლის ნაცვლად, ნაყინს ეძალებიან.
16. საბჭოთა მულტფილში „ვინი-პუჰი“ მთავარ პერსონაჟს ევგენი ლეონოვი ახმოვანებს. კომიკური ჟღერადობის მისაღწევად რეჟისორმა მსახიობის ხმის ჩანაწერი 30%-ით ააჩქარა. თუკი ჩანაწერის სიჩქარეს ამავე ნიშნულით შევამცირებთ, ლეონოვის ჩვეულებრივ ხმას გავიგონებთ.
17. მულტფილკაციური ფილმი „შრეკი“ ეკრანებზე გამოსვლამდე შემქმნელებმა იურისტების ჯგუფს უჩვენეს, რათა განესაზღვრათ, შეძლებდა თუ არა უოლტ დისნეის კომპანია თავიანთი მულტპერსონაჟების არატრადიციული სახით წარმოჩენის გამო სასამართლოში ჩვილს.
18. ყოვლად უსარგებლო და ამაო შრომის აღმნიშვნელი გამოთქმა „წყლის ნაყავა“ ჯერ კიდევ ანტიკური ავტორების

თუ გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმის ბეჭინიათ...

მოლაღატე მამაკაცების ცოლებს სწორად ანვალებს კითხვა: შესაძლებელია თუ არა, მის საყვარელზე უკეთესები გახდნენ და ამით ოჯახი შეინარჩუნონ?

რატომღაც ქალების უმეტესობა ცდილობს, „ღირსეული“ მეტოქეობა გაუწიოს ქმრის საყვარელს, არ ჩამორჩეს მას „საზიარო ობიექტის“ ალერსსა და თუ სიყვარულში და ვერც კი ხვდება, როგორ კარგავს ინდივიდუალობას; ის თითქოს საკუთარ თავზე იღებს ქმრის დანაშაულს და მას განაწყენებული აღმზრდელის როლში ევლინება. მამაკაცს კი ამ ყველაფრის ფონზე სხვა ქალის მიმართ ლტოლვა უფრო უძლიერდება.


თუ თქვენ ლალატის შემდეგ, უფრო თბილი, ყურადღებიანი, ალერსიანი — ერთი სიტყვით, ადრინდელზე უკეთესი გახდებით, ქმარი იფიქრებს, რომ ერთდროულად ორი კურდღელი დაიჭირა და უფრო ლაღად გაშლის ფრთებს.

როგორ არ უნდა მოიქცა

1. არასოდეს გაეჯიბროთ ქმრის საყვარელს; დაიმასხვრეთ, ის თქვენ მეტოქედ არ გერგებათ;
2. თავს ნუ დაიმშვიდებთ იმით, რომ ყველა მამაკაცი ერთნაირია — ეს ასე ნამდვილად არ არის;
3. არ დაემუქროთ ქმარს თვითმკვლელობით;
4. არ დაურეკოთ მის საყვარელს;
5. ნუ ეცდებით, აეჭვიანოთ;
6. ნამდაუნუმ ნუ გალანძლავთ;
7. არ გამოიყენოთ ჯაშუშური ტაქტიკა.

რა უნდა მოიხიჯოდეთ

1. პირველ რიგში, საკუთარ თავში გაერკვიეთ — ეგუებით თუ არა ლალატის ფაქტს? თუ — კი, მაშინ, ყველაფერი გასაგებია და შეგიძლიათ მშვიდად გააგრძელოთ ცხოვრება; ხოლო თუ — არა, მაშინ დაელაპარაკეთ მეუღლეს ამის შესახებ; დაინტერესდით, რა არის მისი ლალატის მიზეზი. იქნებ ის პირველ რიგში საკუთარ თავში უნდა ეძებოთ?!
2. ჰკითხეთ, როგორი გაგრძელება



ექნება თქვენს ურთიერთობას მომავალში. მიეცით გარკვეული ვადა, რათა საბოლოოდ გაერკვეს საკუთარ გრძნობებში.

3. თუ ქმარი გიმტკიცებთ, რომ მისი რომანი დასრულდა, თქვენ კი ზუსტად იცით, რომ — ის კვლავ გრძელდება, გადაჭრით უთხარით, რომ თქვენ შორის ყველაფერი დამთავრებულია.

4. თუკი არსებულმა სიტუაციამ არასრულფასოვნების კომპლექსი გაგიჩინათ, გაიხსენეთ, გათხოვებამდე რამდენი თავყვანილი ცემელი გეხვიათ გარს. მას შემდეგ ხომ არცთუ ისე დიდი ხანია გასული... თქვენ თითქმის არ შეცვლილხართ, თანაც ამიერიდან თავისუფალი იქნებით!

5. თუ მომავლის შიში დაგჩემდათ და გგონიათ, რომ დარჩენილი ცხოვრება მარტოობაში უნდა გაატაროთ, აუტოტრენინგები ჩაიტარეთ, ან სულაც, ფსიქოლოგს მიმართეთ.

6. რაც მთავარია, გახსოვდეთ: არასოდეს შეგეშინდეთ გადაწყვეტი ნაბიჯის გადადგმის — არ ღირს სინანული იმ ადამიანის დაკარგვის გამო, ვინც თქვენი სათანადოდ დაფასება ვერ შეძლო.

7. დაბოლოს: კიდევ ერთხელ გადაიკითხეთ ზედა ექვსი პუნქტი და თუკი მიუხედავად ამ ყველაფრისა, მეუღლე ქვეყანას გირჩევნიათ, სხვა რაღა დაგრჩენიათ: მისი ცხოვრების წესს უნდა შეეგუოთ.

რჩევები დიასახლისებს

- ფანჯრის რაფები და კარები გარეცხეთ წყალში გარეული ნიშადურის სპირტით (1 ლ წყალი, 1 ს/კ სპირტი). ფერადი საღებავებით შეღებილ კარ-ფანჯრების გარეცხვა რეკომენდებულია ჩაის ნაყენით (2 ჩ/კ მშრალ ჩაის დაასხით 1 ლ ცხელი წყალი, გააჩერეთ 10 წუთი და გადანურეთ).

- ფანჯრის მინებზე მიმხმარი საღებავი ჯერ ბრიტვიტ ან რაიმე ბასრწვერიანი საგნით ფრთხილად აფხიკეთ; დარჩენილი ლაქა კი სკიპიდარით მოაშორეთ.



- ფანჯრის საწმენდად გირჩევთ, გამოიყენოთ 3 რბილი ქსოვილი. თბილ წყალში ჩაფშვნიტ ცარცი (1 ლ წყალზე 3-5 ს/კ ცარცი). პირველი ნაჭრით მინა ცარციანი ხსნარით ჩამორეცხეთ; მეორე ოდნავ დაასველეთ, კარგად განურეთ, განმინდეთ ცარციანი მინა და დაელოდეთ მის ოდნავ შესრობას; მესამეტი კი გააპრიალეთ.

- ზამთარში ფანჯრის მინები რომ არ გაიყინოს, ორივე მხრიდან გლიცერინით განმინდეთ.



შოკოლადიანი კეკი

ბასალად საჭიროა:

- 120 გ თაფლი;
- 60 გ შაქრის ფხვნილი;
- 50 გ სამარხვო მარგარინი;
- 1 ჩ/კ საფუარი;
- 250 გ ფქვილი;
- 2 ჩ/კ დარიჩინი;
- 1 მნიკვი მარილი;
- 50 გ გარგარის ჩირი;
- 400 გ მუქი (სამარხვო) შოკოლადი.

მოზაადვის წესი:

თაფლი და მარგარინი ორთქლზე გაათბეთ, შეურიეთ საფუარი. დაუმატეთ ფქვილი, წვრილად დაჭრილი ჩირი და ამოიყვანეთ ცომი. შედგით მაცივარში მთელი ლამით. მოათავსეთ ცომი ცხიმნასმულ ფორმაში და აცხვეთ დაახლოებით 20 წუთი, 180 გრადუსამდე გახურებულ ღუმელში. შემდეგ გააგრილეთ და ისე გადმოიღეთ ფორმიდან.

შოკოლადი გაადნეთ და კექსს ზემოდან მოასხით.



გზაში საკითხავი კოლაქი

ქემლეჩელი თემურ ივანიძე

თხზულებებში გვხვდება (მაგ, ლუკიანე სამოსატელთან). შუა საუკუნეების მონასტრებში მას უშუალო ხასიათი ჰქონდა: რაიმე დანაშაულისათვის ბერებს აიძულებდნენ, ქვასანაყით წყალი ენაყათ.

19. 1871 წელს ამერიკელი ადვოკატი კლემენტ ვალანდიშვილი სასამართლო პროცესზე იცავდა ადამიანს, რომელსაც ბარში მომხდარ მკვლელობაში ადანაშაულებდნენ. მან საკუთარი კლიენტის უდანაშაულობის მტკიცებულება იმაზე ააგო, თითქოს დაზარალბულს თავად გაუფარდა რევოლვერი, როცა უხერხულ პოზაში მყოფმა იარაღის ამოღება დააპირა. ვალანდიშვილს სურდა, ნათლად წარმოეჩინა უბედური შემთხვევის სურათი, რისთვისაც ჯიბეში ჩაიდო რევოლვერი (რომელშიც, როგორც თავად ეგონა, ტყვიები არ იდო) და დამსწრეთა თვალწინ სცადა მისი ამოღება. იარაღი გავარდა და სასიკვდილოდ დაჭრა ადვოკატი. ვალანდიშვილი სისხლისგან დაიცალა, მისი კლიენტი კი სასამართლომ გაამართლა.

20. „პაპარაცოს“ (და არა „პაპარაცის“) ცნება XX საუკუნის 60-იან წლებში ფედერიკო ფელინის ფილმის — „ტკბილი ცხოვრების“ წყალობით გაჩნდა. ასე ჰქვია ფილმის მთავარ გმირ ფოტოგრაფს, რომელსაც ცხოვრებაში ჰყავდა პროტოტიპი — იტალიელი ფოტოგრაფი ტაციო სევიაროლი. მან პირველმა მიაქცია ყურადღება, რომ უხერხულ სიტუაციებში მყოფი ცნობილი ადამიანების ფოტოებში რედაქტორები უფრო მეტს იხდიდნენ.

21. კარიბელი პლანტატორები თავიანთ მონებს ადამიანებად არ თვლიდნენ და მათ ქრისტიანულად მონათვლას ეწინააღმდეგებოდნენ. რა სულის გადარჩენაზე საუბარი, მონებს სული არა აქვთო, — გაიძახოდნენ ისინი და ყოველმხრივ ხელს უშლიდნენ ბაპტისტ მისიონერებს, მოენათლათ მონები.

22. პირველი მსოფლიო ომის გმირ მფრინავს, მანფრედ ფონ რიხტგოფენს, მეტსახელად წითელ ბარონს, ჭალის ნაცვლად, სახლში მის მიერ ჩამოგდებული თვითმფრინავის პროპელერი ეკიდა.

23. 1821 წელს საბერძნეთმა ბრძოლა წამოიწყო ოსმანთა იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მისაღწევად. ერთი ბრძოლის დროს ბერძენებმა ალყა შემოარტყეს აკროპოლისს. როცა თურქებს ტყვია-ნაშალი გაუთავდათ, მათ პართენონის დაშლას მიჰყვეს ხელი, რათა მარმარილოს ქვების შემავაჭმირებელი ელემენტებისაგან ტყვიები ჩამოეხსათ. როცა ეს ბერძენებმა შეიტყვეს, მათ თავად გაუზავნეს თურქებს ტყვიის პარტია, რათა დანგრევისაგან ეხსნათ ძეგლი.



რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარბიჭიანი

ტვინის საჭიროებს დიეტას

ტვინმა კარგად რომ იმუშაოს, საჭიროა ჯანსაღი კვება, სრულფასოვანი ძილი და დადებითი ემოციები. დღეს ჯანსაღ კვებას შევხვით.



რკინა აუცილებელია

ორგანიზმში რკინის დეფიციტის დროს ადამიანი იოლად იღლება, აგზნებული და გაღიზიანებულია, ხდება გულმავიწყი და გონებაგაფანტული. რკინა უნდა მივიღოთ საკვების სახით. მისი შემცველი პროდუქტები 3 ჯგუფად იყოფა: რკინის ჭარბად, საშუალო და მცირე რაოდენობით შემცველ პროდუქტებად.

რკინით მდიდარი საკვებია: ძროხის ღვიძლი, ინდურის თეთრი ხორცი, ხბოს ხორცი, ზღვის კომბოსტო, კვერცხის გული;

საშუალო ოდენობის რკინა, შვრიის ბურბუშელები, წინიბურა, ვაშლი, ძროხის ხორცი, ხიზილალა.

უმნიშვნელო რაოდენობის რკინა სტაფილოში, ჭარხალსა და რძის პროდუქტებში.

გლუკოზა ენერჯის წყაროა

ნერვული ქსოვილისთვის ენერჯის ერთადერთ წყაროს გლუკოზა წარმოადგენს. როცა სისხლი საჭირო ოდენობის შაქრითაა გაჯერებული, ადამიანი თავს მხნედ გრძნობს და უღვევი ენერჯია აქვს. გლუკოზის დეფიციტს კი მოჰყვება შფოთვა, გაღიზიანებულობა, შემდეგ — დაუძლურება და თავბრუს ხვევა. ასე რომ, ორგანიზმს ძალების აღსადგენად, საკვების სახით გლუკოზა უნდა მივანოდოთ. გასათვალისწინებელია, რომ რაფინირებული შაქრის შემცველ საკვებს ორგანიზმი იოლად ითვისებს, მაგრამ ასევე იოლად ტოვებს. ეს პროდუქტებია: შაქარი,

ნამცხვარი, ტორტი, ბრინჯი, თეთრი პური, ტკბილი სასმელი და ალკოჰოლი. იმისთვის, რომ გლუკოზა ორგანიზმში ხანგრძლივად გაჩერდეს, უნდა ვიკვებოთ ხილითა და ბოსტნეულით, „უხეში“ (მსხვილად დაფქული) ფქვილის პროდუქტებით.

ქოლინი ყურადღების კონსერვატივია დაბნეხმარება

ქოლინი სტრუქტურულად ვიტამინს ჰგავს, შედის ლეციტინის შემადგენლობაში. ეს უკანასკნელი კი ნერვული სისტემის მედიატორის — აცეტილქოლინის სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს. აცეტილქოლინი და შესაბამისად ქოლინი გვეხმარება იმაში, რომ მოვხდინოთ კონცენტრაცია, ვიზროვნოთ აბსტრაქტულად, ვიყოთ ყურადღებიანი. ამიტომ ტვინისთვის საჭიროა, ქოლინის შემცველი პროდუქტებით ვიკვებოთ. ეს პროდუქტებია: ღვიძლი, მჟავე კომბოსტო, თხილი და ბარდა.

ლესიზინი უზრუნველყოფს კავშირს ტვინის უბნებს შორის

ლეციტინი ცხიმოვანი ნაერთია, რომელიც ფოსფოლიპიდებს მიეკუთვნება. მას სხვადასხვა მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია: ავსებს ნერვულ უჯრედებს ენერჯით, შედის უჯრედის კედლის შემადგენლობაში, უზრუნველყოფს კავშირს ტვინის სხვადასხვა უბანს შორის. ლეცი-

ტინით მდიდარია: კვერცხის გული, ხორცი, ბარდა, არარაფინირებული ზეთი და სოია.

ნახშირწყლავი აზროვნებას უწყობს ხელს

გამოაფხიზლეთ რუხი უჯრედები და უკეთ იაზროვნებთ! ამისათვის პირი ნახშირწყლოვანი პროდუქტებით ჩაიტკბარუნეთ. გუნება-განწყობილებას აგიმალღებთ შოკოლადი, რომელიც მორფინის მსგავსი ნივთიერებითაა გაჯერებული. ადამიანისთვის, რომელიც ყოველდღიურად არ ვარჯიშობს ან არააქტიურად ცხოვრობს, დღეში 300 გ ნახშირწყლებიც საკმარისია. აქედან რაფინირებული შაქრის წილი მხოლოდ 40-50 გ უნდა იყოს, რომელიც ჭარბადაა ნამცხვარში, კანფეტებში, შოკოლადსა და სასმელებში.

თავისი ქონი უპეპრია, მაგრამ სასარგებლო

ფოსფორი ორგანიზმში მიმდინარე ყველა ცვლით პროცესში მონაწილეობს, ენერჯია ერთი უჯრედიდან მეორეში გადააქვს. ფოსფორმჟავას საშუალებით ხორციელდება ნახშირწყლების ცვლა, რომელიც ძალზე საჭიროა თავის ტვინის ნორმალური ფუნქციონირებისთვის. ფოსფორით მდიდარი კი ჩვენი ბებიების დროს პოპულარული თევზის ქონია. იგი იოლად აქრობს ჭარბ ქოლესტერინს; აგრეთვე გაჯერებულია D ვიტამინებით. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ თევზის ქონი სიმსივნის განვითარებას უშლის ხელს და ონკოდაავადებებისგან დამცავი კარგი პროფილაქტიკური საშუალებაა.

ალკოჰოლი ზომიერად რგებს ორგანიზმს

მცირე დოზით ალკოჰოლის მიღება ჯანმრთელობას რგებს: მცირდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების ჩამოყალიბების რისკი, ადამიანს სიცოცხლე უხანგრძლივდება... ალკოჰოლი „წვავს“ ქოლესტერინს, რომელიც სისხლძარღვებზე ილექება და ათეროსკლეროზს იწვევს. იგი აგრეთვე გვეხმარება ფსიქოემოციური სტრესის მოხსნაში. მაგრამ გაფრთხილდით — ალკოჰოლის ჭარბად მიღება დაუშვებელია. იგი ჩვენი რუხი უჯრედების უპირველესი მტერია!

დაბოლოს: ტვინს კარგად აფხიზლებს სითხე — მიიღეთ არანაკლებ 2 ლ-ისა დღეში. უმჯობესია, თუკი უპირატესობას ახალგამონჭრულ წველებს, მინერალურ წყლებსა და ჩაის (მეტადრე — მწვანეს) მიანიჭებთ.



ფიზოთერაპია

ფიჭვი

ფიჭვი ერთ-ერთი უძველესი სამკურნალო საშუალებაა. მისი წინწების სასწაულთმოქმედების შესახებ ჯერ კიდევ შუმერებმა იცოდნენ.

შეგიძლიათ, ფიჭვის კვირტები აფთიქში შეიძინოთ. მათი ნახარში საუკეთესო სადენინფექციო და ამოსახველებელი საშუალებაა, ინჰალაცია კი ზედა სასუნთქი გზების ანთებით დაავადებას შველის: ქვებში ან ჩაიდანში მოათავსეთ 3 ს/კ ფიჭვის კვირტები, დაასხით 0,5 ლ მდულარე წყალი და კიდევ 3-4 წუთი ადუღეთ. შემდეგ გადმოდგით ცეცხლიდან და ცხელი ორთქლი ისუნთქეთ. კვირტებს შეგიძლიათ დაუმატოთ ცოტა ევკალიპტის ან სალბის ფოთოლი.

ფიჭვის წინწები მდიდარია ვიტამინებით, განსაკუთრებით C ვიტამინითა და კაროტინით. შეიცავს 0,36%-მდე ეთერზეთებს, 12% ცვილს, ბიოლოგიურად აქტიურ ალკალოიდებსა და ფლავონოიდებს.

ფიჭვის ქერქის ნახეთქებიდან და ნაპრალებიდან ნელა გადმოედინება ღია ყვითელი შეფერილობის ცვილი. ერთი ხე 1 ლ-ზე მეტ ცვილს გვაძლევს. გასუფთავებული ცვილი ჭრილობის შესახორცებელი და ბაქტერიციდული საშუალებაა. ცვილის დამუშავებით მიღებულ სამკურნალო ნივთიერებებს ტკივილგამაყუჩებელი და ანტისეპტიკური თვისებები აქვს. ერთ-ერთი ასეთი საშუალება — სკიპიდარია. ის საინჰალაციოდაც გამოიყენება მათთვის, ვისაც ფილტვები აწუხებს. თავის მხრივ, სკიპიდარისგან მიიღება ტერპინიძიდრიტი, რომელიც ცნობილია როგორც საუკეთესო ამოსახველებელი საშუალება.

ფიჭვის კვირტების ნახარშის დამზადებისას 10 გ ნედლეულზე 200 მლ წყალი აიღეთ. მიღებული სითხე სვით თითო ს/კ დღეში 3-4-ჯერ. მაგრამ გაითვალისწინეთ — სანამ ფიჭვის ნახარშს მიიღებდეთ, კონსულტაციისთვის ექიმს მიმართეთ. მცენარის კვირტების მიღება დაშვებულია თირკმლის ზოგიერთი პათოლოგიის დროს; გარდა ამისა, შეიძლება, ალერგიული რეაქცია გამოიწვიოს.

პოპრა

გოგრას მრავალი სამკურნალო თვისება აქვს. მისი რბილობი მდიდარია კაროტინით, C, B ვიტამინებით, ფოსფორმჟავით, კალიუმით, კალციუმით, მაგნიუმითა და რკინით. გამოიყენება ღვიძლისა და თირკმლების სამკურნალოდ; ეფექტიანი შარდმდენია, აჩქარებს თირკმლებიდან ქლორის გამოდენას.

გაცილებით პოპულარულია გოგრის თესლი. მას იყენებენ შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებების დროს, აგრეთვე — ჭიის კვერცხების, ჰელმინთების (სოლიტერი, ლენტისებრი ჭიები) წინააღმდეგ. ჰელმინთების საწინააღმდეგო მოქმედება ახასიათებს თესლში შემავალ ძალზე იშვიათ ამინომჟავას. გოგრის თესლი მდიდარია ალკალოიდებით, გლიკოზიდებით, ცვილებით, ეთერზეთებით, E და B ვიტამინებით.

სახლის პირობებში ჭიის საწინააღმდეგო საშუალება შემდგენიარად მზადდება: 300 გ (მოზრდილთა დოზა) კანგაცილილი თესლი დანაყეთ, შემდეგ სანაყს გამოავლეთ 50-60 მლ წყალი და ესეც დანაყილ მასას დაასხით (გემოს მისაცემად შეგიძლიათ დაუმატოთ 100 გ-მდე თაფლი ან მურაბა). კარგად აურიეთ. მიიღეთ უზმოზე, მწოლიარე მდგომარეობაში, ერთი საათის განმავლობაში, მცირე ულუფებით. 3 საათის შემდეგ მიიღეთ საფალარათო საშუალება, რომელსაც ექიმი შეგიჩრევთ, შემდეგ ნახევარ საათში გაიკეთეთ ოყნა. საკვები უნდა მიიღოთ ოყნით გამოწვეული კუჭის მოქმედების შემდეგ.

გოგრის თესლისგან მიღებული ზეთი უებარი საშუალებაა წინამდებარე ჯირკვლის ანთებისას.

სასწაულთმოქმედი ნიორი

ნიორი მდიდარია სასარგებლო ნივთიერებებით. ის შეიცავს ნახშირწყლებს, ცილებს, გოგირდმემცველ ნივთიერებებს, პოლისაქარიდებს, ეთერზეთებს, რომლებიც ფიტონციდური თვისებებით გამოირჩევა და მუსრს ავლებს მიკრობებს.

გრიპის პროფილაქტიკისა და მკურნალობის მიზნით, ნიორს საკვებად იყენებენ, ნივრის წვეს კი ცხვირში ინვეთებენ (2-3 წვეთი 3-ჯერ დღეში).

იაპონელებს მიაჩნიათ, რომ ნივრისა და ვერმიშელის ნახარში გაცივების საწინააღმდეგო საუკეთესო საშუალებაა.

ენერგიისა და ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად შემოგთავაზებთ ნარევეს, რომელიც შემდგენიარად მზადდება:

აიღეთ 150 გ ნიორი, 225 გ ხახვი, 450 გ თაფლი და 900 გ ვაშლის ძმარი. ნიორი და ხახვი ორჯერ გაატარეთ ხორცსაჯებ მანქანაში ან ათქვიფეთ ბლენდერში, დაუმატეთ ძმარი და რამდენიმე დღე ბნელ და თბილ ადგილას შეინახეთ. წამოადუღეთ თაფლი. ცეცხლიდან გადმოდგმის შემდეგ დაუმატეთ ნივრისა და ხახვის მასა, კარგად აურიეთ და კიდევ რამდენიმე დღე ბნელ და თბილ ადგილას გააჩრეთ, შემდეგ კი საცერში განწურეთ. მიიღეთ 4 ჩ/კ დღეში ერთხელ, ჭამამდე. მზა მასა მაცივარში შეინახეთ.

ნიორი კბილის ტკივილსაც შველის. ნივრის ნაჭერი პირში უნდა გაიჩროთ ათიოდე წუთი. მოგიხდება ღველები-სას: 11 კბილი ნიორი და საშუალო ზომის ხახვი ხარშეთ 1 ლ რძეში, სანამ დარბილდება. გაფილტრეთ, დაუმატეთ გემოვნებით თაფლი. სვით შემთბარი, საათში ერთხელ, თითო ს/კ.

P.S. პატენცემულო მკითხველებო, მოგვწერეთ, თუ რომელი დაავადების შესახებ გსურთ ინფორმაციის მიღება. რასაკვირველია, ჩვენი ჟურნალის ფურცლებიდან სრული განკურნების მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ იმის გაგებას, თუ რა შეიძლება იყოს თქვენი ჩივილების მიზეზი და ვის უნდა მიმართოთ, ნამდვილად შეძლებთ. რუბრიკის ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com.

თემატური ნომერი

შეჩანა „ოჯახის მკურნალობა“ პატოაქ 21 პარაოიოაქ

საჩიის მომწვევეო თემატური:

- №4 თემატური ალერგიის შესახებ
- №6 თემატური სტროკაროფიისა და ინფარქტის შესახებ
- №8 თემატური თემატური შესახებ



ბიბლუსი

ბიბლუსი — იკივია, რას პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

* * *

ნეტავი, გოგო, შენი ხმა
ავადმყოფს გამაგონაო.
ტუჩი ტუჩს დამადებინა,
ქუქუებს დამაყონაო.
მალ-მალე მოდი ჩემთანა,
შენც ობოლი ხარ, მეცაო,
უბეში ხელის ჩაყოფა
შენც გეამება, მეცაო.
ნეტავი, გოგო, მე და შენ
ერთადამც დაგვანვინაო,
დაგვხურა ჩემი ნაბადი,
მალლით დაუშვა წვიმაო
ნეტავი, გოგო, მე და შენ
ერთმანეთს დაგვატოლაო,
რომელიც მეტი მოვიდეს,
მაყრატლით დაგვასწორაო.



ხალხური



სახსოვარი

აკაკი წერეთელი

„სიბრძნე, ჭკუა და გონება
ქვეყნად ედემის ბაღია,
სწავლა და გამოცდილება
სულ საწყო-იარაღია“.

„ვინც რა უნდა სთქვას, ნუ დასდევ,
შენვე ხარ შენი მსაჯული!“

„რაც ძალადობით წაიღეს, ვინ დააბრუნა ნებიტა?“

ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია

არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით

1982 წელს გამოცემული

ქართული ენის

ბანმარტაპიტი ლექსიკონის

ერთტომეულის მიხედვით

შემდგენილი თეატრ ივანიაძე

კ

დასაწყისი იხ. „გზა“,

№2-52, 2010 — №1-15, 2011

კრიახი — ქვიანი, კლდოვანი (გზა).

კრიალი — 1. ბზინვა, ბრწყინვა, ბრჭყვიალი, პრიალი, ლაპლაპი; 2. რაკრაკი (კოდალას ნისკარტს ხეზე კრიალი გაუდის).

კრიკინა — 1. ველური ვაზი — უსურვაზი; 2. ველური ყურძენი.

კრილი — ხმელი ხის ჩრჩილი.

კრიმანჭული — 1. გურულ სიმღერებში — თავისებურად მიმოქცეული მაღალი ხმა; 2. გადატ. (საუბ.) ეშმაკობა, ხერხი, ფანდი (კრიმანჭულებით გადის ფონს).

კრინი — სიმღერაში ერთ-ერთი წვრილი ხმა, ზილზე უფრო მაღალი, თქმული ხმის აუნწევა.

კრინოლინი ფრ. (ძვ.) — კაბა, რომელსაც განვირად იჭერდა შიგ დატანებული ფოლადის სარტყლები (მოდაში იყო XIX საუკუნეში); საქართველოში „ხაბარდას“ ეძახდნენ.

კრუანგი (საუბ.) — ძუნწი, წუნწურაქი.

კრიტერიუმი ბერძ. (ნიგნ.) — ნიშანი, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, რისამე სისწორეს, მნიშვნელობას არკვევენ.

კრიჭა — 1. ზევითა და ქვევითა ყბა ერთად; 2. პატარა ღარი ნისქვილის ხვიმრის ძირში მიკრული ხორბლის სადენად დოლაბში.

კროლი, კროლა — წენგო, ჩენჩო, ბუძგი რომ ადვილად ეცლება, ან უკვე რომ გაცლილი აქვს (ასეთია შემოსული კაკალი, თხილი, წაბლი).

კროცი — იგივეა, რაც კროლი.

კროჭი (ძვ.) — 1. კოლოფი, ყუთი; 2. სკივრი, ზანდუკი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



მარი ჯაფარიძე

მორიგანი

არხილიტა დედოფალი

დასაწყისი 0ხ. „გზა“ №48-52, 2010 - №1-15, 2011

ვიდრე შემკრთალი უკან მივიხედავდი, უკვე ვიცოდი, რომ სანდრო დამადგა თავზე. გაცეცხა ვერ მოვასწარი, ისე უცებ მომხვია ხელები წელზე და მკერდზე მიმიკრა.

— მარგო, ლევანმა თუ იცის, აქ რომ ხარ? ის კაცი ვინაა, შენ რომ გახლავს?

— შენი საქმე არაა, — ვცაადე, მისი მკლავებისგან თავი გამეთავისუფლებინა, მაგრამ რაც უფრო ვუძალიანდებოდი, მით მეტად მიჭერდა ხელებს. მისკენ მიბრუნების საშუალებასაც არ მაძლევდა, ზურგზე მეკვროდა, ცხვირს ჩემს თმაში მალავდა და ყურში მეჩურჩულებოდა.

— ეს რომ ლევანმა გაიგოს, ხომ იცი, რაც მოხდება?

— ეს რომ ლევანმა დაინახოს, ასე რომ მეხუტები, მერე რა მოხდება, ის თუ იცი?

— ლევანს ახლა ალბათ სძინავს, — მივხვდი, როგორ ირონიულად ჩაეცინა.

— მეც მაგის იმედი მაქვს, — როგორც იქნა, ხელი გავაშვებინე და მისკენ შევბრუნდი.

სანდრო ცოტა ნასვამი იყო, თვალეები უყუყუნებდა სასმლისგან და შუბლი ოფლით დაცვაროდა.

— გართობა მოგიწინა? — ისევ წამეპოტინა, მაგრამ განზე გავხტი და შეხების საშუალება არ მივეცი. — დაბერდა ლევანი?... — ისევ ჩემკენ გამოინია.

უკან დავიხიე და მივხვდი, ხაფანგში მოვხვდი. ზურგით კედელთან აღმოვჩნდი, მის გასწვრივ კი ლობე იყო. სანდრო არ დაიბნა, ერთი ნახტომით ჩემთან გაჩნდა, კუთხეში მიმიმწყვდია, ხელებით კედელს მიყურდნო, შუაში მომიქცია და თვალეებში ჩამხედა.

გველისგან მონუსხული ბაჭიასავით გავშეშდი. მისი სიახლოვე თავბრუს მახვევდა. საოცარი სუნამოს სურნელი ჰქონდა, რომელიც გამუდმებით ცხვირში მილიტინებდა მაშინაც კი, როცა ჩემ სიახლოვეს არ იმყოფებოდა. ახლა კი ასე ახლოს ვგრძობოდი მის სურნელს, სუნთქვას... მას მზერა ჩემი თვალებიდან ტუჩებზე გადაჰქონდა, ქვედა ტუჩს იკვებდა, კბილებს შორის იქცევდა და უფრო ახლოს მოსვლას არ ცდილობდა.

პიჯაკის საყელოში ხელი ჩავავლე და ჩემკენ მოვიხიდე. თითქოს ამას ელოდაო, ისე დამაცხრა ტუჩებზე, რომ სუნთქვა შემეკრა. მისი ხელები ტანზე მეკვროდა, მკერდზე, წელზე, სხეულის ყველა ნაწილზე თამამად მეხებოდა და ამის სანინალმდეგო არაფერი მქონდა.

— მიყვარხარ, მარგო, სიგიჟემდე მიყვარხარ. რაც უნდა მოხდეს, ვისიც უნდა იყო, ბოლოს მაინც ჩემი გახდები, — ჩამჩურჩულებდა და მეტი გახელებით იწყებდა კოცნასა და მოფერებებს.

კლუბიდან ახალგაზრდების ჯგუფი გამოვიდა და ხმაურით გავიდა ეზოდან, მაგრამ ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია. ახლა ცა და ქვეყანა რომ ჩამონგრეულიყო, მნიშვნელობას არ მივანიჭებდი.

სამსახურიც დამავიწყდა, ლევანიც და ის საქმეც, რის გამოც აქ ვიყავი მოსული. სანდროს მეტი არავინ და არაფერი მახსოვდა. მისი ალერსით ვტკებოდი და არ მიხდოდა, ეს ნუთები დამთავრებულიყო.

გონზე ლაშას ხმამ მომიყვანა. გარეთ გამოსულიყო და მეძებდა. არც დაფიქრებულა, ისე მომადგა.

— მარგო, რა ხდება? — ეჭვიანი შეყვარებულივით იკითხა.

— არაფერი, — სანდროს ხელი ვკარი, ტუჩები ხელის ზურგით მოვიწმინდე, კაბა გავისწორე და ლაშასკენ გავემართე.

ეზოდან რომ გამოვდიოდით, უკან მივიხედე.

სანდრო იქვე იდგა, სადაც დავტოვე. პიჯაკის კალთები აქეთ-იქით გაეწია, პერანგის საყელო მოლელოდა, ორივე ხელი შარვლის ჯიბეში

ჩაეყო და ყელმოღერებული მიყურებდა.

მანქანაში რომ ვჯდებოდი, დამშვიდობების ნიშნად ხელი ავუქნიე.

— ვინ იყო ის კაცი? — ლაშა გაცეცხას ვერ მალავდა.

— ნაცნობი და იმ კაცის მეგობარი, ვის სანახავადაც აქ ვიყავით მოსული. მასთან კოცნაობამ მომიწია, ეჭვები რომ გამეფანტა, — თითქოს თავი ვიმართლე, — შენ რა ქენი? რამე დაადგინე? — თემა შევცვალე, თორემ დარწმუნებული ვიყავი, რომ კლუბიდან ხელმოცარულები მოვდიოდით.

ლაშამ ასანთის კოლოფისხელა ფოტოაპარატი გამოიმინოდა. ჩავრთე. უამრავი ფოტო გადაეღო. ჩვენი VIP-პერსონა სრულიად შიშველი გახლდათ, მეძავთან ერთად აღბეჭდილი. გოგონა გამხდარი, თითქმის ჩამოუყალიბებელი იყო. 14-15 წელზე მეტის არაფრის დიდებით არ იქნებოდა. ეს ჩვენს ნისქვილზე ასხამდა წყალს. ლაშას მადლიერი თვალებით შევხედე.

— როგორ მოახერხე?

— თუ მოინდომებ, ყველაფრის გაკეთება შეიძლება. შენც ხომ დამხმარე? ერთ-ერთი სახიფათო ადამიანის ყურადღება მოაღუნე და თავიდან მომამორე. ასე რომ, დანარჩენი მხოლოდ მოხერხების საქმე იყო.

— ახლა უნდა გავიგოთ, ეს გოგო ვინაა. აქედან უნდა შემოვუაროთ.

— ლიზი, 14 წლის, თბილისის ერთ-ერთი პრესტიჟული სკოლის მონაწილე. სხვათა შორის — ფრიადოსანი. გაჭირვებული ოჯახის შვილია. ჯერჯერობით ესაა, რაც გავიგე. არ მკითხო, საიდანო. კლუბში ლიზის მეგობარი გავიცანი, მისგან შევიტყვე. ერთად მუშაობენ. თავიდან ორივე გოგო ჰყავდა ნომერში, შემდეგ ერთი გამოუშვა, ლიზი კი დილაზე დაიტოვა.

— ისიც არასრულწლოვანია?

— კი, 15 წლისაა.

— გასაგებია. თუ ლიზი გაჭირვებული ოჯახიდანაა, მაშასადამე, მასთან ფულზე დალაპარაკება შეიძლება.

— ეგ უკვე თქვენი საქმეა, მე აღარ მევალება, — ლაშამ მანქანა ჯონის ოფისთან მიაყენა. ფანჯრე-



ჯონის უნდა შეეხვედროდი — მიშ-ასგან ამბავი უნდა მოეტანა.

— მარგო, მიშა თანახმაა, ნებისმიერი, გონივრული თანხა გადაიხადოს, თუ საქმე გამოვა, — პირველკლასელის გამომეტყველება ჰქონდა, მონადინებული რომ ჰყვება გაკვეთილს.

— კონკრეტულად ლიზისთან დაკავშირებით ამბობ?

— დიას, კონკრეტულად მაგაზე, თორემ ისე, თუ ციხიდან გამოვაძვრენთ, ალბათ რა ქონებაც აბადია, მთლიანად ჩვენს სახელზე გადამოაფორმებს, ისეთი შეშინებულია.

— მაშასადამე, შეგვიძლია, ვიმოქმედოთ. შენ შინ წადი, მე კი გოგონას მოვინახულებ და შევეცდები, დავიყოლიო ჩვენს წინადადებაზე.

კლუბში ისევ ლაშა გავიყოლე და სამოქმედო გეგმაც დავსახეთ.

ლაშამ ლიზი მოიკითხა. ახალგაზრდა ბარმენმა უცებ გაჩარხა საქმე — ლაშას თანხა დაუსახელა და როდესაც ფული ჩაიჯიბა, გოგონას მხოლოდ ამის შემდეგ დაუძახა.

ლიზი მანჭვა-გრეხით გამოვიდა საიდანაც და ლაშას წინ დაუდგა. რამდენიმე სიტყვა გადაულაპარაკეს ერთმანეთს და კიბეს აუყვნენ. შორიახლო ვიდექი და კარგად გავიგონე, რომელი ნომრის გასაღები ჩაუკუჭა ხელში ბარმენმა. ცოტა ხანს შევყოვნდი და მეც კიბისკენ წავედი. იოლად მივაგენი საქრო კარს, მხრით მივანექი და შევადე. ლიზი საწოლზე იჯდა, ლაშა კი თავზე დასდგომოდა და ხელებით რალაცას უხსნიდა.

— გამარჯობა, პატარავ, — გავუღიმე, რომ არ დამეფრთხო, მაგრამ მივხვდი, რომ ჩემი სიფრთხილე ზედმეტი იყო, რადგან რეაქციაც არ ჰქონია ჩემს დანახვაზე.

ცოტა ხანს გაეჩუმდი. მინდოდა, გავრკვეულიყავი, რაზე ლაპარაკობდნენ ლაშა და ლიზი, მაგრამ ორივენი დადუმდნენ.

— აბა, რა ხდება? — ვთქვი უხერხულობის გასაფანტავად.

— სწორედ ახლა დავიწყე იმ თემაზე ლაპარაკი, რაც ჩვენ გვანტერესებს, — ლაშამ ფაქტობრივად, „ესტაფეტა“ გადმომილოცა.

— ლიზი, საინტერესო და საქმიანი წინადადება გვაქვს შენთან.

— გისმენთ.

— არსებობს ერთი ადამიანი, რომელიც გარკვეულ თანხას იხდის, თუ შენ შენი ერთი კლიენტის წინააღმდეგ საქმეს აღძრავ.

— რომელი კლიენტის? — წარბი არ შეუხრია, ისე მკითხა.

დაუუსახელე.

— რა თანხაზეა ლაპარაკი? —

ისე საქმიანად მეკითხებოდა, მივხვდი, მასთან მოლაპარაკება შეიძლებოდა. როგორც ჩანს, ამდენ მამაკაცთან ურთიერთობამ და ცხოვრების ასეთმა წესმა უფრო მალე გაზარდა და ჩამოაყალიბა. ზრდასრული ქალივით ლაპარაკობდა, გეგონებოდა, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება ჰქონდა. თუმცა, „გეგონებოდა“ კი არა, ნამდვილად ჰქონდა.

— მიყვარხარ, მარგო, სიგიჟემდე მიყვარხარ. რაც უნდა მოხდეს, ვისიც უნდა იყო, ბოლოს მაინც ჩამი გახდაბი, — ჩამეჩურჩულა და მეტი გახელაბით იწყებდა ჯოჯონას და მოფარებას

— 10 ათას დოლარზე. თუ ისე მოიქცევი, როგორც ჩვენ გეტყვით, მაგ ფულს 1 კვირაში ჩაიჯიბავ.

— რა საქმისთვის გჭირდებათ, მაგ კაცის წინააღმდეგ კომპრომატები და საქმის აღძვრა?

— ერთი ადამიანის ციხიდან დასახსნელად, — პირდაპირ ვუთხარი, რადგან დამალვას აზრი არ ჰქონდა.

— მაშინ 10 ათასი ძალიან ცოტაა.

— ოჰო, — წამოიძახა ლაშამ.

როგორც ჩანს, მთელი ამ ხნის განმავლობაში, სანამ მე და ლიზი ვლაპარაკობდით, ისიც გაოცებული გვისმენდა.

— ოჰო, არ უნდა მაგას, რადგან ამხელა თანამდებობის პირზეა ლაპარაკი, მაშასადამე, სერიოზული საქმეა და თუ სერიოზული საქმეა, ფულიც შესაბამისად უნდა გადაიხადოს. თანაც, მეც ხომ უნდა მიღირდეს? როგორც ვხვდები, შანტაჟზე უნდა წავიდე და იმით ვისაუკულებო, რომ ამ თანამდებობის პირს არასრულწლოვანთან ან არასრულწლოვნებთან აქვს სექსუალური კავშირი. გამოდის, რომ მე კარგი კლიენტი უნდა დავკარგო. ეს ხომ უნდა მიღირდეს?

— დაასახელე თანხა. ვინც უნდა გადაიხადოს, იმას შევატყობინებ და პასუხს გეტყვით.

— 50 ათასი.

ლაშამ დაუსტვინა, მე კი პირი გამიშრა მოულოდნელობისგან.

— ეს ძალიან დიდი თანხაა, — ამოვილულულე, როგორც იქნა. არ მეგონა, ასეთი მადა თუ ექნებოდა ამ თითისხელა გოგოს.

— მე რომ საქმე შევებრუნო, ჩემს კლიენტს დაველაპარაკო და ვუთხრა, მის წინააღმდეგ რაც გაქვთ ჩაფიქრებული, ხომ დარწმუნებული

ხართ, რომ მაგ თანხასაც გადაიხდის და უფრო მეტსაც?

რა უნდა მეთქვა? მართალს ამბობდა.

— ლიზი, მე დაველაპარაკები და დავითანხმებ იმ კაცს, რომ შენ მიერ მოთხოვნილი თანხა გადაიხადოს, მაგრამ პირობა უნდა მოგვცე, ფულს რომ აიღებ, ყოველგვარი ფოკუსების გარეშე იმოქმედებ — ისე,

როგორც ჩვენ გეტყვით და ყველაფერი რომ დასრულდება, ამ საქმეს შეეშები, სწავლას მიხედავ და სამუდამოდ დაივინყებ აქაურობას.

— თქვენ სულელი გგონივართ? — ხმამალა გაიცინა. — ამხელა ფულს თუ ავიღებ, მერე აქეთ რატომ გამოვიხედავ? თანაც, თავისუფლად შემოიძლია, მართლა ყველაფერს მოუწყვე ჩემს კლიენტს და იმაზე მეტი ფული გამოვძალო, ვიდრე თქვენ გადამიხდით, მაგრამ ამის შემდეგ მასზე დამოკიდებული უნდა გავხდე და თავის ჭკუაზე მათამაშოს, მე კი ამას არ დავუშვებ.

— არც ისე უტვინო ხარ... რატომ მიხვედი აქამდე? — ლაშამ ველარ მოითმინა.

— უტვინო რომ არ ვარ, იმიტომ. სხვა გზა არ მქონდა და სწავლას კი იმიტომ არ ვანებებ თავს, რომ სულ ასე ცხოვრებას არ ვაპირებ. განათლება მჭირდება, რომ კარგად ვიცხოვრო. მთავარია, უმალღესი დავამთავრო. ჩემი გავლენიანი კლიენტების წყალობით სამსახურის შოვნა არ გამიჭირდება.

კიდევ უფრო გამოოცა ლიზიმ. ასეთი განსჯის უნარით ბევრი ზრდასრული ადამიანი ვერ დაიკვებინს.

— არა, შენ არ ხარ დასაღუპავი გოგო, — ხმამალა გამოვთქვი აღფრთოვანება და მივხვდი, ესამოვნა.


— მოკლედ, მოვილაპარაკეთ, ხომ? — ჩავეკითხე ყოველი შემთხვევისთვის.

— გუშინ თქვენ იყავით ჩემთან, სახლში? — სიტყვა ბანზე ამიგდო.

ის იყო, უნდა მეპასუხა, რომ კარი გაიღო და ზღურბლზე ლევანი გამოჩნდა.

ერთიანად ავიღენ და სახეზე აღმურმა გადამკრა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



ნანარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza@palitra.ge

რუსუდან ბერიძე

დასაწყისი ნ. „ზა“ №51, 2010 – 1-15, 2011

— კიდევ ერთხელ დიდი მადლობა, — გამომშვიდობებისას ლევანს მხარზე ხელი მეგობრულად მოუთათუნა, ლალის კი ხელზე ნაზად ეამბორა ორდენიძე, — მართლა არ ვიცი, უთქვენოდ რა უნდა მექნა.

— ალბათ, მარტოც მოახერხებდი რამეს, მაგრამ მიხარია, რომ შენი დახმარება შეეძელი, — გაელიმა ლევანს, — ცოტა კიდევ მოითმინე და სამსახურშიც ყველაფერს მოგიგვარებ. მანამდე კი ჩათვალე, რომ შვებულებაში ხარ და ისვენებ.

— ისე, დასვენება მართლა არ მანყენდა.

— მაშინ, როგორც იტყვიან, ჰა — ბურთი და ჰა — მოედანი...

ლევანისა და ლალის გასტუმრებისთანავე მარი ისევ ორდენიძეს მიუბრუნდა:

— ახლა კი ამიხსენი, რა მოხდა?

— ისეთი არაფერი.

— ასეთი?

— ბანკი გავძარცვე, თვითმფრინავი გავიტაცე და მძევლებიც ავიყვანე...

— არ მეხუმრება, — შუბლი შეიკრა მარიმ, — ასე ვინ გაგიმეტა?

— წარმოდგენა არ მაქვს, მაგრამ პირობას გაძლევ, ყველაფერს გავარკვევ. მანამდე კი შეგიძლია, ერთად ყოფნით დავტკბეთ. ხომ ნახე, ლევანმა შვებულება როგორ გამიშანშალა.

— სწორადაც მოიქცა. მიხარია, რომ შენს უმადურ სამსახურში დროებით მაინც აღარ ივლი.

— ეს ცოტა მეც მიხარია. კარგად

დავისვენოთ და გავერთოთ კიდევ.

— იცი, როგორ მომენატრა შენთან ერთად სადმე წასვლა?

— სადაც მოისურვებ, ყველგან წაგიყვან.

— დავიჯერო, საქმეს ასე ადვილად შეეღვი?

— სხვა რა გზა მაქვს. სანამ ყველაფერი არ გაირკვევა, არაფერს მანდობენ.

— შენი კოლექციონერები როგორ არიან?

— ორდენიძემ ქალის კითხვას წაუყრუა.

— რატომ გაჩუმიდი? მოხდა რამე? — მაინც არ მოუშვა მარი.

— მოხდა, — მძიმედ ამოიოხრა გამომძიებელმა, — 2 მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის.

— რას ამბობ? — შეიცხადა მარიმ.

— ვინ და ვინ?

— ოირდანიშვილი და კბილაშვილი.

— სამწუხაროა. არადა, იორდანიშვილს ხომ შენი თხოვნით, მეც დავურკვევ, მაგრამ ალბათ, არც ჩემი სიტყვები მიიღო სერიოზულად.

— ალბათ, — კიდევ ერთხელ ამოიოხრა გამომძიებელმა, — ჩვენი მასშინდელი საუბრის შესახებ ვინმესთვის ხომ არ გითქვამს?

— არა.

— ძალიან კარგი. ახლა კი დანეჭი და დაიძინე. დღეს მძიმე დღე გქონდა.

— შენ?

— მეც დავწვები. ოღონდ, ჯერ ორ ადგილას დავრეკავ.

ოთახიდან მარის გასვლის შემდეგ ორდენიძეს ისევ მძიმე ფიქრები მოეძალა. გამომძიებელს განსაკუთრებით ის აწუხოებდა, რომ მოკლულ კოლექციონერების გვარები მის სიაში პირველ და მეორე ადგილზე ეწერა. „ვითომ ეს უბრალო დამთხვევაა თუ ინფორმაციამ მაინც გაჟონა? — ეკითხებოდა საკუთარ თავს. — მაგრამ როგორ? სიის შესახებ ხომ, ჩემ გარდა, მხოლოდ მარიმ და ანდრო ლეკიშვილმა იცოდნენ და ორივეს ბოლომდე ვენდობი. მაშ, რა მოხდა? დავიჯერო, ჩვენს ლაპარაკს უსმენენ? გამორიცხული არაფერია, ამიტომ ყველაფერი სასწრაფოდ უნდა გადავამოწმო“, — ბოლოს მტკიცე გადანყვეტილება მიიღო, ტელეფონის ყურმილს დასწვდა და ნაცნობი ნომერი აკრიბა.

— ალო, ნიკა, შენ ხარ?

— დამნაშავეების რისხვას გაუმარჯოს! გავიგე, პრობლემები შეგქმნია.

— თან, როგორი, მაგრამ მალე ყველაფერი მოგვარდება.

— ეჭვიც არ მეპარება.

— შენთან პატარა საქმე მაქვს.

— მითხარი, რა გინდა?

— ონკანი გამიფუჭდა და წვეთავს.

— გასაგებია. როდის შევაკეთოთ?

— ხვალ, ნაშუადღევს გეცლება?

— შენთვის მოვიცლი.

— მაშინ მისამართი ჩაინერე.

მეორე დღეს, როგორც კი მარი პროდუქტების საყიდლად გავიდა, ორდენიძე თავის ძველ მეგობარსა და კოლეგას — ნიკა ალექსიძეს შეხვდა, რომელიც მოსასმენ აპარატურაში კარგად ერკვეოდა. სახლში შესვლისთანავე ალექსიძემ პატარა ჩემოდნიდან ხელსაწყოები ამოალაგა, საქმეს უსიტყვოდ შეუდგა და ხუთიოდე წუთის შემდეგ, ეგრეთ წოდებული, „უწოკები“ სასაადილო ოთახში მდგარი ტელეფონის აპარატის კორპუსის ქვეშ, სამზარეულოში, საძინებელსა და კიდევ სამ სხვა ადგილზეც აღმოაჩინა. ორდენიძემ ნიკას ანიშნა, ყველაფერი ხელუხლებლად დატოვეო.

— არ მესმის, რატომ არ მომახსენებინე? — ჰკითხა ეზოში გასვლის შემდეგ ალექსიძემ გამომძიებელს.

— აზრი არა აქვს და იმიტომ. ესენი რომ მოვხსნა, ახალს დააყენებენ.

— კარგი, შენ იცი.

— დახმარებისთვის დიდი მადლობა.

— მხოლოდ მადლობა არ არის საკმარისი.

— ცოტა გონს მოვალ და დანარჩენი მერე იყოს, კარგი?

— გესმერე, — გაელიმა ნიკას, — შენგან პატივისცემა არ მაკლია. თუ კიდევ დაგჭირდები, არ მოგერიდოს, დამირეკე.

ალექსიძის წასვლის შემდეგ ორდენიძეს ხასიათი ნელ-ნელა გამოუკეთდა, რადგან დარწმუნდა, რომ მამუბრის ალღომ არც აშჯერად უმტყუნა. გამომძიებელს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ ამ პატარა მოსასმენი მოწყობილობების აღმოჩენით, არსებობის გარკვევაც დაინწყებოდა.

შინ დაბრუნებული მარი ორდენიძის ხალისიანმა განწყობილებამ გააკვირვა.

— რა მოხდა?

— არაფერი, — დანაშაულზე წასწრებულივით გაელიმა გამომძიებელს, — უბრალოდ, შენი დაბრუნება გამიხარდა.

— მაშინ იქნებ, შინიდან უფრო ხშირად გავიდე ხოლმე? — გაელიმა მარის. — მაგრამ არა მგონია, ეს იყოს შენი სიხარულის მიზეზი. გამოცდი, ჩემს აქ არყოფნაში ცოტა ხომ არ წაიცულღუტე?



— რას გულისხმობ?

— მაგალითად, დრო ხომ არ იხელთ და ყოფილ სიყვარულს შეხვდით?

— თვალები ემშაქურად მონჯურა მარმი.

— ყოფილისა რა გითხრა, მაგრამ ახლანდელ სიყვარულს კი ეს ნუთია, შეხვდით და ალბათ, კარგ დროსაც გავატარებთ, — ქალს ნელზე ხელები შემოხვია ორდენიძემ და მიიზიდა, მაგრამ ტელეფონი ანკრიალდა.

— მაინც როგორ დაუმიზნებენ ხოლმე, — ორდენიძემ ყურმილი უკმაყოფილო სახით აიღო.

ანდრო ლეკიშვილი რეკავდა.

— შეფ, მე ვარ. რომ დამავალე, იმ საქმეზე გირეკავ.

— სასწრაფოდ ჩემთან გაჩნდი! პირისპირ უნდა დავილაპარაკოთ.

— ჰო, მაგრამ ხომ იცი, რომ მანქანა...

— ტაქსი აიყვანე. თუ ფული არ გაქვს, მე გადაგიხდი.

— მოვერივარ, შეფ!

ოციოდე ნუთის შემდეგ ანდრო უკვე ჭიშკართან იდგა.

— შინაურია, როკი, შინაური, — ეზოში შემოსულ ანდროს ძალღი მოარიდა ორდენიძემ.

— მაგარი ძალღია, — აღფრთოვანება ვერ დამალა ლეკიშვილმა.

— არის, რა, — იქვე მდგარ ხის გრძელ სკამზე ჩამოჯდა ორდენიძე, — მოდი, აქვე ჩამოვსხდეთ. შინ ვერ შეგიაპატიებ.

— არა უშავს, შეფ, მესმის, რომ...

— არაფერიც არ გესმის. მთელი სახლი „ჟურნალებითა“ გაქვს გილი.

— კარგი ერთი, — ნაუსტყინა გაცხებულმა ანდრომ, — დავიჯერო, მართლა ასე სერიოზულადაა საქმე?

— დრო გვიჩვენებს. ჯერჯერობით კი ჯობს, სუფთა ჰაერზე ვილაპარაკოთ. აბა, მომიყევი, რა ხდება?

— ალექო მოსეშვილის ამბავი გავარკვიე. საინტერესო სუბიექტი აღმოჩნდა.

— უფრო კონკრეტულად?

— თავის დროზე სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსიდან გაურიცხავთ.

— ზარმაცობდა?

— პირიქით, კარგად სწავლობდა.

— აბა, რას ერჩოდნენ?

— სადიზმისადმი ჰქონდა მიდრეკილება.

— რაო? — გაუკვირდა ორდენიძეს.

— თურმე, ძალღებს ცოცხლად აძრობდა ტყავს, ორგანოებს აცლიდა და ათას სხვა უბედურებასაც სწავლიდა.

— ფუ, მაგის... — შეიგინა ორდენიძემ. — და ასეთი გიჟები ქალაქში მშვიდად უნდა დასეირნობდნენ?

— მთლად ასე მარტივადაც არაა საქმე.

— აბა?

— ოფიციალურად მოსეშვილი ფსიქიატრიულშია. სასამართლომ შეურაცხადად ცნო და იძულებითი მკურნალობაც დაუნიშნა.

— აბა, გარეთ როგორ აღმოჩნდა? ფსიქიატრიულში რა გითხრეს?

— რა მითხრეს და ასეთი გვარსახელის კაცს ჩვენთან არასდროს უმკურნალიაო.

— გამოდის, რომ...

— დიახ, ეს მანიაკი ფსიქიატრიულში ერთი დღეც არ წოლიდა და დღემდე ქალაქში თავისუფლად დასეირნობს.

— კი, მაგრამ ეს როგორ უნდა მოეხერხებინა?

— ჯერ არ ვიცი.

— იქნებ მის საქმეში ჩაგვეხედო?

— როგორ? ოფიციალური მიმართვის გარეშე არჩევში ვინ შემიშვებს?

— კარგი, მაგას მე მივხედავ. ის ბიჭი ხომ არ გამოჩენილა?

— გოგლა?

— ჰო.

— უკვალოდ გაქრა.

— გოგონა?

— სახლშია გამოკეტილი, მაგრამ მგონი, რაღაცას მაინც ემშაქობს.

— საქმეს რომ არ ვიყო ჩამოშორებული, თვალის სადევნებლად ვინმეს აუცილებლად მივუჩინდი.

— არც მე დავზარდები, შეფ, მაგრამ კარგად იცი, რომ ამის გაკეთებას მხოლოდ სამსახურის შემდეგ თუ მოვახერხებ.

— ვიცი, როგორ არ ვიცი. ამბუც დიდი მადლობა.

— არ შეიძლება, გოგლას ძებნა მაინც დაეწყოთ ოფიციალურად?

— რა თქმა უნდა, შეიძლება, მაგრამ გული მიგრძნობს, რომ საკმარისია მის გარშემო ხმაური ატყდეს და ცოცხალს ვეღარ ვიხილავთ.

— მართალი ხარ, — შეფიერიანდა ანდრო, — შეიძლება, მართლაც მისიკვდილონ. კიდევ რამეს ხომ არ დამავალებ?

— ჯერჯერობით არაფერს, მაგრამ მალე შენი დახმარება ისევ დამჭირდება.

— როგორც კი იტყვი, შეფ, — ფეხზე წამოდგა ანდრო, — ახლა კი წავალ, თორემ „თლა უფროსმა“ თუ მომიკითხა, ცუდად მექნება საქმე.

— ვინ იყო ის ბიჭი? — ლეკიშვილის წასვლისთანავე ჰკითხა ორდენიძეს მარიმ.

— თანამშრომელია.

— მერე შინ რატომ არ შემოიპატიუე?

— ეჩქარებოდა.

— შენთან რამე საქმე ჰქონდა?

— არა. უბრალოდ, ამბის გასაგებად შემოირბინა.

— ვითომ? — დაეჭვდა მარი. — თუ ისევე რაღაცას მიმალავ?

— აბა, რას ამბობ, მარიკუნა? — გულში ჩაიკრა ქალი ორდენიძემ. — შენთან რა მაქვს დასამალი?

— არ ვიცი, — თავი დაეჭვებით გადააქნია მარიმ, — რაც უნდა მოხდეს, ლევანი ყველაფრის მოგვარებას შემპირდა.

— კარგი ერთი? — ცივად გაელიმა ორდენიძეს. — ვითომ მართლა ასეთი ყოვლისშემძლეა ლევანი?

— არ ვიცი, მოხერხებული კი ნამდვილადაა.

— ამაში მეც გეთანხმები.

— ისე, მისგან რაღაც რაღაცების სწავლა შენც არ განყენდა.

— შევეცდები, — სიტუაციის გამწვავება აღარ ისურვა გამომძიებელმა.

— მართლა, იცი, რომ სვალ თეატრში მივდივართ?

— თეატრი კარგია, მაგრამ...

— არავითარი მაგრამ. დროა, ნორმალურ ადამიანურ ცხოვრებას მიეწვიო.

— ლევანი და ლალიც მოდიან?

— რა თქმა უნდა. ბილეთები ლევანმა აიღო.

— კარგი, წავიდეთ, — უხალისოდ დაეთანხმა ქალს გამომძიებელი.





— მაგრამ რაღაც მაინც არ მოგონს, ხომ?

— არა. სახლის უყურადღებოდ მიტოვება არ მინდა. შენთვის არ მითქვამს, მაგრამ ბოლო დროს სიგნალ-

არავინ იცის, რომ სიგნალიზაცია გაუმართავია და როკი კი სახლში არ იქნება. ამიტომ ხვალ ძაღლს ვეტერინართან მარტო წავიყვან, შენ კი თეატრისთვის მშვიდად მოემზადე...



იზაცია ურევს.

ორდენიძე საგანგებოდ ხმამაღლა ლაპარაკობდა, რათა მისი სიტყვები იმათაც კარგად გაეგონათ, ვინც მარის სახლში მოსასმენი აპარატურა ფარულად დაამონტაჟა.

— მართლა? — გაუკვირდა მარის.

— მე რე დავრეკოთ და...

— უკვე დავრეკე, მაგრამ ხელოსანი ორ დღეში მოვა.

— რა უნდა ვწინააღმდეგო? ძლივს, ერთად წასვლა სადღაც გვეღირსა. თან, ლალისა და ლევანის წყენინებაც არ მინდა.

— ნუ წერვიულობ. სულ რამდენიმე საათით თუ გავალთ შინიდან და არა მგონია, მაინცდამაინც მაშინ მოხდეს რამე.

— არ ვიცო... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მარიმ. — ეს ძაღლიც რაღაც ხვალ მიგვყავს ვეტერინართან.

— თუ გინდა, სხვა დროს წავიყვანოთ.

— ხვალ თუ არ წავიყვანო, მე რე დიდხანს მოგვიწევს ლოდინი. ის კაცი ზეგ საღამოს უცხოეთში მიდის და მთელი თვე არ იქნება. როკი კი სხვას არ მიიკარებს.

— იქნებ ხვალვე გამოგვატანოს უკან?

— არა მგონია. აცრის შემდეგ ძაღლს ერთი საღამო ყოველთვის თავისთან იტოვებს.

— მაშინ მე დავრჩები სახლში.

— არავითარ შემთხვევაში, — უარის ნიშნად თავი გამეტებით გაიქნია მარიმ, — უშუალოდ ფეხსაც არსად გავადგამ. თანაც, შენი თქმისა არ იყოს, რაღაც ხვალ შემოვარდება ამ სახლში ვინმე?

— მართალი ხარ. ჩვენ გარდა ხომ

მეორე დღეს ორდენიძე შინიდან ადრიანად გავიდა, ძაღლი ვეტერინარს დაუტოვა, იქიდან წამოსულმა კი მანქანა პირველივე ტელეფონავტომატთან გააჩერა და ნომერი სწრაფად აკრიბა.

— ალო, გიორგის ჩემი საღამო.

— გისმენთ.

— ვერ მიცანი, ხომ?

— ვერა.

— მაშინ გამდიდრება არ ამცდება.

— ოთარ, შენ ხარ, ბიჭო?

— გახლავარ.

— საიდან რეკავ? არ მითხრა, უკვე გამომიშვესო?

— აბა, რა...

— მადლობა ღმერთს, თორემ ჩვენთან შენზე უკვე სისულელეებს ჰყვებოდნენ. ისე, მართალია, რომ...

— მტყუან-მართალს დღეს ვინ არჩევს, — კითხვის დასრულება აღარ აცალა გიორგის ორდენიძემ, — თქვენთან, არქივში, როგორაა საქმე?

— ძველებურად. სამსახურში უკვე გახვედი?

— კი.

— როგორ შეგხვდნენ?

— ცუდად. შეფი ზედ აღარ მიყურებს, თანამშრომლები საღამოს მამადლიან; მგონი, პრეზიდენტიც მიბღვერს.

— პრეზიდენტი?

— პრეზიდენტის პორტრეტზე გეუბნები, ჩემს კაბინეტში, კედელზე რომაა გამოჭიმული.

— რადგან ხუმრობის ხალისი შეგჩაჩა, მაშინ არცთუ ისე ცუდად უნდა იყოს შენი საქმე.

— ჯერ არ ვიცო, მომავალი გვიჩვენებს. მანამდე კი იქნებ ცოტა შენ დაძვინდებო.

— როგორ?

— ინფორმაცია მჭირდება.

— ოთარ, ხომ იცი, ჩვენთან როგორი მკაცრი წესებია...

— რომ ვიცი, იმიტომაც გირეკავ. თან, განსაკუთრებულს კი არაფერს გთხოვ.

— მაშინ გისმენ.

— არის ერთი მომანიაკო ელემენტი, გვარად მოსუშვილი...

— სახელი?

— ალექო, ალექსანდრე.

— რა ჩიდიანა?

— ცხოველებს ანამებდა.

— კარგი ერთი? მოიცა, მოვძებნი. კი, არის ასეთი. ახლა ფსიქიატრიულში მკურნალობს.

— ვიცი.

— კიდევ რა გაინტერესებს?

— რა და მისმა საქმემ ვის ხელში გაიარა. გამომძიებელთან მინდა დალაპარაკება.

— ახლავე ყველაფერს გეტყვი.

გამომძიებლის გვარის გაგონებაზე ორდენიძეს ყურმილი კინალამ ხელიდან გაუვარდა...

— შინ დაბრუნებულ ორდენიძეს მარიმ ფურცელზე დაწერილი ტელეფონის ნომერი დაახვედრა.

— ეს რა არის?

— ვილაც კაცმა დაგირეკა და გთხოვა, ამ ნომერზე შემეხმიანოსო.

გამომძიებელმა ნომერი ვერ იცნო და, ამიტომ, ტელეფონის ყურმილი ცოტა შეფიქრანებულმა აიღო:

— ალო, ოთარ ორდენიძე ვარ. ვის ველაპარაკები?

— ავთო თვალჭრელიძე გახლავართ, ბატონო ოთარ. გახსოვართ?

— ააა, გამარჯობა, ავთო, როგორ არ მახსოვხარ. როგორ არის საქმე?

— ნორმალურად. უკვე შინიდან გირეკავთ.

— მიხარია, რომ გამოგიშვეს. როგორც ჩანს, კარგი ადვოკატები გყავს.

— არ ვუჩივი. თან, ისეთი ალიბიც მაქვს, 10 კაცი მაინც რომ დაადასტურებს. ერთადერთი ის უნდა გავარკვიო, ჩემ წინააღმდეგ საქმის „შეკრუვას“ ვინ ცდილობდა.

— არა მგონია, ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი ამის გარკვევაში დაგეხმაროს. მე ხომ ახლა...

— ვიცი, ბატონო ოთარ, გავიგე, რაც შეგემთხვათ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მალე ყველაფერი ისევ თავის ადგილზე დადგება და ნამდვილ დამნაშავეებს თქვენ გამოამყლავნებთ.

— შენს პირს შეაქარი.

— დარწმუნებული ვარ, რომ ასე მოხდება, მაგრამ თუ რამე გაგიჭირდებათ, აუცილებლად დამირეკეთ. თანაც — ნებისმიერ დროს. ახლა კი კარგად იყავით.

თითქმის მთელი დღე მარიმ თეატრისთვის მზადებას მოანდომა. ბოლოს, როგორც იქნა, წასვლის დროც მოვიდა. ორდენიძე ანერვიულდა, რადგან მისი ფარული ჩანაფიქრი კულმინაციას მიუახლოვდა. გამომძიებელს თეატრში მარის მარტო გაშვება ჰქონდა გადაწყვეტილი, რადგან მისი გეგმის



მიხედვით, ქალი ამ საღამოს სახლიდან რაც შეიძლება, შორს უნდა ყოფილიყო.

— მზად ვარ, — საღამოს კაბაში გამოწყობილი მარი ორდენიძის წინ რამდენჯერმე შეტრიალ-შემოტრიალდა. — ჰა, როგორ გამოვიყურები?

— შესანიშნავად.

— შენც არა გიშვებს, — ჰალატუხი გაუსწორა გამომძიებელს ქალმა, — ნავედით?

— ნავედით.

ჭიშკართან ტაქსი ელოდათ. გამომძიებელმა მარი მანქანაში ჩასვა, თავად კი წელში ვითომ სიმწრით მოიხარა და მუცელზე იტაცა ხელი.

— რა დაგეშვართა? — შეიცხადა ქალმა.

— მგონი, ცივმა რძემ მანყინა. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს მუცელზე დანას მისვამენ.

— გითხარი, ნუ დალევ-მეთქი, მაგრამ არ დამიჯერე.

— მსუნაგი ვარ და რა ვენა?

— მაშინ იქნებ დაერჩეთ, — მარიმ მანქანიდან გადმოსვლა დააპირა.

— რას ამბობ? ჩემ გამო რატომ უნდა დარჩე?

— ასეთ მდგომარეობაში მარტო მიგატოვო? თეატრი არსად გაიქცევა. სხვა დროს ნავალ. ახლავ დავურეკავ ლალის და ყველაფერს ავუსხნი, — ხელჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო მარიმ.

— მოიცა! — შეაჩერა ის გამომძიებელმა. — არაფრის გადადება არ არის საჭირო. ნადი თეატრში და იქ დაშელოდე. ცოტა მოკვ-ჯობინდები და მოგაკითხავ. შეიძლება, მეორე განყოფილებაზე კი მოვუსწრო.

— თუ ასეა, მაშინ მეც აქ დავიცდი და ერთად ნავიდეთ, — თავისას არ იმღიოდა მარი.

— რა საჭიროა, თორემ კი. სპექტაკლზე დროულად მიდი, რომ ლალიმ და ლევანმა არ ინერვიულონ. ამა-სობაში კი მეც მოვალ. ოღონდ, ჩემი ღორმუცელობის ამბავს ნუ მოუყვები. უთხარი, რალაც საქმეზე უნდა შეიაროს და მალე შემოგვიერთდებათქო.

— კარგი, როგორც იტყვი... — დაბნეულად ჩაილაპარაკა მარი.

როგორც კი ტაქსი თვალს მიეფარა, გამომძიებელი მაშინვე სახლში შევარდა, სასტუმრო ოთახში

მდგარ ფართო სავარძელს ამოეფარა და იარაღი ფეხზე შეაყენა. ამასობაში ჭიშკართან მანქანამ დაამუხრუჭა და რამდენიმე წუთში სახლში ვიღაც ფეხაკრეფით შემოვიდა. უცნობს შუქი არ აუნთია, მხოლოდ ჯიბის ფარანი მოიმარჯვა და, თან, ისე სწრაფად და თავდაჯერებულად ამოქმედდა, თითქოს ამ სახლში უკვე არაერთხელ იყო ნამყოფი. ის პირდაპირ იმ კედელს მიადგა, სადაც ყველაზე ძვირფასი სურათები ეკიდა და მათი ფრთხილად ჩამოხსნა და მოზრდილ ჩანთაში ჩალაგება დაიწყო. როცა მძარცველმა ხელი მორიგი ტილოს ჩამოსასხნელად ასწია, ორდენიძე საფრიდან გამოვიდა და სინათლე აანთო.

— ხელები მალა! — უყვირა მძარცველს, რომელსაც მოულოდნელობისგან ხელი ჰაერში გაუშემდა.

— ხელები მალა-მეთქი! — გაუმეორა მას ორდენიძემ.

უცბად მამაკაცი მკვეთრად შემობრუნდა და გასროლის ხმაც გაისმა. ორდენიძეს ტყვია მხარში მოხვდა, მაგრამ არ დაიბნა და სანამ უცნობი გაქცევას მოასწრებდა, თავადაც რამდენჯერმე ესროლა, თუმცა ააცილა.

— ბერდები, ოთო, ბერდები და ფორმას კარგავ, — ხმაშლილა უთხრა საკუთარ თავს, შემდეგ ერთი ამოიკვნესა და გაქცეულს დაედევნა.

ორდენიძეს კარგად ესმოდა, რომ თუ სასწრაფოდ რამეს არ იღონებდა, ბანდიტს არ შეაჩერებდა, ყველაფერი წყალში ჩაყვრებოდა. როცა

შემოსასვლელ კარამდე რამდენიმე ნაბიჯი დარჩა, ქალის შეკვივლების ხმა მოესმა, რასაც მაშინვე 2 გასროლა მოჰყვა. გამომძიებელი გარეთ გიჟივით გავარდა. მოკირწყლულ ბილიკზე მძარცველი უსულოდ ეგდო, მოშორებით, მწვანე მდელოზე კი მარი იწვა, რომელსაც თავზე იარაღმომარჯვებული ლევან ახვლედიანი ადგა. პისტოლეტის ლულას ბოლი ასდიოდა. ორდენიძე მარისთან მიიჭრა. ქალს ტყვია მკერდში ჰქონდა და მოხვედრილი.

— ეს რა ჩაიდინე, მარიკუნა, ეს რა ჩაიდინე? — აღმოხდა გამომძიებელს და სიმწრის ცრემლი წასკდა, — მე ხომ თეატრში გაგიშვი. რისთვის დაბრუნდი, რისთვის?

— შენ გამო, — ნაიჩურჩულა მარიმ, — მამაკაცი...

იქვე მდგარი ლევანი ქალს თვალს წამითაც აღარ აშორებდა და, თან, რალაცას გაურკვეველად ბუტბუტებდა.

— აქ საიდან? — მკაცრად ჰკითხა მას გამომძიებელმა.

— მამაკაცი, ოთარ, ვერ დავასწარი. მან პირველმა ისროლა...

ორდენიძე ახვლედიანს ისე მიაშტერდა, თითქოს პირველად ხედავსო და შემდეგ მოკლედ მოუჭრა:

— ახლავე „სასწრაფოს“ გამოუძახე. ლევანი ადგილიდან არ დაძრულა.

— „სასწრაფოს“-მეთქი! — მთელი ხმით უღრიალა გამომძიებელმა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

60 ქართული პრემიის საგანძურის ანონსი. ნაირა გელაშვილი დედის ოთახი (ნაწილი II). ღირსეულობის 3 ლარი! 21-დან - 28 აპრილამდე! ნაიკითხე ვიდეო-უკეთესად იქნები! ღირსეულობის ტომები შეგიძლიათ შეიხირონ წიგნის მაღაზიებში. ნაირა გელაშვილი დედის ოთახი (ნაწილი II).



დასაწყისი იხ „გზა“ №2-15

დღეები გადიოდა, გიასგან კი არაფერი ისმოდა. ნ დღე ელოდა გოგონა, მაგრამ ამაოდ. მამაკაცი არც ტელეფონის ზარს პასუხობდა, არც — მესიჯებს. მეექვსე დღეს, როგორც იქნა, გიასმა სასურველი (უსაშველოდ მონატრებული) ზარი. ნუკი სამკერვალოში იყო, თათულისთან ერთად. მობილურს ხელი დასტაცა და შურდულივით გავარდა გარეთ, რომ თათულის მათი საუბარი არ მოესმინა. ამ უკანასკნელმა მზერა გაოცებით გააყლოა.

— როგორ არის ჩემი სიცოცხლე და სიხარული? — გიას საოცრად ნაღვლიანი ხმა ჰქონდა.

— არა მიშავს, შენ? — არც ნუკის ხმა ისმოდა „დალხენილად“.

— ახლა რა მიჭირს, გამოვკეთდი. — რა გჭირდა? — შემფოთდა გოგონა.

— ნ-დლიანი მქონდა.

— რა ნ-დლიანი, ვირუსი? — ჩაეკითხა ნუკი.

— არა, რა ვირუსი. ვილოთავე და „პახმელისა“ ვეომებოდი.

— ააა! თურმე რაში ყოფილა საქმე. მე კი მეგონა, აღარ გჭირდებოდი.

— გაგიჟდი? ეგ რამ გაფიქრებინა?

— სხვა რა უნდა მეფიქრა, რომ ცოცხლებში აღარ ენერე? არც ეგ გამომირიცხავს, რომ იცოდე.

— სიკვდილს ჯერ არ ვაპირებ, სიხარულო. შენ როგორ ხარ, შენი ამბები მითხარი.

— როგორც დამტოვე, — ნუკის უფრო სევდიანი გაუხდა ტონი.

— ეგ როგორ გავიგო?

— პირდაპირ.

— რატომ გაქვს ასეთი ხმა?

— შენი აზრით, უკეთესი რატომ უნდა მქონდეს?

— ნუჟუ, ნუ მპბრაზებ! აქ სათამაშოდ არ ვარ ჩამოსული...

— ვიცი, სათამაშოდ არა, სალოთაოდ ხარ ჩასული, — ბრზი გაურია ხმაში გოგონამ.

— ეგეც საქმესთან იყო დაკავშირებული, თორემ კი არ მსიამოვნებს დალევვა. გგონია, მაგინყდები? არც იფიქრო. რადგან ერთხელ გიპოვე, არასდროს დაგკარგავ. შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ, ნუჟუ. ოლონდ ეგ კია. შენ ისეთი ფაქიზი ხარ, ისეთი მგრძობიარე, შენთან ურთიერთობას დიდი სული სჭირდება. მე კი, არა მგონია, მაგდენი გავეაჩო.

— შენ გული დამახმარე და დანარჩენს მე მივხედავ, ჩემზე იყოს, გიიი!

— ლამის იყვირა გოგონამ. — ლამეები არ მძინავს, სიხ...

ნაადრევი ენკელაზი



სკვება კვარანსელია

ნაწარმოებზე თქვენი შეხედულება შეგიძლიათ გაგიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

— რატომ, რატომ? რამე სერიოზული შეგემთხვა?

— რაღა რატომ, შენ მათენებინებ... გამაგიჟე... არასდროს დამავინყდებ, როგორ დამემშვიდობე. ასეთი სითბო არასდროს არც ერთი ქალისგან არ მიგრძნია, — დახშული ხმით ლაპარაკობდა გია, ნანყვეტ-ნანყვეტ, თითქოს სუნთქვა უჭირსო, — შენაირი გოგოს სიყვარულს დამსახურება უნდა, სული უნდა...

— დაიმსახურე მერე, ვინ გიშლის? სული არ გაკვია, ვგრძნობ...

— ხანდახან მეშინია, იმედი არ გავიცრუო... მზად ვარ, სიხარულო... და არა ნიღბით და თამაშით, არამედ იმით, რასაც წარმოვადგენ რეალობაში. მალე ჩამოვალ და ერთი მაგრად უნდა ჩაგეხუტო. გავიპაროთ მე და შენ ერთი ლამით სადმე, ხომ შეძლებ?

ნუკის ლამის თვალთ დაუბნელდა. სიხარულისგან (და ალტყინებისგანაც) ათრთოლდა.

— კი, შემიძლია, მაგრამ როდის იქნება ეგ შენი „მალე“?

— მალე, ძალიან მალე. 2-3 კვირაში. ახლა უფრო გამიმძაფრდა შენი მონატრება. ყოველთვის ვგრძნობდი, განსხვავებული რომ იყავი, მაგრამ მიჭირდა გამოხატვა. მერწმუნე, სიტყვებით ძნელია ამის გადმოცემა... როგორ მენატრები, რომ იცოდე.

— მე უფრო მენატრები.

— ნუ მევაჭრები, მაინც ვერ მაჯობებ.

— გაჯობებ. შენ არ იცი, რამდენს იწონის ჩემი მონატრება.

— აბა, რამდენს?

— მთელ დღეს და მთელ ღამეს. სულ შენზე ვფიქრობ, როცა მძინავს და როცა არ მძინავს. თენდება თუ ბინდება, ვტირი თუ ვიცინი...

— ახლა მე მკითხე? აქამდე ხომ ვფიქრობდი და ვფიქრობდი, ფანტაზიებს ვალამაზებდი, შენთან შესხვედრებს ვგეგმავდი. ახლა კი, რაც შენს სულში ჩავიხედე, საკუთარ თავს აღარ ვეკუთვნი. სულ ავირიე.

— როგორ აირიე? — სუნთქვაშეკრული ნუკი საშველს არ აძლევდა მამაკაცს, უნდოდა, გიას სიყვარული აეხსნა მისთვის, ერთი „მე შენ მიყვარხარ“ მოესმინა, მხოლოდ ერთი... ერთი მაინც...

— თავდაყირა დადგა ყველაფერი.

— ეგ როგორ გავიგო? — კიდევ უფრო ჩაეძია.

— რა თქმა უნდა, კარგი გავებით, — ის კი პირდაპირ პასუხს თავს არიდებდა.

— ანუ ერთი ღამის ქალად არ მოვიზარები?

— გაგიჟდი? ეგ აზრები მოიშორე თავიდან, იცოდე! — აღშფოთდა გია.

— და არც საკოლექციო ეგზემპლარად მთვლი?

— მეორედ არ გამაგონო ასეთი სიტყვები. გესმის? ცუდზე არაფერზე იფიქრო. ჩამოვალ და დაგიმტკიცებ, რომ ვიგინდარა არ ვარ.

— ეგ რომელ საუკუნეში იქნება?

— მალე, სიხარულო, გპირდები. ჩემზე მეტად შენ არ გენატრები.

— რა იცი, როგორ მენატრები?

— მე ის ვიცი, როგორ მენატრები. სულის ტკივილადმე... კბილის ტკივილი გამოგიცდია? აი, ეგრე!

— გასაგებია... მუჟა.

— ერთი სული მაქვს, როდის მოკალათდები ჩემს მკლავებში და როდის იდიასახლისებ ჩემს მკერდზე. აცივდა მან?

— ჰო, აცივდა ნელ-ნელა. მეც მცივა უკვე, ძალიან მცივანა ვარ.



— ჩამოვალ და გაგათბობ, ჩემო ლამაზცხვირპირიანო, გულში ჩაგიხუტებ, გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე.

— კარგი, ნულარ იხარჯები ახლა. გვიან დაგიმესიჯებ.

— ჭკვიანად იყავი, იცოდე... და არაფერზე იდარდო. შენთან ვარ სულ და არ დაგავიწყდეს, რომ ძალიან, ძალიან მჭირდები.

— მეც მჭირდები, გია... მალე ჩამოდი, გთხოვ... ვერ ვიტან ლოდინს.

— მალე ჩამოვალ, ნუუუ, მალე. გაკოცე.

ის იყო, ნუკიმ მობილური გათიშა, რომ მისკენ მომავალი ზურა შენიშნა. მამაკაცი გამომცდელი (უფრო გამჭოლი) მზერით მისჩერებოდა. გოგონას ალმურმა გადაჰკრა სახეზე, მის გამოჩენას აშკარად არ ელოდა ამ დროს.

— გამარჯობა! — ცივად მიესალმა მამაკაცი და უტიფრად (იქნებ ხარბად?) შეათვალერა გოგონა, — თათული აქ არის?

— კი, აქ არის... გაგიმარჯოს, — თვალედი დახარა შემკრთალმა.

— როგორ მიდის საქმეები? — გულგრილად იკითხა.

— არ მკითხო... იმდენი შეკვეთა გვაქვს, საქმეებს ვეღარ ავუდივართ, — ცოტა გამხნევდა ნუკი, რადგან მამაკაცმა სხვა რამე არ ჰკითხა.

— მერე კარგია ეგ. ადექით და აიყვანეთ კიდევ ერთი მკერავი. რას იტყვი? — ზურა წინ მიდიოდა, ნუკი უკან მისდევდა.

— ვაი! ჩემი ზურიკოც მოსულაა! — თვალედი გაუბრწყინდა თათულის მამაკაცის დანახვაზე, ზეზე წამოიჭრა და ყელზე ჩამოევიდა სტუმარს.

ნუკიმ გაოცებისგან პირი დაალო. ზურამ ოდნავ ჩაილიმა და სანამ თათული კოცნით მის ყელ-კისერს „აპურებდა“, ირიბად გააპარა მზერა იქვე (მორიახლოს) გახევებული ნუკისკენ.

გოგონა უარესად აილენა. იმწუთას რალაც საშინელება (კრუნჩხვის-მაგვარი) დაემართა. თავდაც ვერ ხვდებოდა, რა ემართებოდა, მაგრამ ერთობ არასასიამოვნო სცენას რომ შესცქეროდა, ამაში ეჭვი არ ეპარებოდა. რა იყო ეს? ეგოიზმი? შური? მესაკუთრული შეგრძნება?

— რა ხართ ეს ქალები, — გადაიხარხარა ზურამ, როცა თათული მის მკერდს მოსწყდა, — როცა გჭირდებათ კაცები, თაფლად გადაიქცევი.

— რატომ, შე ოხერო, რატომ? — იუკადრისა თათულიმ, — როდის იყო, მე შენ სხვანაირად გხვდებოდი?

— ახლა ნამდვილად განსაკუთრებული შეხვედრა გამოგივიდა და რა ვიცი, — მამაკაცმა ნუკის თვალი ჩაუკრა.

— იმიტომ, რომ მთელი კვირაა, არ გამოჩენილხარ. მომენატრე.

— კი არ მოგენატრე, მძლოლი დაგჭირდა და დამიბარე. სულ ეს იყო, თავს ნუ იმართლებ, ქალბატონო, — გაიხუმრა ზურამ, სკამზე ჩამოჯდა და მიიხედ-მოიხედა, — მდიდრდებით, ესე იგი, არა? ყავას ვერ დამალავინებთ? ჯერ მაინც ადრეა, ყველაზე პირველები ჩვენ ხომ არ მივალთ, — თათულის გახედა.

— ახლავე, — ჩაიბურტყუნა ნუკიმ, ჯერ კიდევ ვერ გამოსულიყო წინანდელი ეიფორიისგან (თუ თავზარდაცემისგან), ფინჯნების გადმოლაგებას შეუდგა და საჭიროზე მეტად ააჩხაკუნა „ჯამ-ჭურჭელი“.

გოგონა მექანიკურად მოქმედებდა. იმის მაგივრად, რომ გიასთან საუბრის მერე ფრენა-ფრენით ევლო, ფრთამოტეხილი ქათამივით დაფორთხავდა თითქოს.

ყავა ისე დალიეს, ნუკის ხმა არ გაუღია. თათულის კი ენა არ გაუჩერებია, თან ლაპარაკობდა, თან ტკარცალებდა თავისი გემრიელი სიცილით. გახარებული იყო, ზურასთან ერთად საქეიფოდ რომ მიდიოდა.

— ნავედით? — წამოდგა ბოლოს ზურა.

— ნავედით, ნავედით. ნუკი, მე დღეს ვეღარ მოვბრუნდები, პატარავ, დაბადების დღეზე მივდივართ და ალბათ გვიანობამდე შევრჩებით. აბა, შენ იცი, ქალიც შენ ხარ ახლა ოჯახში და კაციც. ეს შარვალი დამთავრებულია, ცოტა უთო გაუსვი და ის ქალბატონი რომ მობრძანდება, გაატანე. 40 ლარი უნდა დაგიტოვოს, იცოდე!

— ვიცი, — ძლივს გასაგონად უპასუხა გოგონამ და ფინჯნების რეცხვას თავდალუნული შეუდგა.

შუალამე გადასული იყო, როცა ზურა და თათული რესტორნიდან გამოვიდნენ. სუსხიანი ამინდი იდგა, ცა საავდრო ღრუბლებით დაფარულიყო.

— მე დავჯდები საჭესთან, — სტაჟიანი ცოლივით გამოუვიდა ქალს. ზურას გაეცინა. არაფერი უთქვამს, მორჩილად გაულო ქალს მძლოლის კაბინა და რევერანსით ანიშნა, დაბრძანდითო, თავად კი მის გვერდით

მოკალათდა და როგორც კი თათულიმ მანქანა დაქოქა, ფრთხილად შეახო მხარზე ხელი.

— გიხდება საჭესთან ჯდომა, როგორც ყველა ქალს, — ქათინაური ესროლა.


— ყველას არა, მე მიხდება, — კეკლუცად შელიმა თათულიმ და დაეჯღანა.

კორპუსს მალე მიუახლოვდნენ. — აი, აქ შეაყენე, ეს ჩემი ადგილია, — საჩვენებელი თითი ანიშნა მამაკაცმა.

თათულიმ ოსტატურად შეაყენა მანქანა მინიმუმბულ ადგილზე.

— ყოჩაღ, „ნამდვილი ადსკი ვადიტელი“ ხარ. აფსუსია, შენ ქალი იყო, — შეაქო ზურამ და მინაზე ფეხი დადგა თუ არა, წაბარბაცდა.

თათული მსწრაფლ მასთან გაჩნდა, მხარში შეუდგა და გვარიანად შემ-



თვრალ მამაკაცს სადარბაზოსკენ გაუძღვა.

ხმას არ იღებდნენ. როცა ზურამ კარს გასაღები მოარგო, თითქოს გამოფხიზლდა. ერთხანს გარინდებული და თან კოპებშეყრილი იდგა, მერე კარი შეალო, შუქი აანთო და განზე გადგა, ამით მიანიშნა ქალს, ჩემთან გეპატიუებიო.



— არა, ჩემო კარგო, მე მშვენივრად მესმის, რომ რწმენას მთების გადადგმა შეუძლია, მაგრამ ამით იგი ვერაფერს შეცვლის, გარდა იმისა, რომ მთებს დაძრავს.

— იქნებ ცდები და შენ რომ გგონია, იმაზე სულაც არ ვფიქრობ? იქნებ შენ მოგიაზრებ იმ ქალად, ვისაც ჩემი სიმარტოვის ამოვსება შეუძლია? — მამაკაცი იბრძოდა, იქნებ როგორმე გადაერჩინა თავისი საიდუმლო გამჟღავნებას და ამწუთას ყველაფერზე მიდიოდა, ოღონდ კი ქალის ეჭვები გაეფანტა.

— მე-ე? ჰმ... გგონია, ასეთი მიამიტი ვარ? რა მნიშვნელობა აქვს, რას იტყვი... მთავარია, შენი თვალები რას ამბობენ... ჩაიხედე სარკეში და თავად მიხვდები, ვის დააკისრე ეს მისია...

— რომელი მისია? არ მესმის, რისი თქმა გინდა...

— ქალის მისია — ბოლოს და ბოლოს, რა აკისრია მას? დახმაროს მამაკაცს ცხოვრებაში. შენ გაურბი, სიმართლეს თვალებში შეხედო... გაურბი საკუთარ გრძობებზე ჩემთან ლაპარაკს, რათა გული არ მატყინო. იმას კი ვერ ხვდები, რასაც ახლა ამბობ, ეს უფრო რომ მტკენს გულს... ნუ ნერვიულობ. მე არ ვარ ის ქალი, ვისაც შენი დახმარება შეუძლია. მე არა მაქვს ამის მოწოდება. მე აქეთ მჭირდება დახმარება...

— და მიუხედავად ამისა, მაინც აქ ხარ, ჩემთან და შენ სცადე ეს...

— რა იცი, იქნებ მეც ვცდილობ, დავივიწყო?

— რა?

— იმედაცრუება, განზილება, უარყოფა... სწორედ ისეთებისგან, როგორიც შენ ხარ.


— შენ არ იცი, მე როგორი ვარ. — თქვენ, მამაკაცები, ყველანი ერთნაირები ხართ და არ შეგედავო ამაში. ვხვდები, რომ ნუკისთან ლოგინი არ გქონია, შიშველ მხერაზე გეტყობა ეგ, მშიერზე, მოუსვენარზე... ეგ რომ მომხდარიყო, ისიც ისეთივე სულერთი გახდებოდა შენთვის, როგორიც მე ვარ ამ წუთებში... სინდისის ქენჯნამ შეგანუხა? მერედა, რაში მჭირდება ეგ ქენჯნაატეხილი სინდისი მე? შევბას მომგვრის? გამაბედნიერებს? გამახალისებს?

— შენთვის არაფერი დამიძალდება, თათული... ეს თავადაც კარგად იცი.

— ჰო, რა თქმა უნდა... შენ რალაც

ურთიერთდახმარებაზე ჩურჩულებდი წელან, ჩემო კარგო. გავიგე, რისი თქმაც გასურდა და მივიღე შენი წინადადება. ჩვენ ერთმანეთთან „არ შეიძლება“ გვაკავშირებს და ამიტომაც ვერაფერს შევცვლით. უფრო მეტიც, წარმომიდგენია, როგორ გეზიზღები ახლა, როცა ვნებები დაიკმაყოფილე.

— ცდები. ამაში არ ხარ მართალი.



პირიქით, შენ თვითონაც არ იცი, რამხელა რალაც გააკეთე ჩემთვის. არ ვიცი, რა მეშველებოდა უშენოდ უკანასკნელი რამდენიმე საათის განმავლობაში. ისე ღრმად არ მიცნობ, რომ გაიგო, ვინ ვარ, რას ვფიქრობ, როგორ ვფიქრობ, რა ხდება ჩემს სულში... იქნებ...

— არანაირი სურვილი არ მაქვს, ასეთ რამეებში ღრმად გავერკვე. შენი ფიქრები შენ გეკუთვნის და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს იგი. შენთვის არაფერი მიკითხავს და არც გკითხავ, ჩემთვის დიდი ხანია, ცხოვრება დამთავრდა, სხვისაში კი არ ვიქექები.

— ჩემთვის სულერთია, მკითხავ თუ არა. სიცოცხლის დასასრული მხოლოდ შენთვის არ არის. ის ყველა ჩვენგანისთვისაა. სხვა რამ მინდოდა მეთქვა.

— არ გინდა... ისედაც ნათელია ყველაფერი. ხანდახან მგონია, ჩემში ალქაჯმა დაისადგურა. არაფერს ვაკეთებ იმისთვის, რომ შევცვალო ჩემი მომავალი. ალბათ ჯერ კიდევ არ მსურს, ბედნიერი ვიყო. რა თქმა უნდა, საშინლად დავილაღე, ნერვებმა მიმტყუნა, მოთმინების ფიალაც ამევსო, და კიდევ... შენ მამუხრუჭები ამდენ ხანს. უკვე აღარ ვიცი, რა არის ქალურობა. იქნებ ეს ერთ-ერთი საშუალებაა, ვიყო მამაკაცი. შეიძლება ამიტომაც გავხდი ასეთი უხეში ბოლო წლებში... კაცის როლიც მე ვიტვირთე...

— მაპატიე, თუკი გული გატყინე.

— ნუ იდანაშაულებ თავს, არ გინდა, ზურა. ჩემი სურვილი რომ არ ყოფილიყო, ეს არ მოხდებოდა. მეც მინდოდა ეს. მინდოდა, ერთხელ მაინც გამომიცადა ის, რაზეც ამდენ ხანს მხოლოდ ვოცნებობდი. ჩავთვლი, რომ

ქუჩაში ვიპოვე გონწასული მამაკაცი, დავეხმარე მას დაბინავებაში, შემდეგ კი მივატოვე. მეც შემიძლია შემთხვევითობით ვიცხოვრო და დინების მიმართულებით ვიცურო. სწორედ ამიტომ დავეყვი შენს სურვილს. რატომ გიძინელება აღიარო, რომ წუთიერებამ ჩავგვითრია მხოლოდ? კარგია, რომ სწორედ ახლა მოხდა, ამ დროს, ამ ადგილას... მაშინ, როცა შენ ყველაზე ძალიან გჭირდებოდა ქალი... ვფიქრობ, დიდი ხანია, ასეთი ვნებანი არ ყოფილხარ... მაპატიე ასეთი სითამამე, მაგრამ სიმართლე სიმართლეა და მას თვალი უნდა გაუფსნოროთ. რა საჭიროა ერთმანეთს დავეუშალოთ ის, რასაც ორივე თვალნათლივ ვხედავთ.

— შენი აზრით, მას... — ზურას აღარ სიამოვნებდა თათულის ტკივილიანი მონოლოგი (თუ აღსარება) და ნუკის გადასწვდა, იქნებ მისგან ახალი გაეგო რამე.

— სამწუხაროდ, ვერაფრით განუგებებ. მას სხვა უყვარს... არ ვიცი, იქნებ ვცდები და არც უყვარს... იქნებ არც იცის, რა არის სიყვარული. რეალობა ერთია — მას მამაკაცი სჭირდება, ალერსს მოწყურებული მდედრია, რომელსაც ხორციელი ვნება დიდი ხანია, არ განუცდია. ამასთან, გამოუცდელია, ამიტომაც ვინც „უკეთესად“, უფრო „ნიჭიერად“ მოსთხოვა, იმისკენ გაუწია გულმაც და სხეულმაც... სცადე მაინც, იქნებ ჯერ კიდევ არ არის ძალიან გვიან?

— მას ვაკონტროლებ. ყოველ ფენის ნაბიჯზე. ის... ის არავის ხვდება.

— იქნებ ის ვილაც ამჟამად თბილისში არ იმყოფება? მის ტელეფონსაც აკონტროლებ? — თვალები მოჭუტა ქალმა და ურწმუნო მერით ახედა ფეხზე მდგარ მამაკაცს.

ზურას კვლავ გაუფითრდა სახე. ეს სწორედ ის იყო, რაზეც მას არ უფიქრია...

— ჰოდა, იფიქრე... ამაზეც იფიქრე ხანდახან... — მიუხედა ქალი, — მაპატიე, ნავალ ახლა და შენთან ერთი თხოვნა მექნება... — თათული წამით შეეყოყმანდა, ფეხზე ამდგარმა კაბა თეძოებზე შეისწორა, მერე თავი ასწია და თვალი თვალში გაუყარა მამაკაცს, — არასდროს, არასდროს ახსენო ეს ლამე... არც ჩემთან და არც სხვა ვინმესთან... ეს ჩვენი ლამე იყო და მინდა, ჩვენთან ერთად მოკვდეს. მიპრდები?

ზურამ ჩამქრალი თვალები მოაცილა ქალს, თავი ულონოდ ჩაკიდა და ოდნავ გასაგონად ჩაილულულა.

— გაპრდები...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნიღლები

ნდობის მსხვერპლი

მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ჩემო გემრიელო და თბილო მკითხველო. დიდი მადლობა მათ, ვისაც არასოდეს ვავიწყდები და დღესასწაულებს მილოცავს. დღეს შესავალში 2 თემა მაქვს „დღის წესრიგში“. თავს აღარ შეგანწყნო და პირდაპირ საქმეზე გადავალ: წინა ნომერში გამოქვეყნებული, პარიჟანკას მესიჯის განხილვით დავიწყებ, სადაც ერთ-ერთ მგზავნელს საყვედურობდა, ფინტიკოზას ნიკით ნუ ამესიჯებო. პარის ვეთანხმები მესიჯის იმ ნაწილში, სადაც ამბობს, რომ თითოეული მგზავნელი განუმეორებელია. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ ძველი მგზავნელი აღარ ამესიჯებს, მისი ნიკი ხელშეუხებლად უნდა დარჩეს.

ჯერ ერთი, იქნებ ახალი მგზავნელი სულაც ახლა შემოგვიერთდა და არც კი იცის, რომ მის მიერ შერჩეული ნიკით წინათ სხვა ამესიჯებდა (არცაა ვალდებული, ეს იცოდეს). მეორეც, მეც ვიცი და ალბათ თქვენც, რომ ხშირად ბავშვებს სასახელო წინაპრების სახელებს არქმევენ და ამით არაფერი შავდება. არც იმით დაშავდება რამე, თუ ახალი მგზავნელი უკვე დავიწყებას მიცემულ ნიკს გამოიყენებს და ამით ძველი მგზავნელი „გააცოცხლებს“. ბუნებრივია, ეს ჩემი აზრია და თავს არ გახვევთ, მაგრამ ყოველთვის ზომიერმა პარიმ შეცდომა დაუშვა, როცა თქვა, რომ როგორც კი მიხვდა, ძველი ნიკით ახალი მგზავნელი ამესიჯებდა, მისი გამოგზავნილი ამბის კითხვა შეწყვიტა. მისი ნებაა, როგორ მოიქცევა, მაგრამ რა დააშავა ახალმა ფინტიკოზამ? იქნებ მართლაც ნიჭიერი გოგონაა? რატომ უნდა ვანწყინინოთ? მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ „გზავნილებმა“ რამდენიმე თაობა უკვე გაზარდა... მე ყველა

მასსოვს და ყველა მიყვარს, თითოეული მგზავნელი თუ უბრალოდ, მკითხველი ძვირფასია ჩემთვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახლებს კარი არ გაუღოთ და გამოჩენისთანავე დავეკორტნოთ და დავაფრთხოთ. ეს მოხუცსაც ეხება, უფრო სწორად, ადამიანს, რომელმაც ბოლო ნომერში მოხუცის ნიკით დაამესიჯა. სევდიანმა ქალმა მისი ნომერი მთხოვა და მივეცი, რადგან მეც მეგონა, რომ ის „ძველი მოხუცი“ იყო და ისიც ვიცი, რომ მას და სევდიან ქალს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. თურმე, ნუ იტყვით და, ეს სულ სხვა მოხუცია. სქესიც კი განსხვავებული აქვს — ქალბატონი გახლავთ. სალამოს კი დამიმესიჯა და მთხოვა, მისი ნომერი აღარავისთვის მიმეცა. მაპატიოს მოხუცმა, რადგან ჩემი შეცდომა იყო — არ უნდა მიმეცა მისი ნომერი სევდიანი ქალისთვის და მიმეჩინა, რომ არც „გზავნილებიდან“ უნდა წავიდე. აქ არავის აქვს უფლება (მეც კი), რომ

ვინმეს ან მოსვლა უბრძანოს, ან წასვლა. ასე რომ, ნუ ჰკბენთ ერთმანეთს და ნუ აგდებთ უხერხულ მდგომარეობაში. ახლა დღის წესრიგის მეორე საკითხი: წინა „გზავნილების“ შესავალში ვთქვი, რომ ზოგიერთი მგზავნელი საკუთარ თავს უმესიჯებს-მეთქი, თუმცა არ დავასახელებ. ზოგმა დამირეკა და მკითხა, ვის გულისხმობდიო, ზოგმა პირდაპირ მითხრა, ეგ რუისპირი იქნებო. მინდა დაგამშვიდოთ, რუისპირზე ეჭვი ტყუილად გაქვთ, მაგრამ ჩემგან ვერც იმას გაიგებთ, ვინ გეთამაშებათ თქვენც და მეც. თვითონ მშვენივრად მიხვდა, ვისზეც ვთქვი და ამ თემაზე დამიმესიჯა კიდევ (მესიჯს „მობილი-ზაციაში“ წაიკითხავთ). ასე რომ, დაოკდით, დამშვიდდით და მხოლოდ კარგზე იფიქრეთ (გაზაფხულის ბრალია ეს ყველაფერი, მე მგონი). ახლა კი მართალია, სიტყვა გამიგრძელდა, მაგრამ იმედია, არ დაილაღეთ და თქვენ მიერ გამოგზავნილ, საინტერესო მესიჯებსაც წაიკითხავთ.

უგუნური კავალარი

„სალამი, ჩემო საყვარელო მარი. თუ შენს ყურადღებას მიიქცევს ჩემი გზავნილი, მხოლოდ მაშინ დამიბეჭდე. პირველად გწერ აქ და ჩავიფიქრებ, რა იცი, იქნებ ამიხდეს. ახლა თემაზე — ჩემი მეგობრის ამბავს მოგიყვებით, იმედია, არ გამოზრახდება, მაგრამ სახელებს მაინც შევცვლი. ანა ერთი უბრალო, ხელოვნებასა და ბუნებაზე შეყვარებული ადამიანია, ხატავს, წერს და დიზაინ-

ერობს კიდევ... სამხატვრო აკადემიის ეზოში იჯდა, შემოდგომა იყო, მთელი თავისი სილამაზით.
— უკაცრავად, თქვენ აქ სწავლობთ? — ჩაესმა ხმა.
მოტრიალდა და ახალგაზრდა ბიჭი დაინახა.
— გიორგი ნაცვლიშვილს ვეძებ, აქ სწავლობს, იცნობთ? — გაუმეორა ბიჭმა.

დაიბნა ანა. ამ დროს გიოც გამოვიდა.
— ანა, გაიცანი, ჩემი მეგობარი საბა. — და ამ დღიდან დაიწყო შეხვედრები, პირველი პაემანი, პირველი კოცნა... თავბრუსხვევით რომანი თვეს გრძელდებოდა, სულ ერთად იყვნენ და ჩვენც ვხარობდით ანას ბედნიერებით. მერე საბა ერთი თვის განმავლობაში დაიკარგა. ანა თვის დაემსგავსა, ვერსად მიაგნო მის კვალს. ერთ დილას დაურეკა საბამ, სასწრაფოდ მინდა შენი ნახვაო. მეც



გამიყოლა ანამ და შევხვდით. ერთ ადგილას მინდა წაგიყვანოთო, გვითხრა საბამ. ავწერვიულდი რატომღაც. სამშობიარო სახლს მივუახლოვდით, გააჩერა მანქანა და გადმოვედით გაოგნებულები. თურმე, მთავარი შოკი წინ გველოდა. დამელოდეთო და გაუჩინარდა. 5 წუთში მოვიდა, შამპანურებით ხელში, თან უცხო ბიჭიც ახლდა. გაიცანით, ჩემი ცოლისძმა — ბესოო. მუხლებში ჩავიკეცე, გადავხედე ანას, მშვიდად იდგა, სახე გაქვავებული. დავლიოთ გოგონებო, დღეს მამა გავხდი, მომილოცეთო, — გვითხრა საბამ. არაფერი შევიმჩინეთ და ვადღეგრძელეთ პატარა ელენე. უხმოდ მივედით სახლამდე, გონზე კიდევ დიდხანს ვერ მოვიდოდით ალბათ, იმ საღამოს საბას რომ არ დაერევა ანასთვის. შეხვდნენ კაფეში. ცოლიც მიყვარს და შენც, არ მინდა დაგკარგო და იქნებ ისევ განვავარძოთ შეხვედრებით, უნამუსოდ უთხრა. სახეში ხელი რომ მოხვდა, უფრო გადაირია საბა, უკან რატომ იხევ, ვიცე, ქალიშვილი ხარ,



მაგრამ რა პრობლემაა, მაგის ფულსაც მოგცემ, რომ მერე გათხოვდე, სარფიანადო. ეს ბოლო წვეთი იყო, ანამ მაგიდას ხელი ჰკრა და ატირებული გამოვარდა. ჩემთან მოვიდა. როგორ მაკადრაო, ტიროდა. არადა, მთელი არსებით უყვარდა საბა. დიდხანს ეხვეწა საბა, მიყვარხარ და დათანხმდი ჩემს საყვარლობასო... ახლაც დეპრესიაშია ჩემი ანა, იმ

არადაამიანის გამო, რომელმაც ცხოვრება დაუნგრია, მისი ნდობით ისარგებლა და მახეში გააბა. სევდიანი ისტორიაა... მიყვარხართ, მგზავნელებოო! P.S. ბზობას გილოცავთ ყველას. უფალი გფარავდეთ. ცოტა აბდაუბდა ნაწერი კი გამომივიდა, მაგრამ შეპატიება, ვწერვიულობ და მახატიეთ. თქვენელი 23“.

მოლაღატე მეგობარი

„რატომღაც, ფოთოლცვენის დროს, ადამიანებში სევდა ისადგურებს, მაგრამ ეს შეყვარებულებს არ ეხება. შარშან, შემოდგომამზე, ძალიან ბედნიერები იყვნენ ანი და დათო. მათთვის არ არსებობდა არანაირი პრობლემა. ერთად ბედნიერები იყვნენ და მთავარი ეს იყო, მაგრამ ყველაფერი ისე არ მოხდა, როგორც ოცნებობდნენ. ანი დათოს ერთ-ერთ მეგობარსაც მოსწონდა. გოგონას ხელში ჩასაგდებად ბევრი ინვალა, თუმცა კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. ბოლმა კლავდა, როცა მათ ერთად ხედავდა. ერთ დღესაც, გამწარებულმა, დათოს საშინელი ტყუილი უთხრა, ვითომ მისი შეყვარებული ქალიშვილი არ იყო. გაცოფდა დათო და მიუხედავად იმისა, ანისგან ბევრჯერ ჰქონდა გაგონილი, რომ ის ერთადერთი იყო მისთვის, მეგობარს სიტყვაზე ენდო და დაუფერა. მეორე დღესვე, საღამო ხანს, დათომ ანის შეხვედრა სთხოვა. ბრახის დაფარვა ძალიან უჭირდა. დათომ სთხოვა, მანქანაში ჩამჯდარიყო. ანი ერიდებოდა მის მანქანაში ჩაჯდომას, მაგრამ იმდენად ენდობოდა, არ შესწინააღმდეგებია. დათო ხმას არ იღებდა, ანისაც მოლიმარი სახე შეეცვალა და შიში დაეტყუა. არ იცოდა, რა ეთქვა. ბოლოს კი ყველაფერი თვალის დახამსამებში მოხდა — ანიმ დათოს სახლში ამოყო თავი. არაფერი უთქვამს დათოს, პირდაპირ საქმეზე გადავიდა და ანის მოფერება დაუწყო. გოგო ხმას არ იღებდა, მაგრამ როცა სატრფოსგან ძალდატანება იგრძნო, ტირილი დაიწყო. შეყვარებული

ასეთი სასტიკი არასდროს ენახა. ბოლოს დათომ საზარელი ხმით უთხრა, თავისი საქციელის მიზეზი. ანიმ მეტყველების უნარი დაკარგა, ძლივს ლულულულებდა, რომ ტყუილი იყო, სთხოვდა, მისთვის დაეჯერებინა, მაგრამ დათომ ის ძალით დაიმორჩილა. გოგონა განადგურებული იყო, თვალზე ცრემლი არ შორდებოდა. დათო? დათო უარეს დღეში იყო, რადგან მეგობარს ენდო და საყვარელ ადამიანს — არა. ანი ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა. ეცოდებოდა საკუთარი თავი და უფრო მეტად, მშობლების რცხვენოდა. ის ღამე ერთ ჭერქვეშ გაატარეს, სხვადასხვა ოთახში. ანიმ მთელი ღამე ტირილში გაატარა, დათო კი ბედნიერი იყო, რომ საყვარელი ქალი გვერდით ჰყავდა. უნდოდა, ეს ანისთვისაც ეთქვა, მაგრამ რცხვენოდა თავისი საქციელის და ველარ გაბედა. გათენებას დაელოდა. მთელი ღამის უძინარა, ანის დილით ღრმად ჩაეძინა. ამასობაში დათომ მშობლებს შეატყობინა, ცოლი მოვიყვანეო. დიდი მზადება და სისხრული იყო დათოს სახლში, პატარძალს კი ეძინა. მალე გაუღვიძა ანის, შემინებული წამოვარდა, გადწყვეტილი ჰქონდა, ჩუმად გაპარულიყო და დათო დაევიწყებინა, მაგრამ მისმა სასიხარულოდ, ასე არ მოხდა. დათომ პატარძალი ხელში აიტაცა და ცოლობა სთხოვა. ანის ვერაფერი გაეგო, მაგრამ გულმა უგრძნო, რომ ყველაფერი ცუდი დამთავრდა. დათოს მშობლებმაც კარგად მიიღეს ანი. მათ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა... მიუხედავად იმისა, რომ ის ღამე ორივესთვის საშინელი აღმოჩნდა, მთავარი ის იყო,

რომ ყველაფერი კარგად დამთავრდა. სიყვარულით, ლუნა“.

მოტყუებული

„სალომე 20 წლის იყო, როდესაც თავისზე 10 წლით უფროსი ლამა გაიცნო. მაშინვე უფროს ძმად მიიჩნია და გულუბრყვილოდ ენდო, როგორც მეგობარს. ერთმანეთს ხშირად კითხულობდნენ და ერთმანეთის თითქმის ყველა ნაბიჯი იცოდნენ. ლამას ცოლი არ ჰყავდა. სამაგიეროდ, მისი ძმა დაოჯახებული 15 წლის ასაკში. გადიოდა დრო, მათი მეგობრობა თანდათან უფრო მყარდებოდა მანამ, სანამ ერთხელაც არ შეწყდა ლამასგან ყოველგვარი კონტაქტი. შემფოთდა სალო და ნათესავებთან რამდენჯერმე მოიკითხა. ყველა ეუბნებოდა, რომ ქალაქიდან იყო გასული და არაფერი იცოდნენ მის შესახებ. გავიდა 1 კვირა და ახალგაზრდა ქალმა დაურეკა, ლამას მუღულე ვარო. გაუხარდა სალო და გაუკვირდა, ცოლი მოუყვანია და არ გამიზიარა, თავისი სიხარულით. თურმე ნუ იტყვით და, ლამას 14 წლის შვილი ჰყოლია და მალე მეორე შვილსაც ელოდნენ. — დაანებე ჩემს ქმარს თავი, თორემ ინანებო, — უთხრა ქალმა. სალოს გაუკვირდა, და-მმასავით ვართ, რას ვამაგებთო? ქალი შეუვალი იყო, ოჯახს არ დაგანგრევიანებ, თმას გაგაცლიო. ასე და ამგვარად დასრულდა მათი დიალოგი და ლამას და სალოს ვითომ იდეალურ, „დამიურ“ ურთიერთობასაც დიიდი ნერტილი დაესვა. თურმე, თავად ლამას შეუქმნია ნაადრე-



ვად ოჯახი. სახლის მისამართიც გამოგონილი ჰქონია და ვინ იცის, რამდენი სულელი გოგონა გაბზეულა მის მახეში და ეს ყველაფერი მისი ცოლის ყურამდეც მისულა. ალბათ მიხვდა ლამაზი გოგონას სუფთა და გულუბრყვილო ხასიათს და აღარ ისურვა, შორს შეეტოვა (თურმე ასეც ხდება). სალომეს კი დიდი დრო დასჭირდა, გონს მოსასველად და დიდი ხნის მანძილზე ადამიანებისადმი ნდობა ჰქონდა დაკარგული. ის ხომ ასე უმიზეზოდ და უაზროდ მოატყუეს და გაუტყრეს იმედები. მიყვარხართ გულში და გეფერებით. თქვენი ტირიფი!73“.

ტრაგედია

„მიღენა ბავშვობიდან საოცრად ლამაზი იყო. ქუჩაში რომ გაივლიდა, თან მიჰქონდა ალტაცებული მამაკაცების მზერა. თაყვანისმცემლებიც ბუნებრივით ეხვეოდნენ გარს. ვერაფერს უზერებდნენ ამ უკარება გოგოს, რომელიც სინამდვილეში ძალიან ნაზი და სიფრიფანა იყო. ჩვეულებრივი, წვიმიანი დღე იყო, როცა გიო გაიცნო. ბიჭს დანახვისთანავე მოეწონა. გიოს ძმაკაცი ახლდა, რომელიც მიღეს კლასელი იყო. ეს იყო ერთი ნახვით შეყვარება. გიო საოცარი მოთმინებითა და სიჯიუტით ცდილობდა მისი გულის მოგებას. იყო სერენადები, ფიერვერკები, ყვავილები, ლექსები, ცრემლები, უძილოდ გატარებული ღამეები, ჩხუბი მიღეს გამო. გიომ მიაღწია სანადვლეს, გოგოს თავი შეაყვარა. საოცრად უხდებოდნენ ერთმანეთს. გიოს დედა, ქ-ნ ეთერი სარძლოს ინუნებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მიღეს დედა რუსი ჰყავდა. მე მაგ რუსის ნაჯიშარს სახლში არ შემოვუშვებო, ამბობდა. მიუტანეს მიღეს ამბავი. ეთერმა იმდენი გააკეთა, დაამორა ერთმანეთს მიღე და გიო. ძალიან მძიმედ გადაიტანა გოგონამ გიოსთან განშორება. გაანადგურა ფიზიკურად და სულიერად. არც გიო იყო უკეთეს დღეში. ძალიან შეიცვალა. ნერვიულობის ნიადაგზე ნარკოტიკს მიეჩვია. ნამალზე დამოკიდებული გახდა. ქუჩაში შემთხვევით ვნახე და ძველი გიოსგან არაფერი დარჩენილიყო. ასე მეგონა, ჩემ წინ სულ სხვა ადამიანი იდგა. რამდენჯერ სცადა გიომ შერიგებოდა მიღეს; აუსხსნა რომ დედაშისის სიტყვები მისთვის არაფერს ნიშნავდა და ყველაფერის მიუხედავად, მაინც ერთად იქნებოდნენ, მაგრამ მიღე

კერკეტი კაკალი აღმოჩნდა, უკან არ იხევედა და არ აპირებდა გიოსთან შერიგებას. ბოლოს ერთმანეთს 28 მარტს შეხედნენ ქუჩაში. „შენ ბედისწერა გახდები ჩემი“. ეს იყო გიოს ბოლო სიტყვები. 4 აპრილს მიღეს დაუბრუნეს, გიო საავადმყოფოშია და შენი ნახვა სურსო. მე და მიღე ნავედით ერთად. გიო დაჭრილი იყო, ორგანიზმში კი ნარკოტიკი აღმოუჩინეს. მიღეს ხელეშში დალია სული. მისი არაადამიანური ბლავილი ყველას ესმოდა. ძლივს გამოგვლივდით გიოს უსიცოცხლო სხეული ხელებიდან. ძალიან მძიმედ გადაიტანა მისი სიკვდილი. იჯდა უაზრო მზერით და ერთ ნეკტილს მიმტერებოდა. გიოს გასვენებაში მაინც წავიდა. არ გვინდოდა მისი გაშვება. დედაშისმა მის ცხედართანაც არ მიუშვა, გაკიოდა, შენ მომიკალი შეილიო. ტირილით ჰყვებოდა, გიოს ცხედარს ვერ გამოვვმვიდობო. საოცარი მეტამორფოზა განიცადა მიღემ. იმდენად ცუდად იყო, ფსიქოლოგის ჩარევა გახდა საჭირო, მარტო ვერ ვტოვებდით. ამის მერე 1 წელი გავიდა და ცხოვრება ჩვეულ კალაპოტზე დაუბრუნდა. ახლა მიღე მოსკოვშია და ცდილობს, ახალ გარემოს შეეგუოს. იარები არ შუშდება, უბრალოდ, დრო აუყურებს. მიღე, გიო ხშირად გეუბნებოდა, შენი თვალებიდან მზე იცინისო. გთხოვ, ანი ხშირად გაიღიმე. მამატიე, გულს გტყენ, ამას რომ ვაქვყენებ, მაგრამ ეს გზავნილი მინდა გიოს დედამ წაიკითხოს და მიხედეს, რომ მისი შვილი მან მოკლა არა — შენ. რომ დაშორდით, მერე მიეჩვია გიო ნარკოტიკს. დღეს კი ის ცოცხალი იქნებოდა. მიზეზი კი ეთერი იყო. მამატიე, მიღე, უნდა მეთქვა. ანია“.

რა უნდოდათ ბებოსგან?

„მინდა მოგიყვებო ჩემი ბავშვობის ამბავი. ჩემს მეზობლებს ორი სახლი ჰქონდათ. ერთი გზის პირზე, მეორე — ტყის პირას. „ზევით“ და „ქვევით“ სახლები მორიგეობით იყვნენ ხოლმე. ერთხელ დედამ გაგვგზავნა „ზევით“ სახლში (ქათმები უნდა გვეყიდა მათგან), მე და ჩემი და. ბიძაშვილიც დაგვეგზავნა. „ქვევით“ გვითხრეს, „ზევით“ კახა იქნება და ის დაგიჭერთ ქათმებსო. მივდივართ და გზაში გოგონებს ვუბნებთ, მოდი, კახა მოვატყუოთ, ვითომ ანიჩა ბებია დაიღუპა და სასწრაფოდ, „ქვევით“ ემასთან-შეთქი. იდგა ორივეს მოეწონა. ამასობაში ეზო-

ში შევედით და დავიძახეთ. კახამ გამოიხედა. ქვედა უბნის ბავშვების დანახვა ისე გაუხარდა, როგორც უკაცრიელ კუნძულზე მყოფს მამველების დანახვა გაუხარდება. მივეჭერთ და ვაცნობთ, რომ ბებიაშისი დაიღუპა, სახლში არავინაა. ჩქარა წამოდი, ჩვენ მხოლოდ ეზოს კარი გავალეთ, მეტი არაფერი შეგვიძლია-თქო, ვუთხარით. თან მწუხარე სახეები მივიღეთ. დიდი პაუზის შემდეგ კახამ დაინცო როხროხი. სიცოცხლისგან დაბლა გორავდა. ჩვენ ერთმანეთს ვუყურებდით და გვიკვირდა, „რომერი“ რატომ ჩაგვივარდა. უცებ, მოსხიბა სიცილი, ბებიაჩემი აქ არისო, თქვა და ხელმეორედ გაგორდა ძირს. მე უცებ შევცალაქე გარეული და ვუბნებთ: ეგ ჩვენ მოვიგონეთ, სინამდვილეში კი მიშამ (მეზობლედ მცხოვრები, ქვრივი კაცია) ხელის სათხოვნელად გამოგვგზავნა, მოდი, რაც არის, არის, გავათხოვოთ ბებიაშენი-მეთქი. იმდენი ვილაქლავთ, სანამ ბებიაშისი არ გამოვიდა და გვითხრა: შვილებო, მე ვიცი, საცა გავთხოვდებით — და ხელი სასაფლაოსკენ გაიშვირა — იქ მელოდება ჩემი ქმარიო. შიანისტი“.

„უპატრონო“

„— ვინ ვარ მე? — ვკითხები საკუთარ თავს...“
— ადამიანი, — ვპასუხობ მევე...“

რამდენი ირონია, ამ პატარა, მ-ასოიან სიტყვაში... 8 ასო და მ-ჯერ დაუსრულებული პათოსი... ხშირად მიფიქრია, რა არის სრულყოფილება, სრულფასოვნება... მიოცნებია არა ფულზე, სიმდიდრესა და იახტაზე, არა! სრულყოფილებაზე! ახლა მივხვდი, იდეალური არ, ან ვერ იქნები ვერასდროს. ეს ახლა...

მამინე, როდესაც ჩემი ტოლი ბავშვები კარუსელზე ქანაობდნენ, თეთრ პერანგებში გამონწყობილ მშობლებთან ერთად, „თმაგადაპყვილები“, ქალაქის მთავარ მოედანზე ხელჩაკიდებულინი დადიოდნენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობდნენ, სადამოს რომელ რესტორანში ევახშმათ, მე დედას სურათს დაფურები და მხოლოდ ერთს ვნატრობდი: ის მენახა... ტკივილი დიდი იყო, მაგრამ ვგრძობდი, აქ, ბავშვთა სახლში, ბევრი ჩემნაირი იყო და მიხაროდა. აქ მაინც არ ვიყავი უულად...

დედაჩემი თბილისში, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ოჯახის შვილი იყო... საზოგადოება რთული, ზნეობრივი-მორალური, ცოცხალი სტრუქტურაა. საზოგადოებრივი აზრი მუდმივად იცვლება, რაღაცას კარგავს, რაღაც ახალს იძენს, იხვენება ან პირიქითო, — მიმეორებდა პატარაობისას და ამაცობდა: როდესაც მამამენს, სოფელში მცხოვრებ, უფულო კაცს გავეყვი ცოლად, სწორედ ზემოხსენებულ საზოგადოებრივ მორალს გამ-

ყურადღება! თუ გასურთ, თქვენი მესიჯი „გზაგანილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დააწინაურებოთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.



ოვითხარე საძირკველიო... სამწუხაროდ, საძირკვლის გამოთხრა ახალშექმნილი ოჯახისთვისაც არ გასჭირვებია... ფუფუნებაში გაზრდილმა ქალმა ვერ გაუძლო რაიონში არსებული ცხოვრების პირობებს, ვერ აუწყო ფეხი სოფლის მოძრავ რიტმს და რამდენიმე თვის ორსულმა, ნასვლის გადწყვეტილება მიიღო... ჩაალაგა ბარგი და წამოვიდა... სამუდამოდ დამაშორა მამას. არ დაინტერესებულა, არ დაფიქრებულა, მე რა მინდოდა, რამხელა ტკივილს, იმედგაცრუებას, ცრემლს მიქადა მისი უაზროდ გადადგმული ნაბიჯები მომავალში...

საზოგადოებამ, რომლის შესახებაც ზემოთ ვსაუბრობდი, „უპატრონოს“ იარაღი დაბადების, ქვეყანაზე მოვლენების პირველსავე წამს აშკარა... საკმაოდ მძიმე აღმოჩნდა ამ სტატუსით ცხოვრება... დროის გასვლისა და ტვინის ნაოჭების ამოქმედებისთანავე მიჩვიდი, რომ უპატრონო სულაც არ ვიყავი... გვაცნობიერე და გამიხარდა, რომ მე კი არ ვარ ობოლი, საზოგადოებას აქვს აზროვნებასთან დაკავშირებული პრობლემები, რის გამოც მე არ უნდა ვიგრძნო თავი არასრულფასოვანად... ის იყო, არასრულფასოვნების კომპლექსს ვლიერ რომ... დედამ ხელი ჩამკიდა და უპატრონო, მიტოვებულ ბავშვთა თავშესაფარში დამტოვა — უკრაინელმა მამაკაცმა, რომელთან ერთად ცხოვრების გადწყვეტილებაც დედამ მიიღო, ჩემზე უარი თქვა... დედასაც ათქმევინა უარი, საკუთარ, ერთადერთ შვილზე... აქედან დაიწყო ჩემი და „არარეალისტური“ სამყაროს 10-წლიანი, უანგარო და ერთგული მეგობრობის ისტორია... საკუთარი პლანეტა, ქვეყანა, ქალაქი და სახლი შექმენი, რომელშიც მხოლოდ მე, საქანელა და დედაჩემის ფოტო „ვიზინდრობდით“... არაკონტაქტურ, აგრესიულ ბავშვად ვიქცევი, რომელსაც ყველა და ყველაფერი აღიზიანებდა... საქანელა იყო ერთადერთი ადგილი, სადაც თავს შევიდად ვგრძნობდი... რაც უფრო ვზოროდებოდი ხმელეთს, რაც უფრო შორს გაქანდებოდა საქანელა და რაც უფრო დავმორღებოდი მინაზე არსებულ რეალობას, მით უფრო დიდი იყო სიხარულის განცდა ჩემთვის... ადრენალინი, თავისუფლებისა და ფრენის განცდა იყო ის ერთადერთი, რაც ჩემს ლიმილს ინვევდა...

— დედაშენს კიდევ ერთი ბავშვი, გოგონა შეეძინა, რომელსაც თათია დაარქვეს, — მითხრა ჩემს სანახავად მოსულმა ბებომ და მისი ფოტოსურათი მომიტანა... ჩემი და... და, რომელსაც ყველაფერი აქვს, მატერიალურიდან დაწყებული, დედის სითბოთი და აღურსით დამთავრებული... არ შემწურდა და არ შემძულდა ის... პირიქით, გამიხარდა და საიმოვნებით დაფუთვე ადგილი ჩემს სამყაროში მის სურათს... ჩემს მშობელს

შვილი, მე კი კიდევ ერთი მიზანი დამემატა ცხოვრებაში — ჩემი დედამამიშვილის გაცნობა...

ასე, საქანელაზე ქანაობსა და ფიქრებში გავიდა 8 წელი... 8 უსაშველო წელიწადი... ბევრჯერ გავიქეცი და დამაბრუნეს... ან სად, რას გავზობდი?!

17 წლის ვიყავი, როცა პირველად შემიყვარდა... ეს არ იყო ბავშვური გატაცება, ვნება ან დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი ცხოვრების გასაღები... ეს წრფელი, გულის სიღრმედან მომავალი გრძობა იყო, რომელმაც გზა პოვა და კიდევ ერთი ქართული ოჯახი შექმნა... ყველაფერი არც ისეთი მარტივი აღმოჩნდა, როგორც წარმომედგინა... მატერიალურ გასაჭირს გრძობების გახუნება მოჰყვა და პირველი ბზარიც სწორედ აქ გაჩნდა... ხშირად უთქვამთ ჩემთვის, მამას ძალიან ჰგაფხარ, მასაც შენაირი სიარული, თვალები, ხმის ტემბრი აქვსო... როგორც ჩანს, არა მარტო ფიზიკური მსგავსება გვაკავშირებს ერთმანეთთან... ტუსამ ვერ გაუძლო გაჭირვებას, ჩაალაგა ჩემოდანი და წავიდა... ეს ყველაფერი უფრო ცივილიზებულად, ადამიანურად მოხდა. ჩვენ დავილაპარაკეთ და მივხვდით, რომ ორივესთვის ასე იყო საჭირო. ბავშვმა ჩემთან დარჩენა ისურვა... დედა არ შესწინააღმდეგებია... თვეში ერთხელ ნახულობდა შვილს, მე არ ვუშლიდი (კარგად ვიცი, უდებოდ რას გრძობს პატარა)... ფიზიკურ მუშაობას ბავშვის გაზრდა შეუთავსე და მატერიალური თვალსაზრისით წელში გავიმართე. პატარა წამოიზარდა, გათამამდა, დამწვენიდა... სწორედ ამ დროს გამოჩნდა ჩემი ცოლი და... ბავშვს დედასთან ცხოვრება მოუნდა...

ნაბიჯი, რომელიც შემდეგ გადავდგი, ბევრმა ჩემმა ნაცნობმა (ნაცნობი 1000 მყავს, მეგობარი — 10) ვერ გაიგო, ვერ აღიქვა და ვერ მამატიდა... არც ერთი წამით არ შეეყოყმანებულვარ, ისე გაუფრუებულად ვიყავი დედასთან... შეიძლება განშორებისით გამოხვეული, მცირეწინიანი დეპრესიის დაქვეშაში ის სატელეფონო ზარი დამეხმარა, რომლის შემდეგაც გულმა სხვანაირად დაიწყო ფეთქება და მე „არარეალურ“ სამყაროსთან მეგობრობისთვის დამასმევიანა წერტილი... 1 კვირაც, სულ რაღაც 7 დღე და ღამე და ჩემი 13-წლიანი მოლოდინი, ოცნება ხელშეახები გახდებოდა... ჩემს დასა და დედას შეხვდებოდი, ჩავუხეტებოდი...

ტკივილი, ცრემლი, ღიმილი, ხარხარი, ყველა ემოცია ერთმანეთში აირია და ემოციებმა კინაღამ დამახრჩო... იმედი გამიცრუვდასავით, როცა ახალგაზრდა, ხალასი ქალის ნაცვლად, დანაოჭებული, სრულიად შეცვლილი ქალი დავინახე... კონტრასტი, ჩემს სამყაროში ფესვგადგმულ ფოტოსა და რეალობას შორის იმდენად დიდი იყო, რომ გაკვირვება ვერ დავმალე...

ვერ წარმოვიდგენდი, ოდესმე ამას თუ ვუტყვი საზოგადოებას, მაგრამ დღეს სიამაყით შემიძლია გამოვიცხადოთ, რომ ბედნიერი ვარ! ჩემ გვერდითაა დედა, რომელზე ზრუნვაც ჩემი მთავარი მოვალეობაა და რომლის გამო სიცოცხლესაც კი დაეთმო და შვილი, რომლითაც ვსუნთქავ... თითქოს ბავშვობის ის ოცნებაც ამხინდა, რომელსაც სრულყოფილება ჰქვია, იდილიისთვის ერთი რამ მაკვლია — მამასთან შეხვედრა... მე ის არასოდეს მინახავს. ხშირად ვიყურები სარკეში და წარმოვიდგენ ხოლმე, როგორი ვიქნები მომავალში, ახუ როგორ გამოიყურება ახლა მამაჩემი...

PS. 2 კვირის წინ, ერთ-ერთი სოციალური ქსელის დახმარებით, 28 წლის ბექა ბოტოკველიმ საკუთარი ცხოვრების შესახებ მიაშრო. ბევრი ვიფიქრე, როგორი სახით უნდა გამომეტყნა მისი მონაცემი ფურცელზე და ბევრი ფიქრის შემდეგ, თხოობის პირველი პირი ვარჩიე... საქმე ის გახლავთ, რომ ბექას მამა, სოფელ იყალთოში ცხოვრობს. იყალთო კი ჩემს სოფელს ესაზღვრება და რადაც უნდა დამიჯღეს, მას აუცილებლად ვიპოვი... როგორც ვიცი, „გზას“ იყალთოშიც ბევრი მკითხველი ჰყავს და უმორჩილესად გთხოვთ, თუ ვინმეს გასწავთ ასეთი ამბავი, გამოგვეხმაურეთ (ბექას მამას — რევაზი, პაპას კი ბექა ჰქვია)...

PPS. დღესაც ჩაუვლის ხოლმე ბექა ბავშვთა სახლს... ჩერდება მის ეზოსთან, ეყრდნობა ჭიშკარს და სწორედ ამ დროს გრძობს თავს ყველაზე ბედნიერად... სწორედ აქ, ამ უფერულ ადგილზე შეიგრძნობს ხოლმე თავისუფლების, დამოუკიდებლობის მთელ არსს. გრძობს, რომ ბედნიერებისა და მწუხარების გზა-გასაყარზე დგას... ერთი ნაბიჯი, ერთი კარი ყოფს წარსულისა და მომავლის ტკივილით გაულენთილ ბილიკს... გული-სყურით ადევენებს თვალს, ღობის მიღმა მოსიარულე პატარებს და სჯერა, იხინიც დააღწევენ თავს „უპატრონოს“ საკმაოდ მძიმედ საზიდ სტატუსს... მზერა ისევ საქანელისკენ გაურბის და როცა ხედავს, რომ, ცარიელია, ეღიმიება... ბედნიერების მთელ არსს გრძობს, საქანელა — „ტვირთისგან“, მისი გული კი ტკივილისგან გათავისუფლდა... საქანელა ისევ ტრიალებს... ცხოვრება გრძელდება... რუისპირი (GREEN)“.

მომდევნო ნომრის თემა იქნება — „ყველაზე დიდი უსამართლობა, რასაც ცხოვრებაში გადავწვარ“. ამბები შეგიძლიათ გამოგ ბავშვთი მუსიკებით ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მიმწერით ელფოსტაზე marorita77@yahoo.com

„გათხოვებას აჯობებდა, შვილთან ერთად ეხსოვრა“

„ადამიანი სიკეთეს აკეთებს, მაგრამ უკან ბოროტება უბრუნდება“

„გზის“ №14-ში დაიბეჭდა 16 წლის გოგონას მესოჯი. იგი გვწერდა, რომ ის და დედამისი ცხოვრებამ ძალიან დაჩაგრა, რადგანაც მამამისმა ცოლი ჯერ კიდევ მაშინ მიატოვა, როცა გოგონა დაბადებულიც არ იყო. „მან მალე სხვა ქალი შეირთო... დედა ბევრს შრომობდა, რათა ყველაფერი თუ არა, ელემენტარული რაღაცები მაინც მქონოდა. მოკლედ, წვალებით გამოზარდა... რამდენიმე ხნის წინ დედაც გათხოვდა. მამობილი ძალიან კარგი კაცია, კარგად მექცევა. დედა მის ნათესავეებს თან ჰყვებოდა, ძვირფას საჩუქრებს უყუთებდა, მაგრამ ეს არ დაუფასდა — მადლობის ნაცვლად, ლანძღეს, გაებუტნენ; მე ხომ საერთოდ, ყურადღებებსაც არ მაქცევდნენ, რადგან მათი ნათესავის ღვიძლი შვილი არ გახლდით. ეს იმდენად არ მტანჯავს, რამდენადაც დედაჩემის ტანჯვის ყურება...“

მოექცევი. ვერ ვხვდები, შესახვენი რა გაქვს?“

მია 92:

„ახლა კი მაგრად გამაკვირვე, რა თუ მამობილთან კარგი ურთიერთობა გაქვს, მისი ნათესავეების გამო ნერვებს რატომ იშლი? „დაიკვიდე“, რა ვისაც არ მოსწონხარ, გვერდზე გაიხედოს. ისინი არაფრად ჩააგდოთ და ადრე თუ გვიან, თქვენი ლანძღვა მოსწყინდებათ.“

ქათი:

„შეიძლება, მამობილს უყვარხარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის ნათესავეებსაც უნდა უყვარდე. აბა, მათ ადგილას წარმოიდგინე თავი — შენმა ახლობელმა განათხოვარი და შვილიანი ქალი რომ შეირთოს, მოგეწონება? ცხადია, ეს არაა სასიამოვნო ფაქტი... შეეცადე და მათ შენი კეთილშობილებით მოაწონე, შეაყვარე თავი. თუ მოინდომებ, ამას აუცილებლად შეძლებ. წარმატებები!“

სალი:

„დედაშენი ქმრის ნათესავეების მოსყიდვას ცდილობდა და კოვზი ნაცარში ჩაუფარდა? ჩემო კარგო, გაითვალისწინე და დედაშენსაც გადაეცე, რომ თუ გინდა, ადამიანს თავი შეაყვარო, მისი მოსყიდვა არ უნდა სცადო. კარგი იქნებოდა, მათთვის საჩუქრები კი არ მიეძღვნა, არამედ თავისი საქციელით დაემტკიცებინა, რომ იმ კაცის ღირსი იყო, ვინც გარისკა და ცოლად შვილიანი ქალი შეირთო...“

პატარა ბოროტუნა:

„აუფ, ასე ცხოვრება მართლაც ძალიან ძნელია. ზოგი როგორი შერევილია, არა?! ისე, გათხოვებას აჯობებდა, დედაშენს შვილთან ერთად, ტკბილად ეცხოვრა. ვერ ვხვდები, სხვების შეურაცხყოფას რატომ ითმენ, ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა და მას რატომ ირთულებთ? ღმერთი შეგვენევა.“

ნია:

„რა სისულელეა? მამობილის ნათესავეებს დედის დაჩაგრვის უფლებას რატომ აძლევ? იმ კაცს თუ ასე ძალიან უყვარხართ, ახლობლებისგანაც უნდა დაგიცვათ. ეტყობა, მის სიტყვას ფასი არა აქვს, თორემ თქვენთვის ზედმეტის თქმას ვერავინ გაბედავდა. მამობილს მოსთხოვე, ნათესავეებს დაელაპარაკოს, მათ ენა დაამოკლებინოს. იმედია, ამ თხოვნას შეგისრულებს. წარმატებები!“

ლიკა ქავაია

რუსიერი (GREEN):

„გულწრფელად გეტყვი — შენს ნათქვამში რამდენიმე შეუსაბამოა აღმოვაჩინე, რამაც გამაღიზიანა... არ მესმის, იმ გაჭირვებისა და სიღარიბის ფონზე, რომელშიც შენ და დედაშენი იმყოფებოდით, მამინაცვლის ნათესავეების საჩუქრებით განებივრება როგორ შეძელით? იმ შემთხვევაში, თუ დედაშენმა ზიზილ-პიპილოების ყიდვა და ახალშექმნილი ნათესავეების გულის მოგება ქმრის ფულით გადაწყვიტა, მათი საქციელი სრულიად საფუძვლიანი და ლოგიკურია (ჩემი აზრით, რა თქმა უნდა)... ვფიქრობ, რომ ადამიანის გულის მოგება თბილი, ლალი დამოკიდებულებით უნდა სცადო და არა ძვირად ღირებული საჩუქრებით... P.S. ჩემო კარგო, მთავარი ისაა, რომ მამინაცვალი გცემს პატივს. მერწმუნე, სანუნუნო არაფერი გაქვს. კიდევ იოლად შეგეფუნენ ოჯახში განათხოვარი, შვილიანი ქალის შესვლას (ახლა არ თქვათ, — ეგ ვილას უკვირსო? ძალიანაც უკვირთ, რა)... თავს გაუფრთხილდი.“

ბრუზინა:

„ყველაფერი მამობილს უნდა უთხრა. თუ მართლა ისეთი კარგი ადამიანია, როგორც თავად ამბობ, ნათესავეებს დაელაპარაკება!“

TALKER:

„სიმართლე გითხრა, ბუნებრივიცაა, ასე რომ იქცევიან. ალბათ მკითხავ, — რატომ? იმიტომ, რომ XXI საუკუნის საქართველო ხანდახან მეც მადებილებს... მეორედ ქორწინება არც რელიგიურადაა გამართლებული, მაგრამ ეს სულ სხვა თემაა. რატომღაც, ხშირად ხდება, რომ ადამიანი სიკეთეს აკეთებს, მაგრამ უკან ბოროტება უბრუნდება. P.S. იმ ქვეყნად თავის საზღაურს ყველა მიიღებს.“

ლუნა:

„მესმის შენი. სხვათა შორის, ყველაფერი მამინაცვლის გადასაწყვეტია,



ნათესავეებისგან მან უნდა დაგიცვათ. აბა, სხვა რა გითხრა? თქვენ გამო ძალიან ვწუხვარ!“

გზავნი 09:

„ჩემო კარგო, ნუ ნერვიულობ. იცოდე, დედას გაუფრთხილდი და მამობილს პატივი ეცი, მისი ნათესავეები კი მისივე პრობლემაა. ეცადე, დედასა და მამობილს შორის ბზარი არ გაჩნდეს. მერწმუნე, მალე ყველაფერი მოგვარდება.“

TEAR:

„ცხოვრებამ მართლაც, დაგჩაგრათ. იცოდე, წარსულს ვერ შეცვლი, მაგრამ მომავალზე უნდა იზრუნო. დრო გიწვენებს, როგორც უნდა მოიქცე.“

ძვირივი:

„მთავარია, თქვენ, სამნი ხართ კარგად; მამობილი თან გყვება და მისი ნათესავეების გამო ნერვებს ნუ მოიშლი, როგორც ისინი გექცევიან, შენც ისე



„სიყვარულია თავად ღმერთი“

„იმ გოგოს არ შეეშვა, მუხტების აიტანე“

საბნე:

„სპორტის რომელიმე სახეობაზე, თუნდაც — კარატეზე დაიწყე სიარული და მერე ის ბიჭები, ვინც შენ გჩაგრავენ, თავად „დაალილავენ“. უფროსი ბიჭების მოწონებით და დაქალებთან ამაზე ჭორაობით ბევრი უმცროსკლასელი მარიაჟობს. წარმატებები! იცოდე, გული არ გაიტეხო“.

უცნობი:

„შენ გაქვს შანსი, მას თავი მოაწონო. იცი, ამისთვის რაა საჭირო? უნდა აგრძობინო, რომ ლანირაკი კი არა, ჩამოყალიბებული კაცი ხარ და მერნემებს ჭკვიანი ბიჭები მოსწონთ. ჩმო-რიკივით ნუ მოიქცევი. სიყვარულია თავად ღმერთი და მასზე უარი არ თქვა. აბა, „შეუბერე“.

გაბარა პორტუნა:

„შენი მესიჯის კითხვისას ლამის, სიცილისგან გავიგუდე. ვილაცას შენი ცემის უფლებას რატომ აძლევ? თავად ნინის რატომ არ ეკითხები, შენზე რას ფიქრობს? ეჰ, საყვარელი ადამიანისთვის რას არ გააკეთებს კაცი... ბორბალივით დატრიალდი და რაიმე გამოვივა. იცოდე, ჭკვიან გოგონებს ჭკვიანი ბიჭები მოსწონთ. ჩმო-რიკივით ნუ მოიქცევი. სიყვარულია თავად ღმერთი და მასზე უარი არ თქვა. აბა, „შეუბერე“.

პკრივი:

„თუ გიყვარს, ცოტაც აიტანე, მაგრამ თუ იცი, რომ არაფერი გამოვივა, თავი დაანებე, აბა, ხომ არ შეაკვდები?...“

ქათი 2:

„თუ ამ ყველაფერს მშვიდად ეგუები, ცემის ღირსი ყოფილხარ და ეგაა. გინდა, იმ გოგოს თავი „სინიაკების“ მოაწონო? ვაი, შენს პატრონს, რა“.

ნიკა:

„შეიძლება, მას ასაკით უფროსები მოსწონს, მაგრამ თუ ჩმორი არ იქნები და სხვებს საკუთარი თავის დაჩაგვრის უფლებას არ მისცემ, თუკი იმ გოგოს დაუმტკიცებ, რომ ნამდვილი მამაკაცი ხარ, მაშინ მის გულს აუცილებლად დაიპყრობ; მაგრამ თუკი გამუდმებით „დაფინგალბულს“ გნახავს, შენზე გული საბოლოოდ აუცრუვდება, მის სიყვარულს ვერასდროს დაიმსახურებ. აბა, შენ იცი, ნამდვილი მამაკაცივით მოიქეცი და ცხოვრებაში ყველაფერს იოლად მიაღწევ“.

ბარი:

„გოგონების უმეტესობას ასაკით უფროსი ბიჭი იზიდავს, თანატოლებს კი ღლაპებზე მიიჩნევენ. თუ გოგოს თავი 2 წლის განმავლობაში ვერ შეაყვარე, არა მგონია, ეს ახლა მოახერხო. მგონი, მის გამო „სინიაკების“ ატანა არ ღირს. ჯობია დაივიწყო, სხვა ეძებო. წარმატებებს გისურვებ“.

TEAR:

„მეცოდები. თუ ის გოგო ყურადღებასაც არ გაქცევს, მის გამო თავს

წი გაილახავ, ეს უბრალოდ, არ ღირს. იცოდე, დრო ყველაფრის მკურნალია. წარმატებებს გისურვებ!“

მართლსაყვანი სვანი:

„არა მგონია, კლასელის გამო ცემა აიტანო, მით უმეტეს, რომ მას ასაკით უფროსი ბიჭები მოსწონს. შეეცადე დაივიწყო და სხვა შეიყვარო (მსგავს სიტუაციაში მეც ვიყავი, ოღონდ — მე მუზობელი ბიჭი მიყვარდა)“.

გაბარა პიტი:

„თუ მას სხვები მოსწონს, მის გამო „სინიაკების“ ატანა უაზრობად მეჩვენება; რომ მოსწონდე, კიდევ ჰო... მსგავსი რამ მეც გადამხდა და დამიჯერე, ეს აბსოლუტური უაზრობაა. ჯერ მოსწავლე ხარ და მთელი ცხოვრება წინ გაქვს — უნივერსიტეტში ჩააბარებ, იქ კი მერნემუნე, გოგონები თავს მოგაბეზობენ. გირჩევ, იმ გოგოს შეეშვა“.

ლუზა:

„კარგია, რომ სიყვარულისთვის ბრძოლა შეგიძლია, ამ თვისებით ბევრი ბიჭი ვერ დაიკვებინს, მაგრამ ასე გაგრძელებასაც რა აზრი აქვს? ნინოს პირადად დაელაპარაკე, საკუთარ გრძობაში გამოუტყდი და შეიძლება, სიყვარულითვე გიპასუხო, მაგრამ თუ ასე არ მოხდება, მაშინ უნდა შეეშვა, ის შენი ღირსი არ ყოფილა. აბა, შენ იცი!“

გაბარა პიტი:

„კლასელის ამბავს მეგობრებს ეკითხები? თუ ეგ გოგო ასე გიყვარს, თავად დაელაპარაკე და მიხვდები, ღირს თუ არა მის გამო „სინიაკების“ ატანა. საყვარელი ადამიანისთვის მაშინ უნდა იბრძოლო, როცა რაღაც გაქვს დასაკარგი, შენ კი რისთვის იბრძვი, რა გაქვს?“

PIPCIA:

„სიყვარულის სახელით ყველაფრის გაკეთება არ შეიძლება. რადგან ნინოს ყურადღების მიქცევა 2 წლის განმავლობაში ვერ მოახერხებ, ე.ი. არ მოსწონხარ და ეგაა. რიხიანად კი ამბობ, — მისთვის თავის დაწებებას არ ვაპირებო, მაგრამ თუ მას არ უყვარხარ, ვერაფერს გააწყობ; სიყვარული ძალდატანებით არ მოდის და არც ცალმხრივი სიყვარულით გააწყობ რაიმეს. ჯობია, თავი დაანებო“.

მორიელი:

„არ გეწყინოს, მაგრამ თუ იმ გოგოს ფეხებზე კიდხარ და ყურადღებას არ გაქცევს, მაშინ გირჩევ, დაივიწყო. ის შენი ღირსი არაა და მის გამო „სინიაკები“ რატომ უნდა გქონდეს?“

TALKER:

„პირადად მე (გოგო ვარ, 16 წლის), სიყვარულის არ მჯერა. იმ გოგონებზე კი, ვინც ბიჭებს ცემისთვის იმეტებს, ნერვები მეშლება, ასეთები საკუთარ თავზე შეყვარებული იდიოტები არიან და სხვა არაფერი. ჰოდა, კარგად დაფიქრდი, მის გამო თავის ტანჯვა ღირს? P.S. ზოგიერთი გოგო ბიჭის ცრემლებს არ იმსახურებს, ამას უკვე კარგა ხანია, მივხვდი. აბა, შენ იცი!“

ბრანდიოზა:

„მიდი, შენსას მიაწეცი, იმ გოგოს არ შეეშვა და მუშტებიც აიტანე. ჰოდა, თუ შენს რჩეულს ტვინი აქვს, მიხვდება, რომ ნამდვილად გიყვარს და დაგაფასებს“.

ბრუზინა:

„არ ჯობია, რომ იმ გოგოს ყველაფერი თავად უთხრა? როცა მის პასუხს გაიგებ, მერე გადანყვიტი, გინდა თუ არა ასეთი „ლოვე“. ამბობ, — ის გოგო ძალიან ჭკვიანი და თუ ეს მართლა ასეა, შენს ნათქვამს გააანალიზებს, აწონ-დანწონს და პასუხს მერე გეტყვის. ვფიქრობ, „სინიაკების“ გამო მაინც უნდა მოგცეს შანსი. წარმატებები!“

რუისირი (GREEN):

„სალამი. შეყვარებულ ბიჭო, როგორ ხარ? სავარაუდოდ, ამ კითხვაზე შენი პასუხი ასეთი იქნება, — ნაცემი!.. შენმა მესიჯმა მართლა გამაოცა. შენ რა, ხელები არა გაქვს, ძალა არ გერჩის? როცა დაგარტყამენ, მეორე ლოყას კი ნუ მიუშვერ, არამედ შენც გემრიელად შემოსცხე... ხმა აიმაღლე, შენი დაჩაგვრის უფლებას ნურავის მისცემ... დაფიქრდი, ნინოს მოეწონება ისეთი ბიჭი, ვინც ყოველდღე ნაცემ-ნაბეგვი დაიარება?.. გოგონებს ისეთი ბიჭი მოსწონთ, ვინც სხვებს ურტყამს და არა ისეთი, ვისაც ურტყამენ... P.S. ჰოდა, დასკვნა თავად გამოიტანე. წარმატებები!“



მოზილი-ზაცია



იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხდეს, მოზილიური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვით ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მოზილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქაღაბი



1. ვებმანები „გზა“ №14-ის მე-11 მესიჯის ავტორს. გთხოვთ, მომცეთ მისი ნომერი. მადლობა.
2. გთხოვთ, მომცეთ №15 ჟურნალის მე-4 და მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი.
3. წინა ნომერში დამიბეჭდეთ მესიჯი: ვარ 25 წლის გოგო, მახინჯი, მსუქანი, ელამი, კოჭლი. არ ვარ ლამაზი და რა ვქნა? თქვენ კიდე, ჩამინერეთ მამაკაცებში. :)
4. გავიცნობ დამოუკიდებელ, ყურადღებიან, საქმიან მამაკაცს, მხოლოდ სერიოზული ურთიერთობისთვის და ოჯახის შექმნის მიზნით, 25-დან 30 წლამდე. ვარ 25 წლის, მქვია ნინი.
5. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ შვედურენოვან, მაღალ, სიმპათიურ და დასაქმებულ მამაკაცს, 35 წლამდე, დაბლები, მელოტები და მსუქნები ნუ გამოემხმარებთ. ლიკა.



მამაკაცები

6. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზა“ №14, მე-2 მესიჯის ავტორთან ან მომცეთ მისი ნომერი. კოტე.
7. ვარ 23 წლის, გავიცნობ 15-დან 27 წლამდე გოგოს.
8. გავიცნობ 40 წლამდე ასაკის, სასიამოვნო გარეგნობის მანდილოსანს. ვარ 35 წლის.

9. გავიცნობ კარგ, წესიერ მანდილოსანს, თბილისელს.
10. ვეძებ პატიოსან, ლამაზ, მორწმუნე, გამხდარ გოგოს, სარძლოდ, 30 წლამდე. მყავს ძალიან კარგი ძმა, 39 წლის. აქვს შეძლებული ოჯახი, კარგი ხასიათი, კარგი გარეგნობა.
11. ვარ 37 წლის მამაკაცი. გავიცნობ ოჯახის შესაქმნელად 25-დან 30 წლამდე ასაკის, მარტოხელა, თბილისში მცხოვრებ, მიმზიდველ მანდილოსანს. გიორგი.
12. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ გოგოს, სერიოზული, რეალური ურთიერთობისთვის. გიო25.
13. ვარ ცოლს გაცილებული, 24 წლის, მოსიყვარულე და გაგებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან და გაგებულ გოგოს, თუნდაც 29 წლამდე. სასურველია, სოფლიდან.



ვაკაბ

14. მინდა გავიგო, როგორაა და სად არის ახალციხეში მცხოვრები, ასპინძიდან კახა ცერცვაძე. ვინ დამეხმარება მის პოვნაში? აქ პირველად ვამესიჯებ.
15. ვეძებ ეთერ ფსუტურს. 1988 წლამდე ერთად ვმუშაობდით, სახელმწიფო ბანკის საქარხნო განყოფილებაში. მე ვარ ნინო ბარამიძე. ამჟამად ვცხოვრობ სამტრედიისში.



სსვალასსვა

•არავის გაცნობა არ მინდა, დიკი ანგელი დამიკავშირდეს მარტო. გელოდები სოფი. უფალი გზარავდეს. ედელვასი.

- კლეობატრა, ძალიან მიყვარხარ, დიკო, შენ კარგად მიცნობ და იცი, როგორიც ვარ. კარგად მიცნობენ ფლამი და ლაკვასტი, ჩემი ყველაზე ჭკვიანი დაიკოები. გაკოცეთ. ედელვასი.
- მარი, ამდენი არასდროს მიტირია. თითოეული ადამიანის აზრს დიდი მნიშვნელობა აქვს. დიკი ანგელის ასეთმა სიტუაციებმა გული მატკინა. შემეხმანე, გთხოვ. ედელვასი.
- კაკადუ, ახლა მალე განახავთ. ბავშვებს ძალიან მოენატრე. ნიკუმამ შენს სურათს შეხედა და თქვა, იცი, როგორ მიყვარს ჩემი გიოო? ყველას ძალიან გიყვარხარ და გვენატრები.
- დილა შენი მონატრებით იწყება, საღამოს შენი მონატრებით ვწვები. იმედი მაქვს, მალე ყველაფერი მოგვარდება და უფალი ჩვენს გულს დალოცავს. დაგელოდები. ალი.
- ჩემო ნამდვილო სიყვარულო, მრავალ ხვალინდელ დღეს დაესწარი, ჩემთან ერთად. გისურვებ ისეთივე გრძობას, როგორიც მე გამაჩნია შენ მიმართ. წრუწუნა.
- ჩემო მსუქანავ, როგორ მინდა, შენი ერთადერთი საჩუქარი მე ვიყო და ძალიან გიყვარდე.

ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მოზილი-ზაციისთვის“ გამოსავან მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!		
ა — a	მ — m	ლ — gh
ბ — b	ნ — n	ყ — y
გ — g	ო — o	შ — sh
დ — d	პ — p	ჩ — ch
ე — e	ჟ — zh	ც — c
ვ — v	რ — r	ძ — dz
ზ — z	ს — s	წ — w
თ — t	ტ — t	ჭ — wh
ი — i	უ — u	ხ — x
კ — k	ფ — f	ჯ — j
ლ — l	ქ — q	ჰ — h



ტაიმ-აუზი

როგორ მკურნალობდნენ კბილებს საუკუნეების წინ?

- საფრანგეთში, ლუდოვიკო XI-ის კარზე დიდგვაროვანი ქალბატონები მხოლოდ წვნიან კერძებს მიირთმევდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ ლეჭვა ნაოჭებს აჩენდა. ამიტომაც სუსტი ჯანმრთელობითა და შესაბამისად — არაჯანსაღი კბილებით გამოირჩეოდნენ. მაშინ სტომატოლოგები (დანტისტები) არ ჰყავდათ. პაციენტს მტკივან კბილს მღვდლები ან დალაქები უღებდნენ — თანაც ერთობ ორიგინალური მეთოდებით: მას იატაკზე სვამდნენ, „სტომატოლოგი“ თავს მუხლებით უჭერდა და კბილს აძრობდა; ანდა ბანრის ერთ ბოლოს პაციენტს მტკივან კბილზე მოაბამდნენ, მეორეს — უნაგირზე; 1 ადამიანი პაციენტს იჭერდა, მეორე — ცხენს გააჭენებდა. ცხადია, არც ანესთეზია არსებობდა და პაციენტს ტკივილი რომ ვერ ეგრძნო, თავში მძიმე საგნის ჩარტყმით თიშავდნენ.

- კბილის პირველი პროთეზი IV-III საუკუნეში ძველმა ფინიკიელებმა დაამზადეს. სპილოს ძვლისგან გამოთლილ „კბილს“ პირის ღრუში ოქროს მავთულით გვერდით კბილებზე



ამაგრებდნენ. შუა საუკუნეებში ამოღებული კბილის ნაცვლად პაციენტს

— მარგალიტს, ხის და ვერცხლის ფირფიტას, ზოგჯერ კი ძაღლის ან ღორის კბილს უმაგრებდნენ.

- რენესანსის ეპოქაში მეფის გადაწყვეტილებით, მედიცინის დარგში ახალი თანამდებობა — ქირურგ-დანტისტი გაჩნდა.

- 1728 წელს ფრანგმა ქირურგმა — პიერ ფოშარმა „ტრაქტატი კბილებზე“ გამოაქვეყნა. მასში კარიესის დამუშავა, პროთეზირება და კბილის ამოღება იყო აღწერილი.

- ცნობილია, რომ ამერიკის პრეზიდენტი — ჯორჯ ვაშინგტონი ხელოვნურ კბილებს ატარებდა. მისთვის სპეციალური პროთეზი დაამზადეს, რომელზეც ბუჭემოთის, ვირისა და ცხენის კბილები იყო დამაგრებული. ისიც ცნობილია, რომ კბილის ტკივილის გასაყუჩებლად, პრეზიდენტი მარისუანას ეწეოდა.

- პროთეზები საკმაოდ ძვირი ღირდა და ღარიბი მოსახლეობისთვის მათ დასამზადებლად გარდაცვლილი ადამიანების კბილებს იყენებდნენ.

არისტოკრატებს ემინოდათ, მათ სხეულში მკვლელის ან ყაჩაღის კბილები არ მოხვედრილიყო და ამიტომ, უპირატესობას სპილოს ძვლისა და ფაიფურისგან დამზადებულ „კბილებს“ ანიჭებდნენ.

- 1815 წელს, ინგლისში დიდი პოპულარობით სარგებლობდა „ვატერლოოს კბილები“. პატრიოტი ბრიტანელები გამრულად დაღუპული თანამემამულეების კბილებს ყიდულობდნენ და უარს ამბობდნენ ფრანგი ან გერმანელი ჯარისკაცების კბილებზე.

- 1816 წელს ერთმა არისტოკრატმა მეცნიერებისადმი სიყვარულის გამო ისააკ ნიუტონის კბილი 3.300 დოლარად შეიძინა და ბექედში ჩაასმევინა.

კლანტის ყველაზე ბინძური მდინარე

მდინარე — ციტარუმი ინდონეზიაში, ჯაკარტის მახლობლად მიედინება. მისი დაბინძურება 80-იან წლებში დაიწყო. მასში ჯაკარტის მოსახლეობა (9 მლნ ადამიანი) ძირითადად საყოფაცხოვრებო ნაგავს ყრის. ძველად, მეთევზეები მდინარეში თევზს იჭერდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში მდინარეში ცოცხალი ორგანიზმები განყდა. 2008 წელს ციტარუმი პლანეტის ყველაზე ბინძურ მდინარედ გამოაცხადეს. მის დასასუფთავებლად, აზიის ერთ-ერთმა ბანკმა 500 მლნ დოლარი გაიღო, მაგრამ ჯერჯერობით სიტუაცია კრიტიკულია. ■





მეკანდი — ინდური ტატუ

* ინდური ტრადიციის თანახმად, ქორწილის დღეს პატარძალს ხელებსა და ფეხებს ინის ორნამენტებით



უფარავენ. ეს რიტუალი — ანუ მეჰენდი (მენდი) ინდოეთში ძველი ეგვიპტიდან გავრცელდა, სადაც ფარაონებს ხელებისა და ფეხების მუმიფიკაციის დროს ინი თულებავდნენ.



* ინას Lawsonia Inermis-ის ხის ფოთლებისგან ამზადებენ. ფოთლებს აგროვენ ბენ, ამრობენ და წმინდად ფქვავენ. მეჰენდი 2-დან 4 კვირამდე ძლებს. მის შესანარჩუნებლად, ხატვის ოსტატები ინაში ჩაის ან ყავის ნაყენს, ლიმონის წვენს ან ევკალიპტის ზეთს ურევენ.

* ინდოელი ქალები მეჰენდის ქორწილის დღესაც იკეთებენ და რელიგიურ დღესასწაულებზეც. საქორწილო მეჰენდი ყველაზე რთული შესასრულებელია. პატარძალი რამდენიმე საათის განმავლობაში გაუნძრევლად უნდა იჯდეს. მის გასართობად კი ნათესავი ქალები მღერიან და ცეკვავენ. სანამ პატარძალს მეჰენდი სრულად არ მოსცილდება, მას საოჯახო საქმეების გაკეთების უფლება არა აქვს. თუ პატარძალს სურს, ოჯახური ბედნიერება დიდხანს შეინარჩუნოს, მოხატვის შემდეგ მორჩენილი ინა მინაში უნდა ჩაფლას. აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში ინის ორნამენტებით ფეხშიმე ქალებს ტანს უფარავენ, რათა ნაყოფი ავი თვალისგან დაიცვან.

მსოფლიოს ტანმოკრილი მმართველები

▲ ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ნაპოლეონი ყველაზე ტანდაბალი მმართველი ყოფილა. ეს ფაქტი მცდარია, რადგან სინამდვილეში იმპერატორის სიმაღლე — 168,5 სმ-ია, ხოლო „პატარა კაპრალი“ სიმალის კი არა, ასაკის გამო შეარქვეს. 24 წლის ნაპოლეონმა გენერლის ნოდება მიიღო.

▲ საფრანგეთის ახლანდელი პრეზიდენტის, ნიკოლა სარკოზის სიმაღლე — 168 სმ-ია. იგი 10 სმ-ით დაბალია საკუთარ ცოლზე.

▲ კიმ ჩენ ირის (კორეის მუშათა პარტიის გენერალური მდივანი და „დიდი მმართველი“) სიმაღლე — 162 სმ ყოფილა.

▲ რუსეთის ახლანდელი პრეზიდენტის, დმიტრი მედვედევის სიმაღლე 1 ფერსით — 162 სმ-ია, მეორით — 158. სხვათა შორის, დღემდე ვერ დადგინდა ვლადიმირ პუტინის სიმაღლე. სავარაუდოდ, 166 სმ-დან 170 სმ-მდე უნდა იყოს. რუსეთს უმეტესად ტანმოკრილი მმართველები ჰყავდა: ლენინი, სტალინი, ხრუშჩოვი.

▲ ხაილი სელასის სიმაღლე, რომელიც 1930-1974 წლებში ეთიოპიას მართავდა, 160 სმ ყოფილა.

▲ იასირ არაფა-

ტის სიმაღლე — 155 სმ-ია.

▲ ისრაელის პირველი პრემიერ-მინ-



ნიკოლა სარკოზი 10 სმ-ით დაბალია საკუთარ ცოლზე

ისტრის, დავიდ ბენ-გურიონისა და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის (1980-იან წლებში), დენ სიაოპინის სიმაღლე 150 სმ-ს შეადგენდა.

▲ ავსტრიის კანცლერის (1932-1934 წლები), ენგელბერტ დოლფუსის სიმაღლე 148 სმ-ს არ აღემატებოდა.

▲ მსოფლიო ლიდერებს შორის ყველაზე ტანდაბალი (135 სმ) ბენიტო ხუარესი ყოფილა. 1867-1872 წლებში ეროვნული გამირი მექსიკელების პრეზიდენტი ხუთჯერ იყო.



ბენიტო ხუარესი

კომოდოს ვარანი - ხვლიკი, რომლის ირემზე ნადირობს!

როგორ აზნებს პითონი მსხვირპლს სიხნაღეში?

წაიკითხე და გაიგე უფრო მეტი! 18-დან 25 აპრილამდე

სპეციალური ფასი 15 ლარი!

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის

„კვირის პალიტრის“ ხელმოწერითა საყურადღებოდ! ნიგნის შექმნის მსურველები დაუკავშირდით „მეგა.ჯი“-ს ტელა: 38-26-73/38-26-74 კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგარიმევი!

ტომი №15

სერია „ეს საყაროა“-ს უკვე გამოსული ტომები იყიდება ნიგნის მაღაზიებში



ბონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მანითხველისათვის (ანითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჩინარ გაგაქცეთ თვალი

1. ვის მიანერენ სიტყვებს: „კეთილი სიტყვითა და პისტოლეტით უფრო მეტის გაკეთება შეიძლება, ვიდრე მხოლოდ კეთილი სიტყვით“?

2. დაასახელეთ ქართველი მსახიობი ქალი, რომელიც ინგლისის მეცნიერებთან აკადემიამ XX საუკუნის ერთ-ერთ საუკეთესო მსახიობად დაასახელა.

3. რა არის „ხოხონი“?

4. რომელი ქვეყნის სამზარეულო მიიჩნევა ყველაზე ჯანსაღ სამზარეულოდ მსოფლიოში?

5. ვის ეკუთვნის სიტყვები: „აცალეთ მტერს და ხელს ნუ შეუშლით დაუშვას შეცდომები“?

6. პარიზის ერთ-ერთ კაფეში ქართველ მხატვართან ერთად მყოფმა ამაღეო მოდილიანმა მეზობელ მაგიდასთან მჯდომ პოლონელ ქალს თვალი მოჰკრა, მისი სილამაზით მოხიბლულმა ორი ჩანახატი გააკეთა და ნახატები მასვე მიართვა. ქალმა ნამუშევრები დაინუნა და უკან დაუბრუნა. გულნატკენ მხატვარს ქართველმა კოლეგამ უთხრა, ეგ ქალი უდავოდ ლამაზია, მაგრამ რატომ გგონია, რომ ხელოვნებაში ერკვევა? ეგ ნახატები მე მაჩუქე, მე ვიცი მათი ფასიო. ასე აღმოჩნდა მოდილიანის ნამუშევრები ქართველი მხატვრის მფლობელობაში. დაასახელეთ იგი.

7. ადმირალი ფრენსის დრეიკი დიზენტერიით გარდაიცვალა. სად დაკრძალეს ყოფილი მეკობრე?

8. რა არის „არგა“?

9. რა ასაკში გარდაიცვალა ბრიუს ლი?

10. დაასახელეთ ინგლისელი მომღერალი, რომლის დედაც მთვრალმა პოლიციელმა მოკლა.

11. სად შემოიღეს პირველად ექვმიტანილის თავდებით გათავისუფლება?

12. დაასახელეთ პირველი ქვეყანა მსოფლიოში, რომელმაც თამბაქოს გაყიდვა აკრძალა.

ანექლოცენი



— სიგარეტს ღერებით ყიდით?
— რამდენი ღერი გინდა?
— 19.

სტუდენტი გამოცდაზე გავიდა. ჩანთიდან ლამაზი სანერ-კალამი ამოიღო და პროფესორს წინ დაუდო.

— კარგი, დამაკმაყოფილებელი. სტუდენტმა კალამს გვერდით კანფეტების შეკვრა დაუდო.

— კარგი ჯანდაბას, ოთხიანი. სტუდენტმა კანფეტებს გვერდით სამარკო კონიაკი მიუდგა.

— კარგი, კარგი, ფრიადი. მომეცით ჩათვლის წიგნაკი, — ეუბნება პროფესორი და ხუთიანს უწერს. კმაყოფილმა სტუდენტმა ყველაფერი ისევ ჩანთაში ჩაალაგა და მიდის.

— სად მიგაქვთ? — ეკითხება გაკვირებული პროფესორი.

— ფიზიკაც მაქვს ჩასაბარებელი.

კახელი ტრაბახობს:

— რაიონში ისეთი მაგარი ქირურგი ჩამოვიდა სამუშაოდ, ჩაქაფულიდან ბატკანი აანყო!..

კახეთში ქელეხია. მიტომ ხაშლამის ჯერ ერთი ნაჭერი გადაიღო, მერე — მეორე, მერე — მესამე. შაქრომ ველარ მოითმინა:

— გეყოფა, ჯო! თეფშზე ძვლები დასაყრელი ადგილი მაინც დაიტოვე!

სპორტულ მაღაზიაში ცოლი სა-

ვარჯიშო სარბენ ბილიკზე დადგა და ქმარს ეუბნება:

— ძვირფასო, ამას თუ მიყიდი, თინეიჯერი გოგონასავით გაგზდები.

— ძვირფასო, ეგ სარბენი ბილიკია, „დროის მანქანა“ კი არა.

ინჟინრების ოჯახი. ქმარი ცოლს ეუბნება:

— დედამინის გარშემო რამდენიმე ფენად სპილენძის მავთულს თუ შემოვახვევთ, ცვლადი დენის გენერატორი გამოვა.

— დღესაც დათვერი, არა?!. ცვლადი კი არა, მუდმივი დენის!..

— კლარნეტზე აღარ უკრავ?
— არა, მეზობელმა სანადირო თოფი იყიდა!

მეგრელმა ტაქსის მძღოლმა ფანჯრის შუშა ჩასწია და მეზავრს ეკითხება:

— ხომ არ გიბერავთ, ქალბატონო?

— არა, რას ამბობთ, პირიქით...
— როგორ — თქვენ უბერავთ?..



კაცი ექიმთან მიდის:

— ექიმო, მიშველეთ, ნახევრად ყრუ ვარ!

— ასეთი რამ არ არსებობს ან ყრუ უნდა იყოთ, ან — არა.

— ექიმო, შეგიძლიათ, შემამონმოთ.

ექიმმა დაიწურჩულა: „ორმოცდაოთხი“.

— აბა, რა ვთქვი?

— 22!



გონების საპარჯიშო

„გზის“ ერთგული
მართხვალისათვის

(პასუხები)

1. ალ კაპონეს.
2. ვერიკო ანჯაფარაძე.
3. თავნატეხილი დოქი ან კოკა.
4. იაპონური.
5. ნაპოლეონს.
6. ლადო გუდიაშვილი.
7. დრეიკი ტყვიისგან დამზადებულ კუბოში ჩაასვენეს და კარიბის ზღვაში ჩაუშვეს. დაკრძალვის ადგილზე მამაცი ადმირალის პატივსაცემად ინგლისელებმა მტრისთვის წართმეული რამდენიმე ესპანური გემიც ჩაძირეს.
8. შინდის ხის ტოტებისგან გაკეთებული ეზოს ცოცხი.
9. 32 წლის ასაკში.
10. ჯონ ლენონი.
11. ძველ რომში.
12. ბუტანი.

ცოლი სააბაზანოდან პირსახოც-შემოხვეული გამოდის და იმწამსვე ქმარი შერბის დასაბანად. ამ დროს კარზე ზარია. ცოლი კარს აღებს და ხედავს, შემოსასვლელში მეზობელი ნუგზარა დგას და პირდაღებული მიშტერებია:

— 500 დოლარს მოგცემ, მაგ პირსახოცს ორი წუთით თუ შემოიხსნი!

ცოლმა პირსახოცი შემოიხსნა, ფული გამოართვა და კმაყოფილმა მიხურა კარი.

— ვინ იყო? — იკითხა სააბაზანოდან გამოსულმა ქმარმა.

— ნუგზარი იყო, სართული შემეშალაო.

— უი, ჩემი ვალი უნდა მოეტანა, 500 დოლარი!.. ხომ არ მოუცია?!

ავადმყოფი საოპერაციოდ მოამზადეს. ქირურგმა სკალპელი მოიმარჯვა.

— არ გაჭრა, ექიმო, არ გაჭრა! — შემორბის ასისტენტი. — ოპერაციისთვის სერიოზული უკუჩვენება აღმოაჩნდა.

— რა უკუჩვენება?
— მთელი ღამე აბოდებდა, კაპიკი ფული არ მაქვსო.

ექიმმა პაციენტი ქალი გასინჯა:
— ჩემო კარგო, თქვენ გული, თირკმლები, კუჭი და ნაღვლის ბუშტი განუხებთ. რამდენი წლის ბრძანდებით?

— 26-ის
— ოო, მესხიერებასთან დაკავშირებითაც პრობლემები გქონიათ...

კაცმა მაღაზიაში სიგარეტი იყიდა და იქვე მოუკიდა.

— აქ არ ეწვეიან!
— თუ ყიდით, მოწვევა რატომღა არ შეიძლება?

— მასე, ტუალეტის ქალაღდაც ყყიდი და მიდი, თუ ბიჭი ხარ და მოისაქმე!..

მეგრელი და სვანი ავტომობილებით შეასკდნენ ერთმანეთს. გადმოხტა მეგრელი კონიაკის ბოთლით ხელში, დაუსხა სვანს.

— დალიე, ძმაო, ჩვენი გადარჩენისა.

სვანმაც გადაკრა. კიდევ დაუსხა, სვანმა ისევ გადაკრა და მეგრელს ეკითხება, — შენ რატომ არა სვამო?

— ხომ არ გაგიყდი, რა უნდა დავლიო! სადაცაა პატრული მოვა!..

ზუგდიდელი მეგრელი თბილისელ მეგრელს ეკითხება:

— მეგრული თუ იცი შენ?
— არა!
— ხოხ!.. სად გაიზარდე, ტყეში?!



ნარკომანი დილით იღვიძებს, ქუჩაში გადის და გამვლელს ეკითხება:

— ბიძაჩემო, დღეს ოთხშაბათია?
— არა, დღეს კვირაა.
— გუშინ იყო ოთხშაბათი?
— არა, გუშინ შაბათი იყო.
— აბა, ხვალ იქნება ოთხშაბათი?
— არა, ხვალ ორშაბათია.
— ვააა! ვერ გავიგე, ოთხშაბათი, ვსიოოო, აღარ იქნებაააა?!

ჩვენი ფორსო მაღაზია





კოროსკოპი

21-27 აპრილი

ვიწყო

მიზანმიმართულად და თავდაჯერებულად იმოქმედეთ. დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობის გამო უფროსთან ურთიერთობა არ გაიფუჭოთ.

კუჩო

გარშემო მყოფებისთვის ავტორიტეტი ხართ და ნუ გაგიკვირდებათ, თუ რჩევების ხშირად მოგმართავენ. დასვენების დღეები საყვარელ ადამიანთან ერთად გაატარეთ.

ღმუჟა

სასურველია ახალი იდეები უცხოელ პარტნიორებთან ერთად განახორციელოთ. გაიღრმავეთ ცოდნა. ხანმოკლე და სასიამოვნო მოგზაურობა გელით. კვირის ბოლოს ფრთხილად იყავით, რადგანაც ხიფათის ალბათობა დიდია.

კიჩხიბი

იდეები კვირის მეორე ნახევრიდან განახორციელებთ. განსხვავებული შეხედულების გამო, გარშემო მყოფებთან კონფლიქტი ხშირად შეგექნებათ.

ღოში

კარგი პერიოდია ახალი სასიყვარულო ურთიერთობის დასაწყებად. მეტი ყურადღება დაუთმეთ გარეგნობასა და ჩაცმულობას.

ქაფხუდი

კოლეგების დახმარებით დასახულ მიზნებს ადვილად განახორციელებთ. ძალების აღსადგენად ბუნებაში განმარტოვდით.

სახსიძი

თუ არ გსურთ, გარშემო მყოფებს თქვენზე შთაბეჭდილება შეეცვალოთ, საეჭვო რეპუტაციის მქონე ადამიანებთან ურთიერთობა შეწყვიტეთ.

ვიწიფი

მეტი ყურადღება გამოიჩინეთ შვილების მიმართ. ძველი სიყვარული თავს შეგახსენებთ და ცხოვრებას თავდაყირა დაგიყენებთ.

მფიფიფი

ყველაფერი ისე იქნება, როგორც გსურთ. მთავარია, კოლეგებთან ურთიერთობაში დიპლომატია, ახლობლების მიმართ — სითბო და ყურადღება გამოიჩინოთ.

თხილი

მოულოდნელად გამდიდრებით და ყველა სურვილის ასრულებას შეძლებთ. გარშემო მყოფებთან კონფლიქტს მოერიდეთ. სიფრთხილე გამოიჩინეთ სამართალდამცავებთან ურთიერთობისას.

ვიწხუდი

ბავშვების ჯანმრთელობის მიმართ მეტი ყურადღება გამოიჩინეთ. კვირის ბოლოს უამრავ დროსა და ენერჯიას წაგართმევთ რთული და ჩახლართული სიტუაციების ამოხსნა.

თფხუბი

სამსახურში დაგანინაურებენ. საყვარელი ადამიანი იმედს გაგიცრუებთ. გულის გადასაყოლებლად მეგობრებთან ერთად იმხიარულეთ.

კვირის დღეები

* * *

ორშაბათს ახალი საქმეები არ წამოიწყებთ. არ ვარგა შორ მანძილზე მგზავრობა, ფულის გაცემა (დღის პირველ ნახევარში მანც). თუ უზომოზე დაგაცემინათ, საჩუქარს მიიღებთ. კარგია თმის შეჭრა, სტომატოლოგთან ვიზიტი. ორშაბათი ემოციურად მძიმე დღეა. ამიტომ, მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მოერიდეთ.

* * *

სამშაბათს კარგია სამოგზაუროდ გამგზავრობა. თუ არ გსურთ, მთელი ცხოვრება ვალებში იყოთ ჩაფლული, ამ დღეს ფული არ იხსნოთ. იაქტიურეთ და წარმატებას მიაღწევთ.

* * *

ოთხშაბათს ნუ გადახვალთ ახალ ბინაში. თუ ახალი მეგობრების შექმნა გსურთ, თმა შეიჭერი. არ მიირთვათ ხორციანი კერძი. კარგი დღეა ვაჭრობისთვის. განაახლეთ ურთიერთობა ძველ მეგობრებთან.

* * *

ხუთშაბათი წარმატების მომტანი დღეა. გააფორმეთ ხელშეკრულებები. მოაგვარეთ ფინანსური და იუ-

რიდიული საკითხები. მზის ამოსვლამდე მიიღეთ შხაპი. თმის შეჭრა სასიკეთო ცვლილებებს და მატე-

ქონების შექმნა, ახალ ბინაში გადასვლა. უცნობებს ნუ დაემგზავრებით და გულს ნუ გააღმტყობთ.

* * *

თუ ბედნიერების შენარჩუნება გსურთ, **კვირას** ფრჩხილები არ დაიჭრათ. არც თმის შეჭრა მოგიტანთ წარმატებას. კარგია ახალი საქმეების დაწყება, იდეების განხორციელება, მომავლის დაგეგმვა.

ყურადღება მიაქციეთ მთვარეს. ახალი მთვარიდან სავეს მთ-



რიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ.

* * *

პარასკევი ქველმოქმედების, სიყვარულის, შემოქმედებითი საქმიანობის დღეა. ამ დღეს ქორწინება ბედნიერებას მოგიტანთ. ქალური საქმეებისგან (კერვა, ქსოვა, ქარგვა) თავი შეიკავეთ. გათხოვილმა ქალმა ამ დღეს არ უნდა იბანასო.

* * *

შაბათს ხელსაყრელია უძრავი

ვარუბამდე ადამიანი ენერჯიის მოზღვაებას გრძნობს. შეიძლება ახალი საქმეების წამოწყება. სავესმთვარეობის შემდეგ მთვარე კლებას იწყებს. ადამიანი ენერჯიის ნაკლებობას განიცადის. უმჯობესია დაწყებული საქმეების დასრულება. ამ დროს ძველი ნივთებისგან და მომბეზრებელი ურთიერთობისგან გათავისუფლდით. აგრეთვე, გახდომის მსურველებს შეუძლიათ დიეტის დაწყება.





			1. თვე	2. პუნინის ოპერა	3. ისლამის წმინდა ქალაქი	4. იგუვარაც ჩხიკვი	5. ტვირფასი ქვა	
			6. დალესტინის დედაქალაქი	7. რუსი კომპოზიტორი	8. გეომეტრიული ფიგურა	9. კურდღლის ნაშიერი	10. ცხოველისებუწვიანი საფარველი	11. სევანის კალმახი
			12. ამერიკის შტატი	13. მარცვლეული კულტურა	14. მანჩოხელა გველი	15. მექსიკის დედაქალაქი	16. ქართველი ფეხბურთელი	17. ერთგვარი კანფეტი
			18. ქრისტიანული დღესასწაული	19. სუსტი ქარი	20. ეროდგოლიანი სპორტული ნაეი	21. ებრაელი ენა	22. ქვეყანა აზიაში	23. ჭიკარტი
			24. გაერთიანება, კავშირი	25. მარადმწვანე წიწვოვანი ხე	26. წვაროსნმა	27. ისლამური ტერიტორიული დაჯგუფება	28. გველავრისადმი გულგრილობა	29. პერსონალური შეცდომა კალათბურთში
			30. გამადიდებელი შუშა	31. სრული მარცხი, კრახი	32. ჩხუბრი ხალხური ცეკვა	33. ლუდხანა ინგლისში	34. ქართული კონიაკი	35. მრავალხმიანობა
36. ბაბუა	37. იაპონური ალუბალი							

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები 1. საბრალონი; 2. ბარათი; 3. ატოლი; 4. გლეხი; 5. ნილოსი; 6. ფორთოხალი; 7. კეთრი; 8. თარი; 9. ყაყაჩო; 10. რადარი; 11. კინოლოგია; 12. ნიორამე; 13. ბასეტი; 14. მახათი; 15. დუტა; 16. რიყე; 17. ჭიბონი; 18. ბრაზილია; 19. ურანი; 20. არარატი; 21. რახი; 22. ტუნწი; 23. უხა; 24. შკოლა; 25. კარატე; 26. გაჯი; 27. მიძე; 28. იმედა; 29. პრიორიტეტი; 30. მჭადი; 31. ალამი; 32. მახრა; 33. ჭურამი; 34. მამა; 35. თხა; 36. დეკემბერი; 37. წყირი; 38. ჭა; 39. იაფი.

სურათებზე: 1. სოფიო ჭიურელი; 2. კახი კაცსაძე.

ფოტოკუჩიონები





„გამოცემლობა ჰალიბრა L“-ის ახალი წიგნები



წარმოიდგინე, რომ ხარ რაინდი


ფორმატი: 25X25
გვ. რაოდ.: 23
ყდა: მაგარი

ფასი: 22.99



წიგნი მამაცი ყმანცილებისათვის. დაბრუნდი წარსულში და გაიგე ყველაფერი კეთილშობილი რაინდების საგმირო საქმეების შესახებ. გაეცანი რაინდის კოდექსს. შეიტყვე, როგორ ხდება რაინდად ჯურთხევის ცერემონია, როგორ უნდა იასპარეზოს ტურნირებში და დაიცვას ბრძოლის დროს თავი ჭეშმარიტმა რაინდმა.

თვალაბი, ყურაბი, ცხვირი და ხუდი



ფორმატი: 25X25
გვ. რაოდ.: 14
ყდა: მაგარი

გაეცანი მხიარულ ცხოველებს: ვირუჟას, გოჭუნას, პატარა ლეკვას და უნეტრემა ბატანს. შეიტყვე როგორ ცხოვრობენ ისინი ერთად.



ფასი: 19.99




ჩემი პირველი დღიური

ფორმატი: 25X26
გვ. რაოდ.: 60
ყდა: ბალიშა

პირველი დღიური დაბადებიდან სკოლამდე ასაჯამდე. შეავსეთ ალბომი თქვენი პატარას ცხოვრების მნიშვნელოვანი დეტალებით: ფოტოებით, გამოთქმებით, ნახატებით... მრავალი წლის შემდეგ კი ერთად გაიხსენებთ, როგორ დაიწყო ყველაფერი...

სიახლე!

ფასი: 14.99



იყავი ყურადღებიანი

ფორმატი: 26X28
გვ. რაოდ.: 24
ყდა: მაგარი

ეს წიგნი თქვენს პატარას გული-სხმიერებას, თანადგომასა და სიყეთის ჯეთებს ასწავლის. წიგნის წაკითხვის შემდეგ ისინი თანატოლების მიმართ უფრო ყურადღებიანები, უფრო მზრუნველები გახდებიან.

სიახლე!

ფასი: 8.99

საოცარი ისტორიები „ბალიშა“ წიგნების სერიიდან

3-დან 9 წლამდე

რად აქვს ჯურღელს მოკლე ხუდი?



ფორმატი: 16X11

გვ. რაოდ.: 25, მუყაო

ყდა: ბალიშა

თქვენ, ალბათ, ფიქრობთ, რომ ჯურღელს ყოველთვის მოკლე ხუდი ჰქონდა. იქნებ, წარსულში მას მელას მსგავსად გრძელი და ფაფუკი ხუდი ამშვენებდა? წაიკითხეთ ეს მშვენიერი ზღაპარი და შეიტყობთ, რატომ აქვს ჯურღელს მოკლე ხუდი!

სიახლე!

ფასი: 7.99

გიო აფრიკაში



ფორმატი: 16X11

გვ. რაოდ.: 25, მუყაო

ყდა: ბალიშა

წაიკითხეთ ეს წიგნი და იმოგზაურეთ აფრიკაში გიოსთან ერთად. იქ შეხვდებით ლეოპარდს, მაიმუნს, მარმელადის მოყვრულ მარტორქას... გაიცნობ ზანგების ბელადს... ასე რომ, წინ საინტერესო მოგზაურობა გელით!

სიახლე!

ფასი: 7.99

ჯომბლა



ფორმატი: 16X11

გვ. რაოდ.: 22, მუყაო

ყდა: ბალიშა

ეს შესანიშნავი ქართული ხალხური ზღაპარი მოგიტხრობთ, როგორ ასწავლა ჯომბლემ გაუმძღარ ბატონს ჭკუა და როგორ დაიბრუნა თავისი ჭრელა.

სიახლე!

ფასი: 7.99

საჭაპური



ფორმატი: 16X11

გვ. რაოდ.: 22, მუყაო

ყდა: ბალიშა

წაიკითხეთ მხიარული ლექსი მარჯვე ბაჭიაზე და გაიგე, რა გადახდა მას თავისი დღეობის სამზადისში.

სიახლე!

ფასი: 7.99

შეიძინეთ წიგნის პალატიეში!

წიგნები სახლში მიტანით ფასნაგების გარეშე

ბალ.: 38 26 73; 38 26 74



www.elva.ge

საუკეთესო პროდუქტები საუკეთესო ფასად



კვაცხნი „ღილა“
(10 ხაღინი შეფუთვა)

~~3.25~~ **3.00**

ღორის შავში „ნიკორა“ 1 კგ.

~~16.00~~ **13.80**

ქორღონელა „გზარაული“

~~6.70~~ **5.80**

მანონი „ჩაენი
შარპერი“
3.2%-იანი

~~1.30~~ **1.10**

ჩაქა „დომაშე“
3.2% 1 ლ.

~~2.90~~ **1.90**

სორბლის ფაქილი.
„ალექსანდრა“
2 კგ

~~3.75~~ **3.20**

ქათამი „საღია“
1.100 კგ

~~7.25~~ **6.60**

მაიონეზი
„კალვე“
კლასიკური

~~1.70~~ **1.50**

მწვანე ჩაი „გურიელი“ 25 პაკეტი

~~2.40~~ **2.00**

ბორჯომი.
1 ლ


~~1.10~~ **1.05**

ნეჩანი „ვიტა“
აბიშ 1 ლ.

~~3.30~~ **2.20**

ლუდი „ბეკსი“
0.5 ლ

~~2.40~~ **2.00**



**2-დან — 9
მაისამდე**

წიგნი 12
ედგარ პო
„მოთხრობები“



წიგნი


როგორც უნდა წაიკითხო,
სანამ ცოცხალი ხარ!

**16-დან —
23 მაისამდე**



ჰომეროსი

**30 მაისიდან —
6 ივნისამდე**



მან ჩიგო

**13-დან —
20 ივნისამდე**



თომას მანი
(ტომი I)

*და სხვა დიდ
ჩემებში...
ყოველ ორ წუთში
„წიგნის მკვლელის“
ერთად!*

მხოლოდ „კვირის პალიგრა“ მკითხველისთვის
წიგნის სპეციალური ფასი -7 ლარი

წაიკითხე წიგნები უკეთესად იქნები!

უხვე ბამოსანი ტომები: ონორე დე ბალზაკი, ჯეკ ლონდონი,
შოთა რუსთაველი, ალექსანდრე დიუმა, უილიამ შექსპირი, ჟიულ ვერნი,
მიხაილ ბულგაკოვი, ოსკარ უაილდი, ჩარლზ დიკენსი, ერის მარია რემარკი,
ფრედერიკ ბეგბედერი **შეიძინეთ შეიძინეთ წიგნის მალაჩიებში!**

გამოიწერეთ „კვირის პალიგრა“ და მიიღეთ თითო გომი 7 ლარად! ტელ: 38 26 73; 38 26 74 ელპა.ჯი